

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
არქეოლოგიის ინსტიტუტი

ქრისტინე შავლაყაძე

ქიოსური ამფორების იმპორტი ბერძენთა განსახლების არეალში
(ძვ.წ. VII-I საუკუნეები)

არქეოლოგიის დოქტორის (Ph. D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ვახტანგ ლიჩელი



თბილისი

2016

შინაარსი

შესავალი	6
ნაშრომის მეთოდოლოგია	10
თავი I. ქიოსი	14
I. 1. ისტორია	17
I. 2. ეკონომიკა	22
თავი II. ამფორები და მათი კვლევის მეთოდოლოგია	27
II. 1. ფორმა, ზომა	28
II. 2. მოცულობა და წონა	30
II. 3. კეცის შედგენილობა	32
II. 4. შიგთავსი	33
II. 5. ღირებულება	35
II. 6. დამლა	38
II. 7. წარმოება	42
II. 8. ტრანსპორტირების ტექნიკური ხერხები	48
თავი III. ქიოსური ამფორები	51
III. 1. კლასიფიკაცია და პერიოდიზაცია	52
III. 2. გრაფიტოები და დიპინტოები	63
III. 3. ნუმისმატიკური მონაცემები	66
თავი IV. ქიოსური ამფორების დისტრიბუცია	70
IV. 1. ხმელთაშუაზღვისპირეთი	71
IV. 1. 1. იტალია	72
§1. ეტრურია	74
§2. სამხრეთ იტალია	81
§3. სიცილია	90
IV. 1. 2. საბერძნეთი	103
§1. კრეტა	104
§2. ატიკა	104

§3. აღმოსავლეთ მაკედონია და თრაკია	109
§4. პელოპონესის ნ/კ	109
§5. თესალია	110
§6. ცენტრალური საბერძნეთი	111
§7. სამხრეთი ეგეოსისპირეთი	111
IV. 1. 3. კვიპროსი	113
§1. ფამაგუსტა	115
§2. ლიმასოლი	116
§3. ლარნაკა	116
§4. ნიქოზია	118
§5. პაფოსი	118
IV. 2. შავიზღვისპირეთი	121
IV. 2. 1. ბულგარეთი	124
§1. ბურგასი	124
§2. ვარნა	126
§3. პაზარდჯიკი	127
§4. სტარა ზაგორა	128
IV. 2. 2. რუმინეთი	131
§1. ტულჩეა	131
§2. კონსტანცა	132
IV. 2. 3. უკრაინა	135
§1. ზაპოროჟიე	136
§2. დნეპროპეტროვსკი	137
§3. ხარკოვი	140
§4. კიევი	141
§5. ყირიმი	143
§6. ხერსონი	144
§7. ოდესა	144
§8. ნიკოლაევი	144

§9. დონეცკი	144
IV. 2. 4. რუსეთი	146
§1. კრასნოდარი	147
§2. როსტოვი	149
IV. 2. 5. საქართველო	152
§1. აჭარა	154
§2. სამეგრელო-ზემო სვანეთი	160
§3. აფხაზეთი	162
§4. გურია	166
§5. იმერეთი	167
IV. 2. 6. თურქეთი	174
§1. ხმელთაშუაზღვის სანაპირო	175
§2. ცენტრალური ანატოლია	177
§3. ეგეოსის ზღვის სანაპირო	179
§4. მარმარილოს ზღვის სანაპირო	187
IV. 3. ლევანტი	191
IV. 3. 1. ისრაელი	192
§1. ჰაიფა	192
§2. ჩრდილოეთი რეგიონი	192
§3. სამხრეთი რეგიონი	193
IV. 3. 2. ეგვიპტე	194
§1. ხაფრ ელ-შეიხი	195
§2. ალექსანდრია	198
§3. ქალიუბია	200
§4. ლუქსორი	200
IV. 3. 3. ლიბია	201
§1. კირენაიკა	202
დასკვნა	206
ბიბლიოგრაფია	209

დანართი I. კატალოგი	233
დანართი II. ცხრილები	242
ტაბულების აღწერილობა	263
ტაბულები	264

შესავალი

ამფორების შესწავლას ხანგრძლივი ისტორია აქვს. არქეოლოგიური გათხრების ინტენსიურად დაწყებასთან ერთად სრულიად აშკარა გახდა ამფორული ტარის შესწავლის აუცილებლობა რამდენიმე მიზეზის გამო; პირველ რიგში, ისინი საინტერესოა, როგორც თიხის ჭურჭლის ერთი, ცალკეული კატეგორია; შემდეგ ისინი გვაწვდიან ინფორმაციას, ერთი მხრივ, იმ ცენტრის ეკონომიკური აქტივობების შესახებ, სადაც ისინი დაფიქსირდა და მეორე მხრივ, იმ ცენტრის სავაჭრო კონტაქტებზე, რომლის პროდუქციასაც ეკუთვნიან.

სხვადასხვა არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადგინდა, რომ ამფორები ანტიკური ხანის ნამოსახლარებზე დადასტურებული კერამიკული ტარის 45-90%-ს შეადგენს; აღნიშნულიდან გამომდინარე ამფორებზე დაყრდნობით ანტიკურ ხანაში არსებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შესწავლა გაცილებით საიმედოა, ვიდრე თიხის ჭურჭლის სხვა კატეგორიების შემთხვევაში და იმის გამო, რომ მათი „სიცოცხლე“ საკმაოდ ხანმოკლე იყო (თუ არ ჩავთვლით მათი მეორადი გამოყენების შემთხვევებს) ამფორებზე დაყრდნობით ძეგლის დათარიღება საკმაოდ მჭიდრო მონაკვეთებითაა შესაძლებელი. ზოგიერთ შემთხვევაში ამფორები ძეგლის სავაჭრო ურთიერთობების შესწავლისათვის ერთადერთ ხელჩასაჭიდს წარმოადგენს; ამიტომაც უკანასკნელ ხანებში ამფორები ერთ-ერთი ძირითადი წყაროა ანტიკური სამყაროს მრავალი სოციალ-პოლიტიკური საკითხის შესწავლისათვის (Монахов 2003: 5).

ამფორების ისტორიოგრაფიის დაწვრილებით განხილვა ამჯერად შეუძლებლად მიგვაჩნია; ეს თემა ხომ საგანგებო გამოკვლევის საგანია; თანაც ამის ცდა უკვე განხორციელდა სამეცნიერო ლიტერატურაში ¹, ამიტომ, მხოლოდ მოკლედ მიმოვიხილავთ ამფორების კვლევის ძირითად ეტაპებს:

¹ M. Lawall., *Arhaeological Context and Aegean Amphora Chronologies: A Case Study of Hellenistic Ephesos*. in: J. Eiring and J. Lund (eds.). *Transport Amphorae and Trade in the Eastern Mediterranean*. Acts of the International Colloquium at the Danish Institute at Athens, September 26-29, 2002. *Monographs of the Danish institute at Athens*. vol. 5. 2002.

ამფორების ტიპოლოგიის დადგენის პირველი ცდები ჯერ კიდევ XVIII საუკუნის 70-იან წლებში განხორციელდა.

1779-1930 წლები - ამ პერიოდში სხვადასხვა არქეოლოგიური თუ საძიებო სამუშაოების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია პირველად მოექცა მკვლევართა ყურადღების არეში და ამფორული მასალის მეცნიერული დამუშავება მოხდა².

1930-60-იან წლებში ამფორების კვლევაში დაინერგა დახურული კომპლექსებიდან მომდინარე ინფორმაციის შესწავლა და სტრატეგრაფიული ანალიზი³.

1960-80-იან წლებში გამოქვეყნებული პუბლიკაციები მიზნად ისახავდა ამფორების ფორმების ქრონოლოგიური თვალსაზრისით დალაგებას.

ამფორების ტიპოლოგიურმა შესწავლებმა ხაზი გაუსვა მეთოდოლოგიას, რომელიც დახურული კომპლექსების (ჩადირული გემები, სამარხები, ჭები, ცისტერნები და ა.შ.) შესწავლის საფუძველზე მრავალრიცხოვანი არაპროფილირებული ფრაგმენტების დათარიღების საშუალებას იძლეოდა⁴; თუმცა ამ პერიოდში მკვლევართა მიერ შემუშავებული მოდელები, ძირითადად კონცენტრირებული იყო ერთი კონტექსტიდან მომდინარე მასალაზე.

1990 წლიდან დღემდე - 1980-იანი წლებისთვის უკვე კარგად იყო ჩამოყალიბებული დამდიანი და უდამლო ამფორების კვლევის ის საჭირო მეთოდები, რომლებიც მანამდე იშვიათად გამოიყენებოდა. ეს პერიოდი აღინიშნა არქაული და კლასიკური ხანის ამფორების ტიპოლოგიის შესახებ მრავალრიცხოვანი პუბლიკაციებით.

² ამფორების შესახებ ადრეული პუბლიკაციებიდან ზოგიერთი იბეჭდება XVIII ს-ის დასასრულს ბრიტანულ ჟურნალ „Archaeology“-ში, რომელშიც აღწერილია ინგლისელების მიერ ამ პერიოდში ჩატარებული არქეოლოგიური დაზვერვებისა და გათხრების შედეგები.

³ უკვე 1900 წლისთვის ამფორების შესწავლაში დანერგილ იქნა ორი მნიშვნელოვანი არქეოლოგიური მეთოდი: დახურული კომპლექსების შესწავლა და სტრატეგრაფიული ანალიზი. 1934 წელს გამოქვეყნდა ჰ. ტომსონის: *Two Centuries of Hellenistic Pottery. Hesperia* 3, pp. 311-476. მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაშრომში ამფორები მეტწილად იგნორირებულია, დაინერგა იზოლირებული კომპლექსების გამოყენების წესი კერამიკის ქრონოლოგიის დადგენისათვის.

⁴ დამღების მიხედვით კომპლექსების დათარიღების პირველი ცდა ვ. გრეისს ეკუთვნის. იხ. V. Grace. *The Middle Stoa Dated by Amphora Stamps. Hesperia* 54. 1, 1985. pp. 1-54.

მიუხედავად აღნიშნულისა, დღეისათვის კიდევ ბევრია შესასწავლი, რისთვისაც ძირითადი მეთოდოლოგიაა სტრატეგიცირებული კონტექსტებისა და იზოლირებული კომპლექსების მეშვეობით ამფორათა ფორმების შედარებითი სექციების აგება და ისტორიული გარემოებებიდან დამატებითი ინფორმაციის მითითება (Lawall 2002a: 171-177).

უკანასკნელ ხანებში, მას შემდეგ რაც არქეოლოგიის მეცნიერება უფრო და უფრო დაუახლოვდა ინტერდისციპლინარულ სფეროს და მისი მეთოდების აქტიური გამოყენება დაიწყო, გამოიკვეთა ამფორების კომპლექსური შესწავლის მრავალი შესაძლებლობა, რაც გაცილებით ზრდის ჩვენს წარმოდგენებს ანტიკური ეპოქის სავაჭრო ურთიერთობების შესახებ; შესაძლებელი გახდა ამფორების სტატისტიკური, პეტროლოგიური/პეტროგრაფიული, რადიონობრივი, თვისებრივი და ა.შ. მეთოდებით დამუშავება, რაც საშუალებას გვაძლევს მეტ-ნაკლები სიზუსტით განვსაზღვროთ ამა თუ იმ ცენტრის იმპორტის ინტენსივობა ჩვენთვის საინტერესო რეგიონში.

ქიოსი ერთ-ერთი ულამაზესი კუნძულთაგანია საბერძნეთში და მნიშვნელოვანია ისტორიის, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაზრისით. როგორც ს. როებუკი მიუთითებს, ძვ.წ. VI ს-თვის ქიოსის მაცხოვრებლებს ჩამოყალიბებული ჰქონდათ სახალხო გაერთიანება, რომლის მოქალაქენი გამოცდილნი იყვნენ ზღვაოსნობასა და ვაჭრობაში, იყვნენ პოლიტიკურად სტაბილური და ძლიერ მამაცნი ომში, რამაც იმთავითვე გამოიწვია მათი ეკონომიკური დაწინაურება (Roebuck 1986: 81-84; Boardman, Vaphophoulou-Richardson 1986: 2).

სავაჭრო ურთიერთობები ანტიკურ ხანაში ეკონომიკური კეთილდღეობის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება იყო, ამიტომ აღნიშნულ პერიოდში მეტად გავრცელებულია ვაჭრობის მიზნით სხვადასხვა საქონლისა თუ პროდუქტების გაცვლა-გამოცვლა.

კერამიკული ტარა, როგორც თხევადი და მშრალი ნედლეულის გადასატანი საუკეთესო საშუალება წამყვანი იყო საზღვაო და სამდინარო ტრანსპორტში, რაც, მათი სპეციფიკური ფორმის კონკრეტული მიზნებისადმი მისადაგებით იყო

განპირობებული. მსგავსმა მრავალმხრივმა გამოყენებამ განაპირობა მათი დიდი რაოდენობით წარმოება ანტიკური ხანის სავაჭრო და სახელოსნო ცენტრებში (Grace 1949: 175-189; Grace 1961: 9-12; Whitbread 1995: 15-29; კახიძე 2007: 61).

ამფორებით საქონლის გადაადგილება და ანტიკური ხანის სავაჭრო ურთიერთობების შესწავლა პირდაპირ კავშირშია იმ მოვლენასთან, რომელიც ისტორიაში დიდი ბერძნული კოლონიზაციის სახელწოდებითაა ცნობილი.

ქიოსური ამფორები აღმოჩენილია ბერძნული კოლონიზაციის გავრცელების რეგიონებში. ისინი მრავალ ძეგლზე გვხვდება, რაც სხვადასხვა ეროვნების მქონე მკვლევარების მრავალწლიანი მუშაობის შედეგია, თუმცა მიუხედავად ცალკეული ანგარიშებისა და ამა თუ იმ ძეგლზე დადასტურებული ბერძნული ტარის შორის ქიოსურის მითითებისა ამ ცენტრის სავაჭრო აქტივობების მასშტაბური კვლევა ამფორებზე დაყრდნობით ჯერ არ ჩატარებულა, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით მათ ტიპოლოგიაზე, რომელიც მრავალი მკვლევარის მიერაა შემუშავებული. არ შეიძლება ამ თვალსაზრისით არ აღვნიშნოთ ს. მონახოვის გამოკვლევები⁵, რომლებშიც ჩრდილო შავიზღვისპირეთის მასალებზე დაყრდნობით საუკეთესოადაა ნაჩვენები ამ ცენტრის ამფორების ტიპოლოგიური ევოლუცია და იმპორტის დინამიკა; გარდა ამისა ცალკეული გამოკვლევები ჩატარებულია ისეთ მნიშვნელოვან და ფუნდამენტურ ძეგლებზე, როგორცაა ათენის აგორა⁶, კერამეიკოსი⁷ და სხვა მრავალი, სადაც შემოტანილ ამფორებს შორის ქიოსურიც გამოიცნობა, თუმცა ჯერ არ განხორციელებულა ცდა ინფორმაციის სისტემატიზაციისა იმ ძეგლებიდან, რომელზეც ანტიკურ ეპოქაში ქიოსური ამფორები იქნა შეტანილი.

წინამდებარე ნაშრომი სწორედ ამას ისახავს მიზნად. იგი წარმოადგენს ფართომასშტაბიან კვლევას, რომლის მიზანია ქიოსური ამფორების იმპორტის

⁵ С. Ю. Монахов., Греческие амфоры в Причерноморье: комплексы керамической тары Саратов: изд-во Саратовского Университета. 1999; С. Ю. Монахов., Греческие амфоры в Причерноморье: типология амфор ведущих центров-экспортеров товаров в керамической таре. Москва-Саратов. изд-во „Киммериды“. изд-во Саратовского Университета. 2003.

⁶ S. Rotroff., The Athenian Agora. vol. XXIX: Hellenistic Pottery, Athenian and Imported Wheelmade Table Ware and Related Material. 1-2. 1997; M. Lang., The Athenian Agora. vol. XXI: Graffiti and Dipinti. 1976.

⁷ U. Knigge., Kerameikos, Der Südhügel. Walter de Gruyter & Co. 1976. Berlin.

ინტენსივობის დადგენა ძვ.წ. VII-I სს-ში ბერძენთა განსახლების არეალში და სხვა, თანადროული წამყვანი ბერძნული ცენტრების სატრანსპორტო ამფორებთან შედარებითი ანალიზის საფუძველზე ქიოსის, როგორც ერთ-ერთი ბერძნული სავაჭრო ცენტრის როლის განსაზღვრა ანტიკური ეპოქის კომერციაში.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ქიოსური იმპორტის კვლევის მნიშვნელობა სცილდება მხოლოდ თვით ამ საწარმოო ცენტრის შესწავლის ფარგლებს ორი მიზეზის გამო: 1. ქიოსური იმპორტი ყველაზე ხანგრძლივი დროის მანძილზე შემოდიოდა კოლხეთში და ხმელთაშუაზღვისპირეთის სხვადასხვა რეგიონში და ყველაზე მგრძობიარე ინდიკატორია ამა თუ იმ რეგიონის ეკონომიკური პოტენციალისა ფართო ქრონოლოგიურ ჭრილში; 2. ქიოსური ღვინო თავისი მაღალი ხარისხის გამო, ელინისტურ ხანაში ყველაზე პოპულარული და ძვირადღირებული პროდუქტი იყო და შესაბამისად, მისი მოზღვაება რეგიონში საზოგადოების გარკვეული ნაწილის ქონებრივი დაწინაურების მანიშნებელია.

ნაშრომის მეთოდოლოგია

ამფორების ხანგრძლივი შესწავლის განმავლობაში ყურადღება ექცეოდა კონკრეტულ აღმოჩენებს კონკრეტულ ძეგლებზე, თუმცა სტატისტიკური სურათის მისაღებად ეს არ არის საკმარისი. როგორც რ. კუკმა მიუთითა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 40-იან წლებში: „დისტრიბუციის რუქები არქეოლოგებს შორის ძლიერ პოპულარულია, თუმცა ისინი ყოველთვის არ გამოიყენება მიზანმიმართულად. არ არის საკმარისი იმ ადგილების მონიშვნა, სადაც მოცემული ჯგუფის ნიმუშები აღმოჩნდა; აუცილებელია, ასევე იმის ცოდნა თუ რა სიხშირით აღმოჩნდა, სად არ დადასტურდა და სად არ განხორციელებულა ძიება“ (Cook 1949: 154).

ამ ინფორმაციის შეგროვება ხშირად რთული და ზოგჯერ შეუძლებელია, რადგან მრავალი გათხრები დაფიქსირების გარეშე დასრულდა; გარდა იმ ძეგლებისა, რომლებზეც კვლევა-ძიება ჩატარდა და ამფორები დადასტურდა ან არ დადასტურდა, ჩვენ უნდა მივუთითოთ ის ძეგლებიც, რომლებზეც მოსალოდნელია ამფორების დადასტურება, მაგრამ არ არის ჯერ გამოკვლეული. მხოლოდ ამ ტიპის კვლევა

შეიძლება ჩაითვალოს მიზანშეწონილად სტატისტიკის დადგენის თვალსაზრისით (Lawall 2006: 192) .

ქიოსური ამფორების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მისაღებად ნაშრომში მოცემულ ყოველ ძეგლზე, რომელიც ამის საშუალებას იძლევა მითითებულია ამფორების ზუსტი რაოდენობა ანტიკური ხანის სავაჭრო ურთიერთობებში ქიოსის როლის უკეთ განსაზღვრისათვის; თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განხილული ძეგლებიდან ყველა ამის საშუალებას არ იძლევა, რადგან უმეტეს შემთხვევაში ისინი ფრაგმენტების სახითაა წარმოდგენილი და იმის დათვლა, თუ ეს ფრაგმენტები რამდენ ჭურჭელს ეკუთვნის თითქმის შეუძლებელია, ამიტომ, მხოლოდ იმ შემთხვევებში ვუთითებთ რაოდენობას, როცა ა) მთლიანი ამფორაა აღმოჩენილი, ბ) ამფორის დიაგნოსტიკური ნაწილია აღმოჩენილი; გ) დამლაა აღმოჩენილი; თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში პროფილირებულმა ფრაგმენტებმაც შესაძლოა შეცდომაში შეგვიყვანოს, მაგალითად: თუ ძეგლზე გვაქვს ამფორების პირების, ძირებისა და ყურების ფრაგმენტები ასეთ შემთხვევაში შეცდომის გამოსარიცხად მხოლოდ ძირების მიხედვით ხდება რაოდენობის დათვლა.

საკმაოდ პრობლემატურია დამლების საკითხი, განსაკუთრებით ეს ეხება როდოსულ და კნიდურ დამლებს, რომელთა ამფორებზე ორ-ორი დამლა ისმებოდა ორივე ყურზე სხვადასხვა კომბინაციით. მკვლევარები ამ ორი სატრანსპორტო ცენტრის დამლების ჩვენებისას ამფორების რაოდენობის მითითებას ერიდებიან იმ მიზეზის გამო, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ჩვენ პირობითად ორ დამლაზე ერთ ამფორას ვიანგარიშებთ ეს მონაცემები არ იქნება ზუსტი, რადგან ამით შესაძლოა გავზარდოთ ან პირიქით, შევამციროთ რეალური მაჩვენებელი; ამიტომ, შეცდომის თავიდან აცილების მიზნით ამ ორი ცენტრის დამლების მიხედვით ამფორების რაოდენობას არ ვუთითებთ.

გარდა ქიოსური, როდოსული და კნიდური ამფორებისა ნაშრომში განხილულია ბერძნული სატრანსპორტო ამფორების წამყვანი ჯგუფები; ისინი შემდეგი რეგიონების სახითაა წარმოდგენილი: ატიკა (ატიკური SOS, ატიკური a la brossé, ზოგადად ატიკური); პელოპონესი (კორინთული A, A1, B, ზოგადად კორინთული, ლაკონიური); იონია (ქიოსი, სამოსი, კლაზომენე, მილეტი, ნიკანდროსის ჯგუფი

(ეფესო), **ლესბოსი**); სამხრეთი ეგეოსისპირეთი (**კოსი, ფაროსი, როდოსი, კნიდი**); აღმოსავლეთი მაკედონია და თრაკია (**თასოსი, მენდე, პარმენისკოს ჯგუფი**), თესალია - **სოლოხა I და სოლოხა II** (პეპარეტოსი?).

წარმოდგენილი ბერძნული სატრანსპორტო ამფორების შერჩევა მათი განსახილველი რეგიონების ძეგლებზე ხშირი განმეორებადობის საფუძველზე გაკეთდა. ანტიკურ ეპოქაში ამფორების მაწარმოებელი ცენტრებიდან მხოლოდ წმინდად ბერძნული (ანტიკურ ხანაში საბერძნეთის ტერიტორიაზე მყოფი) გამოვყავით, ამიტომ მათ შორის ვერ მოხვდა სინოპე. გარდა ამ მიზეზისა სინოპური იმპორტი აღნიშნულ ნაშრომში არ შევიტანეთ კიდევ ერთი გარემოების გამო - განსახილველი არეალიდან ისინი მხოლოდ ზოგიერთში (ძირითადად შავიზღვისპირეთი) დასტურდება, რაც არ იძლევა საწარმოო ცენტრების ობიექტური შედარების საშუალებას.

გარდა სინოპურისა ნაშრომში ვერ მოხვდა ეტრუსკული, ფინიკიური, პუნიკური, იტალიკური და სხვა შავიზღვისპირა ცენტრების ამფორები, რომლებიც ასევე ზოგიერთ რეგიონში დასტურდება და ყველგან არა. მეორეს მხრივ ისინი იმ რეგიონების ადგილობრივ წარმოებას ეკუთვნის, სადაც ბერძნულ ამფორათა იმპორტს განვიხილავთ.

სხვადასხვა არქეოლოგიური ძეგლები, რომლებზეც ქიოსური ამფორები დადასტურდა მოცემულ ნაშრომში რეგიონული და ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაა დალაგებული. აღწერა იწყება იტალიიდან, რომელიც განხილულ რეგიონებს შორის ყველაზე დასავლეთით მდებარეობს და ამავე დროს აქ აღმოჩენილი ქიოსური ამფორები ყველაზე ადრეულია.

გარდა იმ ძეგლებისა, რომლებზეც სხვა ბერძნულ იმპორტულ ამფორებს შორის ქიოსურიც გამოიკნობა, ვიძლევიტ ინფორმაციას იმ ძეგლების შესახებაც, რომლებზეც ბერძნული იმპორტული ამფორები გვხვდება, მაგრამ მათ შორის არ არის ქიოსური.

ამრიგად, ჩვენი მიზანია ამ გამოკვლევით ვაჩვენოთ ქიოსური ამფორებით ვაჭრობის მასშტაბის მიახლოებითი მოცულობა ბერძენთა განსახლების არეალში ძვ.წ. VII-I სს-ში.

უსაფუძვლოა ვიფიქროთ, რომ წარმოდგენილი ნაშრომი ყველა ძეგლს მოიცავს, სადაც ქიოსური ამფორები დღეისათვის დასტურდება, რადგან ზოგიერთი ძეგლი ჯერ არ არის გამოქვეყნებული, ზოგიერთი ჩვენთვის ხელმიუწვდომელია და ასევე მრავალი ძეგლი, სადაც მოველით ქიოსური ამფორების აღმოჩენას ჯერ კიდევ შეუსწავლელია (ამის კარგი მაგალითია ანტიკური ხანის ქალაქი ფასისი კოლხეთში); მიუხედავად ამისა, აღნიშნულ ნაშრომში მოცემული სტატისტიკა მაინც იძლევა დასკვნების გაკეთების საშუალებას ამ მართლაც მნიშვნელოვანი ბერძნული სატრანსპორტო ცენტრის სავაჭრო აქტივობების შესახებ ბერძენთა განსახლების არელის მასშტაბით.

თავი I. ქიოსი

კუნძული ქიოსი (ბერძ. Χίος) სიდიდით მეხუთეა საბერძნეთის კუნძულებს შორის. იგი მდებარეობს ეგეოსის ზღვაში, მცირე აზიის სანაპიროდან 7 კმ-ის დაშორებით (lat. 38°-39° N, long. 26° E), ერეტრიის კონცხთან ახლოს, მისგან დასავლეთით, დაახლოებით 88 კმ-ზე (ტაბ. I). კუნძულს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება კუნძული ლესბოსი, სამხრეთიდან კუნძულები: სამოსი და იკაროსი; თურქეთისგან იგი გამოყოფილია ქიოსის სრუტით; ჩრდილოეთიდან სამხრეთით გადაჭიმულია 50 კმ-ზე, ხოლო მისი სიგანეა 29 კმ. საერთო ჯამში, ფართობი 842 კვ. კმ-ს შეადგენს (Boardman 1967: 6; Meikle 1954: 85-199; Bouras 1974).

გეოლოგიური და გეომორფოლოგიური თვალსაზრისით კ. ქიოსი მცირე აზიის სანაპიროს გაგრძელებაა (Higgins, Higgins 1996: 136-138).

კუნძული ქიოსი ძველთაგანვე იმყოფდა მკვლევართა ყურადღებას მისი მდიდარი ისტორიის გამო.

1914 წლის გამოკვლევაში კ. კურუნოტე აღნიშნავს, რომ ქ. ქიოსის გარშემო მდებარე ველებზე თიხის სარკოფაგის ნაშთები დადასტურდა; როგორც ჩანს, ძველი ქალაქის ძირითადი სამაროვანი მის დასავლეთით, ბორცვებზე მდებარეობდა (Hunt 1940-1945: 29-52). მანვე ჩაატარა პირველი გათხრები 1914-15 წლებში ლატომისა და კატო ფანაზე (ტაბ. II, 1) (Κοιρουσιώτη 1914: 64).

ბრიტანეთის არქეოლოგიური სკოლის კავშირი ქიოსთან 1934 წელს კატო ფანას⁸ გათხრებით იწყება ვ. ლემბის ხელმძღვანელობით. 1938 წელს ე. ეკლესმა⁹ გათხარა ნეოლითური სადგომი აიო გალაში (ტაბ. II, 1).

მეორე მსოფლიო ომის გამო 1955 წლამდე გათხრების გაგრძელება არ გახდა შესაძლებელი, თუმცა, ს. ჰუდმა და ჯ. ბორდმანმა მაინც აწარმოეს მცირემასშტაბიანი სამუშაოები ემპორიოში, კუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში (ტაბ. II, 1).

⁸ Excavations at Kato Phana in Chios. *BSA* 35, 1934-35. pp. 138-63.

⁹ Ayio Gala. in: S. Hood (ed.). *Excavations in Chios, 1938-1955: Prehistoric Emporio and Ayio Gala*, 1-2. *BSA suppl.* 15 (1981), 16 (1982).

გათხრების შედეგად გამოვლინდა ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი, არქაული ხანის ქალაქი, საკურთხეველი, გვიან რომაული ხანის ბაზილიკა და ციხე-სიმაგრე.

ნავსადგურის საკურთხეველისა და ათენას ტაძრის გათხრებიდან **ქიოსური** ამფორების ფრაგმენტები გამოვლინდა. მათი ზედაპირი თეთრი ან კრემისფერი ანგობითაა დაფარული და წითელი ან მუქი ყავისფერი საღებავითაა მოხატული. ისინი ძვ.წ. VII-V სს-ით თარიღდება (Boardman 1967: 139-299).

ამ ექსპედიციის ფარგლებში შესწავლილ იქნა კუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილიც, კერძოდ, კი დელფინიონი (ტაბ. II, 1), სადაც, სავარაუდოდ, აპოლონიოს დესფინიონის საკურთხეველი მდებარეობდა, რომელსაც მსხვერპლს წირავდნენ საბერძნეთის სხვა რეგიონებიდან მოსული ბერძნები (მისი არსებობა არქეოლოგიურად არ დასტურდება). დელფინიონის შესწავლისას სხვა მასალასთან ერთად ამფორების მცირერიცხოვანი ფრაგმენტებიც აღმოჩნდა: **ქიოსური** (ძვ.წ. V-IV და II სს.), **როდოსული** (ძვ.წ. III ს.), **მენდეს** და **კოსის** (თარიღი უცნობია) (Boardman 1967; Hood 1981-1982; Boardman 1956: 41-54).

ამავე ექსპედიციის ფარგლებში რ. გარნეტმა წყალქვეშა დაზვერვები და გათხრები აწარმოა კუნძულის სამხრეთ და აღმოსავლეთ სანაპიროებზე, რომლის დროსაც **ქიოსურთან** (ძვ.წ. V-IV სს.) ერთად **როდოსული** (ძვ.წ. III-II სს.), **კოსის** (ძვ.წ. III-II სს.) და **ატიკური** (ძვ.წ. V ს-ის ბოლო - IV ს.) სატრანსპორტო ამფორები გამოვლინდა¹⁰ (Garnett, Boardman 1961: 102-113).

1953-54 წლებში გათხრები ასევე აწარმოეს კოფინაშიც, ქ. ქიოსის მახლობლად (ტაბ. II, 1). გათხრების შედეგად ამფორის ფრაგმენტები გამოვლინდა, რომელთა შორის: 116 - **ქიოსურია** (8 - ძვ.წ. VII ს-ის ბოლო; 4 - ძვ.წ. VI ს-ის პირველი ნახევარი; 6 - ძვ.წ. VI ს-ის მეორე ნახევარი; 5 - ძვ.წ. V ს-ის პირველი ნახევარი; 10 - ძვ.წ. IV ს; 64 - ძვ.წ. IV ს-ის ბოლო; 19 - ძვ.წ. III ს-ის პირველი ნახევარი), 10 - **კოსის** (ძვ.წ. VI ს-ის პირველი ნახევარი), 4 - **კნიდის** (ძვ.წ. VI ს-ის მეორე ნახევარი), 7 - **როდოსის** (ძვ.წ. IV ს.) და 1 - **მენდეს** (ძვ.წ. V ს-ის პირველი ნახევარი) (Hood, Boardman, Anderson 1954: 123-182).

¹⁰ აღმოჩენათა უმეტესობა რომაულ და ბიზანტიურ ხანას განეკუთვნება.

ამის შემდეგ კუნძულზე მცირემასშტაბიანი სამუშაოები პერიოდულად მიმდინარეობდა; აღმოჩენებში გვხვდება ბერძნული სატრანსპორტო ამფორების მცირერიცხოვანი ფრაგმენტები.

კუნძულის არქეოლოგიური შესწავლის მომდევნო მნიშვნელოვანი ეტაპია ქიოსთან ჩადირული, ძვ.წ. IV ს-ით დათარიღებული გემის აღმოჩენა, რომლის ტვირთსაც 350 ამფორა შეადგენდა (მათგან 268 ქიოსურია).

გემზე აღმოჩენილი ქიოსური ამფორების პეტროგრაფიული და ბიოლოგიური ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ ქიოსური ამფორებით არა მხოლოდ ღვინო, არამედ ზეითუნის ზეთიც გადაჰქონდათ. ეს ვარაუდი მკვლევართა მიერ მანამდე არ იყო გაზიარებული და ითვლებოდა, რომ ქიოსური ამფორებით მხოლოდ ღვინო გადაჰქონდათ, ამიტომ გემზე დაფიქსირებული სიტუაცია დიდი მნიშვნელობის მქონეა ამ ცენტრის ამფორებით გადატანილი შიგთავსის დაზუსტებისათვის.

გემზე აღმოჩენილი ამფორები ორ ჯგუფს განეკუთვნება: პირველ და უდიდეს ჯგუფს სწორყელიანი ქიოსური ამფორები წარმოადგენს, რომელთათვის დამახასიათებელია დაგრძელებული ტანი და კონუსური ძირი; მეორე ტიპის ამფორების წარმომავლობა უცნობია.

ქიოსური ამფორებიდან 94 მთლიანია, 73 - ფრაგმენტების სახითაა წარმოდგენილი, 101 - ქვიშითაა დაფარული და რთულია იმის დადგენა მთელია ისინი, თუ ფრაგმენტული. ყველა ქიოსური ამფორა ერთი და იმავე ტიპისაა. 350 ამფორის ტვირთი მიუთითებს, რომ გემი საკმაოდ დიდი უნდა ყოფილიყო ელინისტური ხანისათვის (Foley, Dellaporta, Sakellariou, Bingham 2009: 269-299).

კუნძულ ქიოსზე მრავალი ნავსადგური იყო ანტიკურ ხანაში.

ჩრდილოეთი ნაწილის ნავსადგური იყო ნაგოსი (ტაბ. II, 1). აქ, პატარა ყურეში შესაძლებელი იყო ბრტყელძირიანი ნაგების გაჩერება.

ერთ-ერთი მათგანი მდებარეობდა კარდამილაში (ტაბ. II, 1). თუკიდიდეს მიხედვით: „აქ ხშირია ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარები, რის გამოც გასაჩერებლად რთული ადგილია“ (Thuc. VIII. 24. 3); მაგრამ, მიუხედავად ამისა მაინც მიმდინარეობდა მილეტელებთან ვაჭრობა და პროდუქტების გაცვლა-გამოცვლა (Hunt 1940-1945: 29-52).

კუნძული ქიოსი ყველაზე მარტივი მისადგომია აღმოსავლეთიდან და ქ. ქიოსის ნავსადგური კუნძულის მთავარი ნავსადგურია. მისი დასავლეთი მხარე უფრო დიდი ზომის ხომალდებისთვის, ხოლო ჩრდილო ნაწილი პატარა ნავებისთვის იყო განკუთვნილი.

კუნძულის შემდეგი ნავსადგურია კალამოტი, რომელიც მის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს (ტაბ. II, 1) და ამინდის მიუხედავად ადვილი მისაღწევია, რის გამოც იგი ანტიკურ ეპოქაშიც პოპულარული უნდა ყოფილიყო.

ამ უკანასკნელის აღმოსავლეთით მდებარეობს პორტი დელფინი (ტაბ. II, 1); თუკიდიდესთან მოხსენიებულია, როგორც კარგი ნავსადგური (Thuc. VIII, 38. 2; 40. 3), მაგრამ სამხრეთის ქარის ქროლვის შემთხვევაში მისგან გამოსვლა რთულია.

გარდა აღნიშნულისა, აქ არის ემპორიო - ძლიერ პატარა ნავსადგური, რომელსაც მხოლოდ 28 მეტრი სიგანის შესასვლელი აქვს, მაგრამ ძალიან კარგ თავშესაფარს წარმოადგენს. დღესდღეობითაც კი ადვილი მისახვედრია, რომ ეს ნავსადგური ანტიკურ ეპოქაში წარმატებით გამოიყენებოდა (Hunt 1940-1945: 29-52).

საფიქრებელია, რომ სწორედ ამ ნავსადგურების მეშვეობით ხდებოდა ქიოსური პროდუქციის ექსპორტი. ამას ემპორიოში, ნავსადგურის საკურთხეველზე დადასტურებული სატრანსპორტო ამფორებიც მოწმობს.

I. 1. ისტორია

ქიოსზე ჩატარებულმა არქეოლოგიურმა კვლევებმა გამოავლინა, რომ კუნძული ჯერ კიდევ ნეოლითური ხანიდან (დაახლ. ძვ.წ. 6000 წლიდან) იყო დასახლებული. მიკენელი ბერძნები აქ ძვ.წ. 1400 წელს მოვიდნენ და ძვ.წ. 1100 წლამდე დარჩნენ, რის შემდეგაც მათი ნასახლარები აღარ გვხვდება. ძვ.წ. 1000 წლის შემდეგ ევბეადან წამოსული იონიელი ბერძნები კუნძულზე რამდენიმე ადგილას დასახლდნენ და დააარსეს დედაქალაქი დღევანდელი ქიოს თაუნის (ტაბ. II, 1) ადგილას (Cook 1962; Boardman 1967: 6; Higgins... 1996: 136).

ქიოსის ისტორია დაკავშირებულია იონიის ისტორიასთან, რომელიც ემიგრანტი ბერძნებისა და სხვა ეთნოსის მიერ შემდგარ სოციუმს წარმოადგენდა,

რომელმაც ანტიკურ ეპოქაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სავაჭრო ურთიერთობების განვითარებაში.

ქიოსმა, რომელზეც მიკენური ეპოქიდან სამოსახლოს არსებობა არ შეწყვეტილა ძვ.წ. VIII ს-ში დიდ დაწინაურებას მიაღწია. იგი მდებარეობდა თრაკიიდან ეგვიპტეში მიმავალი გზის შუა მონაკვეთზე, რაც კუნძულის მუდმივად სავაჭრო-სატრანსპორტო აქტივობების ცენტრში ყოფნას განაპირობებდა. მარშრუტი თრაკია-ქიოსი-ეგვიპტე (ტაბ. III) ძალიან კარგად მუშაობდა ძვ.წ. VI ს-ში¹¹. გარდა ამისა, იგი იყო ერთ-ერთი სატრანზიტო პუნქტი ალ-მინადან (ჩრდილოეთი სირია) პითეკუზასაკენ (სამხრეთ იტალია) მიმავალი ხომალდებისათვის (ტაბ. III).

ყოველივე ამან განაპირობა ქიოსის აქტიური ჩაბმა სავაჭრო პროცესებში და ეს მოხატული კერამიკის და სატრანსპორტო ამფორების ფართომასშტაბიანი წარმოებით აღინიშნა (Roebuck 1953: 9-16; Devries, Katzev 1972: 38-50).

ძვ.წ. VII-VI სს-ები ძლიერ წარმატებული ხანა იყო ქიოსისთვის. მისი მოქალაქეები ცნობილნი იყვნენ როგორც სკულპტორები, ბრინჯაოზე მომუშავენი და მეთუნეები. ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრებით ჰომეროსიც ქიოსელი იყო.

სპარსელების მიერ დასავლეთი მცირე აზიის დაპყრობის დროისათვის (ძვ.წ. 547-540 წწ.) ქიოსი უკვე წარმოადგენდა ქალაქ-სახელმწიფოს და ალიანსში იყო მიღებული.

ძვ.წ. VI ს-ის მეორე მეოთხედში უკვე ვხვდებით მინიშნებას ქიოსში ორი საბჭოს არსებობის შესახებ: სახალხო ბულე და არისტოკრატიული საბჭო. სახალხო წარმომადგენლობითი და არჩევადი იყო; თითოეულ ტომში შედიოდა 50 წევრი¹²; ხოლო ბულე იქნებოდა დიდი, 150 ან 300 წევრით (Roebuck 1953: 9-16).

ძვ.წ. 546 წელს ქიოსი სპარსეთის იმპერიის მფლობელობაში გადავიდა; ძვ.წ. 499 წელს კი შეუერთდა იონიის აჯანყებას სპარსეთის წინააღმდეგ.

¹¹ ეპიგრაფიკული და პაპიროლოგიური წყაროები ინფორმაციას გვაწვდიან კუნძულის განვითარებული ეკონომიკის შესახებ. ზენონის პაპირუსი გადმოგვცემს, რომ ძვ.წ. III ს-ში კ. ქიოსზე ჩერდებოდნენ ალექსანდრიიდან შავი ზღვისკენ მიმავალი გემები (Roebuck 1986: 81-84).

¹² ჩვენ არ გვაქვს ინფორმაცია ქიოსში ამ პერიოდში არსებული ტომების რიცხვის შესახებ, მაგრამ სხვა იონიური ქალაქ-სახელმწიფოების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აქ უნდა ყოფილიყო სულ მცირე სამი და არაუმეტეს ექვსისა.

ძვ.წ. 494 წელს ლეიდის ბრძოლაში იონიელი ბერძნები დამარცხდნენ სპარსელებთან. ჰეროდოტესთან ვხვდებით ინფორმაციას ამ ბრძოლაში ქიოსის მიერ შეტანილ წვლილზე: „მათ გამოიყვანეს 100 გემი¹³, მეტი ვიდრე რომელიმე იონიური ლიგის წევრმა. ქიოსი ამ ბრძოლაში ყველაზე მეტად დაზარალდა (ალიანსის სხვა წევრები მალევე გაბრუნდნენ უკან თავის გადასარჩენად). ქიოსელებმა დიდი მსხვერპლი გაიღეს და ლაჩრებივით არ მოიქცნენ. გემების უმრავლესობა ისე დაზიანდა, რომ შეუძლებელი გახდა მათი საშუალებით უკან, ქიოსში დაბრუნება. ბრძოლის სხვა მონაწილეებმა თავის გადასარჩენად თავი ეფესოს შეაფარეს, სადაც სპარსელების კეთილგანწყობის მოპოვების მიზნით მათ სასტიკად გაუსწორდნენ ეფესელები; ხოლო სამშობლოში დაბრუნებულთა ნაწილს დახვდნენ მილეტელები, რომელთაც ქიოსზე თავიანთი დასაყრდენის შექმნა სურდათ. მიუხედავად ამისა, ქიოსელები გადარჩნენ; მათ ააგეს ახალი გემები და აღადგინეს თავიანთი ეკონომიკური წინსვლა, როგორც დელიური ლიგის წევრებმა სანამ თავიდან აჯანყდებოდნენ, ამჯერად ათენის წინააღმდეგ პელოპონესის ომში“ (Hdt. VI. 8, 15-16; VI. 26; 6. 31).

როგორ შეძლო ქიოსმა შეეგროვებინა ასეთი დიდი სიმდიდრე და გამოცდილი ადამიანური რესურსი იმისათვის, რომ აეგო 100 საბრძოლო გემი? და ახალი ტერიტორიები¹⁴ ეკიპაჟით დაეკომპლექტებინა? თითოეულ გემზე 200 კაცი მაინც უნდა ვივარაუდოთ, ასე რომ ქიოსს უნდა ჰყოლოდა 20 000 თავისუფალი მოქალაქე; ეს კი მიუთითებს, რომ ამ პერიოდში ქიოსის მოსახლეობა დაახლოებით 60 000 ან 80 000 თავისუფალი კაცის, ქალისა და ბავშვისგან¹⁵ შედგებოდა. ამას ემატება მონების დაუდგენელი რაოდენობაც.

¹³ ჰეროდოტე გვაძლევს ამ ფლოტის ჩამონათვალს: იონიელებს ჰყავდათ დაახლოებით 300 ტერიტორია; აქედან ქიოსს - 100, მილეტს - 80, ლესბოსს - 70, სამოსს - 60 და ფოკეას - 3-17.

¹⁴ ბერძნ. *τριήρης* (სამ რიგიანი) - ძველი, ერთანძიანი ხომალდი. მას ნიჩბების სამი რიგი ჰქონდა თითო რიგში, ორივე მხარეს 25-25 ნიჩბით.

¹⁵ ქიოსელები თითოეულ გემზე 40 ჯარისკაცს ათავსებდნენ (Hdt. 6. 15. I). უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ციფრი იგულისხმება იმ 200 ჯარისკაცში; ასეთ შემთხვევაში 60 000-80 000 მოქალაქის არსებობა გადამეტებულია. სავარაუდოდ, ქიოსი ყველანაირ რესურსს იყენებდა ქიოსში მცხოვრები სხვა სახელმწიფოების და მათ შორის იონიელი მოქალაქეების ჩათვლით.

თეოპომპე და ათენაუსი მიუთითებენ, რომ ქიოსელები სპარტელებთან და თესალიელებთან ერთად ეფექტურად იყენებდნენ მონურ¹⁶ შრომას (Theopomp. FGrHist 115 F 152; Athen, 6. 265 D-266 E) და ის ფაქტი, რომ ქიოსელები კარგი მეზღვაურები იყვნენ სწორედ იმის დამსახურებაა, რომ მათ საკმარისი დრო ჰქონდათ ამისათვის; ეგვიპტისკენ, შავი ზღვისკენ და შორი დასავლეთისკენ ხანგრძლივი მოგზაურობები ოჯახიდან დიდი ხნით მოწყვეტას და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ოჯახის სხვა წევრებზე და უფრო სავარაუდოდ, მონებზე გადაბარებას მოითხოვდა (Roebuck 1986: 81-84).

ქიოსის კონსტიტუცია აღწერილი იქნა, როგორც: ოლიგარქია ზოგიერთი დემოკრატიული ნიშნით. უდავოდ, ქიოსელებს დასაქმებული ჰყავდათ მონები (Jameson 1992: 135-150).

ქიოსი ძვ.წ. VI ს-ში ისეთივე დიდი ერთეული უნდა ყოფილიყო, როგორებიც იყვნენ მილეტი და ეფესო იონიის რეგიონში და არაუმცირეს კორინთოსა კონტინენტურ საბერძნეთში (Roebuck 1986: 81-84).

ძვ.წ. 479 წელს მიკალეს ბრძოლაში სპარსეთის დამარცხება ქიოსის განთავისუფლებას ნიშნავდა.

ძვ.წ. 478-404 წწ-ში არისტოტელეს მიხედვით სამოსი, ლესბოსი და ქიოსი ათენის იმპერიის „მცველებად“ ითვლებოდნენ (Ath. 24.2). ქიოსი ალიანსის ერთ-ერთი იმ წევრთაგანი იყო, რომლებიც გემებით ამარაგებდნენ ლიგას¹⁷ (Quinn 1981: 39-57).

ძვ.წ. 415 წლისთვის ქიოსი თუკიდიდეს მიერ აღწერილია, როგორც ათენის „უდიდესი მოკავშირე ქალაქი“ იონიაში (Thuc. 8. 24. 4; 8. 40. I; 45. 4; 15. I; Barron 1986: 89-103; Roebuck 1953: 9-16; Devries... 1972: 38-50).

ძვ.წ. 412-400 წლები კრიზისის ხანაა ქიოსის ისტორიაში. სირაკუზში ათენის ექსპედიციის დამარცხების შემდეგ იმპერიული ქალაქის ძალა საგრძნობლად შესუსტდა და ქიოსელების დამოკიდებულება მის მიმართ შეიცვალა. ამავე პერიოდში ქიოსელებმა თავიანთი ქალაქის გარშემო თავდაცვითი კედელი ააგეს.

¹⁶ მამულში მომუშავე მონები.

¹⁷ ქიოსმა ათენისა და ლიგის სამსახურისთვის გამოყო 55 ტრირემა (საიდანაც 25 სიცილიაზე განადგურდა); აქედან ვგებულობთ ქიოსის ძლიერების შესახებ სიცილიის ექსპედიციის დროს (ძვ.წ. 415-413 წწ.)

ძვ.წ. 412 წელს ქიოსი აჯანყდა ათენის წინააღმდეგ; ამავე წელს ათენელებმა ქიოსელები ალყაში მოაქციეს, რომლის გარღვევა მხოლოდ სპარტელებმა შეძლეს ერთი წლის შემდეგ (Gardner 1920: 160-173).

ძვ.წ. 394 წელს კნიდის ბრძოლის შემდეგ ქიოსელები შუერთდნენ კონონს (Diod. 14.84.3).

ქიოსზე მაგისტრატობის დაარსებით იზოკრატემ¹⁸ ხელი შეუწყო დემოკრატიის განვითარებას. ფსევდო-პლუტარქეს მიხედვით ეს უნდა მომხდარიყო კნიდის ბრძოლის შემდეგ და ძვ.წ. 387 წლამდე, როცა იგი (იზოკრატე) უკვე დაბრუნებული იყო ათენში (Mor. 837b).

ძვ.წ. 384 წელს ათენელებმა გამოსცეს დეკრეტი, რომელიც გულისხმობდა „ყველა დროს“ ალიანსს ქიოსთან. ამ დეკრეტის ტექსტიდან ვგებულობთ, რომ ქიოსელები ამ დროისათვის იყვნენ დემოკრატიულები და რომ ალიანსი მხოლოდ ორმხრივი თავდაცვის მიზნით იქმნებოდა (Bruce 1965: 281-284).

ვაჭრობისა და ზღვაოსნობის მეშვეობით ქიოსი ძვ.წ. V-IV სს-ში ერთ-ერთი უმდიდრესი სავაჭრო ცენტრთაგანი გახდა მთელს საბერძნეთში. სწორედ ამ მიზეზის გამო თუკიდიდეს ქიოსს მოიხსენიებს, როგორც უმდიდრესს საბერძნეთის ქალაქ-სახელმწიფოთა შორის, რომლის მაცხოვრებლები ერთადერთნი იყვნენ ლაკედემონელების შემდეგ, ვინც ერთმანეთთან შესანიშნავად ათავსებდა სიმდიდრეს და მოკრძალებას (Thuc. 8.45.4; 8.24.4; Roebuck 1953: 9-16).

ქიოსელებმა მხოლოდ ერთი კოლონია დაარსეს ზღვის გაღმა - მარონეია თრაკიაში¹⁹ (ტაბ. I); ასევე მათ მიიღეს უფლება, რომ ნავკრატისის (ეგვიპტე) დაარსებაში მიეღოთ მონაწილეობა სხვა ბერძნულ ერთეულებთან ერთად (Roebuck 1953: 9-16).

ძვ.წ. 357-355 წწ-ში ქიოსი კვლავ გათავისუფლდა ათენისგან და მისი თავისუფლება ამჯერად მაკედონიის აღზევებამდე გაგრძელდა.

¹⁸ იზოკრატე (ბერძ. Ἴσοκράτης) - ცხოვრობდა ძვ.წ. 436-338 წლებში. იგი იყო ბერძენი რეტორი, ატიკის სახელგანთქმული ათი ორატორიდან ერთ-ერთი. მას დაევალა დემოკრატიის გავრცელება კ. ქიოსზე.

¹⁹ მათ არ ჰქონდათ დემოგრაფიული პრობლემა და არ აგზავნიდნენ საკუთარ მოქალაქეებს ქიოსს გარეთ.

ქიოსი კიკლადებთან, თასოსთან, სამოთრაკესთან, სამოსთან, მიტილენესთან და როდოსთან ერთად მონაწილეობდა ფილიპე II-ეს მიერ დაარსებულ ელინურ კონფედერაციაში. ლამიის ომის დროს (ძვ.წ. 322 წ.) ათენის ფლოტის დამარცხებისა და განადგურების შემდეგ ეგეოსის კონტროლი ათენელებიდან მაკედონელებს გადაეცათ. ანტიგონე I მონოპტალმოსის წარმატებებმა პტოლემეაოს I-ის წინააღმდეგ განაპირობა კუნძულების გაერთიანება კონფედერაციაში ანტიგონოსის დაცვის ქვეშ, რასაც კუნძულების ლიგა ეწოდა (ძვ.წ. 314 წ.).

სურათი შეიცვალა რომაელების გამოჩენასთან ერთად. ძვ.წ. 146 წელს მათ მიერ საბერძნეთის დაპყრობის შემდეგ მისი, როგორც ღვინით მოვაჭრე რეგიონის როლი დასრულდა. რომაელებმა კუნძული როდოსი გადააქციეს ეგეოსის ზღვის კუნძულებთან ღვინით ვაჭრობის თავიანთ საკვანძო პუნქტად (Zemer 1977: 89-116).

მეკობრეობიდან გაზრდილმა საფრთხემ, რომელმაც სწრაფად მოიმატა როდოსის საზღვაო სიძლიერის დასუსტების შემდეგ გააღატაკა ეგეოსი და შეზღუდა მისი მნიშვნელობა. ამ პერიოდში კომერციული ქმედებები გადავიდა იტალიის ნავსადგურებში - პოცუოლისა და ოსტიაში, სადაც კონცენტრირებული იყო გადასატანი ვაჭრობის უდიდესი ნაწილი.

ეკონომიკური აფეთქება ქიოსში მიმდინარეობდა მითრიდატეს მიერ მის საბოლოო განადგურებამდე ძვ.წ. 86 წელს (Tsakos 1994: 15-25).

რომაულმა სამოქალაქო ომებმა, სხვადასხვა სამხედრო ოკუპაციებმა და შესაძლოა, ავგუსტუსის სამონეტო რეფორმებმა, რომელიც ოქროსა და ვერცხლის მონეტების მოჭრის უფლებას ზღუდავდა ქიოსის ეკონომიკა საბოლოოდ დაასუსტა, ისე რომ დაახლოებით ძვ.წ. I ს-ის დასასრულს ყველანაირი სავაჭრო ქმედება შეწყდა (Rostovtzeff 1941: 245; Sarikakis 1986: 121).

I. 2. ეკონომიკა

ქიოსელების კომერციული რეპუტაცია პირველ რიგში კუნძულის გეოგრაფიული მდებარეობით და ნაყოფიერი მიწის ნაკლებობით უნდა აიხსნას, რის გამოც ქიოსის მოქალაქეებმა ვაჭრობა და გემთმშენებლობა განავითარეს.

ძვ.წ. VI ს-დან ქიოსი კომერციული თემების იმ ჯგუფს მიეკუთვნებოდა, რომლებიც აღმოსავლეთიდან დასავლეთს ამარაგებდნენ ფუფუნების საგნებით. ამ აღმოსავლურ საქონელთან ერთად მათ საკუთარი პროდუქტიც გადაჰქონდათ: მოხატული კერამიკა, ღვინო და ზეთუნის ზეთი ამფორებით; თეთრი, უნიკალური მასტიკა²⁰ და მარმარილო. გარდა ამისა, ქიოსის ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილს მონებით ვაჭრობა შეადგენდა (Sarikakis 1986: 121-131).

ქიოსური მოხატული კერამიკა დღეისათვის მრავალ ძეგლზეა აღმოჩენილი. ნავკრატისში მრავლად აღმოჩენილ ამ ტიპის კერამიკას თავდაპირველად „ნავკრატისულს“ უწოდებდნენ, ხოლო შემდეგ კ. ქიოსზე ჩატარებული გათხრების შედეგად დადგინდა, რომ მათი წარმოშობის ადგილი ქიოსია. დღეისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში ისინი „ქიოსურად“ მოიხსენიება.

მათი წარმოება არქაულ ხანაში, დაახლოებით ძვ.წ. VII ს-ის შუა ხანებში დაიწყო, ყველაზე ინტენსიურად ძვ.წ. VII ს-ის უკანასკნელ მესამედში და VI ს-ის პირველ ნახევარში მიმდინარეობდა და ამ უკანასკნელის დასასრულამდე გრძელდებოდა.

ე. ფრაისმა²¹ ქიოსური კერამიკის შესწავლის შედეგად მიუთითა, რომ მასში სამი ძირითადი ჯგუფი გამოიყოფა: ქიოსური გარეული თხის (Wild Goat style), ქიოსური თასის (Chalice style) და შავფიგურული (Black-Figure style) სტილი. ჭურჭლის ფორმებია: თასები, ფიალები, სასმისები და კანთაროსები (Cook 1949: 154-161; Lemos 1986: 233-249; Lemos 1991; Williams 1983: 155-186; Boardman 1967).

ძვ.წ. VIII ს-ში ქიოსელებმა დაიწყეს ღვინისა და ზეთუნის ზეთის წარმოება, რომელიც ძვ.წ. VII ს-დან საექსპორტო პროდუქტად იქცა.

ქიოსში ამფორების სავარაუდო საწარმოო ცენტრი, რომელიც გამომწვარი ფრაგმენტების აღმოჩენის შედეგად ივარაუდა ჯ. ბორდმანმა არის ლიმნია (ჩრდილო-დასავლეთი ქიოსი) (ტაბ. II, 1) ა. ცავაროპულოსმა²² აღმოაჩინა ამფორების

²⁰ ბერძ. μαστίχα - ადგილობრივი სასმელი, რომელიც კუნძული ქიოსის ერთ-ერთ ძირითად პროდუქტს წარმოადგენს დღესაც. მასში ურევენ მასტიკის (*Pistacia lentiscus*) ხის ფისს (Resin).

²¹ E. R. Price., *Pottery of Naucratis. Journal of Hellenic Studies.* vol. 44. 1924.

²² ΑΡΗΣ ΤΣΑΡΑΒΟΠΟΥΛΟΣ Άγιος Νικόλαος • Αγία Σωτήρα (αγροτεμάχια Αφών Μπούκη) Το Μάρτιο του 1989, έπειτα από καταγγελίες κατοίκων της περιοχής για επικείμενη λαθρανασκαφή, ερευνήθηκε τεχνητός ... ΑΔ 39 (1984): Χρονικά, σ. 36-39.

ფრაგმენტები კოფინაში (ქიოს თაუნი) (ტაბ. II, 1), რაც ასევე მიანიშნებს აქ არსებულ საწარმოზე (Whitbread 1995: 42).

ანტიკურ ხანაში ქიოსური ღვინო სახელგანთქმული იყო თავისი მაღალი ხარისხით, რის გამოც იგი საკმაოდ ძვირადღირებული იყო.

ქიოსური ამფორების წარმოება მიმდინარეობდა ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრიდან ძვ.წ. I საუკუნის პირველი ნახევრის ჩათვლით; ამ პერიოდში ღვინისა და ზეთუნის ზეთის იმპორტი ქიოსური ამფორებით დაფიქსირებულია ბერძენთა განსახლების ფართო არეალში.

რაც შეეხება მასტიკას, მისი რეგულარული მოხმარება ძვ.წ. V ს-დან იწყება.

* * *

ძვ.წ. VIII ს-ში ქიოსელებმა დაიწყეს თავიანთი ხელსაყრელი პოზიციის გამოყენება ადგილობრივი ვაჭრობის განსავითარებლად სანაპიროს მოპირდაპირე მხარეს, ძველ სმირნასთან²³, ერეტრიასა და სხვა ერთეულებთან (ტაბ. II, 2).

ქიოსელებს შეეძლოთ გამოეყენებინათ თავიანთი ხელსაყრელი მდებარეობა და მთელი კუნძულის გარშემო ეწარმოებინათ ვაჭრობა, თუმცა მათთვის გაცილებით უფრო დიდი შემოსავლის მომტანი იყო შორეული ბაზრების ათვისება.

ძვ.წ. VII ს-ის უკანასკნელ მეოთხედში ბერძნებმა (მათ შორის ქიოსელებმა) მოიპოვეს ნავკრატისში დასახლების უფლება. ქიოსელი ვაჭრები ხშირად დადიოდნენ ნავკრატისში, რასაც აქ აღმოჩენილი ქიოსური კერამიკა და სატრანსპორტო ამფორები ადასტურებს. გარდა ამისა, მათ მიეწერებათ სხვა ბერძნულ ერთეულებთან ერთად აქ აფროდიტეს საკურთხევლის დაარსებაც. ნავკრატისიდან ქიოსელებს მოჰქონდათ მარცვლეული, ტილო და ფუფუნების საგნები საკუთარი მოხმარებისთვის და ეგეოსის რეგიონში სავაჭროდ. გასამრჯელოს სახით ისინი იყენებდნენ ღვინოსა და

²³ ქიოსური მოხატული კერამიკის ფრაგმენტები ძვ.წ. VIII საუკუნით დათარიღებულ ფენაში აღმოჩნდა ძველ სმირნაში. იხ. J. M. Cook., Old Smyrna. *BSA* 53-4 (1958-9) p. 14.

ზეითუნის ზეთს ნავკრატისში მცხოვრებ ბერძნებთან და ვერცხლს ეგვიპტელებთან ვაჭრობისას²⁴.

მარონიაში არსებობდა საუკეთესო ვერცხლის საბადოები, რომელზეც ქიოსს ხელი მიუწვდებოდა (Roebuck 1953: 9-16; Oliver 1959: 296-301; Jeffery 1956: 157-167).

ძვ.წ. VI ს-ში ბერძნებმა დაიწყეს კავშირების დამყარება შავ ზღვაზე; ამ პროცესებში განსაკუთრებით აქტიურობდნენ მილეტელები. ქიოსი მილეტის ტრადიციული მოკავშირე იყო და ამიტომ მისი ამფორები ადრეული პერიოდიდანვე დადასტურებული შავიზღვისპირეთის სხვადასხვა ახალშენებზე .

საფიქრებელია, რომ საქონლის ნაწილი თავად ქიოსელებს გადაჰქონდათ ეგეოსის გადაკვეთით კონტინენტურ საბერძნეთში, რომლის მიღწევამდეც კ. ეგინაზე ჩერდებოდნენ. აქ ქიოსელები კერამიკას წირავდნენ ათენა აპაეას ტაძარში²⁵ (Roebuck 1986: 81-84).

კუნძულზე იყო კარგი ტექსტურის თეთრი მარმარილო, რომელიც ოდნავ თუ განირჩევა არიუსიული მარმარილოსგან. ქიოსის მარმარილო ასევე რთული გასარჩევი იყო ფაროსულისგან ორივეს თეთრი ფერის გამო.

ძვ.წ. VI ს-ში ქიოსზე ცხოვრობდა სკულპტორების ოჯახი, რომლებიც საკმაო პოპულარობით სარგებლობდნენ და იყვნენ ერთ-ერთი მარმარილოზე ადრეულ მომუშავეთა შორის მთელს ეგეოსისპირეთში. ოჯახის დამაარსებელი - მიკიადესი დაახლოებით ძვ.წ. VI ს-ის დასაწყისში; მისი შვილი - არქერმუსი ძვ.წ. 570-იან წლებში, ხოლო მისი შვილიშვილი ბაპულუსი დაახლოებით ძვ.წ. 540-იან წლებში მოღვაწეობდნენ. პლინიუსს მოჰყავს ეს თარიღები და ამატებს, რომ ისინი ზოგიერთ თავიანთ ქანდაკებაზე გამოსახავდნენ, რომ ქიოსი ცნობილი იყო არა მხოლოდ ვაზის კულტივირებით, არამედ არქერმუსის შვილების საქმიანობითაც (Pliny, OL. 60; Gardner 1920: 160-173).

²⁴ ვაჭრობის დამადასტურებელი ფაქტებია ქიოსური და ბერძნული ვერცხლის ნაჭრების აღმოჩენები თრაკო-მაკედონიური ემისიის მონეტებთან ერთად ვაჭრების განძებში ნილოსის დელტაზე.

²⁵ A. Furtwangler., Aegina. Munich 1906. pp. 455-456.

ძვ.წ. V-IV სს-ში განვითარებული სოფლის მეურნეობის მქონე დიდი ქალაქ-სახელმწიფოები მონური²⁶ შრომის გამოყენებით ხასიათდებოდნენ. თუკიდიდესთან აღწერილია ქიოსის აჯანყება ათენის წინააღმდეგ ძვ.წ. 412 წელს სადაც იგი მიუთითებს, რომ ქიოსს ჰყავდა უფრო მეტი მონა (მამულებში მომუშავე მონები), ვიდრე რომელიმე სხვა ბერძნულ ერთეულს სპარტას გამოკლებით (Thuc. 8. 40. 2; Roebuck 1986: 81-84; Jameson 1992: 135-150).

ისტორიის მანძილზე მონებით ვაჭრობა იყო ბერძნული კომერციის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი კომპონენტი. ცნობილია, რომ ქიოსი, კორინთო და ეგინა ანტიკურ ხანაში მონებით მოვაჭრე დიდი ემპორიონები იყვნენ (Hdt I, 165, I ; Gardner 1920: 160-173; Austin 1970: 44-52).

²⁶ ტერმინი „გლეხი“-ს შესატყვისი ძველ ბერძნულში არ არსებობს, ამიტომ საფიქრებელია, რომ გლეხების ნაცვლად აქ იყვნენ მონები; მათ ჰქონდათ მამულის ტერიტორიაზე ცხოვრების და მიწის დამუშავების უფლება. თითოეული მამულიდან იკვებებოდა როგორც მონის, ასევე მემამულის ოჯახი. შეად: სტრაბონის ცნობა იბერიის მეოთხე გვარის შესახებ: „მეოთხე (გვარი) არის ლაოებისა, რომლებიც სამეფო მონები არიან და აკეთებენ ყველაფერს, რაც ცხოვრებისთვის არის საჭირო. საზოგადო აქვთ ქონება ნათესაობისდა მიხედვით. მართავს და განაგებს თითოეულს [ნათესაობას] - უხუცესი“. იბერიის მოსახლეობის ძირითად მწარმოებელთა ფენა იწოდება ლაოებად (λαοί) ანუ ტერმინით, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული ელინისტური აღმოსავლეთის ქვეყნებში სამეფო მიწაზე მსხდომი დამოკიდებული მოსახლეობის აღსანიშნავად. მაგრამ უკანასკნელ ხანებში ერთ-ერთი ხელნაწერის საფუძველზე გამოითქვა მოსაზრება, რომ პირველად ტექსტში უნდა ყოფილიყო არა λαοα, არამედ λιοπαα (დანარჩენი, დარჩენილი ნაწილი). ამ მოსაზრებას იმითაც ასაბუთებენ, რომ სტრაბონის გეოგრაფიის სხვა ნაწილებში (λαοί) არასდროს იხსენიება საზოგადოების დაბალი ფენის აღსანიშნავად, არამედ მხოლოდ ორი მნიშვნელობით „ჯარი და ახალმოშენე“. ასე, რომ სტრაბონის მეოთხე გენოსში საუბარია მთელ „დანარჩენ“ მოსახლეობაზე (ლორთქიფანიძე 2010: 184-185).

თავი II. ამფორები და მათი კვლევის მეთოდოლოგია

სიტყვა „ამფორა“ ლათინურია და მომდინარეობს ბერძნული ამფორეუსიდან (αμφορεως), ან აბრევიატურა ამფიფორეუსიდან (αμφιφορεως); იგი იშიფრება როგორც *αμφι-* წყვილი, ორივე მხრიდან და *φορεως* - სატარებელი, ანუ ორმხრივ სატარებელი სატრანსპორტო ჭურჭელი (Grace 1961: 5-9).

ამფორები, როგორც თხევადი, ასევე მშრალი ნედლეულის გადასატანი ერთადერთი საშუალება წამყვანი იყო საზღვაო და სამდინარო ტრანსპორტში, რაც მათი სპეციფიკური ფორმის კონკრეტული პირობებისადმი მისადაგებით იყო გამოწვეული.

ამფორებს ჰქონდათ როგორც პირველადი, ასევე მეორადი დანიშნულება. მათი ძირითადი ფუნქცია იყო ღვინისა და ზეთის ტრანსპორტირება, ასევე ამფორებით გადაჰქონდათ მშრალი პროდუქტები, როგორცაა: ზეთისხილი, დამარილებული თევზი, ყურძენი, ქლიავი, ატამი, ლეღვი, ფინიკი, თხილი, თაფლი; აგრეთვე კირი, ცარცი, ნავთობი ²⁷ ; ხოლო, მათი მეორადი დანიშნულება გულისხმობდა ამფორების გამოყენებას სამეურნეო ჭურჭლად, საყვავილეებად, სასაზღვრო ნიშნებად, საარჩევნო უბნებად, სამარხებად, სამარხეულ ინვენტარად, საკანალიზაციო, სადრენაჟო და წყალმომარაგების სისტემების გასამართავად, სამშენებლო მასალად, გემებისა და დიდი ზომის ჭურჭლების ტევადობის განსაზღვრისათვის, ჭიდან წყლის ამოსაღებად, გამოუსადეგარი ქებისა და ცისტერნების ამოსავსებად, მიწის დატერასებისათვის და ა.შ.

²⁷ ამფორებში ნავთობის ნარჩენები აღმოჩენილია ტამანის ნ/კ-ზე და ტირიტაკაში. იხ. X. Б. Анфимов., Средневековые амфоры с нефтью с Таманского полуострова. КСИИМК, М. 1953. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია პალიასტომის ტბაში მიკვლეულ „ნატეხების“ ნასახლარზე აღმოჩენილი წელშიგამოყვანილი ამფორები, რომელთა ფსკერზეც ნავთობის ნალექი დადასტურდა. იხ. გ. გამყრელიძე., ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ ფასის-ფოთში (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით) - ანტიკური ხანის კოლხეთის არქეოლოგიის საკითხები. ძიებანი, დამატებანი IV, თბ. 2001. გვ. 26-28; გ. გამყრელიძე., კოლხოლოგიური ნარკვევები, 2001. გვ. 23-24. ასევე საყანჩიას ნამოსახლარის I ნაგებობის გადახურვისთვის გამოყენებულ კრამიტებზე დადასტურდა შავი მკვრივი მასა - გუდრონი, რომელიც ნავთობის გამოხდის ნარჩენ პროდუქტს წარმოადგენს. როგორც ჩანს გუდრონით დაფარული იყო სახურავის ის ადგილები, საიდანაც წყალი შეიძლებოდა ჩამოსულიყო შენობაში (ლიჩელი 1991: 12, სქოლიო 1).

მსგავსმა მრავალმხრივმა გამოყენებამ განაპირობა მათი დიდი რაოდენობით წარმოება ანტიკური ხანის სავაჭრო, სახელოსნო თუ სატრანზიტო ცენტრებში (Grace 1934; Grace 1947: 443-452; Grace 1953: 269-270; Grace 1957: 46-47; Grace 1961: 9-12; კახიძე 2007: 61; ხალვაში 2002: 94-98; Callender 1965; Bottger 1992: 315-318; Зеецт 1960).

* * *

ამფორების კვლევას გააჩნია საკუთარი მეთოდოლოგია; მათი წარმომავლობის განსაზღვრის რამდენიმე ხერხი არსებობს:

1. ამფორების იდენტიფიცირება ფორმისა და ზომის მიხედვით.
2. ამფორების იდენტიფიცირება კეცის შედგენილობის მიხედვით.
3. ამფორების იდენტიფიცირება შიგთავსის მიხედვით და
4. ამფორების იდენტიფიცირება დამღის მიხედვით.

ამათგან პირველი სამი შედარებით სუსტი განმსაზღვრელი ფაქტორებია და ხშირად რთულია ამათგან მხოლოდ ერთი მონაცემით ამფორის წარმომავლობის მითითება. დამღის შემთხვევაში წარმომავლობის იდენტიფიკაცია უტყუარია.

II. 1. ფორმა და ზომა

ამფორებს განსაკუთრებული, დამახასიათებელი ფორმა აქვთ. ორი პარალელური ყური და წვეტიანი ძირი მესამე სახელების მოვალეობას ასრულებდა ამ მიმე ჭურჭლის აწევისას²⁸; ვიწრო ყელი კი ამფორის საცობებით დალუქვის საშუალებას იძლეოდა შიგთავსის ჰაერისგან და მტვრისგან დაცვის მიზნით.

ჭურჭლის დიზაინში მნიშვნელოვანი იყო ფიზიკური ფაქტორი და სტანდარტიზაციის მაღალი საფეხური; ამით აიხსნება ის, რომ ამფორამ სწორედ

²⁸ ვარშავაში დაცულ Neck-ამფორაზე გამოსახულია ახალგაზრდა, სახელად ათენიონი, რომელსაც ჰორიზონტალურად, ქუსლითა და ერთი ყურით უჭირავს ამფორა და ამგვარად ცლის მას, რაც საკმაო ძალას მოითხოვს.

ასეთი ფორმა მიიღო და მისი მორფოლოგიური ნიშნები არ შეცვლილა ანტიკური ეპოქიდან შუა საუკუნეებამდე (Whitbread 1995: 15-29; Grace 1949: 175-189).

სხვადასხვა საწარმოო ცენტრების ამფორები ერთმანეთისგან შეიძლება განვასხვაოთ ფორმის დამახასიათებელი თვისებების მიხედვით; მაგალითად, ძვ.წ. VI ს-სა და ძვ.წ. V ს-ის მესამე მეოთხედს შორის დამზადებული ქიოსური ამფორები გამოხედილი ყელით ხასიათდება; ძვ.წ. III ს-ის დასაწყისის შემდეგ დამზადებული როდოსული ამფორების ყურები ხასიათდება მახვილკუთხოვანი ზოლებით. რკალური ქუსლი დამახასიათებელი თვისებაა კნიდის ჭურჭლებისთვის; კოსის ამფორების გამოცნობა შესაძლებელია ორლულა ყურებით;

თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც ერთი კლასის დამახასიათებელი ნიშნები ჩნდება მეორე ტიპის ჭურჭლების ჯგუფშიც. ასე მაგალითად: ზოგიერთ როდოსულ, ფრაქციულ²⁹ ჭურჭლებს (Grace 1949) აქვთ კოსის ამფორებისთვის დამახასიათებელი ორლულა ყურები (Grace 1950), მაშინ, როდესაც კოსის ჭურჭლებს აქვთ როდოსული ამფორებისთვის დამახასიათებელი ერთლულა ყურები და ა.შ.

საწარმოო ცენტრები, როგორც წესი არ ამზადებდნენ ამფორის ერთზე მეტ ფორმას მოცემულ პერიოდში. ამ მხრივ კორინთული ამფორები გამონაკლისს წარმოადგენს, რადგანაც კორინთული A და A1 ჭურჭლები თანადროულია მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთმანეთისგან განსხვავდება როგორც ფორმით, ასევე კეცის შედგენილობით. კორინთული B ტიპის ჭურჭლები ორივე A და A1 ტიპების თანადროულია, კეცით A1-ის იდენტურია, მაგრამ საკმაოდ განსხვავებულია A და A1-გან როგორც ფორმით, ასევე დამზადების ტექნიკით.

ფორმის მახასიათებლები, რომლებმაც არქეოლოგებს მათი ცენტრებთან იდენტიფიცირების საშუალება მისცა, როგორც ჩანს იგივე ფუქციას ასრულებდნენ მოვაჭრეებისთვისაც ანტიკურ ხანაში.

²⁹ ისინი სტანდარტული ამფორების მსგავსია, მაგრამ უფრო მცირე ზომისაა. იტალიელი და ფრანგი მეცნიერები ამ ამფორებს „Amphorette”, „Anforeta”-ს უწოდებენ. ზოგჯერ ისინი სუფრის ჭურჭლადაც გამოიყენებოდა. ამ ამფორებს დიდი ზომის ამფორების მსგავსად განსხვავებული ფორმები აქვთ და როგორც წესი 45-55 სმ სიმაღლისაა. კეცის შედგენილობაც სტანდარტული ამფორების კეცის მსგავსია. ყელის ზედა ნაწილის წითელი საღებავით მოხატვის ტრადიცია ფრაქციულ ჭურჭლებზეც გვხვდება (Ariel, Finkielsztejn 2003: 137-151; Cavalier 1985: 112).

როგორც ი. გარლანი მიუთითებს, ფორმა ასრულებდა იმ ამფორის წარმომავლობის გამოცნობის მოვალეობას, რომელიც არ იყო დადამტკიცებული (Garlan 1983: 37-44).

ამფორა უნდა ყოფილიყო იმდენად გამძლე, რომ მას შეძლებოდა მინიმუმ 20 ლიტრი³⁰ ღვინის ან ზეთის შენახვა. ასევე გასათვალისწინებელია ტრანსპორტირების სიმკაცრე მჭიდროდ ჩაწყობის პირობებში (Whitbread 1995: 5-28).

II. 2. მოცულობა და წონა

ამფორების მოცულობები განსხვავებული იყო სხვადასხვა პერიოდში. კლასიკურ ხანაში ბერძნული ტევადობის სისტემა ძირითად და ჯერად ერთეულებს ცნობდა. სამი ძირითადი ერთეული იყო: მეტრეტი (Μετρητής), ხოა (Χοίς) და კოტილა (Κοτύλη). ჯერადი ერთეულები იყო: კიათოსი და პინტა. სითხის საზომი ეს ტაბულა ასე გამოიყურება:

1/6 კოტილა	1 კიათოსი	0,043 ლ.
1 კოტილა	6 კიათოსი (4 ოქსიბაფონი)	0,26 ლ.
2 კოტილა	1 პინტა	0,53 ლ.
4 კოტილა	1 ხონიქსი	1,06 ლ.
12 კოტილა	1 ხოა	3,2 ლ.
12 ხოა	1 მეტრეტი (ერთი ამფორის ტევადობა)	38, 4 ლ.

ცხრილი 1. სითხის მოცულობის საზომი ერთეულები კლასიკური ხანის საბერძნეთში

³⁰ თუმცა, კორინთული ამფორები მეტსაც - 30 ლიტრს იტევდა.

აქედან გამომდინარე პირობითად, ერთი ამფორა 12 ხოას, ანუ 38,4 ლიტრს იტევდა (Morrison, Williams 1968: 129-143; Forrest 1956: 63-67; Castoldi 1999: 235-239; Wallace 1980: 87-94). თუმცა, აღსანიშნავია, რომ სითხის საზომი ერთეულების მოცულობა საბერძნეთის სხვადასხვა მხარეში სხვაგვარი იყო, მაგალითად 1 ქიოსური ხოა 2,8 ლიტრს შეესაბამებოდა და 7 ატიკური ხოა 8 ქიოსური ხოას ეკვივალენტური იყო და 22,4 ლიტრს უდრიდა.

1934 წელს ვ. გრეისმა გამოაქვეყნა ძვ.წ. V ს-ის შუა ხანების ქიოსური ამფორების მოცულობის სიდიდეები, რომლის მიხედვითაც ძვ.წ. V ს-ის დასაწყისის ყელგამობერილი ქიოსური ამფორები 20 ლიტრს იტევდა. ყელგამობერილი ტიპის უფრო მოგვიანო ნიმუშებს ათენის აგორას ჭებიდან ჰქონდათ უფრო დიდი ტევადობა - 23 ლიტრი. სწორყელიანი ქიოსური ამფორებიც უფრო მეტს იტევდა (Grace 1934: 197-300; Wallace 1980: 87-94).

ძვ.წ. II ს-ის დასასრულს დიდი ზომის კნიდის ამფორა იტევს დაახლოებით 31 ლიტრს წინა, უფრო დიდი ტევადობისგან განსხვავებით. ძვ.წ. IV ს-ის თასოსური ამფორები 7,1 ლიტრს იტევდა და დაახლოებით 6,5 კგ-ს (14,2 მნა³¹) იწონიდა. ამ წონას ემატებოდა თვითონ ამფორის წონაც 5-დან 15 კგ-მდე და მაგალითად, ძვ.წ. III ს-ის ღვინით სავსე (25 ლ.) როდოსული ამფორა 35 კგ-ს იწონიდა (Grace 1949: 175-189; Koehler 1980: 50-67; Koehler 1982);

ძვ.წ. V ს-ის ბოლოს ქიოსური ამფორა დაახლოებით 7,5 კგ-ს (16,4 მნა), ხოლო ძვ.წ. V ს-ის შუა ხანების მენდეს ამფორა დაახლოებით 10,5 კგ-ს (23,0 მნა) იწონის. თუ ამას დავამატებთ ღვინოს ან ზეთის ზეთს სავსე ჭურჭელი შეიძლება იწონიდეს 70 მნას (31,95 კგ.) (Lawall 2000: 3-90).

სავარაუდოდ ამფორები ივსებოდა დიდი კასრებიდან ან ზუსტად ცნობილი ტევადობის მქონე სხვა ჭურჭლებიდან და მათში მოთავსებული შიგთავსის რაოდენობა ფიქსირდებოდა, ამიტომ, ამისთვის ჭურჭლებზე კეთდებოდა გრაფიტოები, რომლებზეც მითითებული იყო მათი ტევადობა. შუამავლები, გადასახადების ამკრებები და ტვირთის მიმღებები არ მოხსნიდნენ საცობებს

³¹ მნა (ბერძ. μνᾶ) – ძველი ახლო აღმოსავლური წონის საზომი ერთეული, რომელსაც ჰყოფდნენ 60 (50) შეკელზე.

თითოეულ ამფორას და ხელახლა არ არწყავდნენ შიგთავსს მითითებული ტევადობის შესამოწმებლად (Wallace 1980: 87-94).

სტანდარტული ტევადობის³² ამფორებით სხვადასხვა სახის საქონლის გადატანის შემთხვევაში შესაძლებელია ამ ზომის გამრავლება ჭურჭლების რაოდენობაზე იმისათვის, რომ გავიგოთ გადატანილი პროდუქციის მოცულობა.

ამფორის მოცულობის გაზომვის დროს უნდა გავითვალისწინოთ, რომ ტევადობის წყლით გაზომვის შემთხვევაში ცდომილება შეიძლება იყოს 0,1 ლ., ხოლო პოლისტირინის მძივებით³³ გაზომვის შემთხვევაში 0,5 ლ; მაგრამ პოლისტირინის მძივები ამფორის მხრებს ვერ ავსებს, ამიტომ თითოეული მოცულობა უნდა გაიზომოს წყლითაც და მძივებითაც და ამის შემდეგ მოხდეს მათი შედარება; ყელის მოცემული ტევადობა კი შესაძლოა გადაჭარბებით განვსაზღვროთ, რადგან ჩვენ ზუსტად არ ვიცით თუ რა სივრცეს იკავებდა საცობი ამფორის ყელში (Wallace 2002: 429-431).

II. 3. კეცის შედგენილობა

ამფორები თიხის კარიერების მიდამოებში იწარმოებოდა; ხშირად საგანგებო ამფორის სერიის დასამზადებლად თიხა ადგილზე სხვა რეგიონიდან მოჰქონდათ.

თიხის შედგენილობა ერთ-ერთი იმ ფაქტორთაგანია, რომლის მეშვეობითაც ჭურჭლის წარმომავლობა განისაზღვრება (Anderson 1984; Rosenthal 1954; Whitbread 1995).

პეტროგრაფიული ანალიზის შედეგებისა და გეოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით დღესდღეობით უკვე ადვილადაა შესაძლებელი ამფორის კეცის

³² განსაზღვრული ტევადობის მქონე ჭურჭლები ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში მზადდებოდა ხმელთაშუაზღვისპირეთში. მაგალითად, ძვ.წ. 1225 წლით დათარიღებული ულუბურუნის ჩადირული გემიდან მომდინარე ქანაანური ჭურჭლები ექცევა ტევადობის სამ ძირითად კატეგორიაში.

³³ მძივებით მოცულობის განსაზღვრა ემყარება ძველი ეგვიპტელების მიერ აღმოჩენილ ფუნდამენტურ კანონს, რომლის თანახმადაც ერთი ზომის ბნევადი არეებით ნებისმიერი ჭურჭლის შევსების შემთხვევაში, არის მიერ დაკავებული მოცულობის (v) ფარდობა ჭურჭლის მოცულობასთან (V) მუდმივი სიდიდეა, არ არის დამოკიდებული ჭურჭლის ფორმაზე და შეადგენს $v/V=0,64$ -ს. ამ კანონის თანახმად, მათ იცოდნენ ამფორის შესავსებად რა წონის ანუ მოცულობის მძივები იყო საჭირო და აქედან გამოითვლიდნენ ამფორის მოცულობასაც.

კონკრეტულ ცენტრთან იდენტიფიცირება. ხშირია შემთხვევები, როდესაც ამფორა იმდენად ფრაგმენტულია, რომ ფორმის რეკონსტრუქცია ვერ ხერხდება და დამლაც არა აქვს, ასეთ შემთხვევაში ყველაზე ოპტიმალური ხერხია კერამიკული პეტროგრაფიის გამოყენება, რომელიც გულისხმობს ამფორის კეცის ქიმიური შედგენილობის დადგენას და შემდეგ, გეოლოგიური მონაცემების საფუძველზე მის ამა თუ იმ რეგიონთან მიმართებას.

პეტროგრაფიული ანალიზის მიზანია: 1. კეცის აღწერა; 2. აღწერილი კერამიკის კლასიფიკაცია ან დახასიათება და ამ მონაცემების შედარება წყაროს მონაცემებთან; 3. კერამიკის დამზადების ტექნოლოგიის იდენტიფიკაცია (Whitbread 1980: 95-101; Whitbread 1995: 5-28).

ბერძნული ამფორების წამყვანი კლასებიდან უკვე გამოიყო სხვადასხვა კეცის მქონე ჭურჭლები; ქიოსური ამფორების პეტროგრაფიული ანალიზი ჩატარებული იქნა კ. დიუპონის, რ. ჯონსისა და ი. ვითბრედის მიერ, რომლის შედეგად დადგინდა, რომ ქიოსურ ამფორებში კეცის ორი ტიპი განირჩევა: პირველი, უფრო ადრეული ტიპის ამფორებს ეკუთვნის: იგი ყავისფერი-მოწითალოა, მრავალრიცხოვანი, ადვილად იდენტიფიცირებადი კვარცის, მინდვრის შპატების, ნაცრისფერი, თეთრი ფერის, ყავისფერი და მუქი წითელი ჩანართებით, რომელთა ზომები 0,5-სა და 1 მმ-ს შორის მერყეობს.

ქიოსური ამფორების კეცის მეორე ჯგუფი დამახასიათებელია მოგვიანო ყელგამობერილი და სწორყელიანი ტიპის ამფორებისთვის (ძვ.წ. V ს-ის მესამე მეოთხედიდან შემდეგ). იგი ნაცრისფერი-მოწითალოა, ყავისფერი შუაგულით; ღია ნაცრისფერი, თეთრი კვარცის და მინდვრის შპატების, ყვითელი და ოქროსფერი ქარსის ჩანართებით, რომელთა ზომები 0,5 მმ-ზე ნაკლებია (Cook, Dupont 1998; Jones 1986; Whitbread 1980: 95-101; Whitbread 1995: 135-139).

II. 4. შიგთავსი

წერილობითი წყაროებიდან ცნობილია თუ რომელი ცენტრი რომელ პროდუქტს აწარმოებდა ანტიკურ ხანაში. ორგანული ნივთიერებებიდან მხოლოდ ღვინო,

ზეითუნის ზეთი, ზეთისხილი და თევზის სოუსები ჩნდება არქეოლოგიურ აღმოჩენებში ამფორების შიგთავსის სახით (Whitbread 1995: 15-29).

ანტიკურ ხანაში აღმერთებდნენ ლესბოსურ, ქიოსურ³⁴, თასოსურ და როდოსულ ღვინოს. გარდა აღნიშნული ცენტრებისა, ისტორიულ წყაროებში ასევე გვხვდება ცნობები ღვინის სხვა მწარმოებელი ცენტრების შესახებ, რომელთა ამფორებიც არ არის ცნობილი; ესენია: ჰალიკარნასი, სიკიონი, მიკონოსი, ზაკინთოსი, ლეუკასი, სკიათოსი, იკარია, ერეტრია, ნაქსოსი და მარონეია. ვარაუდობენ, რომ ისინი თავად არ ამზადებდნენ ამფორებს და სხვა ცენტრების მეორადი ამფორებით სარგებლობდნენ; ან შესაძლოა მათი ამფორები ჯერ-ჯერობით არ გამოიცილებოდა არქეოლოგიურ მასალაში; მაგალითად, ლიტერატურულ წყაროებში მოხსენიებული აკანთოსის ღვინის კულტურა მხოლოდ და მხოლოდ ამ უკანასკნელ ხანებში დადასტურდა მისი დამდიანი ამფორების აღმოჩენის შემდეგ.

სამოსური და ატიკური ამფორებით გადაჰქონდათ ზეთუნის ზეთი, ხოლო სინოპური ამფორებით დამარილებული თევზი. ლესბოსური და კნიდური ამფორებით ხშირად გადაჰქონდათ, ასევე ძმარი.

კუნძულ ლიპარისტან ჩადირულ (ძვ.წ. IV ს-ის ბოლო - III ს-ის დასაწყისი) გემ კაპისტელოზე დადასტურდა 52 ერთნაირი ფორმისა და მოცულობის მქონე გრეკო-იტალიკური ამფორა, რომელთა ანალიზმა გამოავლინა ყურძნისა და ზეთისხილის ნარჩენები, ანუ ერთი და იმავე ტიპის ამფორებით გადაჰქონდათ ორი სხვადასხვა სახის პროდუქტი, ან აქ ამფორების მეორად გამოყენებასთან გვაქვს საქმე (Whitbread 1995: 22-24; Millet 1984; Lund 2002: 211-213); მსგავსი ვითარება დადასტურდა კ. ქიოსთან ჩადირულ გემზეც, სადაც ქიოსურ ამფორებში, როგორც ღვინის, ასევე ზეთუნის ზეთის არსებობა დადასტურდა (Foley... 2009: 269-299; Morrison... 1968: 129-143; Forrest 1956: 63-67; Zemer 1977: 89-116).

³⁴ ათენაუსი აღნიშნავდა, რომ არსებობდა სამი ტიპის ქიოსური ღვინო: მშრალი, ტკბილი და საშუალო. Athenaus, 32f-33f; I, 26, 29, 31-32.

* * *

ამფორების შიგთავსის დადგენა შესაძლოა ქიმიური ანალიზის საშუალებით. ეს სამუშაო გულისხმობს:

1. ნარჩენების ანალიზს აირული ქრომატოგრაფიის-მასური სპექტრომეტრის საშუალებით;
2. ფისით ან კუპრით დაფარული ჭურჭლების შიდაპირის გამოკვლევას;
3. ჩაძირული გემებიდან მომდინარე დალუქული ამფორების შიგთავსის შესწავლას.

ამ ინფორმაციას ისევ და ისევ ემატება დამლებიდან, გრაფიტოებიდან და მონეტებიდან მომდინარე ინფორმაცია და ასევე წერილობითი წყაროების მონაცემები (Lund 2002: 211-213).

II. 5. ღირებულება.

დემოსთენე (ძვ.წ. IV ს.) საუბრობს 3000 მენდეს ამფორაზე ათენიდან და მაკედონიიდან, რომლებიც კარგი მოსავლის აღების შედეგად 600 დრაქმად გაიყიდა (Morrison... 1968: 129-143; Forrest 1956: 63-67).

ღვინით სავსე ერთი ქიოსური ამფორა 8 ხოას ტევადობით ძვ.წ. V ს-ის მესამე მეოთხედში, ათენში 14 დრაქმა ღირდა; თითქმის სამი ობოლო და $\frac{3}{4}$ ლიტრზე, მაშინ როდესაც ატიკური ღვინო მხოლოდ 1 ობოლი და $\frac{1}{4}$ ლიტრზე, რაც ნიშნავს, რომ ქიოსური ღვინის ფასის მესამედი იყო (Castoldi 1999: 235-239).

პლუტარქეს ანეკდოტში სოკრატეს მეგობარი ჩივის, რომ ქიოსური ღვინო 100 დრაქმა ღირს თავისი ექსტრავაგანტული არომატის გამო (Plut. moralia, 470, F); თუმცა, ეს მაჩვენებელი უდაოდ გადაჭარბებულია.

ქიოსური ღვინო ლაგინოსებითაც იყიდებოდა; ლაგინოსი ნაკლები ტევადობის იყო და შესაბამისად, უფრო იაფიც ღირდა (Roebuck 1986: 81-84).

მიუხედავად სიძვირისა, ქიოსური ღვინო ყველაზე მოთხოვნადი იყო ანტიკურ ეპოქაში (Grace 1934: 198, Grace 1979; Talcott 1935: 494-497).

სწორედ სიძვირით აიხსნება ის ფაქტი, რომ იგი სხვა ცენტრებთან შედარებით მცირე რაოდენობით მიმოიქცეოდა და შესაბამისად, ქიოსური ამფორები უფრო ნაკლები რაოდენობითაა აღმოჩენილი სხვადასხვა ძეგლებზე ვიდრე, მაგალითად როდოსული³⁵ ან კნიდური, რომელთა ღვინო შედარებით დაბალი ხარისხის იყო და იაფიც ღირდა. ამის კარგი მაგალითია აღმოჩენები ალექსანდრიაში, სადაც 90 000 ამფორიდან 80 000 როდოსული იყო, 860 კნიდური და მხოლოდ 150 ქიოსური (Roebuck 1986: 81-84).

ღირებული იყო ამფორების შიგთავსი და არა თავად ჭურჭელი, რომელიც ერთჯერადი მოხმარების როლს ასრულებდა ტრანსპორტირების დროს (Anderson 1984; Garland 1983: 30).

შიგთავსის ღირებულების შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მომცემია გრაფიტოები და დიპინტოები, რომლებიც ამფორებზე მათი გამოყენების რომელიმე ეტაპზე კეთდებოდა.

ამფორებზე დატანილ გრაფიტოებს შორის რამდენიმე ტიპი გამოიყოფა: 1. ეკონომიკური, რომელშიც შემდეგნაირი გრაფიტოები ერთიანდება: მოცულობითი, წონის მიმანიშნებელი, შეჯამებითი ან კომბინირებული აღნიშვნები; ფასის ნიშნები; 2. მოკლე აბრევიატურები (ამფორის მფლობელის, ვაჭრის და სხვა სახელების შემოკლება); 3. დაუდგენელი მნიშვნელობის ასოები, სახელები თუ აბრევიატურები.

რაც შეეხება დიპინტოებს მათ ასოების ან ნიშნების სახე აქვთ, რომლებიც ხშირად რთული გამოსაცნობია. შესაძლოა ერთი და იგივე სახის ინფორმაცია ამფორაზე გრაფიტოს ან დიპინტოს სახით იყოს მოცემული (ფასის აღსანიშნად გრაფიტოებიც გამოიყენებოდა და დიპინტოებიც). უმეტესად ამფორებს ან გრაფიტო ან დიპინტო აქვთ, თუმცა გვხვდება შემთხვევებიც, როცა ორივე მათგანი დატანილია ამფორაზე.

ამფორებზე დატანილი გრაფიტოების სისტემატიური კვლევა ჩაატარა მ. ლენგმა 1976 წელს ათენის აგორიდან გამოვლენილ ამფორებზე, რის შედეგადაც მან ძვ.წ. V ს-ის გრაფიტოების შესწავლისას განმეორებადი სიმბოლოების შემცველი რიცხვობრივი

³⁵ როდოსის შემთხვევაში, სადაც ღვინო იყო დაბალი ხარისხის, ხოლო კერამიკა კი კარგად დამზადებული, ჭურჭელზე იხდიდნენ ფულს (Grace 1934: 197-310).

გრაფიტოები ორ კატეგორიაში გააერთიანა: ტევადობა და ფასი და ამ სიმბოლოების ინტერპრეტაცია შემდეგნაირად განახორციელა (ცხრილი. 2).

l	1 ხოა, კოტილა ან დრაქმა
┆	1 დრაქმა
—	1 კოტილა ან 1 ობოლი
K	1 კოტილა (1/12 ხოა)
O	1 ოქსიბაფონი (1/4 კოტილა)
X	1 ხოა
H	½ ხოა, 1 ჰიდრია, ან ანბანური „8“
Π	5 ხოა ან 5 დრაქმა
ΠH მონოგრამა	5 ჰიდრია
ΠX მონოგრამა	5 ხოა
Δ	10 ხოა, 10 დრაქმა ან 10 სტატერი
ΔX მონოგრამა	10 ხოა
Σ	სტატერი
E	heμ ან heic (ნახევარი)

ცხრილი 2. ტევადობისა და ფასის აღმნიშვნელი გრაფიტოები ათენის აგორადან

ლენგმა გრაფიტოებზე ამოიკითხა 7 ან 8 ატიკური ხოას ტევადობა ზოგიერთი ამფორისთვის; ხოლო მისი მოსაზრებით ფასის გრაფიტოები შეიცავს აშკარა სამონეტო სიმბოლოებს (მაგალითად დრაქმის სიმბოლო -┆, ან Σ სტატერისთვის). მან შენიშნა, რომ ფასის გრაფიტოებზე მოცემული ერთი ხოა ღვინის ფასი (2 დრაქმა) კარგად ეთანხმება ძვ.წ. V ს-ის ღვინის ფასების შესახებ არსებულ ეპიგრაფიკულ და ლიტერატურულ ინფორმაციას.

გრაფიტოების ინტერპრეტაციის პროცესი სამ ძირითად საფეხურს გულისხმობს:

1. გრაფიტოების განხილვა სხვადასხვა კონტექსტში: თარიღები, აღმოჩენის ადგილები, ამფორების ტიპები და თვითონ ამოკაწვრის ხასიათი.
2. გრაფიტოების ეს

კონტექსტუალური ინფორმაცია გვაძლევს ინტერპრეტაციის საშუალებას თუ როგორი ფუნქცია შეიძლება ჰქონოდათ გრაფიტოებს ამფორების გამოყენების სხვადასხვა ეტაპებზე (აქტივობებს პორტში, ადგილობრივი ვაჭრების მიერ ჭურჭლების შიგთავსის შემოწმება). 3. გრაფიტოების დასმის ტექნიკა (Lang 1956; Lang 1976; Lawall 2000: 3-90).

II. 6. დამლა

დამლები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჭურჭლების წარმომავლობის დადგენისა და დათარიღებისთვის, რადგანაც გრაფიტოებისგან და დიპინტოებისგან განსხვავებით ჭურჭლებზე დამლები იმ სახელოსნოებში უნდა შესრულებულიყო, სადაც ამფორები მზადდებოდა; ასე, რომ ეჭვგარეშეა, რომ დამლებზე წარმოდგენილი გამოსახულებები პირდაპირ კავშირშია ამფორების დამზადების დროსა და ადგილთან (Grace 1934: 197-300; Grace 1947: 443-452; Whitbread 1995: 29-34).

დამლები შემდეგ ინფორმაციას გვაწვდიან: თუ ვის ეკუთვნოდა ამფორების მწარმოებელი სახელოსნო; ვინ ახორციელებდა კონტროლს ამ წარმოებაზე და სხვ;

დამლების რეგისტრაცია საშუალებას იძლევა შესწავლილი იქნას ანტიკური ხანის სხვადასხვა ცენტრებს შორის სავაჭრო ურთიერთობათა ისტორია; კერამიკული დამლები სადღეისოდ წარმოადგენენ ანტიკური ხანის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ზუსტად დათარიღებულ ძეგლს, ამდენად ისინი კარგი დამათარიღებელი მასალაა იმ კომპლექსებისა და ფენებისათვის, რომლებშიც ისინი არიან მოპოვებული (ახვლედიანი 2003: 72-74).

ამფორების დამლები ორ ჯგუფად იყოფა - ეპიგრაფიკული და ანეპიგრაფიკული დამლები. პირველი ჯგუფი უფრო ინფორმატიულია; იგი შეიცავს წარმოების ცენტრის სახელს და ბევრ შემთხვევაში დამათარიღებელი ეპონიმისა და ფაბრიკანტის სახელებსაც; ხოლო ანეპიგრაფიკული დამლები შეიცავს მონოგრამებს და ემბლემებს (Garlan 1983: 37-44; Grace 1934: 197-200; Grace 1970: 55-56).

საუკეთესო შემთხვევაა, როცა რეგულარულად დადამლული რომელიმე ცენტრის ტარა ლეგენდაში შეიცავს პირდაპირ მინიშნებას თავისი წარმომავლობის

ადგილის შესახებ. ასე მაგალითად: თასოსური დამლევი შეიცავენ ეთნონიმ - $\Theta\alpha\sigma\iota\upsilon\sigma$, კნიდური - Κνίδιον , ხოლო ფაროსული - Παρῖον . სხვა საწარმოო ცენტრები ზოგჯერ გამოიხატა ეთნიკური აბრევიატურით, როგორცაა კოსი (Κω) და სამოსი (ΣΑ) (Grace 1965: 5-17); სხვა შემთხვევებში იდენტიფიკაციისთვის ისეთივე საიმედო ნიშანს წარმოადგენს დამლის ემბლემა, რომელიც მოცემული ცენტრის სამონეტო ტიპის და ქალაქის გერბის იდენტურია; მაგალითად, სინოპის დამლებზე გამოსახულია დელფინზე დაფრენილი არწივი, როდოსულზე - ყვავილი, მენდეს ამფორებზე - ვირზე შემჯდარი დიონისე;

თასოსური ამფორების დადამლევა ჯერ კიდევ ძვ.წ. V ს-ის ბოლოდან იწყება და ძვ.წ. III ს-ის ბოლომდე გრძელდება. როდოსული ამფორების დადამლევა ძვ.წ. IV ს-ის ბოლოდან ძვ.წ. I ს-ის დასაწყისამდე მიმდინარეობდა. კნიდის ამფორების კი - ძვ.წ. II ს-ის პირველი ნახევრიდან ძვ.წ. I ს-ის შუა ხანებამდე და შესაძლოა უფრო მოგვიანო პერიოდამდე (Uthli 1999: 33-36).

როდოსული და სინოპური ამფორების დამლევი ეპიგრაფიკულიც არის და ემბლემაც აქვს; ზოგიერთ ამფორაზე მითითებულია დამზადების დრო, კერძოდ, როდოსული ამფორების შემთხვევაში თვე (Whitbread 1995: 136-137).

როდოსული ამფორები სისტემატიურად იდამლებოდა ორივე ყურზე. დამლევი შემდეგ ინფორმაციას შეიცავს: ეპონიმის სახელი, ფაბრიკანტის სახელი, თვის სახელი და ზოგჯერ ემბლემა. ეს ინფორმაცია გაყოფილია ორ დამლაზე სხვადასხვა კომბინაციით (Ariel... 2003: 137-151). ლეგენდის განაწილების იგივე სისტემას ვხვდებით კნიდის დამლებზეც; ისინი ელინისტური ხანის ყველაზე მოგვიანო ნიმუშებია. კნიდის ადრეულ (ძვ.წ. III ს-ის ბოლო - II ს-ის დასაწყისი) ნიმუშებზე აშკარა როდოსული გავლენა და კონტროლი შეინიშნება, რაც პირველ რიგში ძვ.წ. II ს-ის დასაწყისის როდოსულ ოკუპაციას უნდა დაეუკავშიროთ (Grace 1949: 175-189).

შავიზღვისპირეთის მასალებზე დაყრდნობით ბ. ბრაშინსკი მიუთითებს, რომ ჰერაკლესას, სინოპეს, ქერსონესის და თასოსის ცენტრების მხოლოდ მე-5-ე ან მე-6-ე ამფორა იყო დადამლეული (ყველა პერიოდში ერთად) (Брашинский 1980), თუმცა მეორე მხრივ თასოსში ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარსა და III ს-ის დასაწყისში კალონეროს სახელოსნოდან მომდინარე ამფორების 45%, კუკოსის სახელოსნოდან

მომდინარე ამფორების 50% და ზევსის კარიბჭის გადანაყარიდან მომდინარე ამფორების 80 %-ზე მეტი იყო დადამლული; ამის საფუძველზე ი. გარლანი ასკვნის, რომ არ არსებობს იმის დასტური, რომ ექსპორტირებული ამფორები უფრო ხშირად იდამლებოდა ვიდრე ადგილობრივად გამოსაყენებლად განკუთვნილი (Garlan 1983: 27-36).

ქიოსური ამფორები ძვ.წ. V ს-ის მიწურულიდან ძვ.წ. I ს-მდე განსაზღვრულ პერიოდში იდამლებოდა (Whitbread 1995: 136-137). ისინი ორ ჯგუფად იყოფა: ადრეული ამფორის ტიპზე მოცემულია მომრგვალო-ოვალური ფორმის დამლები, რომელზეც გამოსახულია მჯდომარე სფინქსი ადრეული ტიპის ამფორასთან; ეს დამლები ძვ.წ. V ს-ის მიწურულით თარიღდება.

მოგვიანო პერიოდის დამლები ძვ.წ. IV ს-ის დასასრულიდან ძვ.წ. I ს-ით განსაზღვრული მონაკვეთით თარიღდება. მათ ოთხკუთხა, კვადრატული ან მრგვალი ფორმა აქვთ. ეს დამლები შეიცავს: ერთი პიროვნების სახელს, რომელიც შეიძლება იყოს სრული, შემოკლებული ან მონოგრამით გადმოცემული (გვხვდება როგორც ამფორებზე, ასევე ლაგინოსებზე)³⁶.

სახელები უმეტეს შემთხვევაში გენეტივშია მოცემული და სავარაუდოდ მეთუნეს ეკუთვნის. დამლების სახელებს არ ახლავს წინდებული (არ გვაქვს ეპონიმის მითითება).

ქიოსურ ამფორებზე დამლა ყოველთვის ერთ ყურზეა (ან ყელზე) დასმული. ცნობილია, რომ მათი მხოლოდ მცირე ნაწილი იდამლებოდა.

ქიოსური ამფორების დამლებზე არსებული სახელებიდან ერთ-ერთ ყველაზე დიდ ჯგუფს ქმნის სახელი $\mu\epsilon\nu$ (შემოკლება); გარდა ამისა ხშირად გვხვდება სახელები: $\Gamma\kappa\epsilon\sigma\iota\varsigma$, $\eta\gamma\eta\sigma\iota\varsigma$; ასევე: Απελλευς , Διογυσσι[ος] , Δημητριος , Επιγιο'νο[ς] , Εύρυκρατου , Φιλίστης , Ηγησίας ³⁷ და ა.შ (Burow 1998: 59-60; 117-120). ჯერ-ჯერობით არ არის დადგენილი ქიოსურ დამლებზე მოცემული სახელები ეპონიმს ეკუთვნის თუ ფაბრიკანტს (Roebuck 1986: 81-84; Talcott, Philippaki, Edwards, Grace 1956: 117-176).

³⁶ დამლებზე მოცემული ზოგიერთი სახელი ქიოსურ წარწერებზე და მონეტებზეც გვხვდება.

³⁷ უკანასკნელი ორი სახელი, ასევე ცნობილია ქიოსური მონეტებიდანაც.

გაცილებით რთულია ისეთი ამფორების იდენტიფიკაცია, რომლებიც იშვიათად, ან საერთოდ არ იდამლებოდა. მკვლევარები მიუთითებენ, რომ ერთი სერიის ყველა ამფორა არ იდამლებოდა, მაგრამ ამფორების მთლიანად უდამლო ჯგუფების არსებობა ბადებს კითხვას თუ რატომ სჭირდებოდათ სერტიფიცირება მხოლოდ ზოგიერთ მწარმოებლებს.

მიუხედავად დამლების შესახებ არსებული მრავალრიცხოვანი გამოკვლევებისა დღეისათვის მაინც ბევრ კითხვაზე რჩება პასუხი გაუცემელი, რადგან დამლები მასობრივ წყაროდ მხოლოდ ძვ.წ. V-IV სს-ის მიჯნიდან შეიძლება ჩათვალოს; ისინი არ ასახვენ მანამდე არსებულ სიტუაციას და ძლიერ ცუდად აღწერენ ძვ.წ. II ს-ის შემდეგ არსებულ ვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ცენტრის (როდოსი, კნიდი) ამფორების დადამლვა სისტემატიურად მიმდინარეობდა ელინისტური ხანის განმავლობაში ამ ცენტრების დამლების ინფორმაციაზე დაყრდნობით მაინც ვერ გამოგვაქვს ცალსახა დასკვნა ტვირთის ექსპორტისა და იმპორტის მოცულობაზე (Туровский, Николаепко, Горячук, Ладюков 2001: 3-9; Lawall 2006: 188-223; Lawall 2002a: 171-177; Монахов 1999: 6-7).

დამლების შესწავლა ცალკე სამეცნიერო მიმდინარეობად ჩამოყალიბდა, რომელსაც კერამიკული ეპიგრაფიკა ეწოდება.

არსებობს სხვადასხვა მოსაზრება დამლების დანიშნულების შესახებ. მეცნიერთა ერთი ნაწილი ამტკიცებს, რომ დამლა წარმოადგენდა კერამიკული სახელოსნოს ერთგვარ ლიცენზიას, რომელიც ძალაში იყო გარკვეული პერიოდის განმავლობაში (Jones 1986: 873), რაც სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ეფექტურ ორგანიზებასთანაა დაკავშირებული (Lawall 2006: 188-223). ვ. გრეისმა მიუთითა, რომ დამლა იყო სტანდარტული ტევადობის დამოწმება (Grace 1970: 55-56), თუმცა, ი. გარლანის აზრით ასეთ შემთხვევაში რატომ არ იდამლებოდა ყველა ამფორა? (Garlan 1983: 37-44); როგორც ჩანს პროცესი პერიოდულ შემოწმებას ითვალისწინებდა სახელმწიფოს ავტორიტეტების მიერ (Whitbread 1995: 29-34); ანუ დადამლვა იყო საზოგადო ქმედება, რომელიც არ სრულდებოდა მომხმარებლების სასარგებლოდ, არამედ ადგილობრივი კონტროლიორებისთვის, მაგრამ რთულია იმის დანახვა თუ ასეთი კონტროლი როგორ მუშაობდა ერთზე მეტი შიგთავსის (ზეითუნის ზეთი და

ღვინო) შემთხვევაში, რომელთა ფასი სხვადასხვა იყო (Lund 2002: 211-213). ი. გარლანისავე მოსაზრებით დადამღვის დანიშნულება არ იყო ჭურჭლის და მითუმეტეს მისი შიგთავსის გამოცნობა, ამის დასადასტურებლად თასოსის მაგალითი გამოდგება, რომლის დადამღული ამფორების მაჩვენებელი თასოსზე და კუნძულს გარეთ პროცენტულად იდენტურია; კუნძულზე ასევე იდამღებოდა კრამიტებიც, რომლებიც არ იყო საექსპორტოდ განსაზღვრული (Garlan 1983: 27-36).

სხვების აზრით დამღებს ამფორაზე სვამდნენ იმისათვის, რომ ღვინო ან თვითონ ამფორა დაეთარილებინათ. თუმცა დამღები ვერ იქნებოდნენ ჭურჭლის შიგთავსის ხარისხის ან ასაკის გარანტია, რადგან ისინი ჭურჭელზე გამოწვამდე ისმებოდა. მწარმოებელი მოძებნიდა ადვილად დასამახსოვრებელ სარეკლამო ნიშანს და გარდა ამისა მიაწერდა ვადას, რითიც თავს იზღვევდა, იმ შემთხვევაში თუ იგი არ მონაწილეობდა ტრანსპორტირების პროცესში და მის ღვინოს სხვა გაყიდდა; ეს მოსაზრება ყველაზე მისაღებია.

დამღები თანამედროვე მარკებისა და ადმინისტრაციული ბეჭდების გამოყენების პრაქტიკას მოგვაგონებს (Амперер, Гарлан 1992: 8-29).

დამღიანი ამფორების შესწავლის საფუძველზე მათი დათარიღების რამდენიმე მეთოდი არსებობს; ისინი განსაკუთრებით მკაფიოდ ჩამოაყალიბა ბ. გრაკოვმა. ესენია: 1. სტრატეგრაფიული მეთოდი; 2. მორფოლოგიური მეთოდი; 3. პალეო-გრაფიკული მეთოდი; 4. გრამატიკული მეთოდი; 5. ნიმიზმატიკური მეთოდი; 6. სინქრონული მეთოდი; 7. ისტორიული მეთოდი (Граков 1928; ფუთურიძე 1976: 82; Grace 1961: 9-12). ეს მეთოდოლოგია ჯერ კიდევ XX საუკუნის პირველ მესამედში იქნა შემუშავებული და დღესდღეობითაც წარმატებულად გამოიყენება.

II. 7. წარმოება

სატრანსპორტო ამფორების შესწავლა ეკონომიკის ისტორიაში რამდენიმე პროცესის გათვალისწინებით ხდება; ესენია: 1. წარმოება (ამფორების, ამფორათა შიგთავსის წარმოება; მათი წარმოებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შესწავლა), 2. ტრანსპორტირება (პროცესები

ამფორების დალუქვიდან მათ სასურველ პუნქტში ჩატანამდე) და 3. დისტრიბუცია (ცალკეულ ცენტრებში შეტანილი საქონლის მოცულობის განსაზღვრა და ცენტრების იდენტიფიკაცია).

წუნდებული ფრაგმენტების, მეტად გამომწვარი, ან გამოუწვავი ამფორების და ქურის ნანგრევების ერთმანეთის ახლოს ლოკალიზაციის შემთხვევაში ცხადია, რომ საქმე გვაქვს ამფორების საწარმოო უბანთან³⁸ (Whitbread 1995).

ადრეული პერიოდიდან მოყოლებული ჭურჭლების დამზადების ორი ძირითადი მეთოდი თანაარსებობდა:

ა) ჭურჭლის დამზადება თიხის ერთი გუნდიდან და

ბ) ჭურჭლის რამდენიმე ნაწილად დამზადება და მათი ერთმანეთთან სამეთუნეო მორგვზე შეერთება (Zemer 1977: 89-116).

აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში თიხის ჭურჭლის სამეთუნეო მორგვზე დამზადების ტექნიკა ძვ.წ. 3000 წლიდან გავრცელდა. უფრო ადრეული მორგვები ხის, ქვის ან ტერაკოტის და ხელით ბრუნვადი იყო.

როდესაც ჭურჭლები სამეთუნეო მორგვზე დამზადების ყველა ეტაპს გაივლიდნენ, ისინი სველი ტყავის ნაჭრით მსუბუქად გაპრიალდებოდა და ამის შემდეგ იწყებოდა მოხატვა. ზოგიერთ ჭურჭელზე დაიტანდნენ ანგობს, რომელიც ქურაში გამოწვის პრობებისდა მიხედვით სხვადასხვა შეფერილობას იღებდა (Christopoulou, Tassios, Bouyia... 2012: 83-87).

ჯერ-ჯერობით არ აღმოჩენილა ამფორაზე დამლის დასასმელი სიქა; ზოგიერთი მეცნიერის აზრით ასეთი სიქები ხის იყო და სწორედ ამიტომ არ არის შემორჩენილი. ბ. გრაკოვი მიიჩნევდა, რომ სიქა ან ლითონის, ან ქვის უნდა ყოფილიყო, რადგან დამლებზე კარგად განირჩევა მწკრივები, ასევე კონტურები, რომლებიც საფიქრებელია, რომ ისეთი მყარი მასალით უნდა ყოფილიყო დასმული, როგორცაა ლითონი ან ქვია (Grace 1935: 421-429; Граков, 1928).

³⁸ თუმცა ისეთი ამფორების კონცენტრაცია, რომლებიც არც ნაკლებად და არც ზედმეტადაა გამომწვარი შეიძლება უბრალოდ სასაქონლო საწყობთან იყვნენ დაკავშირებული და არა წარმოებასთან.

გამოწვა თიხის ჭურჭლის დამზადების საბოლოო საფეხურია. ანტიკური ქურა წარმოადგენდა მიწის ზედა, ცისტერნისებურ ღუმელს, რომელსაც საცეცხლური ქვემოთ ჰქონდა. იგი მიწაში გაჭრილი კამერისგან (რომელიც ჟანგბადით იკვებებოდა) და გეგმაში მრგვალი მიწისზედა განყოფილებისგან შედგებოდა. მასში ნედლ ჭურჭლებს ერთმანეთზე აწყობდნენ გამოსაწვავად.

გამოწვა სამ ეტაპად სრულდებოდა. ცეცხლის მუდმივი მიწოდების პირობებში 8-9 საათის შემდეგ ტემპერატურა ქურაში დაახლოებით 940-950° C-ს აღწევდა. ჭურჭლები გამოიწვებოდა და წითელ შეფერილობას იღებდა. გამოწვის ამ ეტაპზე მეთუნე ცეცხლს ნედლ ტოტებს შეუკეთებდა კვამლის წარმოქმნისათვის და ხურავდა ორივე სარქველს. 900° C-ზე ჭურჭლები მთლიანად შავ შეფერილობას იძენდნენ. ამის შემდეგ მეთუნე კვლავ გახსნიდა ქურის სახურავს, რათა ჰაერს ემოდრავა და ქურა გაციებულიყო. კამერაში შემოსული ჟანგბადი ხელახლა ჟანგავდა თიხის ზედაპირს და აღადგენდა მის წითელ ფერს (Christopoulou... 2012: 83-87).

კნიდსა და სინოპეში წარმოებულმა გათხრებმა გამოავლინა, რომ ზოგ შემთხვევებში ერთი და იმავე ქურით სხვადასხვა ფაბრიკანტები სარგებლობდნენ. ასეთ საზიარო ქურებში დამზადებული ჭურჭლების დადამღვის პრაქტიკა გვიანრომაული ხანის ჭურჭლებზეც დასტურდება (Lawall 2006: 188-223).

თიხის ჭურჭლის წარმოების ერთ-ერთი პირველი სისტემატიური კვლევა კუნძულ თასოსზე ³⁹ ჩატარდა. მომდევნო ადგილი, სადაც ასეთი კვლევა განხორციელდა არის ალექსანდრიის შემოგარენი ეგვიპტეში⁴⁰.

მოგვიანებით გამოკვლევებმა მოიცვა ხმელთაშუაზღვისპირეთის აღმოსავლეთი რეგიონები. აღმოჩენილი კერამიკული სახელოსნოების რიცხვი სწრაფად იზრდება და უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში 200-ზე მეტი სახელოსნო იქნა აღმოჩენილი.

კერამიკული სახელოსნოების აღმოჩენებმა შესაძლოა საფუძვლიანად შეცვალოს ჩვენი წარმოდგენა ამფორების მწარმოებელი ცენტრების შესახებ. სახელოსნოები სხვა

³⁹ Y. Garlan., Quelques Nouveaux ateliers amphoriques a Thasos. *BCH.* 1986. Suppl. XIII.

⁴⁰ J.-Y. Empereur., La production viticole dans l'Égypte Ptolemaïque et Romaine. *BCH.* 1993. Suppl.

მდიდარ ინფორმაციასაც გვაწვდიან - ამფორების დამზადების ტექნოლოგიის შესახებ, დამღების დასმის პრაქტიკაზე და თვითონ დამღის არსებით მნიშვნელობაზე (Амперер... 1992: 8-29).

საინტერესოა რა ფაქტორები განაპირობებდა სამეთუნეო სახელოსნოების ლოკალიზაციას? თასოსის მაგალითზე ცნობილი ქურების უდიდესი სიმჭიდროვე კუნძულის დასავლეთ სანაპიროზეა, ხოლო საუკეთესო ნავსადგურები და ძირითადი ძველი ნამოსახლარები კუნძულის სამხრეთ და აღმოსავლეთ სანაპიროებზე; ძვ.წ. VI ს-ის დასაწყისის ქურები კლაზომენეში, კოსში, აკანთოსსა და მენდეში, აგრეთვე სინოპეში ყველგან განლაგებულია ურბანულ ცენტრებთან ახლოს (Lawall 2011: 38-50).

კ. ქიოსზე ამფორების სავარაუდო საწარმოო ცენტრები - ლიმნია და ქიოს თაუნი, ორივე მდებარეობს ზღვაზე გასასვლელთან (ტაბ. II, 1) (Whitbread 1995: 42).

ამფორების დამზადებას სეზონური ხასიათი ჰქონდა. ეს უნდა ყოფილიყო სავარაუდოდ ივლისის თვეში, რომ მოსავლის აღების დროისათვის უკვე გამზადებული ყოფილიყო ჭურჭლები, რომელშიც ღვინო და სხვა პროდუქტები მოთავსდებოდა⁴¹ (Lawall 2011: 38-50).

რაც შეეხება საკითხს, თუ რამდენი ამფორა მზადდებოდა ყოველ წელს ამ რაოდენობის დათვლას ის ფაქტი ართულებს, რომ წინა წლებში გამოუყენებელი ამფორები შეიძლება მიმდინარე წელს გამოეყენებინათ (Whitbread 1995: 9-11).

სატრანსპორტოდ გამზადებულ ამფორებში შიგთავსის მოთავსებამდე ჭურჭელი შიგნიდან უნდა დაემუშავებინათ იმისათვის, რომ შიგთავსს არ შეეცვალა არომატი (Zemer 1977: 89-116). მაქსიმალური ჰერმეტიზაციისთვის ამფორების შიდაპირის რაიმე მასალით, ძირითადად ფისით⁴² დაფარვის ხერხს მიმართავდნენ, რაც თავიდან ააცილებდათ შიგთავსის გაჟონვას.

„კირენიას“ ჩამირული გემიდან (ძვ.წ. 300 წელს, ჩრდილოეთი კვიპროსი) მომდინარე როდოსული ამფორების შიდაპირზე დაფიქსირდა 1-2 მმ-ის სისქის ფიჭვის ფისი.

⁴¹ ღვინის წარმოების ზუსტი პერიოდი დაფიქსირებულია როდოსული ამფორების დამღებზე, სადაც მითითებული იყო დამზადების დრო (თვე).

⁴² ფისი ანტიკურ ხანაში საკმაოდ ძვირადღირებული იყო და ხშირად გადაიტანებოდა ამფორებით როგორც ერთ-ერთი პროდუქტი.

ფიჭვის ფისი ხშირადაა შემორჩენილი კორინთული B ჯგუფის ამფორების შიდაპირზეც.

ელინისტური პაპირუსები მოიხსენიებს ჭურჭლებს, რომელთა შიდაპირი ფისით იყო დაფარული და ისინი უფრო ფასეული იყო ვიდრე სადა შიდაპირის მქონე ჭურჭლები (Koehler 1980: 50-67; Hanson 1992: 161-165; Halstead 1987: 82-84; Skydsgaard 1992: 9-12).

მოსავლის აღების შემდეგ ყურძენს წურავდნენ და ათავსებდნენ პითოსებში, სადაც იგი ფერმენტაციის პროცესს გადიოდა ცივ, ბნელ სარდაფებში 6 თვის განმავლობაში. ამის შემდეგ ღვინო გადაჰქონდათ ამფორებში (Zemer 1977: 89-116).

ზეთისხილის სახდელი უბნები ინტენსიურად იგებოდა ზეთუნის ზეთის ფართო გამოყენების გამო; ისინი კარგად იყო აღჭურვილი გამოხდისთვის აუცილებელი ტექნიკით.

ამფორებში ღვინის ჩასხმის შემდეგ მათ უკეთებდნენ საცობს და საბეჭდავით დაიტანდნენ დამლას⁴³ (Zemer 1977: 89-116; Lawall 2011, 38-50).

საბერძნეთში ღვინო იყიდებოდა დალუქული ამფორებით. ზეთისხილის მოსავლის უმეტესი ნაწილისგან ზეთუნის ზეთი გამოიხდებოდა, მცირე ნაწილს კი საჭმელად მოიხმარდნენ.

სავსე ამფორებს ინახავდნენ ცივ, ბნელ სარდაფებში, სადაც მათ წინასწარ გამზადებულ თიხის ან ხის სადგრებზე (ბერძ. *εγγυθρη*) ათავსებდნენ (Zemer 1977: 89-116; Lawall 2011, 38-50). სადგრების საშუალებით შესაძლებელი იყო მათი ვერტიკალურად დადგმა.

სადგრებისთვის გამოყენებული ორგანული მასალები არ არის არქეოლოგიურად შემორჩენილი, თუმცა მათი გამოყენების ფაქტები დაფიქსირებულია რელიეფებზე.

ანტიკურ ხანაში დროებითი სადგრები ყველაზე ხშირად ხისგან, წნულისგან ან ტერაკოტისგან მზადდებოდა. ათენაუსის მიხედვით ღარიბები ხის, ხოლო მდიდრები

⁴³ ზეთუნის ზეთისათვის განკუთვნილი ამფორების ჰერმეტიკულად დალუქვა არ იყო აუცილებელი, რადგან ზეთი არ ორთქლდება და არ მჟავდება. ასევე ზეთუნის ზეთით ავსებული ამფორების დახურვა მაშინვე შესაძლებელი იყო, რადგან იგი ღვინისგან განსხვავებით ფერმენტაციის პროცესს არ გადის.

ბრინჯაოს და ვერცხლის სადგრებს იყენებდნენ (Koehler 1980: 50-67; Туровский, Николаенко, Горячук, Ладюков 2001: 3-9).

ჭურჭლების სატრანსპორტოდ გაგზავნამდე აუცილებელი წინაპირობა იყო მათი საიმედოდ დახურვა, რაც ლიტერატურულ წყაროებში ადრეული პერიოდიდანვეა ნახსენები. ჰომეროსის ოდისეაში (Odyssey II. 349-353) ტელემაქე ემზადება რა პილოსში გასამგზავრებლად გემბანზე დებს ამფორებს, რომლებსაც მორგებული აქვთ ხუფები (ბერძ. λάματα) (Koehler 1980: 50-67).

ამფორებს საცობებით (ვაზის ფოთლების, თივის გროვა) ხურავდნენ. იგი ამფორის ყელში დაახლოებით 7-8 სმ-ის სიღრმეზე თავსდებოდა და მისი მოვალეობა იყო ჭურჭლის შიგთავისის ნედლი თიხის ზემოქმედებისგან - ანუ საბეჭდავით დატანილი დამლისგან დაცვა.

არსებობდა სხვადასხვა სახის საცობები: ლერწმის, თიხის, ვაზის ფოთლის, ლაფნის⁴⁴, თივის, ტილოს ან პაპირუსის (Denecker, Vandorpe 2007: 115-120; Koehler 1980: 50-67; Zemer 1977: 89-116).

საცობზე საბეჭდავით დაიტანდნენ თიხის ან ბათქაშის დამლას, რომელიც საცობს ამაგრებდა და ამფორის ჰერმეტიკულად დახურვას უზრუნველყოფდა. ისინი სამ ჯგუფად იყოფა: კონუსური, სოკოსებრი და ამოზნექილი (Denecker... 2007: 115-120; Zemer 1977: 89-116).

ამფორების რამდენიმე ფენად ერთმანეთზე დაწყობის დროს ჭურჭლების ქვედა ფენების საცობებად მათ ზემოთ დაწყობილი ამფორების ძირები გამოდგებოდა; ამ შემთხვევაში მხოლოდ ზედა რიგში მოთავსებულ ჭურჭლებს დასჭირდებოდათ დალუქვა⁴⁵ (Zemer 1977: 89-116; Koehler 1980: 50-67; Grace 1961).

⁴⁴ ლაფნის საუკეთესო საცობები მუხისგან (ლათ. Quercus Suber) მზადდებოდა. მუხას ქერქი ყოველ 8-10 წელიწადში ძვრება. ამ სახეობის საუკეთესო ჯიშები იზრდება ესპანეთში, სარდინიაზე და სიცილიაზე. მასში არ აღწევს წყალი.

⁴⁵ საცობის გაკეთების მსგავსი სურათი დადასტურდა კირენიას ჩადირული გემიდან მომდინარე ამფორებზე; მათი გაცვეთილი ადგილებიდან ირკვევა, რომ ამფორები თითქმის სწორად იყო დალაგებული, ისე, რომ ზედა რიგი ქვედა რიგის საცობად გამოდგებოდა.

II. 8. ტრანსპორტირების ტექნიკური ხერხები

შიგთავსით ავსებული და დალუქული ჭურჭლები ისეთი პუნქტებისა და საკვანძო გადამანაწილებელი ადგილებისკენ მიემართებოდნენ, საიდანაც ისინი შემდგომ უნდა გაყიდულიყო. ცალკეული ამფორები შესაძლოა საშინაო მოხმარებისთვის საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გამოეყენებინათ, მაგრამ ისინი საწარმოო ცენტრიდან მომხმარებლამდე, როგორც წესი მკაცრად განსაზღვრულ ქრონოლოგიურ მონაკვეთში ხვდებოდნენ.

დღეისათვის ცნობილ ყველა კომპლექსში, საიდანაც სხვადასხვა ცენტრების ამფორები მომდინარეობს უცნობია კერამიკული ტარა, რომელიც ერთმანეთისგან მნიშვნელოვანი ქრონოლოგიური ინტერვალითაა დაშორებული (Анрамов 1993: 78).

პორტებში და საკვანძო სავაჭრო ადგილებში ამფორების მოხვედრისას მათი მოცულობა მოწმდებოდა; ავსებული ამფორებიდან შიგთავსს წინასწარ განსაზღვრული ტევადობის მქონე ჭურჭლებში გადაასხამდნენ; შემდეგ სითხეს ისევ უკან ჩაასხამდნენ, ჭურჭელს ხელახლა დალუქავდნენ (ზოგჯერ გრაფიტოებსაც გაუკეთებდნენ) და გაამზადებდნენ გემით სატრანსპორტოდ.

საჭირო იყო თითოეული ჭურჭლის ტევადობის გაზომვა, რადგან ერთი რომელიმე ჭურჭელი სხვების ტევადობის გარანტიად ვერ გამოდგებოდა.

ამფორებით მოვაჭრეები ცდილობდნენ, რომ თითოეულ ჭურჭელში მოსალოდნელი მოცულობის პროდუქტი მოეთავსებინათ, რომ არ დაემკვიდრებინათ მატყუარა გამყიდველის სახელი, რომელიც ნახევრად სავსე ამფორას ყიდდა (Lawall 2000: 85-90).

* * *

ახლო მანძილზე, ხმელეთზე ტრანსპორტირებისას ამფორა ერთ ან ორ ადამიანს გადაჰქონდა.

ბერძნულ მოხატულ ჭურჭლებზე შემორჩენილია ადამიანების მიერ ამფორების გადატანის ეპიზოდები. ერთ შემთხვევაში ნახატზე წარმოდგენილია მამაკაცი,

რომელიც ამფორის სიმბიმეს მხარზე ანაწილებს. ყველა გამოსახულებაზე ამფორები მიაქვთ წვეტიანი ძირით წინ, რომელიც მყარ საყრდენს წარმოადგენს.

მძიმე ამფორას ყურებს შორის უყრიდნენ კეტებს და ასე მიჰქონდა ორ ადამიანს. პომპეის ცნობილ რელიეფზე ფორუმის ჩრდილოეთით ამფორის გადატანის სწორედ ეს ხერხია ნაჩვენები.

შედარებით შორ მანძილზე ტრანსპორტირებისას იყენებდნენ ვირებს და ცხენებს (მათ ზურგზე ჰკიდებდნენ წყვილად შეკრულ ამფორებს), ასევე ბორბლიან ტრანსპორტს, რომლის გეომეტრიული ხანის მოდელი აღმოჩენილია და იგი წარმოდგენილია ცხენის ოთხთვალაზე დალაგებული ექვსი მინიატურული ჭურჭლით.

ცხადია ამფორების შორ მანძილზე გადატანა გემების საშუალებით ხორციელდებოდა (Koehler 1980: 50-67; ხალვაში 2002: 94-98).

გემის ტრიუმის დახრილ კედელზე მიდგმული ამფორების პირველი რიგი (ისინი ძირით ჩაფლული იყო სილის ფენაში) წარმოადგენდა საყრდენს შემდეგი რიგებისათვის. ბერძნებმა ამფორებისა და შიგ არსებული ფასეულობების უსაფრთხოდ გადატანის მიზნით გამოიგონეს თოკისაგან დამზადებული ე.წ. „ამფორების კვანძი“. ამფორების ერთმანეთზე გადაბმის შედეგად იქმნებოდა ერთიანი, შეკრული, რყევისაგან დაცული კონსტრუქცია, მასზე კი ამფორების ახალი რიგი ლაგდებოდა⁴⁶ (Grace 1961; Зеецт 1960: 13; ხალვაში 2002: 94-98).

თითოეული სავაჭრო ექსპედიციის განხორციელებაში სამი მხარე იყო ჩართული: ვაჭარი (ἐμπόριος), გემის მფლობელი (ναύκληρος) და მევახშე (τοκογλύφος). მევახშეები დიდ რისკზე მიდიოდნენ გემის ჩაძირვის ან მეკობრეების თავდასხმის შემთხვევაში. ვაჭრები ცდილობდნენ თავიანთი საქონელი რამდენიმე გემით გადაეტანათ, რომ მათი ჩაძირვის შემთხვევაში შეემცირებინათ ტვირთის დაკარგვით გამოწვეული ზარალი (Whitbread 1995: 19-22).

დღესდღეობით უკვე მრავალი ჩაძირული გემის ტვირთია ცნობილი: პორტიჩელოს გემზე აღმოჩნდა მენდეს, პუნიკური და ბოსფორული ამფორები; ძვ.წ. V ს-ის ბოლოს სამხრეთ-აღმოსავლეთ სიცილიაში ჩაძირული გემი მარზამეში H

⁴⁶ მსგავსი წესით დატვირთული ჩაძირული გემი მარსელთან ახლოს აღმოჩნდა.

შეიცავდა კორინთულ და მარზამეში H⁴⁷ ამფორებს; მარზამეში G-ზე (ძვ.წ. 150 წელი) გამოვლენილი ტვირთი შეიცავდა კოსის, როდოსის და კნიდის ამფორებს.

კირენიას გემზე აღმოჩნდა მრავალფეროვანი ბერძნული ამფორული მასალა; აქ წარმოდგენილი იყო 11 ჯგუფის 404 ამფორა, მათ შორის 343 ჭურჭელი როდოსულია, ხოლო დანარჩენი სამოსური და ფაროსული; აქედან გამომდინარე, ჩაძირვამდე გემმა სავარაუდოდ შემოიარა სამოსი, როდოსი და ფაროსი (Grace 1949: 175-189); თუმცა, როგორც მ. ლაუალი მიუთითებს ამის ცალსახა მტკიცება არაა სწორი, რადგან ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით ამტკიცებს თუ არა X ძეგლის ამფორა, რომელიც Y ძეგლზე აღმოჩნდა ამ ორ ძეგლს შორის არსებულ პირდაპირ კავშირს⁴⁸ (Lawall 2006: 188-223).

ვ. ბლავატსკიმ და ჯ. პეტერსმა დაასკვნეს, რომ შავ ზღვაში ჩაძირული დონუზლავის გემის (ძვ.წ. IV ს-ის ბოლო - III ს-ის დასაწყისი) ტვირთი, სავარაუდოდ ერთი ვენახის მოსავალს შეიცავდა, რომელიც სულ მცირე ხუთ სახელოსნოში წარმოებულ ამფორებში განაწილდა. ამფორული ტვირთი წარმოდგენილი იყო ჰერაკლეს ამფორების დამღების ხუთი ჯგუფით (Blavatsky, Peters 1973: 25-32; Zemer 1977: 89-116; Монахов, 1999).

⁴⁷ მათი წარმოების ადგილი, სავარაუდოდ ლოკრი იყო.

⁴⁸ სავაჭრო ექსპედიციები, როგორც ვიცით, საკმაოდ ხანგრძლივი იყო და გემი შესაძლოა მრავალ ადგილას შეჩერებულიყო და თითოეულ ადგილას კიდევ დამატებით, ახალი პროდუქცია შეეძინა.

თავი III. ქიოსური ამფორები

ქიოსური ამფორების შესწავლა საკმაოდ ადრეული პერიოდიდან განხორციელდა, რადგან მრავალრიცხოვან კერამიკულ ტარაში იმთავითვე მოხდა ერთი კლასის გამოყოფა, რომელსაც სფინქსის გამოსახულებიანი დამლა ჰქონდა.

ქიოსის მონეტებზე ხშირად თავსდებოდა ამფორების გამოსახულება, რომელიც კარგად გადმოსცემდა ჭურჭლის განსაკუთრებულ, მორფოლოგიურ ფორმებს. ზემოხსენებულ გამოსახულებებზე დეტალურად შეიძლება განვიხილოთ ქიოსური ამფორების ტიპოლოგიის (ძირითადად, ყელის ფორმის დამახასიათებელი ევოლუცია) ცვლილება დროში.

ქიოსურ მონეტებზე არსებული გამოსახულება მთლიანად თანხვდება ქიოსურ ამფორებზე მოცემულ იშვიათ, ანეპიგრაფიკულ დამლებს (Туровский... 2001: 3-9); ამიტომ ქიოსური ამფორების ტიპთა ატრიბუციაში ფასდაუდებელია ნუმიზმატიკის როლი.

კუნძულზე ჩატარებულმა გათხრებმა და ამფორების ლაბორატორიულმა ანალიზმა⁴⁹ დაადასტურა ამ ამფორების ქიოსისადმი მიკუთვნება⁵⁰ (Cook, Dupont 1998: 146-151).

ქიოსური ამფორების ტიპოლოგიის შესწავლა XX ს-ის 30-იან წლებში დაიწყო; აქედან დაწყებული ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ბ. გრაკოვმა⁵¹, ვ. გრეისმა⁵², ი. ბრაშინსკიმ⁵³, ი. ზეესტმა⁵⁴, პ. დიუპონმა⁵⁵, ი. გარლანმა⁵⁶,

⁴⁹ P. Dupont., *Dacia*, N.S. 27 (1983) 24, 30-31, fig. 17.

⁵⁰ თუმცა აღსანიშნავია, რომ ქიოსური ამფორების წარმოების ადგილად ხშირად მიუთითებენ ასევე ერეტრიასაც, რომელიც გეოლოგიური თვალსაზრისით ძლიერ ახლოს დგას ქიოსთან და სადაც ასევე დადასტურდა ქიოსური ანგობირებული კერამიკა.

⁵¹ B. N. Grakov., *IGAIMK* 108 (1935) 177-178.

⁵² V. Grace., *Amphoras and the Ancient Wine Trade. Excavations of the Athenian Agora, Picture Book. Athens. 1961; idem, Stamped Amphora Handles Found in 1931-1932. Hesperia. vol. III, 1934.*

⁵³ И. Брашинский., *Греческий Керамический Импорт на Нижнем Дону. Ленинград, 1980; idem, Методы исследования античной торговли. Л. Наука, 1984. с. 95-98.*

⁵⁴ И. Б. Зеест., *Керамическая Тара Боспора. Москва. 1960.*

⁵⁵ P. Dupont., *Amphores Commerciales Archaiques de la Grece de l'Est. La Parola del Passato, 1982;*

⁵⁶ J. Y. Empereur, Y. Garlan., *Recherches sur les Amphores Grecques. Bulletin de Correspondance Hellénique. Supplement XIII. Paris. 1980.*

ჯ. კ. ანდერსონმა⁵⁷ და ბევრმა სხვა მკვლევარმა შეადგინა ქიოსური ამფორების ტიპოლოგია მათთვის ხელმისაწვდომ მასალაზე დაყრდნობით, რომელიც წლების განმავლობაში ახალ აღმოჩენებთან ერთად თანდათან უფრო და უფრო დაიხვეწა და საბოლოოდ, ს. მონახოვმა⁵⁸ ჩრდილო შავიზღვისპირეთის დახურულ კომპლექსებზე დაყრდნობით გააერთიანა მანამდე არსებული მონაცემები და შექმნა სრულიად კონკრეტული და ამომწურავი ტიპოლოგიური სქემა, რომელიც დღეისათვის გამოვლენილ ქიოსურ ამფორათა ყველა ტიპსა თუ ვარიანტს აერთიანებს;

III. 1. კლასიფიკაცია-პერიოდიზაცია

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ქიოსური ამფორები იწარმოებოდა ძვ.წ. VII ს-ის II ნახევრიდან ძვ.წ. I ს-ის პირველ ნახევრამდე განსაზღვრული დროის მონაკვეთში. გამოიყოფა ხუთი ძირითადი ტიპი, რომელიც ამფორების მორფოლოგიურ ევოლუციაზეა დამყარებული. თითოეული ტიპი თავისმხრივ შეიცავს ქვეტიპებსა და სერიებს:

I ტიპი - თეთრანგობიანი. ამ ჯგუფის ამფორების ზედაპირი თეთრი ანგობით არის დაფარული. ამ ტიპის ამფორებში ორი ვარიანტი გამოიყოფა.

I-A. იგი ხასიათდება S-ის მაგვარი ნიშნებით მხარზე. ამფორებს აქვთ განიერი, კვერცხისებური ტანი და ფართო, ქვემოთკენ ოდნავ გაფართოებული ყელი მკვეთრი გადასვლით მხარზე. ზედაპირი დაფარულია თეთრი ანგობით. მხრები, ტანი და ყურები მდიდრულადაა მოხატული ყავისფერი ან წითელი ლაკის საღებავით დატანილი ზოლებით (ტაბ. XIV, 3; 6).

ამ ქვეჯგუფის გამოყოფა კ. დიუპონს ეკუთვნის, რომელმაც ჭურჭლების თიხა შეისწავლა და მათი მაჩვენებლები შეადარა კერამიკული თიხის ნიმუშებს კ. ქიოსიდან. მოცემული ტიპი ძვ.წ. VII ს-ის შუა ხანებიდან ძვ.წ. VI ს-ის მესამე მეოთხედამდე განსაზღვრულ მონაკვეთშია გავრცელებული (Cook, Dupont 1998: 146-151).

⁵⁷ J. K. Anderson., BSA 49 (1954) 168-170.

⁵⁸ С. Ю. Монахов., Греческие Амфоры в Причерноморье. Москва, Саратов. 2003.

ტევადობის მიხედვით I-A ტიპის ამფორები მიეკუთვნება რამდენიმე ტიპსა თუ სტანდარტს. 3. დიუპონის მიხედვით, ყველაზე ადრეული ნიმუშების ტევადობა 31-37 ლ-ით განისაზღვრება, ხოლო უფრო მოგვიანო ნიმუშების დაახლოებით 29 ლ-ით. ეს კი ი. ბრაშინსკის რეკონსტრუქციით 12 (33,6 ლ.) და 10 (28,0 ლ.) ქიოსურ ხოას⁵⁹ შეესაბამება.

I-B. ეს ვარიანტი მისი წინამორბედის განვითარებას წარმოადგენს. მხოლოდ პროფილირების წესია განსხვავებული: ყელი ხდება უფრო მაღალი და თანაბრად გადადის კვერცხისებურ ტანში. ქუსლი დაბალი, ცილინდრული, ღრმა ფოსოიანი; აქვს მცირე დიამეტრი (ტაბ. XIV, 4-5). კვლავ გვხვდება მდიდრული ორნამენტაციის წინანდელი სისტემა - სქელ, თეთრი ფერის ანგობზე S-ის ფორმის ნიშნები მხარზე.

ი. ბრაშინსკის მიხედვით ეს ტიპი მიეკუთვნება ტევადობის სამ სტანდარტს: 12 ხოა (33,6 ლ.), ფრაქცია 10 ხოა (28,0 ლ.) და ნახევარი ფრაქცია - 6 ხოა (16,8 ლ.). თვითონ ის ფაქტი, რომ ერთ ტიპში გვხვდება სამი ფრაქცია მიუთითებს, რომ ქიოსური, თეთრანგობიანი ტიპის ამფორების გატანა კ. ქიოსიდან დიდი რაოდენობით ხდებოდა. ამ ტიპის გავრცელების ზედა ზღვარი ძვ.წ. VI ს-ის მესამე მეოთხედის შუა ხანებით განისაზღვრება, ხოლო ქვედა ზღვარი ძვ.წ. V ს-ის დასასრული უნდა იყოს (Брашинский 1980; Монахов 2003).

ადრეულ ქიოსურ ამფორებს ყელგამობერილი ტიპის ჩათვლით ჰქონდათ საკმაოდ დამახასიათებელი თიხის შედგენილობა. მათი თიხა ღია ყავისფერია; კეცი კარგად განლეპილი, თუმცაღა ოდნავ მსხვილმარცვლოვანი. დამახასიათებელი ჩანართებია: თეთრი, გაუმჭვირვალე კირქვის, ასევე ქარსის ნაწილაკები (Туровский... 2001: 3-9).

II ტიპი - ძაბრისებურყელიანი. ამ ტიპის ამფორებს იგივენაირ კვერცხისებურ ტანზე აქვთ უფრო მაღალი მხრები, რომლებიც ყელისგან მკვეთრადაა გამოყოფილი და ზემოთკენ ფართოვდება. ქუსლი მაღალი, ისეთივე, როგორც I-B ტიპის ნიმუშებს აქვთ, მაგრამ არა ცილინდრული, არამედ ოდნავ გაფართოებული. ამფორების მხრები და ყურები, როგორც წესი შემკულია თხელი ლაკის ზოლებით. მხარზე აღარ გვხვდება S-ის მაგვარი ნიშანი.

⁵⁹ თითო ქიოსური ხოა 2,8 ლიტრის ტევადობისა იყო.

II-A (ადრეული). ამ ტიპის ამფორებს აქვთ მაღალი, კონუსური ყელი, მხარზე მკვეთრი გადასვლით (ტაბ. XIV, 2). ისინი ძვ.წ. VI ს-ის მესამე მეოთხედით თარიღდება.

მოცემული ვარიანტი წარმოდგენილია, სულ მცირე ორი ან სამი ფრაქციით. ნახევრადსტანდარტული ჭურჭლები - 30 ლიტრი - ჰიპოთეტიურად 10 ქიოსური ხოა (28 ლ.) და 26 ლიტრი - 9 ქიოსური ხოა (25,2 ლ.).

II-B (გვიანდელი). ეს ტიპი ხასიათდება დამოკლებული ყელით და ყელიდან მხარზე უფრო თანაბარი გადასვლით, რაც მორფოლოგიური ნიშნებით მათ ადრეულ, ყელგამობერილ ამფორებთან აახლოვებს. ეს ტიპი ძვ.წ. VI ს-ის ბოლო - ძვ.წ. V ს-ით თარიღდება. როგორც ჩანს ამ ვარიანტის ძაბრისებურყელიანი ამფორები ადრეული, ყელგამობერილის სინქრონულია. ჭურჭლების ტევადობა არაუმეტეს 30 ლიტრით (10 ქიოსური ხოა) განისაზღვრება და აქვეა მეორე ტევადობის მაჩვენებელი - 24,3 ლ., რაც 8 ქიოსური ხოას ფრაქციას (22,4 ლ.) თანხვდება.

ტიპი III - ყელგამობერილი. ეს ტიპი ქიოსურ ტარაში უკვე ძვ.წ. VI ს-ის უკანასკნელ მესამედში ჩნდება.

III-A (ადრეული). ამ ტიპის ამფორების ზედაპირზე კვლავ შემორჩენილია ჭურჭლების ორნამენტაციის ძველი ტრადიცია: გვირგვინების, მხრებისა და ტანის შეღებვა ყავისფერი ან წითელი ლაკის საღებავით. ყელზე და მხრებზე საკმაოდ ხშირია წრეები თუ ჯვრის ფორმის დიპინტოები (ტაბ. XIV, 1; XV, 5-6). ყელზე, ყურის ქვედა ნაწილზე და ქუსლთან ახლოს ზოგჯერ წრეში ჩასმული წერტილია გამოსახული, რასაც ი. ანდერსონი სავაჭრო, სამარკო ნიშნად მიიჩნევს⁶⁰ (Anderson 1954).

ადრეული, ყელგამობერილი ამფორების ყველაზე ადრეული ნიმუშებისთვის დამახასიათებელია მასიური, მრგვალგანივკვეთიანი, ელიფსური პირი; დაბალი, მხრებში ჩამჯდარი, ოდნავ გამობერილი ყელი; განსაკუთრებულ მახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ზედაპირის შავი და წითელი ლაკისებური საღებავით შედგენილი ზოლებითა და ჯვრისებურ გამოსახულებიანი გაფორმება. ტანი

⁶⁰ ი. ზეესტის აზრით კი, ეს არ არის მხოლოდ ქიოსური ამფორების სპეციფიკური ნიშანი, რადგან მსგავსი გამოსახულება სხვა ცენტრის ამფორებსაც აქვთ.

კვერცხისებური მოყვანილობისაა, კედლები არათანაბარი სისქის. ძირი ცილინდრული, ღრმა ფოსო კალთებისკენაა გაწეული. ადრეული ყელგამობერილი ამფორები საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში არსებობენ, განიცდიან რა გარკვეულ მოდიფიკაციას (Монахов 2003: 11-23; კახიძე, ვიკერსი 2004: 34-38; Абрамов 1993: 27; Брашинский 1980: 16; Брашинский 1984: 96; ხალვაში, კახიძე 2005).

აქ არის ფრაქციის საკმაოდ დიდი ჯგუფი: 10 ჰიპოთეტიური ქიოსური ხოა (28 ლ.); 9 ხოა (5,2 ლ.); 8 ხოა (22,4 ლ.) და 7 ხოა (19,6 ლ.).

(III-B) (განვითარებული). იგი ადრეული ვარიანტის გაგრძელებას წარმოადგენს. მისთვის არ არის დამახასიათებელი გვირგვინების, ტანისა და ყურების ორნამენტაცია, თუმცაღა ამ ამფორების ყელზე ხშირად გვხვდება ყავისფერი ლაკის საღებავით დატანილი Θ-ის ან ჯვრის ფორმის სიმბოლოები, ხოლო ტანზე დიდი ზომის დიპინტოები ცალკეული ასოების (K, Λ, Ψ და ა.შ) სახით (ტაბ. XV, 1-4). ეს ტიპი დაახლოებით ძვ.წ. V ს-ის 80-იან, 70-იან წწ-ში ჩნდება. მათთვის დამახასიათებელია შედარებით პატარა ფრაქციები: 8 ხოა (22,4 ლ.); 7 ხოა; 6 ხოა.

ძვ.წ. V ს-ის მეორე მეოთხედის დასასრულს განვითარებული ვარიანტის ამფორების ტანი უფრო მოხდენილი ხდება და ყელის კუთხოვან მხრებზე გადასვლის ადგილი უფრო კარგადაა გამოხატული; მათი გამობერილი ყელი უშუალოდ ედგმის მხრებს. უკვე აღარ გვხვდება წითელი საღებავით დატანილი წრეები თუ ჯვრები; გვირგვინი, როგორც წესი დაბრტყელებულია და ზოგჯერ შიგნითაა გადახრილი. ძირს გაფართოების ადგილზე აქვს გამოხატული კიდე (Монахов 2003: 11-23).

ამფორებისათვის დამახასიათებელია დაბალი, ბოლოში შესამჩნევად გაფართოებული ცილინდრული ძირი. ფოსო ღრმაა, მაგრამ უკვე აღარაა გაწეული კალთებისაკენ; ძირი საკმაოდ მასიური და მოხდენილად პროფილირებულია. მომდევნო სახეობის ამფორების ძირებისაგან განსხვავებით კონტურები მკვეთრი არაა. არქაულ ქიოსურ ამფორებთან შედარებით კორპუსი უფრო მაღალია, ყელიც, შესაბამისად მაღალი და მხოლოდ ზედა ნაწილშია გამობერილი (კახიძე... 2004: 34-38).

ამ სერიის ამფორებისათვის დიდი ფრაქციები უცნობია. გვხვდება 7 ქიოსური ხოას (19,6 ლ.); 6, 5 და, შესაძლოა 4 ხოას ჭურჭლები. უფრო პატარა ფრაქციები კი წარმოდგენილია ცალკეული ნიმუშებით.

III-C (გვიანდელი). ქიოსური ტარის ამ ვარიანტის ამფორებს ადრეულ ეტაპზე მხრების გლუვი პროფილი და საშუალო სიმაღლის ყელი აქვთ. ეს ტიპი ადრეულ, ყელგამობერილ ტიპთან თანაარსებობს; ამ ვარიანტის გავრცელება ძვ.წ. V ს-ის 40-იან და 30-20-იან წლებს მოიცავს (XVII, 5-6).

გვიანდელი, ყელგამობერილი, ქიოსური ამფორების ყველაზე ადრეული ვარიანტი წარმოდგენილია ჭურჭლების მცირერიცხოვანი ნიმუშებით, რომლებიც ყელიდან მხარზე გლუვი გადასვლით ხასიათდება (სერია III-C-1) .

მათი შემცვლელი ამფორები ყელიდან მხარზე მკვეთრი გადასვლით (სერია III-C-2) გაცილებით უკეთაა ცნობილი. დაგრძელებული ყელის გამობერილი ნაწილი შეადგენს ამფორის მთლიანი სიმაღლის მესამედს. გამოკვეთილია ძირის პროფილირება - იგი ყოველთვის მკვეთრადაა გამოყოფილი ტანის ქვედა ნაწილისგან.

გვიანდელი, ყელგამობერილი ამფორები ტრადიციულად ძვ.წ. V ს-ის მესამე მეოთხედით თარიღდება და წარმოდგენილია არაუმეტეს ორი ფრაქციით: 7 და 8 ქიოსური ხოა (19,6 და 22,4 ლ.), რაც ატიკური საზომით 5 ან 4,5 ატიკურ ჰემიჰექტას უდრის (Монахов 2003: 11-23; Cook, Dupont 1998).

3. მათინგლი კორინთოს ფორუმის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ჩატარებული გათხრების საფუძველზე აღნიშნავს, რომ ყელგამობერილი ქიოსური ამფორები ძვ.წ. 430 წელს საბოლოოდ გამოდის ხმარებიდან⁶¹ და მათ მთლიანად ჩაანაცვლებს

⁶¹ ი. ზეესტისა და ი. ბრაშინსკის მიხედვით სწორყელიანი ამფორები ძვ.წ. V ს-ის უკანასკნელ მეოთხედში ჩნდება. ი. მონახოვს მიაჩნია, რომ სწორყელიანი ამფორების წარმოება ძვ.წ. V ს-ის 40-იანი წ-დან იწყება, როცა ამფორის ყელგამობერილი ტიპი კვლავ აგრძელებს არსებობას.

სწორყელიანი ამფორები⁶² (Mattingly 1981: 78-79). ყელგამობერილი ამფორების ფინალური ჯგუფი ტევადობაში მატებას აჩვენებს და თანხვდება ძველი დიდრაქმების მოჭრის პერიოდის დასასრულს. მას ათენის სტანდარტების დეკრეტს უკავშირებენ და ძვ.წ. 449 წლით ათარიღებენ.

ათენის აგორაზე გათხრილი ზოგიერთი კომპლექსი ამ ცვლილების თარიღს უფრო აძველებს. ძვ.წ. 430-425 წწ-ში დახურული ჭის კომპლექსი შეიცავდა ყელგამობერილი ქიოსური ამფორების უკანასკნელი ჯგუფის ნიმუშებს ზოგიერთი სწორყელიანი ამფორების ტიპთან ერთად. ამათგან, ზოგიერთს ჰქონდა ოფიციალური ქიოსური დამდა. ამის შემდეგ ათენში სამეფო სტოასთან ახლოს, საზოგადო სასადილოსთან აღმოჩნდა გადანაყარი კერამიკის დიდი გროვა, სადაც ყელგამობერილი ტიპის უკანასკნელი ჯგუფის ქიოსური ამფორები წითელფიგურულ და შავლაკიან ჭურჭელთან ერთად იყო, რომელთა თარიღი სულ მცირე, ძვ.წ. 440 წ-მდე მაინც ჩამოდის. ამათგან ზოგიერთი ნამდვილად უფრო მოგვიანო ხანას განეკუთვნება.

1953 წელს გათხრილი ცნობილი ჭის კომპლექსი ასევე მსგავს ქიოსურ ამფორებს შეიცავდა წითელფიგურულ და შავლაკიან ჭურჭლებთან ერთად, რომელთა თარიღი ამ შემთხვევაშიც ძვ.წ. 440 წ-მდე ჩამოდის.

ტიპის ცვლილების თარიღის მომდევნო დადასტურება კერამიკოსის გათხრებიდან მომდინარეობს. სამხრეთი ბორცვის სამაროვანი სწორედ ამ პერიოდში (ძვ.წ. 430 წ.) გამოვიდა ხმარებიდან. ყველაზე გვიანდელ აღმოჩენებს შორის არის ორი მცირეწლოვანი ბავშვის ამფორასამარხი ყელგამობერილი ტიპის უკანასკნელი ჯგუფის ქიოსურ ამფორებში. ამ თარიღს ასევე ადასტურებს კორინთოში გათხრილი ჭის კომპლექსიდან მომდინარე ინფორმაცია.

1937 წელს მ. ფიზმა გამოაქვეყნა ჭის კომპლექსი, რომლის ამოვსებაც ძვ.წ. 420 წლით დაათარიღა (Pease 1937: 257-316). აქ გვიანდელ კორინთულ კერამიკასთან

⁶² აღსანიშნავია, რომ ქობულეთ-ფიჭვნარის ძვ.წ. V ს-ის ბერძნული სამაროვანი მეტ-ნაკლებად განსხვავებულ სურათს იძლევა. ყელგამობერილი, სახელდობრ, გვიანდელი ნიმუშები ძვ.წ. V ს-ის მეორე მეოთხედით დათარიღებულ სამარხებშია აღმოჩენილი, შუა ხანებისა და მესამე მეოთხედის სამარხებში კი მხოლოდ და მხოლოდ სწორყელიანი ამფორები გვხვდება. როგორც ჩანს, გვიანდელი ყელგამობერილი ამფორების ქრონოლოგიური ამპლიტუდის დაზუსტებისთვის დამატებითი მასალებია საჭირო.

ერთად იყო ყელგამობერილი ტიპის უკანასკნელი ჯგუფის ქიოსური ამფორები და მათ შორის არ იყო არცერთი სწორყელიანი (Mattingly 1981: 78-86; Barron 1986: 89-103).

IV ტიპი - სწორყელიანი. ამ ტიპის ამფორები ძვ.წ. V ს-ის 40-იანი-30-იანი წწ-ის გვიანდელი, ყელგამობერილი ტიპის ამფორებისგან პრაქტიკულად მხოლოდ ერთი ნიშნით გამოირჩევიან: ყელის ზედა ნაწილი აღარ არის გამობერილი, თუმცა, მოგვიანებით ქიოსური ამფორების მორფოლოგია ცვლილებებს განიცდის, ძირითადად პროპორციების თვალსაზრისით, რაც ამ ვარიანტის გამოყოფის საშუალებას იძლევა.

IV-A. იგი გარკვეული პერიოდის მანძილზე თანაარსებობს გვიანდელ, ყელგამობერილ ვარიანტთან ერთად. ამ ტიპის ჭურჭლები გამოირჩევა საშუალო სიმაღლის, ფართო ყელით, ტანის პითოიდური ფორმით, ძირის გლუვი კონტურებით და ძირზე სოკოსებრი შეღრმავებით. ფაქტობრივად, ტანის პროპორციები და ძირის ფორმა ისეთივე რჩება, როგორც გვიანდელ, ყელგამობერილ ამფორებს აქვთ (ტაბ. XVII, 4).

ისევე, როგორც გვიანდელი ყელგამობერილი ვარიანტის შემთხვევაში, ყველაზე დიდ ფრაქციას აქვს 7 ხოა, ან 4,5 ატიკური ჰემიჰექტა (19,6 ლ.) წარმოადგენს. მეორე ფრაქციაა - 13 ლიტრი - ჰიპოთეტიურად 4 ქიოსური ხოა (11,2 ლ.).

IV-A ვარიანტის ქიოსური ამფორების წარმოების მონაკვეთი ძვ.წ. V ს-ის 40-30-იანი წწ-ით განისაზღვრება.

(IV-B). ეს ვარიანტი წინასაგან განსხვავდება ამფორის საერთო სიმაღლით, რომელიც ამ ჭურჭლებს მაღალი, ცილინდრული ყელის ხარჯზე აქვთ. ტანი თითქმის მკაცრად კონუსური ხდება და საშუალო სიმაღლის, მკვეთრ-კუთხოვანი ძირით ბოლოვდება. ფოსო ღრმაა, ქუსლისაკენ გაფართოებული. ტანი მომაღლო, კონუსური. ამ ამფორებისთვის მთავარი სიახლე ისაა, რომ წინა ნიმუშებისგან განსხვავებით ყელი უკვე აღარაა გამობერილი (Монахов 2003: 11-23; ხალვაში... 2005: 170-171).

ამ ვარიანტის სტანდარტი ბევრად მაღალია და დიდი ზომის ჭურჭლები 23-24 ლიტრს იტევს, რაც 8 ქიოსურ ხოას (22,4 ლ.) ან 5 ატიკურ ჰემიჰექტას (21,9 ლ.) თანხვდება. არსებობს ამ ვარიანტის კიდევ ერთი პატარა ფრაქცია, სადაც ჭურჭლების

მთლიანი ტევადობა 10,3-11,5 ლიტრს შორის მერყეობს. IV-B ვარიანტი ძვ.წ. V ს-ის 20-იანი-10-იანი წწ-ით თარიღდება (ტაბ. XVI, 2; 4).

V ტიპი - კონუსური (კონუსური ტანით და ჩაჩისებური ძირით). ეს ტიპი საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არსებობს. მასში გამოიყოფა სულ მცირე, სამი ვარიანტი:

(V-A) პროტო ჩაჩისებურძირიანი. ეს ტიპი მომდევნოსგან განსხვავდება უფრო მაღალი ცილინდრული ყელით, მკაცრად კონუსური ფორმის ტანით და კონუსური ძირით, რომლისგანაც მოგვიანებით (ძვ.წ. IV ს-ში) ჩამოყალიბდა ძირი-ჩაჩი.

პროტო ჩაჩისებურძირიან ამფორებზე დასმულია ანეპიგრაფიკული დამღები ქიოსის პოლისურ ემბლემასთან (სფინქსი ამფორასთან) ერთად (ტაბ. XVI, 1; 3; XVII, 2).

პროტო ჩაჩისებურძირიანი ამფორები პირველად გამოყოფილ იქნა ი. ბრაშინსკის მიერ, სადაც ისინი ძვ.წ. V ს-ის ბოლოთი თარიღდება (Брашинский 1980: 95-98). ამ ამფორებიდან ერთ-ერთი ნახევრადსტანდარტულია (რეალური ტევადობა 23,0 ლ.) 8 ქიოსური ან 7 ატიკური ხოას ტევადობით.

V-B (ჩაჩისებურძირიანი). მეორე და ყველაზე გავრცელებული ვარიანტი ჩნდება არაუადრეს ძვ.წ. V-IV სს-ების მიჯნისა და ქიოსის ამფორების წარმოებაში გაბატონებულია თითქმის ერთი საუკუნის მანძილზე. ძვ.წ. IV ს-ის დასაწყისში ამფორებს აქვთ საშუალო სიმაღლის, ჩაჩისებური ძირი საშუალო ზომის შეღრმავებით. გვირგვინი დაბრტყელებულია (ტაბ. XVII, 3). ისინი ძვ.წ. IV ს-ის პირველი მესამედით თარიღდება.

როგორც წინა პერიოდებში, აქაც ჩვენ გვაქვს რამდენიმე ფრაქცია: თავდაპირველად ორი, ხოლო ძვ.წ. V ს-ის შუა ხანებიდან სამი, მაგრამ აბსოლუტურად დომინირებენ არა ფრაქციული, არამედ ნახევრად ფრაქციული სერიები.

ძვ.წ. IV ს-ის მეორე და მესამე მეოთხედში ქიოსურ ამფორებს იგივე პროპორციები აქვთ; ცვლილებები მხოლოდ პროფილირების დეტალებს შეეხო: გვირგვინი ყველაზე ხშირად იღებს გაბრტყელებული ხვეულას ფორმას, ხოლო ქუსლი ხდება მაღალი და ამასთან ერთად სუსტად გამოხატული. ძირზე შეღრმავება

ზოგჯერ 5-8 სმ-ს აღწევს. ასეთ ამფორებს ძვ.წ. IV ს-ის 70-იანი, 50-იანი და 40-იანი წწ-ის კომპლექსებში ვხვდებით.

ქიოსური ჩაჩისებურძირიანი ამფორების წარმოებაში დომინირებს ნახევრადსტანდარტული ჭურჭლები 7 ან 8 ქიოსური ხოას ტევადობით (19,6 ან 22,4 ლ.). მათ პარალელურად იშვიათად უშვებდნენ ფრაქციულ ამფორებს, რომლებსაც იგივე მორფოლოგიური ნიშნები ჰქონდათ - მათი ტევადობა 8,7-9,7 ლიტრის მოცულობას შორის (3 ქიოსური ხოა) მერყეობს. იმავე ფრაქციას უშვებდნენ ძვ.წ. IV ს-ის მესამე მეოთხედის შუა ხანებშიც, მხოლოდ ამფორის ძირი ხდება მასიური, ხოლო გვირგვინი უფრო მაღალი.

V-C. ძვ.წ. IV ს-ის ბოლო - ძვ.წ. III ს-ის დასაწყისში ჩაჩისებურძირიანი ამფორები შესამჩნევად მოდიფიცირდება. ახლა უკვე მათ აქვთ წვეტიანი ძირი, რომლისგანაც ქუსლი არ არის გამოყოფილი. მოცემული ფორმა ხასიათდება ჯერ კიდევ მაღალი, ცილინდრული ყელით, სუსტად გამოხატული ძირით, რომელიც ფაქტიურად ტანის უბრალო კონუსურ დაბოლოებას წარმოადგენს და ყურის დაბალი ზედა მიძერწვის ადგილით (ტაბ. XVII, 1); ყელი ყურების მაღლა 5-10 სმ-ით ადის. იგი ძვ.წ. III ს-ის პირველი მეოთხედით თარიღდება.

როგორც აღმოჩენები მიგვითითებს, ასეთი ამფორები ქიოსის კერამიკულ სახელოსნოებში ძვ.წ. III ს-ის შუა ხანებშიც მზადდებოდა.

ძვ.წ. III ს-ის მესამე მეოთხედში მოცემული ჭურჭლები უფრო კუთხოვანი ხდება, ქუსლი საერთოდ არ არის გამოკვეთილი, იგი მაღალი და კონუსურია; ტანი წაგრძელებული. ქრონოლოგიის ზუსტი განსაზღვრა ამ ამფორებისათვის რთულია, როგორც ჩანს ისინი ძვ.წ. II ს-ეს მიეკუთვნება.

ძვ.წ. IV ს-ის ჩაჩისებურძირიან ქიოსურ ამფორებს სხვაგვარი კეცი აქვთ. მათ შორის არის ღია ვარდისფერი შეფერილობის, ქარსიანი კეცის მქონე ჭურჭლები. თუმცაღა, ზოგიერთ ჭურჭელს წითელი ფერის კეციც აქვს (Туровский... 2001: 3-9).

ჩანს, რომ ამფორების წარმოება კუნძულ ქიოსზე მთელი ძვ.წ. II საუკუნის მანძილზე მიმდინარეობდა, თუმცა იგივე ტრადიციის ჩარჩოებში. ამის მტკიცების საფუძველს ძვ.წ. I ს-ის კომპლექსები გვაძლევს, რომლებშიც V-C ტიპის ქიოსური ამფორები აღმოჩნდა. ამ ნიმუშების ძირითადი მორფოლოგიური ნიშნები იგივეა,

თუმცა ყელი ხდება უფრო გრძელი, ხოლო ტანი გამოხატულ, ოვოიდურ ფორმას ღებულობს.

ძვ.წ. VII-II სს-ის მანძილზე ქიოსური ამფორების ტიპებისა და სტანდარტების განვითარების აღდგენილი დინამიკა ცხადყოფს ერთგულებას ადგილობრივ საზომზე - ქიოსურ ხოაზე 2,8 ლიტრის ტევადობით. სტანდარტების რეკონსტრუქციის ძირითადი შედეგები ნაჩვენებია ცხრილში (ცხრილი. 3.) (Монахов 2003: 11-23; Cook... 1998; Абрамов 1993: 78-93; ხალვაში, კახიძე, 2005: 170-171).

ტიპი	ვარიანტი, სერია	სტანდარტი ან ფრაქცია	სტანდარტის და ფრაქციის შემცველობა	თარიღი, საუკუნეები
I თეთრანგობიანი	ვარიანტი I-A	12	33,60 ლ	VII-ის შუახანები - VI-ის 1/3
		10	28,00 ლ	
II ძაბრისებურყელიანი	ვარიანტი I-B	12	33,60	VII-ის ბოლო - VI-ის 3/4
		10	28,00	
		6	16,80	
II ძაბრისებურყელიანი	ვარიანტი II-A	10	28,00	VI-ის 3/4
		9	25,20	
		6?	16,80	
II ძაბრისებურყელიანი	ვარიანტი II-B	10	28,00	VI-ის ბოლო - V-ის დასაწყისი
		8	22,40	
III ყელგამობერილი	ვარიანტი III-A ადრეული	10	28,00	V-ის 3/4 - V-ის 4/4
		9	25,20	
		8	22,40	
		7	19,60	
		5	14,00	
		4	11,2	

	ვარიანტი III-B	8	22,40	V-ის 1/2
	განვითარებული	7	19,60	
		6	16,80	
		5	14,00	
		4	11,2	
	ვარიანტი III-C	8	22,40	V-ის 3/4 -
	გვიანდელი სერია III-C-1	7	19,60	V-ის შუახანები
	ვარიანტი III-C	8	22,40	V-ის 3/4 -
	გვიანდელი სერია III-C-2	7	19,60	V-ის 4/4 -ის დასაწყისი
IV სწორყელიანი	ვარიანტი IV-A	7	19,60	V-ის 3/4
		4	11,2	
	ვარიანტი IV-B	8	22,40	V-ის 4/4
	4	11,2		
V კონუსური	ვარიანტი V-A	8	22,40	V-ის ბოლო
	პროტო	4	11,2	
	ჩაჩისებურძირიანი	3	8,40	
		2,5	7,00	
		2	5,60	
	ვარიანტი V-B	8	22,40	IV-ის 1/4 -
	ჩაჩისებურძირიანი	7	19,60	IV-ის 3/4
		3	8,40	
	ვარიანტი V-C	არ არის	არ არის	IV-ის ბოლო-III
	წვეტიანი ძირით	მონაცემები	მონაცემები	

ცხრილი 3. ქიოსური ამფორების ტიპოლოგიური ჯგუფები

III. 2. გრაფიტოები და დიპინტოები

გრაფიტოებისა და დიპინტოების სახით წარმოდგენილი ნიშნები ქიოსურ ამფორებზე საკმაოდ ხშირია (განსაკუთრებით გრაფიტოები).

ქიოსურ ამფორებზე დადასტურებული დიპინტოების შესახებ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. ამფორების ზედაპირზე გვხვდება სხვადასხვა ნიშნები, ჯვრის ფორმის, წრეში ჩასმული წერტილი და სხვ. რომლებიც რაიმე ინფორმაციის შემცველია ამფორის ტევადობის, შიგთავსის ღირებულების და მისი მფლობელის შესახებ.

ქიოსურ ამფორებზე დატანილი სხვადასხვა ინფორმაციის შემცველი გრაფიტოების სისტემატიური კვლევა ათენის აგორადან გამოვლენილ ძვ.წ. V ს-ის ქიოსურ ამფორებზე განხორციელდა. მათში სხვადასხვა ჯგუფები განირჩევა, რომლებიც კონკრეტულ ინფორმაციას შეიცავს. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

მოცულობითი აღნიშვნები. ეს არის უდიდესი ჯგუფი რიცხვობრივ გრაფიტოებს შორის. ნიშნები აქ მარტივი სტრიქონებისა და ასოების (Δ და Π)⁶³ სახითაა მოცემული და უფრო მკაფიო აღნიშვნებიც გვხვდება, რომლებიც საზომი ერთეულების გამოსახვისთვის აბრევიატურებს იყენებს. მოცულობითი აღნიშვნები ყოველთვის არ მიუთითებს ამფორის მთლიან ტევადობას და ზოგჯერ ფასის ნიშნებთან ერთად გვხვდება. მ. ლენგის აზრით ვერტიკალური სტრიქონები აღნიშნავენ მთლიან ხოებს, ხოლო ჰორიზონტალური კი კოტილებს. მან აღმოაჩინა, რომ ამ გზით წაკითხული გრაფიტოები ამფორების ტევადობას კარგად ეთანხმებოდა.

გრაფიტოებზე მოცემული ხოები - X-ით აღინიშნება, ნახევარი ხოა - H ან E, ხოლო კოტილა - K ნიშნითაა მითითებული; ΠH ნიშნავს 500-სს. E - ასევე ნიშნავს აკროფონიულ ერთეულ 5-ს, ხოლო H 8-ს. როდესაც E/H პირველად წერია აკროფონიულ ერთეულად იგი სავარაუდოდ აღნიშნავს ნახევარ მეტრეტს - 6 ხოა. მოცულობითი აღნიშვნები ქიოსურ ამფორებზე შემდეგი ნიშნებითაა გადმოცემული: EII, IIIIIII, XX, HK, ΠX , XXHII და სხვ. (კატ. #1-25).

წონის აღნიშვნები. ძვ.წ. V ს-ის ამფორების ნიმუშები, რომლებზეც მნებია გამოსახული ძლიერ იშვიათია, თუმცა ლენგის მიხედვით 12 მნა დაახლოებით 5,5 კგ-

⁶³ ვერტიკალური მწკრივები იშიფრება როგორც Π - „5“ და Δ - „10“.

ს; ხოლო 20 მნა - 9 კგ-ს შეესებაშემა მოცემულ გრაფიტოებზე, სადაც განხილულ ძვ.წ. V ს-ის შუა ხანების ამფორაზე მოცემულია AM ლიგატურა - MΔ, რომელიც იკითხება, როგორც 10 მნას შემცველი ცარიელი ამფორა.

სავარაუდოდ ვერტიკალური ხაზები მიუთითებს ათეულ, ხოლო ჰორიზონტალური ხაზები ერთეულ მნებს. ქიოსურ ამფორებზე წონის აღმნიშვნელი შემდეგი გრაფიტოები გვხვდება: ΔΔ, ΔΙΙΙΙΙΙ და სხვ. (კატ. #26-30).

ფასის ნიშნები. ქიოსური რიცხვობრივი გრაფიტოების ძლიერ მცირე ჯგუფს ფასის ნიშნები შეადგენს. ყველაზე ზუსტად დადგენილი ფასის ნიშნებია: | - დრაქმის, ან Σ - სტატერის აბრევიატურა⁶⁴. „ორი დრაქმა ხოაზე“ იყო ღვინის სტანდარტული ფასი კლასიკური ხანის ათენში. ლენგმა აღნიშნა, რომ ქიოსში და მენდეში სტატერები მიიჩნეოდა დიდრაქმებად, ასე რომ ათენის აგორადან მომდინარე ფასის მიმათითებელი გრაფიტოები გვიჩვენებს 2 დრაქმის ფასს ქიოსური ღვინის⁶⁵ თითო ხოაზე. ფასის ნიშნები შემდეგნაირი გრაფიტოების სახითაა მოცემული ქიოსურ ამფორებზე: ΠΙΙΣ, ΠΔ, ΔΔΠ | - და სხვ. (კატ. #31-33).

კომერციული აბრევიატურები. ხშირად გრაფიტოებზე გვხვდება E/H, M, ME ასოები. შესაძლოა, რომ E/H და M/ME აბრევიატურები უბრალოდ მფლობელის ნიშნებს წარმოადგენდეს. ამფორებზე მათი განმეორებადი აღმოჩენა იმის შესაძლებლობას ზრდის, რომ ისინი ამფორების შიგთავსს და არა მათი მფლობელების სახელებს ეხება.

E/H გრაფიტოს წაკითხვის დროს სავარაუდოდ H ნიშნავს ჰიდრიას (ატეკური მეტრეტის ნახევარი), რაც მიუთითებს, რომ ჭურჭელი შეიცავს მხოლოდ ნახევარ მეტრეტს).

არსებობს მოსაზრება, რომ ასო E-თი აღინიშნებოდა ზეთუნის ზეთი (ελαιον). ღვინისთვის განკუთვნილი ამფორების შიდაპირი ფისით იყო დაფარული, ხოლო ზეთუნის ზეთისთვის განკუთვნილი დაუფარავი იყო.

⁶⁴ მიუხედავად იმისა, რომ ძვ.წ. V ს-ში ათენი ამ კონკრეტულ სამონეტო სისტემას არ იყენებდა.

⁶⁵ A. Johnston-ის მოსაზრებით თუკი გრაფიტოები ჭურჭლებზე ამფორების ექსპორტის ადგილებში კეთდებოდა მაშინ საფიქრებელია, რომ მწერალი ფიქრობდა ადგილობრივი სამონეტო სტანდარტის მიხედვით, თუმცა უდაოა, რომ Σ ყველა შემთხვევაში მიუთითებს სტატერს.

M და ME გრაფიტოების ყველაზე სწორი ამოცნობა იქნება ერთი მთლიანი მეტრეტი. თუმცაღა ამ მხრივ ასეთი წაკითხვისთვის პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს ის ფაქტორი, რომ M გრაფიტოები მრავლადაა აღმოჩენილი ისეთი ჭურჭლების ყელზეც, რომლებიც გაცილებით მცირე ტევადობისაა. M ნიშნების გამოსახვის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება ის იყოს, რომ მყიდველისთვის ძლიერ მნიშვნელოვანი იყო ჭურჭლის შიგთავსის ცოდნა. ME კი შეიძლება მიუთითებდეს M-ის წაკითხვას როგორც $\mu\epsilon\lambda\iota$ (თაფლი) (კატ. #34-35).

შეჯამებითი ნიშნები. როცა ვერტიკალური მწკრივების ჯგუფს თან ახლავს აკროფონიული ანბანური ნიშანი იგი შეიძლება წაკითხულ იქნეს, როგორც მათი შეჯამება. ისინი შემდეგნაირია: 1) უბრალო ვერტიკალური ხაზები შეჯამებულია ერთი ანბანური ან აკროფონიული ნიშნით; 2) შეჯამებული ნიშანი ერთ ერთეულიან ხაზებს და უფრო დიდ ერთეულიან სიმბოლოებს მოყვება და 3). შეჯამება ჩნდება შუაში თვლის პროცესში და მას კიდევ დამატებითი აღნიშვნები მოყვება.

პირველი შემთხვევა ყველაზე დამახასიათებელია. თვლის ნიშნები ზოგჯერ უფრო ღრმადაა ამოჭრილი, ვიდრე შეჯამების. როცა ხაზების რიცხვი ემთხვევა ალფაბეტურ ან აკროფონიულ ნიშანს აქ არის შეჯამება.

შეჯამებითი ნიშნები ასევე ტევადობის აღნიშვნებსაც შეიცავს. მათთვის დამახასიათებელია ცალკეული ხაზებისგან შემდგარი მწკრივები, რომლებიც თვლის ან ჯამის ნიშნებს გამოხატავენ (კატ. #36-40).

კომბინირებული აღნიშვნები. ქიოსურ ამფორებზე გრაფიტოები, რომლებიც აღნიშვნის ერთზე მეტ ტიპს ატარებენ საკმაოდ იშვიათია, თუმცა ათენის აგორას აღმოჩენებში მაინც გვხვდება ერთი ასეთი ნიმუში: ΠΕΝΙΙΙΙ (კატ. #41).

გარდა აღნიშნულისა ათენის აგორადან მომდინარე ქიოსურ ამფორებზე ისეთი გრაფიტოებიც გვხვდება, რომლებიც კლასიფიკაციას არ ექვემდებარება (კატ. #42-47).

გარდა ზემოთ აღწერილი ჯგუფებისა ქიოსურ გრაფიტოებზე გვხვდება სახელები. ერთ-ერთი ასეთი გრაფიტო აღმოჩენილია ტარანტოდან მომდინარე ძვ.წ. IV ს-ის ქიოსურ ამფორაზე (იხ. ქვემოთ) (Lang 1956; Lang 1976; Lawall 2000: 3-90).

III. 3. ნუმიზმატიკური მონაცემები

ქიოსი ერთ-ერთი იმ ბერძნული სახელმწიფოთაგანი იყო, რომელიც ძვ.წ. VII ს-ის ბოლოდან ჭრიდა ელექტრუმის, ისევე, როგორც ვერცხლის მონეტებს, რაც დაახლოებით 900 წლის მანძილზე გრძელდებოდა და ქიოსური მონეტები ახ.წ. III ს-მდე მიმოიქცეოდა.

სხვა იონიური ცენტრების მსგავსად ქიოსი უშვებდა ელექტრუმის სტატერებს⁶⁶ (ტაბ. XIX, 1) და ძვ.წ. VI ს-დან აგრეთვე ვერცხლის დიდრაქმებს მილეტური წონითი სისტემის მიხედვით (ტაბ. XIX, 3) . ჯ. მავროგორდატოს დაკვირვებით, თუ იონიის სხვა ქალაქებში სტატერების ფრაქციები, მესამედები და მეექვსედები ელექტრუმისგან მზადდებოდა, ქიოსზე უმცირესი დენომინაციები ვერცხლის იყო (Mavrogordato 1918)⁶⁷.

ძვ.წ. VI ს-დან ძვ.წ. IV ს-ის შუა ხანებამდე გავრცელებული ქიოსური ვერცხლის სტანდარტი ოდნავ თუ ჩამორჩება ევბეასა და ათენის სტანდარტებს⁶⁸.

დაახლოებით ძვ.წ. VI ს-ის შუა ხანებში აზიის ქალაქების უმეტესმა ნაწილმა მიატოვა მონეტების მოჭრა ეგინური ვერცხლის სტანდარტის მიხედვით; ქიოსმა შეინარჩუნა ეგინური სტანდარტი თუმცა მოდიფიცირებული სახით; იმის მაგივრად რომ 9,600 მარცვლიანი ეგინური მინა გაეყოთ 96 მარცვლის 100 დრაქმაზე, ქალაქმა იგი გაყო 60 მარცვლის 160 დრაქმაზე; ასე, რომ წონისა და ღირებულების მიხედვით ქიოსური დრაქმა იქნებოდა ეგინური დრაქმის 5/8 ნაწილი.

როდესაც ლიდიელი კროესუსი და მის შემდეგ სპარსეთის მეფეები ჭრიდნენ საბერძნეთში კარგად ცნობილ სუფთა ოქროს მონეტებს (კროესული და დარიული სტატერები), იონიურმა ქალაქებმა შეწყვიტეს ელექტრუმის მოჭრა და ამის მაგივრად ოქროს მონეტებს იყენებდნენ. ეს ვითარება გამოწვეული იყო სპარსეთის წინააღმდეგ იონიის აჯანყებით. ამ დროსაც კი ვერცხლის მონეტების მოჭრა არ შეწყვეტილა

⁶⁶ 216-220 მარცვლით იწონიდა 14-14,25 გრამს.

⁶⁷ ელექტრუმისა და სტატერის მიმართება: 10:1-თან.

⁶⁸ ქიოსური დრაქმა შედგებოდა 60 მარცვლისგან (3,88 გრამი), ევბეური 65 მარცვლისგან (4,21 გრ) და ათენური 67½ მარცვლისგან (4,37 გრ).

ქიოსზე. მონეტებზე გამოსახული იყო სფინქსი⁶⁹ – ქალაქის ემბლემა და, აგრეთვე ყურძნის მტევანი, რაც ქალაქის სიძლიერეს გამოხატავდა მისი მაღალი ხარისხის ღვინის ხაზგასასმელად.

მცირე ინტერვალის შემდეგ, დაახლოებით ძვ.წ. 460 წელს ქიოსმა დაიწყო ახალი ექსპერიმენტი ელექტრუმის მოჭრაში; იგი სტატერებს ჭრიდა არა მილეტის ძველ სტანდარტზე, არამედ კიზიკუსის ელექტრუმის სტატერების უნიფორმულ წონაზე. ისინი გამოსახავდნენ სფინქსსა და ამფორას, რომელზეც შემოხვეული იყო ვაზის რტო. ეს ტიპი ახლოსმდგომი იყო ლამპსაკუსის სტატერებთან, რომელზეც ასევე გამოსახული იყო ვაზის რტო; ისინი ძვ.წ. 447 წლით თარიღდება (Gardner 1920: 160-173).

ძვ.წ. 448-446 წწ-ით დათარიღებული პერიკლეს დეკრეტი ზღუდავდა ათენურის გარდა ვერცხლის სხვა რომელიმე საზომის, წონის ან სამონეტო სისტემის მიხედვით მონეტების მოჭრის უფლებას. ეს დეკრეტი ისეთი მკაცრი იყო, რომ მასში იდო პირობა სიკვდილით დაესაჯათ ნებისმიერი, რომელიც მას დაარღვევდა. ქიოსი ამ დრომდე ჭრიდა ვერცხლის მონეტებს ტრადიციული, აზიატიკური დემნომინაციებით - სტატერი, დიდრაქმა და ტეტრობოლი. ავერსზე გამოსახული იყო მუჯდარი სფინქსი, რომელიც უყურებდა ამფორას, ხოლო მის ზევით ყურძნის მტევანი ან ვაზის რტო. სტატერის ბოლო ვარიანტზე გამოსახულია ყელგამოხედილი ამფორა, რომელიც ქიოსური ამფორების ტიპების მიხედვით ძვ.წ. V ს-ის მეორე და მესამე მეოთხედებს ეკუთვნის.

ქიოსელებმა თავიანთი ვერცხლის სტატერების მოჭრა ძვ.წ. 448 წლისთვის შეწყვიტეს.

ამის შემდეგ, მონეტის ტიპი შეიცვალა სფინქსის ახალი გამოსახულებით ახალი ტიპისავე ამფორასთან, რომელსაც უფრო გრძელი ყურები და მაღალი ყელი ჰქონდა; მონეტას ჰქონდა იგივე წონა-სტანდარტი, მაგრამ მისი დენომინაციები სხვაგვარი იყო: ტეტრადრაქმები, დრაქმები და ფრაქციები.

⁶⁹ ბერძნული სფინქსი: სახელი იმიფრება, როგორც მახრჩობელა, აქვს ქალის თავი ძუ ლომის ფრთოსან სხეულზე. ბერძნულ მითოლოგიაში ცნობილია მხოლოდ ერთი სფინქსი, რომელიც ექიდნას პირმშო იყო.

ათენის დეკრეტის თანახმად ქიოსმა მონეტების მოჭრა შეწყვიტა და ამფორების ტევადობა შეცვალა იმისათვის, რომ ატიკურ სტანდარტს მორგებოდა. ამ უკანასკნელში მას არ ჰქონდა არჩევანის უფლება, რადგან როგორც ძველი ოლიგარქი შეგვახსენებს ([Xen]. Ath. Pol. 2.3) ექსპორტზე დამყარებული ეკონომიკა დომინანტი საზღვაო ძალის კეთილ ნებას უნდა ეფუძნებოდეს.

ჯ. მავროგორდატომ ჩამოაყალიბა ქიოსური მონეტების სრულყოფილი სქემა, რომლის მიხედვით დიდრაქმების მოჭრა ძვ.წ. 431 წლისათვის დასრულდა (Mavrogordato 1918; Mattingly 1981: 78-86).

პელოპონესის ომის დასაწყისისთვის (ძვ.წ. 431 წ.) ქიოსის ვერცხლის მონეტების მოჭრაში ცვლილება განხორციელდა. ქიოსის ახალ სამონეტო სისტემაში ტეტრადრაქმა (ტაბ. XIX, 2) ხდება ძირითადი მონეტა, ხოლო ფრაქცია არის 60 მარცვლის დრაქმა.

ძვ.წ. 430-იანი წწ-ის დასასრულს შემოდებული იქნა ამფორის ახალი ტიპი, რომლის ტევადობაც ჯერ კიდევ ატიკურ სტანდარტზე იყო, მაგრამ მას ჰქონდა დაგრძელებული ყელი გამობერილი ნაწილის გარეშე; ქიოსს უკან დაუბრუნდა ვერცხლის მონეტების (ტეტრადრაქმები, დრაქმები და ფრაქციები) საკუთარ სტანდარტზე მოჭრის უფლება (ბარონი 1986: 89-103).

რადგანაც ქიოსში ელექტრუმი და ვერცხლი არ იყო ერთსა და იმავე სტანდარტზე მოჭრილი, ეს შესაძლოა მიუთითებდეს იმაზე, რომ ქალაქმა მიიღო ბიმეტალიზმის კურსი, რაც აზიაში ამ პერიოდში ძლიერ გავრცელებული იყო; ფარდობა ელექტრუმის ღირებულებასა და ვერცხლის ღირებულებას შორის უნდა ყოფილიყო 10:1-თან. 220 მარცვლის ელექტრუმის სტატერი 60 მარცვლის 362/3 ვერცხლის დრაქმის ან 40 მარცვლის 55 ტეტრობოლის ეკვივალენტური იქნებოდა⁷⁰.

ძვ.წ. V ს-ის ბოლოს ქიოსური ვერცხლის სტანდარტი სწრაფად გავრცელდა მცირე აზიის სამხრეთ და დასავლეთ ქალაქებში. ეფესომ ძვ.წ. 415 წლის შემდეგ დაიწყო ქიოსური სტანდარტის გამოყენება.

⁷⁰ 8 ქიოსური დრაქმა იყო 5 პელოპონესური დრაქმის ეკვივალენტური და 9 ქიოსური დრაქმა კი 6 სპარსული დრაქმის ეკვივალენტური.

კიზიკუსში ქიოსური სტანდარტი ათენის დაცემასთან ერთად, ძვ.წ. 405 წელს შემოდის.

ქიოსური სტანდარტის შემდეგი დიდი წარმატება აღინიშნა კარიის ძლევამოსილი სატრაპის, მაუსოლოსის მიერ მისი გადაღებით, რომელმაც თავისი ტახტი ჰალიკარნასში გადაიტანა.

თეოსიც კი, ერთადერთი იონიური ქალაქი, რომელიც ძვ.წ. V ს-ის ბოლომდე ძველ ეგინურ სტანდარტზე იყო ძვ.წ. IV ს-ში უკვე ქიოსურ და როდოსულ სტანდარტს იზიარებს.

ძვ.წ. IV ს-ის შემდეგ ქიოსზე იჭრებოდა ბრინჯაოს და მცირე ზომის ვერცხლის მონეტები; ატიკური სტანდარტის დრაქმები (Gardner 1920: 160-173).

ვერცხლის ორ სერიას შორის არსებულ ინტერვალში ექცევა ელექტრუმის მონეტების იშვიათი გამოშვება; იგი წარმოდგენილია სტატერის ერთადერთი ნიმუშით⁷¹, რომელიც იზიარებს ძველი და ახალი ვერცხლის მონეტების სტილისტურ თვისებებს: ამფორის ყელი გამოხერხილია, ხოლო სფინქსის ფრთა ადრეული ტიპისაა. ელექტრუმის სტატერის ავერსს გარშემოუყვება ვაზის მთლიანი გვირგვინი. ეს არის ვერცხლის სტატერებისთვის იშვიათი თვისება. იგი შემორჩა ახალი სტილის ვერცხლის სამონეტო სისტემაში. ადრეული ტეტრადრაქმის ერთ-ერთ ადრეულ ნიმუშზე, ისევე, როგორც ელექტრუმზე ავერსის მხარე გარშემოვლებულია ვაზის რკალით (Barron 1986: 89-103).

ძვ.წ. 190 წლის შემდეგ, როდესაც რომაელებმა დაამარცხეს სირიელი ანტიოქუს III-ე, ქიოსი, მცირე აზიის მრავალი ქალაქის მსგავსად ჭრიდა ტეტრადრაქმებს ატიკური სტანდარტის მიხედვით, რომელიც ალექსანდრე დიდის სახელს ატარებდა. სფინქსი მიაწინებდა იმის შესახებ, რომ მონეტა ქალაქ ქიოსში იყო მოჭრილი (ტაბ. XIX, 4) (Gardner 1920: 160-173).

⁷¹ დაცულია ბერლინში.

თავი IV. ქიოსური ამფორების დისტრიბუცია

ამფორების დისტრიბუცია იმ მოვლენასთანაა დაკავშირებული, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ბერძნული კოლონიზაციის სახელწოდებითაა ცნობილი. უმეტესი ძეგლები, სადაც ამფორები გვხვდება ყოფილ კოლონიებს ან ბერძნების მიერ დასახლებულ ტერიტორიას წარმოადგენს. თუმცა, ბერძნული სატრანსპორტო ამფორები ისეთ ადგილებშიც გვხვდება, რომლებიც ბერძენთა საკოლონიზაციო აქტივობას არ უკავშირდება; ასეთია მაგალითად ეტრურია ცენტრალურ იტალიაში, რომელიც ეტრუსკული ეთნოსით იყო დასახლებული, ხოლო ქიოსური და სხვა ბერძნული ამფორების აქ მოხვედრა ეტრუსკებსა და ბერძნებს შორის არსებული სავაჭრო ურთიერთობებით და საქონლის გაცვლა-გამოცვლით უნდა აიხსნას.

ქიოსური ამფორების დისტრიბუცია ბერძენთა განსახლების არეალში ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრიდან ძვ.წ. I ს-ის პირველი ნახევრის ჩათვლით განხორციელდა. ამ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ქიოსური ამფორები მოხვდა იტალიაში (ეტრურია, სამხრეთ იტალია, სიცილია); საბერძნეთში (კრეტა, ატიკა, აღმოსავლეთ მაკედონია და თრაკია, პელოპონესის ნ/კ, დასვლეთი საბერძნეთი, ცენტრალური საბერძნეთი და სამხრეთი ეგეოსისპირეთი); კვიპროსზე (ფამაგუსტა, ლიმასოლი, ლარნაკა, ნიქოზია, პაფოსი); ბულგარეთში (ბურგასი, ვარნა, პაზარდიკი, სტარა ზაგორა); აგრეთვე რუმინეთის (ტულჩეა, კონსტანცა), უკრაინის (ზაპოროჟიე, დნეპროპეტროვსკი, ხარკოვი, კიევი, ყირიმი, ხერსონი, ოდესა, ნიკოლაევი); რუსეთის (კრასნოდარი, როსტოვი), საქართველოს (აჭარა, სამეგრელო-ზემო სვანეთი, აფხაზეთი, გურია, იმერეთი); თურქეთის (ხმელთაშუაზღვის სანაპირო, ცენტრალური ანატოლია, ეგეოსის ზღვის სანაპირო, მარმარილოს ზღვის სანაპირო); ისრაელის (ჰაიფა, ჩრდილოეთის რეგიონი, სამხრეთის რეგიონი); ეგვიპტისა (კაფრ ელ-შეიხი, ალექსანდრია, ქალიუბია, ლუქსორი) და ლიბიის (კირენაიკა) ტერიტორიაზე.

ამ ინფორმაციის მიხედვით ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ ქიოსური იმპორტული ამფორების წარმოების მოცულობა აღნიშნულ პერიოდში, მათი დისტრიბუციის არეალი და ის სავაჭრო საზღვაო მარშრუტები, რომელთა გავლითაც

ქიოსის პროდუქცია აღნიშნულ რეგიონებში ხვდებოდა; ხოლო ქიოსური ამფორების აღმოჩენის თითოეულ პუნქტში სხვა ცენტრების თანადროული ამფორების რაოდენობის ჩვენებით კი უფრო აშკარა ხდება ქიოსის როლი ბერძნულ სატრანსპორტო ვაჭრობაში (Zeect 1960: 74-9; Hind 1984: 71-79; Sarikakis 1986: 121-128).

დამატებით, სტატისტიკური ანალიზის უკეთ ჩვენებისათვის აქვეა ინფორმაცია იმ ძეგლებიდან, სადაც გამოვლინდა ბერძნული სატრანსპორტო ამფორები, მაგრამ მათ შორის ქიოსური არ დადასტურდა.

IV. 1. ხმელთაშუაზღვისპირეთი

ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევარში დაწყებული მასობრივი პროცესი საბერძნეთის მოსახლეობის ფართო ტერიტორიაზე განსახლებით აღინიშნა. იგი იყო, ერთ-ერთი ძირითადი, თუ არა უმთავრესი ფენომენი საბერძნეთის ისტორიაში; ბერძნები კოლონიებს აარსებდნენ ახალ გარემოში; ამ კოლონიალურ სამყაროში ადგილობრივი და ბერძნული კულტურები ხვდებოდნენ, ავსებდნენ და გავლენას ახდენდნენ ერთმანეთზე (Tsetskhladze, De Angelis 1994: ix).

დაახლოებით ძვ.წ. 800 წლისთვის ევბეელმა ბერძნებმა დაიწყეს სირიაში, კერძოდ, ალ მინაში დასახლება მდ. ორონტეს შესართავთან. მალევე მათ დასახლება დაიწყეს ასევე პითეკუზაზე (ნეაპოლის ყურის ჩრდილოეთი ნაწილი) და ჩანს, რომ აქტიურ საქმიანობას ეწეოდნენ ეტრურიაში. საუკუნის ბოლოსათვის კოლონიზაცია დაიწყო სამხრეთ იტალიასა და სიცილიაზე. ამ გაფართოვებას სხვადასხვა მიზეზები ჰქონდა. სირიაში ბერძნები ვაჭრები იყვნენ; საშინაო ფუფუნების საგნებით - ხელოვნების მცირე ნიმუშებით ვაჭრობდნენ. ეტრურიაში ისინი ასევე ვაჭრები იყვნენ, მაგრამ ფუფუნების საგნებს ცვლიდნენ ლითონის რესურსებზე. სიცილიაზე და სამხრეთ იტალიაში ისინი ნაყოფიერი მიწებით, ხორბლით და დასასახლებლად ხელსაყრელი ადგილების შერჩევით იყვნენ დაინტერესებულნი (Cook 1949: 41; ლორთქიფანიძე 1966; Braund 2010: 119-126; Tsetskhladze 1992: 223-258). იგივე შეიძლება ითქვას შავიზღვისპირეთზეც (Проблемы... 1979; Демографическая... 1979).

ქიოსური ამფორების დისტრიბუციის არეალიდან თავდაპირველად ხმელთაშუაზღვისპირეთს განვიხილავთ, რომელიც თავისმხრივ აერთიანებს იტალიის, საბერძნეთისა და კვიპროსის ტერიტორიაზე არსებულ ძეგლებს. ამავე არეალში შედის ესპანეთისა და საფრანგეთის ტერიტორია, სადაც ბერძნული კოლონიზაცია ასევე განხორციელდა, თუმცა ამ რეგიონებიდან მომდინარე ქიოსური ამფორები ჩვენთვის უცნობია. გამონაკლისს წარმოადგენს დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში ბალეარის კუნძულებთან ახლოს ჩამირული გემი, რომლის ტვირთი ამოღებულ იქნა ელ სეკის ყურიდან XX ს-ის 70-იან-80-იან წწ-ში. გემის ტვირთი საერთო ჯამში 450 მთლიან და ფრაგმენტირებულ ამფორებს შეიცავდა. ამფორებში საკმაოდ მრავალი ცენტრი განირჩევა და მათ შორის სავარაუდოდ ქიოსის პროდუქციაც უნდა იყოს.

ყველაზე დიდი რაოდენობით - 150 ნიმუშით **სოლოხა I** ტიპის ამფორებია წარმოდგენილი; 90-ზე მეტი **გრეკო-იტალიკურია**, 54 - **კორინთული A** და **B** ამფორები (ყველა მათგანი ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება), 30 - **ქიოსური?** (ძვ.წ. V ს-ის მესამე მეოთხედი) 20 - **პუნიკური**; **მენდე**, **კოსი**, **თასოსი** და **სინოპე** თითო-თითო ნიმუშის სახითაა წარმოდგენილი; დანარჩენი დაუდგენელია (Arribas, Trias, Gérda, Hoz 1987; Монахов 1999: 372-374).

IV. 1. 1. იტალია

ქიოსური ამფორების დისტრიბუციის არეალიდან პირველ რიგში იტალიას განვიხილავთ, რადგან, თუ არ ჩავთვლით კუნძულ ქიოსს ყველაზე არქაული ქიოსური ამფორები სწორედ იტალიის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი.

აქ გამოვლენილი ბერძნული იმპორტული ამფორები საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ თუ როგორი იყო ამ რეგიონში ვაჭრობისა და ეკონომიკის ხასიათი, ე.წ. მოდელი არქაული ხანიდან გვიან ელინისტური ხანის ჩათვლით. ნამოსახლარებზე, სამაროვნებზე და ძველი ნავსადგურების ტერიტორიაზე გამოვლენილი დიდძალი ამფორული მასალა საკმაოდ ინფორმაციას გვაწვდის აქ არსებულ კონტაქტებზე და იტალიის სავაჭრო მნიშვნელობაზე;

ბერძნებმა, კერძოდ ევბელებმა პირველი კონტაქტები იტალიასთან ჯერ კიდევ ბერძნული კოლონიზაციის დაწყებამდე, წინარე კოლონიზაციის პერიოდში დაამყარეს. ისინი ვაჭრობდნენ ეტრუსკ მოსახლეობასთან და ადგილობრივ, იტალიკურ ტომებთან; ამ ურთიერთობების არსებობაზე მიუთითებს ვეიოში (ეტრურია); პითეკუზაში, პონტეკანიანოში, ოტრანტოში (მაგნა გრეცია ⁷²); ვილაზმუნდოში (სიცილია) და სხვ. აღმოჩენილი ბერძნული გეომეტრიული სტილის კერამიკა - კიკლადური და ევბეური ფართოპირიანი, ორყურა სასმისები და შევრონული სკიფოსები, რომლებიც ძვ.წ. IX ს-ის ბოლო - VIII ს-ის დასაწყისით თარიღდება.

ფინიკიელი ვაჭრები ბერძნების წინამორბედნი იყვნენ დასავლეთისკენ მოგზაურობაში; ისინი კარგად იცნობდნენ აქ არსებულ გზებს და სწორედ მათი სავაჭრო გემების დამსახურება იყო ბერძნების მოსვლა სამხრეთ იტალიასა და სიცილიაზე (Strabo, VI, 2. 2 (267); Austin, Vidal-Naquet 1973: 61-65).

ამ ქმედებებმა და განვითარებული ნავიგაციის პირობებმა ნიადაგი მოამზადა კოლონიზაციის დასაწყებად; ამან კი ბერძნებს გზა გაუხსნა დასავლეთის მიმართულებით, რასაც ქალკიდელებისა და ერეტრიელების მიერ მაგნა გრეციაში პირველი ბერძნული ახალშენების (პითეკუზა, კუმა) დაარსება მოჰყვა ჯერ კიდევ კოლონიზაციის გარიჟრაჟზე.

მაგნა გრეცია და სიცილიაზე არსებული დემოგრაფიული სიტუაცია საკმაოდ განსხვავებული იყო იმ სიტუაციისგან, რომელიც ბერძნებს სხვაგან დასახლებისას დახვდათ. აქ საქმე გვაქვს ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მეტად ათვისებულ ტერიტორიასთან; ბერძენ კოლონისტებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის არსებულ კონტაქტებზე საგულისხმო ინფორმაციას გვაწვდიან ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევრითა და ბოლო ხანებით დათარიღებული სამაროვნები.

იტალიის ამ რეგიონებში დაარსებულ კოლონიებს შორისაც მნიშვნელოვანი სხვაობაა. ტერიტორიის ათვისება რამდენიმე მიმართულებით მიმდინარეობდა;

⁷² მაგნა გრეცია (ლათ. Magna Graecia; ბერძ. Μεγάλη Ἑλλάς) - დიდი საბერძნეთი. სამხრეთ იტალიის ტერიტორიაზე დაარსებულ ახალშენებს ბერძნებმა ასე უწოდეს. იგი მოიცავს სამხრეთ იტალიას და აერთიანებს დღევანდელი კამპანიის, ბაზილიკატას, პულიისა და კალაბრიის რეგიონებს.

მოახალშენეები იყვნენ: ევბელები, დორიელები და მეგარელები, რომელთაც სხვადასხვა კოლონიების დაარსება მიეწერებათ.

ბერძნების მოგზაურობის თავდაპირველი მიზეზი აქ არსებული ლითონის რესურსების ათვისება იყო⁷³ იმისათვის, რომ შემდეგ ბარბაროს მოსახლეობასთან ევაჭრათ; შესაძლოა სწორედ ამ მიზანმა განაპირობა ძვ.წ. VIII ს-ში იტალიის ტერიტორიაზე ნამოსახლარების გაჩენა (Austin... 1973: 66).

სატრანსპორტო ამფორებით სხვადასხვა პროდუქტები საბერძნეთიდან იტალიის ტერიტორიაზეც შემოდიოდა. ქიოსის პროდუქცია აქაც ერთ-ერთ დომინანტ როლს თამაშობს და ქიოსური ამფორები მათი წარმოების დასაწყისი ფაზიდან გვხვდება იტალიის ბერძნულ ახალშენებზე. აქ აღმოჩენილია ათეულობით ძეგლი, რომელზეც ამ ცენტრის იმპორტია დადასტურებული სხვა, თანადროული ცენტრების ამფორებთან ერთად.

იტალიაში ქიოსური ამფორები შემდეგ რეგიონებში ფიქსირდება: ეტრურია, სამხრეთ იტალია (მაგნა გრეცია) და სიცილია.

§1. ეტრურია

ეტრურიაში არსებულმა ლითონის რესურსებით დაინტერესებამ მოიყვანა ბერძენთა პირველი ტალღა იტალიაში, რასაც შემდეგ მოჰყვა საბერძნეთიდან დიდძალი პროდუქციის იმპორტი, რომელშიც ამფორები ერთ-ერთ მოწინავე პოზიციას იკავებენ.

ეტრურია ეწოდებოდა ცენტრალური იტალიის რეგიონს, რომელიც დღევანდელი ტოსკანას, ლაციუმის, ემილია-რომანიასა და უმბრიას რეგიონებს აერთიანებს (ტაბ . IV).

ეტრუსკების ფართო განსახლება ცენტრალურ იტალიაში ძვ.წ. IX ს-ში დაიწყო. ეტრუსკული კულტურა დომინანტი იყო იტალიის ტერიტორიაზე ძვ.წ. VII ს-ის შუა ხანებში.

⁷³ ევბელები ცნობილნი იყვნენ ლითონდამუშავების გამოცდილებით.

ეტრურიის სხვადასხვა ძეგლებზე ჩატარებული სამუშაოების შედეგად აღმოჩენილ ბერძნულ იმპორტულ ამფორებში ერთ-ერთ წამყვან პოზიციას ქიოსური ამფორები იკავებენ, რომელთა შორის მათი უადრესი, ყველაზე არქაული ნიმუშები გამოიკვლია. კერამიკულ ტარაში წამყვანი პოზიცია, ბუნებრივია, ადგილობრივ, ეტრუსკულ ამფორებს უჭირავთ, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენი მიზანია ბერძნული იმპორტული ამფორების და მათ შორის ქიოსურის ხვედრითი წილის დადგენა, ძეგლებზე დადასტურებული ეტრუსკული ამფორების რაოდენობას არ ვუთითებთ. ქვემოთ განხილული ძეგლები დალაგებულია ქიოსური ამფორების ქრონოლოგიური ჯგუფების თანმიმდევრობით - ძველიდან ახლისკენ.

ეტრურიაში ბერძნული ამფორული იმპორტი შემდეგ ძეგლებზე დადასტურდა: ჩერვეტერი, ვულჩი, მანტოვა, ტარქვინია, სპინა, აკუაროსა, ვეიო.

ჩერვეტერი. ეტრურიაში ყველაზე ადრეული ქიოსური იმპორტი ჩერვეტერიში დადასტურდა. იგი მდებარეობს ლაციოს რეგიონში (ტაბ. IV).

ძვ.წ. 600 წელს 25 000 - 40 000 მცხოვრებით ჩერვეტერი ეტრურიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ქალაქს წარმოადგენდა.

ძეგლზე გათხრილ სამაროვანზე დადასტურებული ძვ.წ. VII ს-ის პირველი ათწლეულებით დათარიღებული ბერძნული იმპორტი ადგილობრივ, ეტრუსკულ ამფორებზე ადრეულია (ეს უკანასკნელი ძვ.წ. VI ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება), რაც ბერძნების (კერძოდ, ევბეელების) ადრეულ ინტერესს ადასტურებს რეგიონში.

ჩერვეტერიში გამოვლინდა სულ მცირე 74 ამფორის ფრაგმენტები, მათგან: 24 (32,43%) - ატიკური SOS-ის⁷⁴ (20 - ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევარი; 4 - ძვ.წ. VI ს-ის პირველი მეოთხედი), 17 (22,97%) - ქიოსი (1 - ძვ.წ. VII ს-ის მეორე მეოთხედი; 10 - ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევარი; 6 - ძვ.წ. VI ს-ის პირველი ნახევარი), 14 (18,91%) - სამოსი (12 - ძვ.წ. VI ს-ის პირველი ნახევარი; 2 - ძვ.წ. VI ს-ის მეორე ნახევარი), 14

⁷⁴ SOS ტიპის ამფორები ათენში გვიან გეომეტრიული I პერიოდიდან ძვ.წ. VI ს-ის დასაწყისამდე მზადდებოდა და გამოიყენებოდა ზეითუნის ზეთის ექსპორტისთვის. ამ ტიპის ამფორებში ა. ჯონსტონმა სამი ძირითადი ჯგუფი გამოიკვლია: ადრეული (ძვ.წ. 725-675 წწ.); შუა (ძვ.წ. 675-625 წწ.) და გვიანი (625-575 წწ.). ეტრუსკული კონტექსტების საფუძველზე ეს უკანასკნელი ჯგუფი ორ ქვეჯგუფად იყოფა: გვიანი I (625-600 წწ.) და გვიანი II (600-575 წწ.). იხ. A. Johnston., The SOS Amphorae. Annual of the British School at Athens. 1978.

(18,91%) - ატიკური **A la brosse** (7 - ძვ. VI ს-ის პირველი ნახევარი; 7 - ძვ. VI ს-ის მეორე ნახევარი), 2 (2,70%) - **კლაზომენე** (ძვ. VII ს-ის მეორე ნახევარი), 1 (1,35%) - **კორინთული A** (1 - ძვ. VII ს-ის მეორე ნახევარი), 1 (1,35%) - **კორინთული B** (ძვ. VI ს-ის მეორე ნახევარი), 1 (1,35%) - **უცნობი ცენტრის**.

ბერძნული იმპორტული ამფორები მდიდრულ აკლდამებში გამოვლინდა.

ჩერვეტერის სამაროვანზე დადასტურდა ყველაზე არქაული ქიოსური ამფორა, რომელიც თანმხლები მასალის მიხედვით ძვ. წ. 675 წლით თარიღდება და თეთრანგობიანი ტიპის ყველაზე ადრეული ჯგუფის ამფორებიდანაც ყველაზე ადრეულია (მონახოვის I-A ვარიანტი).

აქ დადასტურებული ქიოსური ამფორების ზედაპირი ანგობითაა დაფარული, რომელზეც მოხატულობა ყავისფერი საღებავითაა შესრულებული.

ვულჩი. მომდევნო ეტრუსკული ქალაქი, რომელზეც ასევე ყველაზე ადრეული ქიოსური ამფორები დადასტურდა ვულჩია. იგი მდებარეობს რომის ჩრდილოეთით, ლაციოს რეგიონში (ტაბ. IV).

ძეგლზე გამოვლენილი 57 ამფორიდან: 22 (38,59%) - **კორინთული A** ტიპისაა (ძვ. წ. VI ს-ის პირველი ნახევარი), 10 (17,54%) - **სამოსურია** (2 - ძვ. წ. VII ს-ის მეორე ნახევარი; 8 - ძვ. წ. VI ს-ის პირველი ნახევარი), 9 (15,78%) - **ატიკური SOS** (ძვ. წ. VII ს-ის მეორე ნახევარი), 6 (10,52%) - **ქიოსი** (ძვ. წ. VII ს-ის მეორე ნახევარი), 4 (7,01%) - **კლაზომენე** (ძვ. წ. VI ს-ის პირველი ნახევარი), 3 (5,26%) - **ლაკონია** (ძვ. წ. VI ს-ის პირველი ნახევარი), 2 (3,5%) - **მილეტი** (ძვ. წ. VI ს-ის პირველი ნახევარი), 1 (1,75%) - **ატიკური A la brosse** (ძვ. წ. VI ს-ის პირველი ნახევარი).

აქ გამოვლენილი ქიოსური ამფორები ყველაზე ადრეულ, თეთრანგობიან ტიპს მიეკუთვნება (მონახოვის I-A ვარიანტი) (Boitani 1985: 26-30; Rizzo 1990: 11-20).

რეჯისვილა. მდებარეობს ვულჩის ტერიტორიაზე. აქ გამოვლენილი მასალა უფრო მოგვიანო ხანას მიეკუთვნება. ძეგლზე დადასტურებული ქიოსური ამფორების მცირეოდენი ფრაგმენტები ორ ტიპს: ყელგამობერილსა და ცილინდრულ ყელიანს განეკუთვნება (მონახოვის I და II ტიპები). ამფორების კეცი მოვარდისფრო-მოწითალო ფერისაა, თეთრი ფერის და იშვიათად ქარსის ჩანართებით. პირს წითელი ფერის საღებავით დატანილი ხაზი გარშემოუყვება. ყურებზე და ყელზე არ ჩანს

დეკორის კვალი. ამ პერიოდში ამფორების ყელი ჯერ კიდევ მაღალია. აქ აღმოჩენილი ყელგამობერილი ამფორების ფრაგმენტები საერთოს პოულობენ ძვ.წ. VI ს-ის ბოლო - V ს-ით დათარიღებულ ნიმუშებთან.

რეჯისვილაში სულ 20 ამფორის ფრაგმენტები გამოვლინდა, მათგან: 8 - სამოსური, 2 - ქიოსური, 2 - კორინთული A. ყველა მათგანი ძვ.წ. VI-V სს-ებს განეკუთვნება (Boitani 1985: 23-26).

მანტოვა. ძვ.წ. 750-500 წწ-ში ეტრუსკების ექსპანსიის შედეგად მათი მმართველობა იტალიის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ქალაქებშიც დამყარდა. გეოგრაფიული თვალსაზრისით იტალიის ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე ადგილი, სადაც ქიოსური იმპორტია დაფიქსირებული არის ეტრუსკული ქალაქი მანტოვა, რომელიც დღესდღეობით ლომბარდიის ტერიტორიაზე მდებარეობს (ტაბ. IV).

არქეოლოგიურ აღმოჩენებზე დაყრდნობით მანტოვაში დასახლება ძვ.წ. VI ს-ში გაჩნდა.

ძეგლზე გამოვლენილ ბერძნულ სატრანსპორტო ამფორებში მრავალი ცენტრის პროდუქცია გამოიკნობა; ესენია: კორინთული A, A1, B; ატიკური, ქიოსური, სამოსური, მილეტური, თასოსური და მენდეს ამფორები. ყველაზე მრავალრიცხოვანია კორინთული ამფორები (ზუსტი რაოდენობა უცნობია), მათ მოსდევს ქიოსური.

ქიოსური ამფორები სავარაუდოდ 8 ნიმუშის სახითაა წარმოდგენილი. არცერთი მათგანი არ მიეკუთვნება მთლიან ამფორას. მათგან: 1 - ძვ.წ. V ს-ის პირველი მეოთხედით; 2 - ძვ.წ. V ს-ის მეორე მეოთხედით; 3 - ძვ.წ. V ს-ის შუა ხანებით (მათგან ერთი ძირის ფრაგმენტია და 2 - ძვ.წ. V ს-ის ბოლო - IV ს-ით თარიღდება).

ქიოსური ამფორებიდან ერთ-ერთის ყურის მხართან მიძერწვის ადგილთან რამდენიმე ანბანური ასო-ნიშნისგან შემდგარი გრაფიტოა მოცემული. ამფორის ზედაპირის ცუდად შემონახულობის გამო გრაფიტოს წაკითხვა რთულდება. არსებობს მისი ორი შესაძლო ინტერპრეტაცია: პირველის თანახმად ამფორაზე ამოკაწრულია ალფაბეტური X, Π I; მეორე ინტერპრეტაციით: EI. პირველ შემთხვევაში გრაფიტო იმიფრება როგორც: Xόεζ 6 - 6 ხოა. მეორე ინტერპრეტაციით:

έμυ μετρητής 1 Χοΰς - ნახევარი მეტრეტი და ერთი ხოა, ანუ ჯამში 7 ხოა, რადგან ნახევარი მეტრეტი 6 ხოას უდრის. მეორე წაკითხვა უფრო დამაჯერებელია, რადგან მსგავსი გრაფიტო უკვე გვხვდება ათენის აგორადან მომდინარე ქიოსურ ამფორაზე⁷⁵. ეს მოცულობითი გრაფიტოა, რომელიც ამფორის ტევადობას მიანიშნებს. 7 ხოას ტევადობის ამფორა 17-20 ლიტრ ღვინოს იტევდა. ხოების მითითება ქიოსურ და არა ათენურ სტანდარტზეა, რადგან აქ არის ფსილოსი (ატიკური ἥμυ-ს ნაცვლად ქიოსური έμυ).

რაც შეეხება თარიღს, ამფორის ფორმისა და კეცის დამახასიათებელი თვისებების მიხედვით იგი ყელგამობერილი ტიპის ადრეულ ჯგუფს მიეკუთვნება და ძვ.წ. V ს-ის პირველი მეოთხედით თარიღდება (მონახოვის III-B ვარიანტი).

მანტოვაში ქიოსური და სხვა ბერძნული იმპორტული ამფორები, რომელთა რაოდენობა უცნობია ადრიას და სპინას პორტებიდან უნდა მოხვედრილიყო, სადაც ანტიკურ ხანაში საქონლის გაცვლა-გამოცვლა მიმდინარეობდა (Castoldi 1999: 235-239).

ტარქინია. მომდევნო ეტრუსკული ქალაქი, სადაც ქიოსური ამფორები ასევე დადასტურდა არის ტარქინია (ტაბ. IV. 1). არქეოლოგიური გათხრების შედეგად ძეგლზე მრავალრიცხოვანი ბერძნული იმპორტული ამფორები გამოვლინდა. ისინი ძლიერ ფრაგმენტულია; ამფორების ფრაგმენტები ცენტრების მიხედვით ასე გადანაწილდა:

ცენტრი	თარიღი	პირი/ ყელი	ყური	გვერდი	ძირი/ ქუსლი	სულ
ატიკური SOS	ძვ.წ. VI ს-ის I ნახევარი			1	2	
სამოსი	ძვ.წ. VI ს-ის ბოლო	4			2	
ქიოსი	ძვ.წ. V ს-ის	3	1		1	

⁷⁵ P2368. ამფორაზე მოცემულია გრაფიტო: EII - ნახევარი მეტრეტი და კიდევ ორი ხოა - ჯამში 8 ქიოსური ხოა Lawall 2000:).

	I ნახევარი					
კორინთული B	ძვ.წ. IV ს-ის II ნახევარი	3			2	
კლაზომენე	ძვ.წ. VI ს-ის I ნახევარი	2	2			
ლესბოსი	ძვ.წ. VI ს.	2				
კორინთული A	ძვ.წ. VI ს-ის I ნახევარი	3				
დაუდგენელი		5	6	18	8	

ცხრილი 4. ტარქვინიაში დადასტურებული ბერძნული სატრანსპორტო ამფორები

აქ გამოვლენილი ქიოსური ამფორების კეცი მოწითალო-მოჩალისფროა, კარგად განლექილი. ზედაპირზე ანგობის ნარჩენებია შემორჩენილი. მათი ტიპი გაურკვეველია (Scotti 1999: 261-281).

ქალაქი *გრაჯისკა* მდებარეობს ტარქვინიის ტერიტორიაზე. ძეგლზე სხვა მრავალრიცხოვან მასალასთან ერთად დაფიქსირდა **სამოსური** და **კორინთული** ამფორები, რომელთა რაოდენობა უცნობია. ისინი ძვ.წ. VI-III სს-ით განსაზღვრული პერიოდით თარიღდება.

ძეგლზე ასევე გამოვლინდა ფსევდო-ქიოსური ამფორები. ისინი მაღალი, გამობერილი ყელით, დაგრძელებული კორპუსით და ოვალურგანივკვეთიანი ყურებით ხასიათდება. ამ ტიპის ამფორები ხმელთაშუაზღვისპირეთში ძვ.წ. VI-III სს-შია გავრცელებული. ისინი წარმოადგენენ ადგილობრივ, მაგნა გრეციულ ნაწარმს, რომლის საწარმოო ცენტრები, როგორც ჩანს კამპანიის სამხრეთ ნაწილსა და კალაბრია-ლუკანიის რეგიონებში მდებარეობდა (წარმოების ადგილია ლოკრი, ველია). ისინი ღვინის ტრანსპორტირებისთვის გამოიყენებოდა.

ფსევდო-ქიოსური ამფორები სხვადასხვა მკვლევარების მიერ სხვადასხვაგვარად მოიხსენიება: ერთი ნაწილი მათ ფსევდო-ქიოსურს უწოდებს (სლასკა⁷⁶, გასნერი⁷⁷) მეორენი c.d. ქიოსურით მოიხსენიებენ (დი სანდრო⁷⁸); ზოგიერთი მკვლევარი კი მათ მარზამემემი H-ის ტიპის (პარკერი⁷⁹), ან MGS II ამფორებად მოიხსენიებენ (Albanese Procelli 1996: 91-126).

ქიოსური იმპორტის ინტენსივობის დემონსტრირებისათვის, მართალია მათი სტატისტიკა არ გამოდგება, თუმცა მიზანშეწონილად მიგვაჩნია მათი რაოდენობის ჩვენება, რადგან ქიოსური ამფორების ადგილობრივი მინაბაძების დამზადება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ამ ცენტრის კერამიკული ტარის პოპულარობას.

გრავისკადან 12 ფსევდო-ქიოსური ამფორა მომდინარეობს, რომლებიც ძვ.წ. VI ს-ის დასასრულითა და V ს-ის დასაწყისით თარიღდება (Gori, Pierini 2001; Fortunelli 2007: 344-347).

სპინა. ქიოსური ამფორების მომდევნო ქრონოლოგიური ჯგუფი სპინაში დადასტურდა. იგი მდებარეობს მანტოვადან სამხრეთ-აღმოსავლეთით, ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე; მდ. პოს შესართავთან; დღეისათვის ლოკალიზებულია ფრიული-ვენეცია-ჯულიას რეგიონში (ტაბ. IV).

სპინა ეტრუსკულ პორტს წარმოადგენდა, სადაც ანტიკურ ხანაში გაცხოველებული ვაჭრობა მიმდინარეობდა, რომელშიც ეტრუსკებთან ერთად ბერძნებიც მონაწილეობდნენ.

სპინას სამაროვნების გათხრების დროს პერიოდულად ჩნდებოდა სხვადასხვა ბერძნული ცენტრების იმპორტული ამფორები, რომლებიც ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრით და III ს-ის დასაწყისით დათარიღებული აკლდამებიდან მომდინარეობს.

გათხრების შედეგად საერთო ჯამში 19 ბერძნული სატრანსპორტო ამფორა აღმოჩნდა, მათგან: 9 - **იონიურია** (ძვ.წ. IV ს-ის ბოლო - III ს-ის დასაწყისი), 6 -

⁷⁶ M. Slaska., Gravisca. Le Ceramiche Comuni di Produzione Greco-Orientale. Les ceramiques de la Grece de l'Est et leur diffusion en Occident. Paris-Naples, 1978.

⁷⁷ V. Gassner., Economia e Commercio ad Elea in eta' Tardo-Arcaica. Elea-Velia. Le Nuove Ricerche. Atti del convegno di studi. Napoli 14 dicembre 2001. 2003.

⁷⁸ Di Sandro, N., Le Anfore Arcaiche dallo Scarico Gosetti, Pithecusa. Centre Jean Bérard. 1986.

⁷⁹ A. Parker., Ancient Shipwrecks of the Mediterranean and the Roman provinces. *BAR international Series*. 580. Oxford 1992.

კორინთული B (1 - ძვ.წ. V ს-ის შუა ხანები; 1 - ძვ.წ. V ს-ის ბოლო - IV ს-ის დასაწყისი; 1 - ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი; 2 - ძვ.წ. IV ს-ის ბოლო - III ს-ის დასაწყისი; 1 - ძვ.წ. III ს.), 4 - **ქიოსური** (ძვ.წ. V ს-ის ბოლო).

აქ გამოვლენილი ქიოსური ამფორების ზედაპირი მოყავისფრო-მოწითალო, ხოლო შიდაპირი ნაცრისფერია. კეცი კარგად განლექილი, ქვიშისა და ქარსის მინარევებით. ერთ-ერთი ამფორის ყელის ერთ მხარეს წრე, ხოლო მეორე მხარეს ალფას მაგვარი ნიშანია საღებავით დატანილი (De Luca De Marco 1979: 571-586).

სპინაში დადასტურებული ქიოსური ამფორების დეფინიციას მხარს უჭერს სტრაბონის ცნობა ქიოსური და თასოსური კერამიკის მახლობელ მარონეში (დღევანდელი ლომბარდია) (ტაბ. IV) მოტანის თაობაზე (Strabo, VII, 5, 9, 317).

მომდევნოა *კუჟაროსა*. მდებარეობს ლაციოს რეგიონში (ტაბ. IV).

აქ გამოვლენილი ბერძნული სატრანსპორტო ამფორებიდან ქიოსური არ გვხვდება, თუმცა წარმოდგენილია: 2 - **სამოსური** (ძვ.წ. VII ს-ის ბოლო), 1 - **ლესბოსური** (ძვ.წ. VII ს-ის ბოლო) და 1 - **კორინთული** (ძვ.წ. VI ს-ის ბოლო - V ს-ის დასაწყისი) ამფორა (Olofsson 2003: 73-82).

გეილ. მდებარეობს რომის ჩრდილო-დასავლეთით, 16 კმ-ის დაშორებით (ტაბ. IV). იგი ასევე ერთ-ერთ მოწინავე ეტრუსკულ ქალაქს წარმოადგენდა.

ბერძნულ სატრანსპორტო ამფორებში წარმოდგენილია: 4 **ატიკური SOS** ამფორა (ძვ.წ. VII ს-ის მეორე მეოთხედი) და 1 ამფორა, რომლის წარმოშობის ადგილი, ზოგადად **აღმოსავლეთ საბერძნეთია** (ძვ.წ. VII ს-ის მეორე მეოთხედი) (Boitani 1985: 26-30; Rizzo 1990: 11-20).

§2. სამხრეთ იტალია (Magna Graecia)

იტალიის მომდევნო რეგიონი, რომელიც ჩვენი კვლევის ობიექტია არის სამხრეთ იტალია, იგივე მაგნა გრეცია. მასთან დაკავშირებულია ბერძენთა ერთ-ერთი პირველი საკოლონიზაციო აქტივობები, რომლის დროსაც მრავალი ბერძნული ახალშენი იქნა დაარსებული.

ევბეელების მაგნა გრეციაში მოსვლის და დასახლების მიზეზი აქ არსებული ლითონის რესურსებით დაინტერესება იყო. აქ დასახლებით ისინი ერთის მხრივ ეტრუსკებთან ვაჭრობდნენ, ხოლო მეორეს მხრივ ცდილობდნენ კონტროლი მოეპოვებინათ ნეაპოლის ყურეზე. სტრატეგიული თვალსაზრისით დასასახლებლად მათ პითეკუზას სახით კარგი ადგილი აირჩიეს, რადგან მას ზღვაზე გასასვლელიც ჰქონდა და თან, უშუალოდ ეტრურის საზღვარზე იმყოფებოდა (Coldstream 1994; Riva 2010: 210-225; Tandy 1997: 76-81).

ძვ.წ. VIII ს-ში, მოსვლისთანავე ევბეელები (ქალკიდელები და ერეტრიელები) მანამდე აქ არსებულ სავაჭრო ურთიერთობაში⁸⁰ ჩაერთნენ, რომელშიც ფინიკიელები, ეტრუსკები, კამპანიელები და სარდინიელები თანაბრად მონაწილეობდნენ (Austin... 1973: 66).

სამხრეთ იტალიის ტერიტორიიდან შემდეგ ძეგლებს განვიხილავთ: პითეკუზა, კუმა, ველია, ტარენტუმი, ბაზილიკატა, ლიპარი. აქვე განვიხილავთ კალაბრიაში, პორტიჩელოს მახლობლად ჩაძირულ გემს.

პითეკუზა. პითეკუზა, მეორენაირად ისკია მდებარეობს ნეაპოლის ყურის ჩრდილო ნაწილში (ტაბ. IV).

პითეკუზას შესახებ სხვადასხვა წერილობითი წყაროებიდან აღსანიშნავია ლივიუსი, რომელიც მიუთითებს, რომ იგი ბერძნების მიერ დაარსებული ყველაზე პირველი ნამოსახლარი იყო იტალიაში. იგი აღწერს, რომ ქალკიდელები პირველად კ. პითეკუზაზე დასახლდნენ⁸¹, ხოლო შემდეგ გადაინაცვლეს კუმაში (Livy, VIII, 22).

პითეკუზას აკროპოლისს, რომელიც მონტე დი ვიკოს სახელითაა ცნობილი ორივე მხრიდან ესაზღვრება ნავსადგური. ჯ. ბუხნერის მიერ აქ წარმოებული ფართომასშტაბიანი არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად სან მონტანოს

⁸⁰ ევბეელებს წინ უსწრებდნენ კვიპროსელები, რომლებიც სარდინიის რკინის რესურსებით იყვნენ დაინტერესებულნი და უკვე ძვ.წ. XII-XI სს-ში მოგზაურობდნენ აქ.

⁸¹ სან მონტანოს სამაროვნის გათხრის შედეგად დადგინდა, რომ ევბეელები აქ დაახლოებით ძვ.წ. VIII ს-ის შუა ხანებში მოვიდნენ.

დაბლობზე და სკარიკო გოსეტიში გამართულ სამაროვნებზე 1300-მდე⁸² სამარხი გამოვლინდა (Buchner, Ridgway 1993).

სამაროვანზე დადასტურებული დაკრძალვის წესი ბერძნულია (ერეტრიის სამარხებშიც მსგავსი დაკრძალვის წესი გვხვდება); გავრცელებულია ინჰუმაციური ორმოსამარხები, კრემაციული ურნები, რომელთაც ქვის პირამიდის ქვეშ ათავსებდნენ; ახალშობილთა ამფორებში დაკრძალვის ტრადიცია. მეორე მხრივ, სამარხებში აღმოჩენილი ინვენტარი ადგილობრივ, იტალიკურ მოსახლეობას ეკუთვნის (Coldstream 1994: 47-59; Riva 2010: 210-225).

სამარხებში საერთო ჯამში 140 ბერძნული იმპორტული ამფორა გამოვლინდა, რომელთაგან განსახილველ პერიოდს 104 ეკუთვნის; მათგან: 42 (40,38%) ქიოსურია (11 - ძვ.წ. VII ს-ის ბოლო - VI ს-ის დასაწყისი; 15 - ძვ.წ. V ს-ის ბოლო - IV ს-ის დასაწყისი; 8 - ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევარი; 8 - ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი), 23 (22,11%) - კორინთული A და A1 (10 - ძვ.წ. VII-VI სს; 13 - ძვ.წ. V-IV სს.), 12 (11,53%) - აღმოსავლეთი საბერძნეთი (თარიღი უცნობია), 11 (10,57%) - სამოსური (ძვ.წ. VI ს-ის შუა ხანები), 9 (8,65%) - კორინთული B (ძვ.წ. VI-V სს.), 4 (3,84%) - მენდე (ძვ.წ. V ს-ის შუა ხანები - IV ს-ის დასაწყისი) და 3 (2,88%) - ლესბოსური (ძვ.წ. VII ს-ის მესამე მეოთხედი).

არქაული ქიოსური ამფორებიდან აქ გამოვლინდა 11 ნიმუში (მონახოვის 1-A ვარიანტი). მათი ანგობირებული ზედაპირი საღებავითაა დაფარული, რომელიც ხშირ შემთხვევებში პირის შიდა მხარეზეც გადადის. მოხატულობა ძირითადად მუქი ყავისფერია; პირი თითქმის ყოველთვის მოხატულია, საღებავი ხშირად დატანილი, ასევე ყურებზეც. ზოლების სიგანე 0,6-სა და 1,4 სმ-ს შორის მერყეობს.

ქიოსური, მოგვიანო ტიპის ამფორებიდან დადასტურდა 31 ნიმუში, რომლებიც ძვ.წ. V საუკუნის I ნახევრიდან ძვ.წ. IV საუკუნის დასასრულამდე განსაზღვრული

⁸² რაც მთლიანი სამაროვნის მხოლოდ 5%-ს შეადგენს. არისტოკრატიული ფენის სამარხები ჯერ არ არის გამოვლენილი, რის გამოც ნამოსახლარის დანიშნულების შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. გამოვლენილი ინფორმაციის საფუძველზე ირკვევა, რომ აღმავლობის ხანა პითეკუზაში ძვ.წ. VIII ს-ის შუა ხანებიდან ძვ.წ. VII ს-მდე გრძელდებოდა, ხოლო ამის შემდეგ მოდის მისი დაქვეითების პერიოდი.

პერიოდით თარიღდება (12 - მონახოვის III-A ვარიანტი, 3 - მონახოვის IV ან V ტიპი, 16 - მონახოვის V-B ვარიანტი).

ამფორების კეცი ძირითადად მოვარდისფრო ან მუქი წითელია, თეთრი, წითელი, მუქი წაბლისფერი და მზინავი ჩანართებით; ასევე შეიცავს მცირე, წერტილოვანი ფორმის ქარსს (Di Sandro 1986; De Angelis 2003; Coldstream 1994).

პითეკუზას დაკნინება ძვ.წ. 700 წლის შემდეგ იწყება, რასაც იმპორტის მკვეთრი შემცირება ადასტურებს; ამას ხელი შეუწყო სტრაბონის მიერ აღწერილმა მიწისძვრამ და ვულკანურმა ამოფრქვევამ და, სავარაუდოდ კუნძულიდან მოსახლეობის მასობრივმა მიგრაციამ (Strabo, V, 4, 9).

ბუნებრივია გაქცეულთათვის თავშესაფარი იყო კუმა, კონტინენტზე, რომელიც მახლობლად მდებარეობდა. დღეისათვის შესწავლილია, რომ კუმასაც ჰქონდა ნავსადგური აკროპოლისის სამხრეთით, ამიტომ იგიც შეიძლებოდა ისეთივე სავაჭრო ნამოსახლარი ყოფილიყო, როგორც პითეკუზა.

კუმაში ძვ.წ. VIII ს-ის შუა ხანებით დათარიღებული მასალა არაა აღმოჩენილი, რაც ართულებს იმის დადგენას, თუ როგორ დააარსეს ევბეელებმა თავიანთი კოლონია კონტინენტზე (Coldstream 1994: 47-59; Riva 2010: 210-225).

კუმა. მდებარეობს ტირენიის ზღვის სანაპიროზე, პითეკუზას მოპირდაპირე მხარეს (ტაბ. IV). როგორც აღვნიშნეთ იგი იყო პირველი ბერძნული კოლონია კონტინენტურ იტალიაში, რომელიც ათვისებული იქნა პითეკუზადან წამოსული მოსახლეობის მიერ.

ნამოსახლარის გათხრებისას ადრე და გვიან არქაული ხანით დათარიღებული კომპლექსებიდან მრავალრიცხოვანი ამფორული მასალა გამოვლინდა, რომელშიც ტიპებისა და ვარიანტების საკმაოდ მრავალფეროვანი სურათია წარმოდგენილი. გამოვლენილი ამფორები ფრაგმენტული ხასიათისაა; აღმოჩენებში არ დადასტურდა მთლიანი ამფორების ნიმუშები. ცენტრების მიხედვით ფრაგმენტების რაოდენობა ასე გადანაწილდა:

ცენტრი	თარიღი	პირი/ ბავა	ყური	გვერდი	პირი/ ქუსლი	სულ
დას. საბერძნეთი	თარიღი უცნობია	33	13	1286	6	33
კორინთული A	ძვ.წ. VI ს-ის II ნახევარი	26	6	657		26
ატიკური A la brossé	ძვ.წ. VI ს-ის II ნახევარი	5		261		5
მილეტი	ძვ.წ. VI ს-ის II ნახევარი	4	1	111		4
ლაკონია	ძვ.წ. VI ს.	3		19		3
კლაზომენე	ძვ.წ. VI ს.	2	1	6		2
ქიოსი	ძვ.წ. VII ს-ის II ნახევარი	2	1	12		2
ჩრდილო ეგეოსური	ძვ.წ. VI ს-ის II ნახევარი	2				2
ატიკური SOS	ძვ.წ. VI ს-ის II ნახევარი			2		1
ლესბოსი	ძვ.წ. VI ს-ის II ნახევარი	1	1	9		1
ზეესტის სამოსური	ძვ.წ. VI ს-ის II ნახევარი	1		45		1
აღმ. საბერძნეთი	თარიღი უცნობია	1			1	1

ცხრილი. 5 კუმაში დადასტურებული ბერძნული სატრანსპორტო ამფორები

აქ წარმოდგენილი ქიოსური ამფორები თეთრანგობიან ტიპს ეკუთვნის (მონახოვის I-B ვარიანტი) (Cuozzo, D'Agostino, Del Verme 2006: 103-106; 112-113; 193).

გელოა. კუმადან სამხრეთ-აღმოსავლეთით, კამპანიის რეგიონში მდებარეობს ველია (ტაბ. IV). მის შესახებ წერილობითი წყაროების უქონლობის გამო რთულია ამ ერთეულზე საუბარი, თუმცა აქ აღმოჩენილი ადგილობრივი და იმპორტული ამფორების საფუძველზე დგინდება ანტიკურ ეპოქაში არსებული მნიშვნელოვანი გაცვლა-გამოცვლის პროცესი.

ძეგლზე გამოვლენილი 46 ბერძნული იმპორტული ამფორიდან: 11 (23,91%) - ქიოსურია (1 - ძვ.წ. V ს-ის მეორე მეოთხედი; 10 - ძვ.წ. V ს-ის მეორე ნახევარი), 8 (17,35%) - იონიური (ძვ.წ. VI-V სს.), 5 (10,86%) - სამოსური (ძვ.წ. VI-V სს.), 5 (10,86%) - აღმოსავლეთი საბერძნეთი (ძვ.წ. VI ს-ის შუა ხანები - V ს.), 4 (8,69%) - კორინთული B (ძვ.წ. VI ს.), 3 (6,52%) - კორინთული A1 (ძვ.წ. V ს.), 2 (4,34%) - კორინთული A (ძვ.წ. VI ს.), 1 (2,17%) - ჩრდილოეთი ეგეოსის რეგიონი (თარიღი უცნობია), 7 (15,21%) - უცნობი ცენტრის.

ველიადან მომდინარე ქიოსური ამფორები მონახოვის III-B ვარიანტს განეკუთვნება და ძვ.წ. V ს-ის მეორე ნახევრით თარიღდება; მარტო ერთი მათგანია უფრო ადრეული, იგი (#432/90-39) ძვ.წ. V ს-ის მეორე მეოთხედით თარიღდება (მონახოვის III-A ვარიანტი).

ქიოსური ამფორებიდან სამს (#48, #49 და #230) აქვთ ოდნავ გამობერილი ყელი, რომელზეც წითელი საღებავით შესრულებული მოხატულობაა დატანილი. წითელი საღებავით დატანილი წერტილებით შედგენილი წრეა მოცემული მეოთხის (#85) ყელის ფრაგმენტზე. ორი ნიმუშის (#233-235) ძირი ძვ.წ. V ს-ის პირველი მეოთხედით დათარიღებულ ნიმუშებს ჰგავს. ერთს (#236) აქვს მოწითალო-მოყვითალო კეცი, მასში თანაბრადაა განაწილებული გამჭვირვალე, კირის, კვარცისა და მუქი მზინავი ჩანარები. ტანი ოვოიდური, ყელი ვიწრო, ძირი მრგვალი, შიგნით შეღრმავებული. უითბრედის მიხედვით კეცის ანალიზი ადასტურებს, რომ თიხა საბერძნეთის კონტინენტური ნაწილიდან, კერძოდ, ერეტრიიდან ⁸³ მომდინარეობს (მისი მოსაზრებით ქიოსური ამფორები ერეტრიაზეც მზადდებოდა)

⁸³ აქ იგულისხმება მცირე აზიის სანაპიროზე მდებარე ერეტრია და არა ევბეას ნ/კ-ზე ლოკალიზებული.

(Fiammenghi 1994: 77-85; Gassner 2003: 110-133, 173-186; Krinzinger 1994: 108-116; უითბრედი 1995).

პესტუმი. ველიას სამხრეთ-დასავლეთით, ასევე კამპანიის რეგიონში, ტირენიის ზღვის სანაპიროზე მდებარეობს პესტუმი (პოსეიდონია) (ტაბ. IV). იგი აქეელების კოლონიას წარმოადგენდა.

ძველზე დადასტურებულ ბერძნულ იმპორტულ ამფორებში ქიოსური არ გამოიგნობა; აქ გამოვლენილი 6 ამფორიდან: 1 **კორინთული A** ტიპისაა (ძვ.წ. VI ს-ის დასაწყისი) და 5 - **უცნობი ცენტრის** პროდუქციას მიეკუთვნება (Greco, Theodorescu 1987: 138-139; Skele 2002).

ტარანტო. ქიოსური ამფორების ქრონოლოგიურად მომდევნო ჯგუფი დადასტურებულია ტარანტოში (ტარენტუმი), პულიის რეგიონში (ტაბ. IV). იგი, ისევე როგორც სამხრეთ იტალიის სხვა ქალაქები აქტიურად იყო ჩართული საკოლონიზაციო პროცესში.

ტარანტოს ელინისტური ხანის აღმოჩენებში გვხვდება ქიოსის, როდოსის, კოსის, კნიდის და სხვა ცენტრების სატრანსპორტო ამფორები, თუმცა მათი ზუსტი რაოდენობა უცნობია.

განსაკუთრებული ინტერესის მქონეა ერთ-ერთ ქიოსურ ამფორაზე მოცემული გრაფიტი, რომელიც ტარენტუმში ეფორატის არსებობაზე მიუთითებს.

ამფორა სამწუხაროდ არ მომდინარეობს ზუსტი კონტექსტიდან. იგი გამოვლინდა ანტიკური ხანის ნაყარიდან, რომელიც სხვადასხვა ტიპისა თუ პერიოდის მასალას შეიცავდა. იგი ძვ.წ. IV ს-ის ბოლოს განეკუთვნება. ყურებს შორის, მხართან შესრულებულია ორსტრიქონიანი ბერძნული წარწერა:

”Ορθ(იც) ὀρθ(ბც) Χ(იც) | ἔφορος Ἀριστόδαμος.

ამფორა ეკუთვნის არისტოდამო ეფორუსს. აქ არის ორი სახელი: ἔφορος Ἀριστόδαμος; ორივე გენეტივში ჩასმული, ჰიპოთეტიურად, როგორც სავაჭრო მითითება ტარენტუმის პორტზე. ეს არის პირველი ეპიგრაფიკული წყარო, რომელიც ადგილობრივი ეფორატიდან მომდინარეობს.

წარწერა შესრულებულია წითელი ფერის საღებავით, დიდი ასოებით, გამოსახულია მკაფიოდ.

ამფორაზე ამოკაწრული სამი ასო (ო, რ, მ) სავარაუდოდ ქრონოლოგიურ მითითებას, სამი სიტყვის შემოკლებას – აბრევიატურას წარმოადგენს. ეს სამი სიტყვა კი, თავისმხრივ, შესაძლოა ამფორის ტევადობის, ღვინის ღირებულების ან დისტრიბუტორის სახელის მითითება ყოფილიყო, ან სამივე ერთად.

ქიოსურ ამფორაზე დატანილი წარწერა როგორც მკვლევარები მიუთითებენ ტარენტუმში ეფორატის არსებობას ადასტურებს. ქიოსურ ამფორებზე იშვიათად ვხვდებით მსგავს წარწერებს, ასე, რომ აღნიშნული შემთხვევა მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს (De Juliis, Cagnazzi 2005: 25-34).

ბაზილიკატა. ბაზილიკატა მდებარეობს კამპანიისა და კალაბრიის რეგიონებს შორის (ტაბ. IV). აქ გამოვლენილ სხვადასხვა ტიპის ბერძნულ სატრანსპორტო ამფორებში ქიოსური არ გამოიცინობა, მაგრამ გვხვდება ატიკური, კორინთული და სამოსური ამფორების მრავალრიცხოვანი ფრაგმენტები. ყველა მათგანი ძვ.წ. VI ს-ეს მიეკუთვნება. ცენტრების მიხედვით ფრაგმენტების რაოდენობა ასე გადანაწილდა:

ცენტრი	თარიღი	პირი/ ბაკო	ყური	გვერდი	ძირი/ ქუსლი	სულ
კორინთული	ძვ.წ. VI ს.	22	10	585	10	22
ატიკური SOS	ძვ.წ. VI ს.	3	6	232	5	5
სამოსური	ძვ.წ. VI ს.	1	2	67	1	1

ცხრილი. 6 ბაზილიკატაში დადასტურებული ბერძნული სატრანსპორტო ამფორები

(Bron 2011: 467-504).

ლიპარი. აქვე განვიხილავთ ეოლიურ კუნძულ ლიპარის, რომელიც ტირენიის ზღვაში, სიცილიის ჩრდილოეთ სანაპიროსთან ახლოს მდებარეობს (ტაბ. IV).

კუნძულ ლიპარიზე ბერძნების არსებობა ბერძნულ კოლონიზაციამდეა დადასტურებული პროტო-კორინთული თასის აღმოჩენით, რომელიც ძვ.წ. VIII ს-ის დასასრულითა და VII ს-ის პირველი ათწლეულებით თარიღდება.

ამ ადრეულ პერიოდში ბერძნული კერამიკის დასავლურ ხმელთაშუაზღვისპირულ კონტექსტში არსებობა შეიძლება დაკავშირებული იყოს: ა. კორინთოს ბაზრებიდან პირდაპირ ექსპორტთან; ბ. ფინიკიელების შუამავლობის გზით აქ მოხვედრასთან. ეს ჰიპოთეზა გულისხმობს აღმოსავლეთიდან პითეკუზასკენ ან ეტრურიისკენ მიმავალ ვაჭრებს, რომელთაც კორინთული კერამიკა გადაჰქონდათ; მათ შესაძლოა ეოლიური კუნძულების გადაკვეთა დასჭირვებოდათ და ამ დროს კუნძულ ლიპარიზე შეჩერებულიყვნენ (Castagnino Berlinghieri 2003: 79-91).

კუნძულზე ბერძენი კოლონისტები ძვ.წ. 580 წელს მოვიდნენ და ადგილ „Castello“-ში დასახლდნენ.

კუნძულის ხელსაყრელი მდებარეობის გამო იგი ანტიკური ეპოქიდანვე მჭიდროდ იყო ჩართული სავაჭრო პროცესში, ასე რომ აქ მრავალრიცხოვანი კერამიკული (განსაკუთრებით კი, ამფორული) მასალის აღმოჩენა კანონზომიერი მოვლენაა.

ლიპარიზე რამდენიმე უბანი გაითხარა, საიდანაც საინტერესო და მრავალრიცხოვანი მასალა, მათ შორის ამფორები გამოვლინდა. ისინი როგორც დასაკრძალავად, ასევე სამარხულ ინვენტარად არის გამოყენებული⁸⁴. ქიოსურ ამფორასამარხებში დაკრძალულია მცირეწლოვანი ბავშვები.

საერთო ჯამში გამოვლინდა 92 ბერძნული, იმპორტული ამფორა, მათგან: 55 (59,78%) - ქიოსურია (ძვ.წ. V-IV სს.), 37 (40,21%) - კორინთული (1 - ძვ.წ. VI ს; 34 - ძვ.წ. V ს-ის დასაწყისი; 2 - ძვ.წ. V ს-ის შუა ხანები) (Cavalier 1985).

შემთხვევითი აღმოჩენები. აქ იგულისხმება პერუჯას მუზეუმში დაცული ამფორების ნიმუშები, რომელთა ზუსტი აღმოჩენის ადგილი არ არის ცნობილი,

⁸⁴ წარმოდგენილი ამფორული იმპორტი შემდეგ კომპლექსებში დადასტურდა: კონტრადა დიანას სამაროვანი, La Bothros d'Eole; მონფალკონეს მოედანი, პროპრიეტე მაჯორე, მონტე როზასთან ჩატარებული წყალქვეშა დაზვერვები.

თუმცა მითითებულია, რომ ყველა მათგანი მომდინარეობს ტირენის ზღვის სანაპირო რეგიონიდან. სულ მუზეუმში დაცულია 4 ბერძნული სატრანსპორტო ამფორა, რომელთა შორის 3 ქიოსურია (1 - ძვ.წ. II ს; 2 - ძვ.წ. I ს.) და 1 - როდოსული (ძვ.წ. II-I სს.) (Simoni 1979: 131-136).

დაბოლოს, აქვე განვიხილავთ პორტიკელოსთან (კალაბრია) ჩამირულ გემს (ტაბ. IV).

გემის ჩამირვის ადგილიდან სხვა ტვირთთან ერთად საერთო ჯამში 100 ამფორა იქნა ამოღებული. ავტორი მიუთითებს, რომ გემის ტვირთი ძვ.წ. 415-385 წწ-ით უნდა დათარიღდეს. ამფორებიდან 13 - მენდეს პროდუქციას ეკუთვნის (ძვ.წ. IV ს-ის 80-იანი წწ.), 15 - პუნიკურია, 3 - დასავლეთი საბერძნეთი, 2 - სოლოხა I ან სოლოხა II, დანარჩენი დაუდგენელია. ყველა ამფორა ძვ.წ. V ს-ის ბოლო - IV ს-ის დასაწყისით თარიღდება (Eiseman 1979; Монахов 1999: 470-471)

§3. სიცილია

იტალიის მომდევნო რეგიონი, სადაც ქიოსური ამფორები ასევე დიდი რაოდენობით დასტურდება არის სიცილია.

ისტორიკოსი ეფორუსი გადმოგვცემს, რომ ბერძნები თავდაპირველად ერიდებოდნენ სიცილიის სანაპიროებზე მოხვედრას, რადგან ეს უკანასკნელი მეკობრეების ხშირი მიმოსვლის ადგილი იყო (Ephoros, apd. Strabo VI, 2,2). სიცილიის მიმართულებით აქტიური მიმოსვლა დაიწყო თეოკლეს მიერ კუნძულის აღმოსავლეთ სანაპიროზე ნაქსოსის დაარსებით (ძვ.წ. 735 წ.).

თუკიდიდე საუბრობს ძვ.წ. IX ს-ის წინარე კოლონიზაციურ მოვლენებზე და გადმოგვცემს, რომ მოსულმა მოსახლეობამ აბორიგენი, სიცილიური მოსახლეობა კუნძულის დასავლეთ ნაწილში მოაქცია და მისი უმეტესი ნაწილი დაიკავა. იგი ამბობს, რომ ფინიკიელებს ჰქონდათ ბერძნული დასახლება მთელი კუნძულის გაყოლებაზე. ისინი ვაჭრობდნენ სიცილიელებთან და ცვლიდნენ საგნებს (Thuc. VI. 2. 6).

კუნძულზე პირველი ბერძნული კოლონიები დაარსებული იქნა ძვ.წ. VIII ს-ის პირველ ნახევარში მის აღმოსავლეთ სანაპიროზე. ბერძნებს აქ მოსვლისას ყველგან დახვდათ ადგილობრივი კულტურა, რომლის პატარა დასახლებები ბრინჯაოდან რკინაზე გადასვლის ეტაპზე იმყოფებოდნენ. ამ ადგილობრივ ტომებთან ურთიერთობებს მშვიდობიანი თანაცხოვრების სახე ჰქონდა, თუმცა დამორჩილების შემთხვევებიც იყო.

სამხრეთ იტალიის მსგავსად ნამოსახლარების დაარსება სიცილიის აღმოსავლეთ სანაპიროზე ქალკიდელებს, კორინთოელებსა და მეგარელებს მიეწერებათ; ამათგან ქალკიდელებმა პირველებმა დააარსეს კოლონიები: ნაქსოსი, მანკლე, ლეონტინი, კატანია და მილა და ამ გზით ჩაიგდეს ხელში სიცილიის მთელი ჩრდილო-აღმოსავლეთი სანაპირო (Thuc. VI. 3; VI. 4. 4-5).

კორინთო მალევე გამოჩნდა ასპარეზზე და დააარსა სირაკუზი ძვ.წ. 734/3 წლებში (Thuc. VI. 3). მათ მოჰყვნენ მეგარელები ძვ.წ. 728/7 წწ-ში.

ძვ.წ. VII ს-ში დაიწყო კოლონიზაციის მეორე ტალღა სიცილიაზე. ამ შემთხვევაში ბერძნების მიერ უკვე დაარსებულმა კოლონიებმა თავად დააარსეს სუბკოლონიები სიცილიის ტერიტორიაზე. სირაკუზს ოთხი კოლონიის დაარსება მიეწერება (ჰელოროსი, აკრაი, კაზმენაი და კამარინა), რითიც მან მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთი სიცილია დაიქვემდებარა ახლად დაარსებულ ჯელამდე (Thuc. VI. 5. 2-3).

ძვ.წ. VII ს-ის შუა ხანებში ქალკიდელებმა გადაინაცვლეს სიცილიის ჩრდილოეთ სანაპიროზე და დააარსეს ჰიმერა (De Angelis 1994: 87-107).

სიცილიაზე მდებარე ბერძნულ ახალშენებზე დიდი რაოდენობით ბერძნული სატრანსპორტო ამფორები და მათი ფრაგმენტები დადასტურდა; მათ შორის ქიოსური ამფორები ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი და ადრეულია.

სიცილიის ტერიტორიიდან შემდეგ ქალაქებსა თუ ნამოსახლარებს განვიხილავთ: მილაცო, მეგარა ჰიბლაია, კამარინა, ჰიმერა, მონტე ს. მაურო, ნაქსოსი, სელინუსი, მესინა, რამაკა, ლენტინი, ჯელა, აგრიგენტუმი, მოცია, მონტე სარაჩენო და ა.შ.

მილაკო. ყველაზე არქაული ქიოსური იმპორტი სიცილიაზე მილაკოში დადასტურდა. იგი კუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მესინასთან ახლოს მდებარეობს (ტაბ. V, 1).

ძეგლზე გამოვლენილი 4 ამფორიდან: 1 - ქიოსურია (ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევარი), 1 - კორინთული A (ძვ.წ. VI-V სს.) და 1 - ფსევდო-ქიოსური (ძვ.წ. V-IV სს).

ქიოსური ამფორა თეთრანგობიან ტიპს მიეკუთვნება (მონახოვის I-A ვარიანტი).

მომდევნო და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია მეგარა ჰიბლაია. იგი სირაკუზიდან ჩრდილო-დასავლეთით 20 კმ-ის დაშორებით მდებარეობს (ტაბ. V, 1). მისი სახელი ბერძნული მეგარადან მომდინარეობს. თუკიდიდე გადმოგვცემს, რომ მეგარა ჰიბლაია დაარსდა 245 წლით ადრე სირაკუზის მიერ მის განადგურებამდე⁸⁵ (Thuc. VI.4.1; De Angelis 2003: 13).

ძეგლზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად, რომელიც თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა შესწავლილ იქნა ნამოსახლარი და სამაროვანი. ბერძნების აქ მოსვლამდე მეგარა ჰიბლაიაში განვითარებული იყო „პანტალიკის“ სახელით ცნობილი ადგილობრივი ტომების კულტურა.

მეგარა ჰიბლაიას ტერიტორია დაახლოებით 400 ჰა-ს შეადგენდა, ხოლო მოსახლეობის სავარაუდო რიცხვი 18 000-20 000-ს აღწევდა. იგი ერთ-ერთ საუკეთესოდ სტრატეგიცირებულ ძეგლს წარმოადგენს და აღმოჩენებზე დაყრდნობით ქალაქის სავაჭრო კონტაქტების იდენტიფიცირება საკმაოდ მჭიდრო ქრონოლოგიური მონაკვეთებითაა (25-50 წელი) შესაძლებელი.

იმპორტული მასალიდან პირველ ადგილზე დგას ამფორები. აქ გამოვლენილი 259 ამფორიდან: 240 (92,66%) - ატიკური SOS-ის პროდუქციას ეკუთვნის (154 - ძვ.წ. 650-600 წწ; 2 - ძვ.წ. 600-575 წწ; 5 - ძვ.წ. 575-550 წწ; 33 - ძვ.წ. 550-525 წწ; 38 - ძვ.წ. 525-500 წწ; 8 - ძვ.წ. 500-483/2 წწ.), 11 (4,24%) - ქიოსურია (1 - ძვ.წ. VII ს-ის ბოლო; 10 - ძვ.წ. VI-IV სს.), 6 (2,31%) - კორინთული A (1 - ძვ.წ. VII ს; 5 - ძვ.წ. VI ს-ის ბოლო - V ს-ის

⁸⁵ ჰეროდოტეს მიხედვით იგი განადგურებულ იქნა ძვ.წ. 485-480 წწ-ში, ასე, რომ მისი დაარსების თარიღი უნდა იყოს დაახლოებით ძვ.წ. 728/7 წწ. (Hdt, VII. 156).

დასაწყისი), 1 (0,38%) - მილეტი (ძვ.წ. VI ს.) და 1 (0,38%) (15 ფრაგმენტი) - ატიკური **a la brossé** (ძვ.წ. VI ს.).

გარდა აღნიშნულისა აქვეა 1 - ფსევდო-ქიოსური (ძვ.წ. VI-V სს.) ამფორა;

ქიოსური ამფორები თეთრანგობიან (მონახოვის I-A ტიპი), ყელგამობერილ (მონახოვის III ტიპი) და სწორყელიან (მონახოვის IV ტიპი) ტიპებს მიეკუთვნება (De Angelis 2003: 90-95; Albanese Procelli 1996).

კამარინა. მდებარეობს სიცილიის სამხრეთ სანაპიროზე (ტაბ. V, 1). როგორც ზემოთ აღნიშნეთ კამარინა სირაკუზის სუბკოლონია იყო. მისი დაარსების თარიღია ძვ.წ. 599 წ.

ანტიკური ხანის სამაროვნის - რისფრისკოლაროს გათხრის შედეგად მრავალრიცხოვანი ამფორული მასალა გამოვლინდა. ამფორები გამოყენებული იყო როგორც სამარხებად, ასევე სამარხეულ ინვენტარად. ძეგლზე გამოვლენილი ამფორების საერთო მაჩვენებლის 88,6% (თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა) ბერძნულ იმპორტულ ამფორებს მიეკუთვნება, ხოლო 5,7% დაუდგენელია. წამყვანი პოზიცია კორინთულ ამფორებს უჭირავთ, რომლებიც ძვ.წ. VII-VI სს-ით თარიღდება.

საერთო ჯამში 355 ამფორიდან 214 (60,28%) - კორინთული A ტიპისაა (7 - ძვ.წ. VI ს-ის ბოლო; 206 - ძვ.წ. VI ს; 1 - ძვ.წ. V ს-ის შუა ხანები), 41 (11,54%) - სამოსურია (თარიღი უცნობია), 35 (9,85%) - ატიკური SOS (ძვ.წ. VI ს.), 34 (9,57%) - ატიკური **a la brossé** (ძვ.წ. VI ს.), 27 (7,60%) - ქიოსური (ძვ.წ. VII ს-ის ბოლო - VI ს-ის დასაწყისი), 2 (0,56%) - ლესბოსური (1 - ძვ.წ. VI ს; 1 - ძვ.წ. VI ს-ის ბოლო), 1 (0,28%) - მილეტი (ძვ.წ. VI ს.), 1 (0,28%) - კლაზომენე (ძვ.წ. VI ს.).

გარდა ამისა აქვეა აღმოჩენილი 2 ფსევდო-ქიოსური ამფორა, რომელიც ძვ.წ. V ს-ეს განეკუთვნება (Albanese Procelli 1996: 91-126).

ქიოსური ამფორები თეთრანგობიან ტიპს (მონახოვის I-A ვარიანტი) მიეკუთვნება. ამფორების ყურების მიძერწვის ადგილებთან S-ის ფორმის ნიშნებია დატანილი. ხშირად საღებავით დატანილი ზოლები მთლიანად ფარავს ჭურჭლის ტანს (Sourisseau 2003: 129-142; Pelagatti, Di Stefano, De Lachenal 2003: 62-69).

ჰიმერა. ამავე ჯგუფის ქიოსური ამფორები დადასტურდა ჰიმერაში. იგი მდებარეობს სიცილიის ჩრდილო სანაპიროზე, მდ. გრანდეს შესართავთან, პალერმოსა და ჩეფალუს შორის (ტაბ. V,1).

თუკიდიდეს მიხედვით ჰიმერა სიცილიის ჩრდილო სანაპიროზე პირველი კოლონია იყო. ეს ცნობა როგორც ჩანს თავისუფალ ქალაქებს გულისხმობს, რადგან მახლობლად მდებარე მილა ასევე ბერძნული ქალაქი იყო, თუმცა მესინას დაქვემდებარებაში მყოფი. ჰიმერაც მესინას კოლონია იყო, თუმცა თუკიდიდეს ინფორმაციით იგი დაარსებული იქნა ერთობლივი ძალებით მესინადან და სირაკუზიდან წამოსული კოლონისტების მიერ. რაც შეეხება დაარსების თარიღს დიოდორეს მიხედვით ქალაქი უკვე 240 წლის მანძილზე არსებობდა კართაგენელების მიერ მისი განადგურებისას, რაც მისი დაარსების თარიღად ძვ.წ. 682 წელს მიუთითებს.

საერთო ჯამში ძეგლზე გამოვლენილი 19 ბერძნული სატრანსპორტო ამფორიდან: 9 - ატიკური SOS-ის ტიპისაა (3 - ძვ.წ. VII ს-ის ბოლო - VI ს-ის დასაწყისი; 6 - თარიღი უცნობია), 4 - ქიოსური (2 - ძვ.წ. VII ს-ის ბოლო - VI ს-ის დასაწყისი; 2 - ძვ.წ. V ს.), 2 - კლაზომენე (ძვ.წ. VII ს-ის ბოლო - VI ს.); 2 - ლესბოსი (1 - ძვ.წ. VII ს-ის ბოლო - VI ს.; 1 - ძვ.წ. VI ს-ის მეორე ნახევარი), 1 - ატიკური a la brossé (ძვ.წ. VI ს.), 1 - კორინთული A (ძვ.წ. VI ს-ის პირველი მეოთხედი).

აქვეა 3 ფსევდო-ქიოსური ამფორა (1 - ძვ.წ. VI ს-ის ბოლო - ძვ.წ. V ს.; 1 - ძვ.წ. V ს.; 1 - ძვ.წ. V ს-ის შუა ხანები);

შემდეგი პუნქტი, სადაც ქიოსური ამფორების ქრონოლოგიურად მომდევნო ჯგუფი დაფიქსირდა არის მონტე ს. მაურო.

ძეგლზე დადასტურებული 20 ამფორიდან: 9 - ატიკური SOS-ის პროდუქციას ეკუთვნის (1 - ძვ.წ. VII ს-ის ბოლო; 8 - თარიღი უცნობია), 4 - ლესბოსურია (1 - ძვ.წ. VII ს-ის ბოლო; 2 - ძვ.წ. VI ს.; 1 - თარიღი უცნობია), 2 - ქიოსური (ძვ.წ. VI ს.), 2 - კორინთული A (ძვ.წ. VI ს.), 1 - ატიკური a la brossé (ძვ.წ. VI ს.), 1 - სამოსური (თარიღი უცნობია) და 1 - აღმოსავლეთ საბერძნეთი (თარიღი უცნობია).

ქიოსური ამფორები თეთრანგობიან ტიპს (მონახოვის I-B ვარიანტი) მიეკუთვნება.

მომდევნოა ნაქსოსი. მდებარეობს სიცილიის აღმოსავლეთ სანაპიროზე, მესინასა და კატანიას შორის (ტაბ. V, 1).

ძველი ავტორები თანხმდებიან, რომ ნაქსოსი ყველაზე პირველი ბერძნული კოლონია იყო სიცილიაზე. იგი სირაკუზის დაარსებამდე ერთი წლით ადრე, ძვ.წ. 735 წელს დაარსდა ქალკიდელი ევბეელების მიერ, რომლებთან ერთად ეფორუსის ცნობით იონიელი ემიგრანტებიც იყვნენ (Tandy 1997: 76).

ძეგლზე გამოვლენილი 31 ამფორიდან: 11 (35,48%) - **კორინთული A** ტიპისაა (1 - ძვ.წ. VII ს-ის შუა ხანები; 6 - ძვ.წ. VII-VI სს; 4 - ძვ.წ. VI ს-ის შუა ხანები), 9 (29,03%) - **ატიკური SOS** (1 - ძვ.წ. 700 წ; 2 - ძვ.წ. VII ს-ის მესამე მეოთხედი; 1 - ძვ.წ. VII ს-ის ბოლო; 3 - ძვ.წ. 625-575 წწ; 1 - ძვ.წ. VI ს; 1 - თარიღი უცნობია), 3 (9,67%) - **სამოსი** (ძვ.წ. VII ს-ის ბოლო - VI ს-ის დასაწყისი), 2 (6,45%) - **ატიკური a la brossé** (ძვ.წ. VI ს.), 2 (6,45%) - **მილეტი** (ძვ.წ. VI ს.), 1 (3,22%) - **ქიოსური** (ძვ.წ. VI ს-ის პირველი ნახევარი), 1 (3,22%) - **კლაზომენე** (ძვ.წ. VI ს.), 1 (3,22%) - **ლესბოსი** (ძვ.წ. VI ს-ის ბოლო), 1 (3,22%) - **აღმოსავლეთი საბერძნეთი** (ძვ.წ. VII ს.).

აქვეა ერთი **ფსევდო-ქიოსური** ამფორაც, რომლის თარიღი უცნობია. იგი თეთრანგობიან ტიპს მიეკუთვნება (მონახოვის I-B ვარიანტი).

სელინუსი. მომდევნო მნიშვნელოვანი ქალაქი, სადაც ქიოსური ამფორები ასევე დადასტურდა სელინუსია. იგი მდებარეობს სიცილიის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე (მეგარა ჰიბლაიას მოპირდაპირე მხარეს) (ტაბ. IV). იგი მეგარა ჰიბლაიას სუბ-კოლონია იყო, რომლის დაარსება ქალაქის მოსახლეობის რაოდენობის მკვეთრი მატებით იყო გამოწვეული.

თუკიდიდეს მიხედვით მეგარა ჰიბლაიამ სელინუსი თავისი დაარსებიდან ერთი საუკუნის შემდეგ, ანუ დაახლოებით ძვ.წ. 628/7 წელს დააარსა (Thuc. VI. 4.2). დიოდორესთან მოცემულია სელინუსის დაარსების მეორე სავარაუდო თარიღი: ძვ.წ. 651/0 წწ. (Diod. XIII. 59. 4; De Angelis 1994: 87-107).

დაარსებისას ქალაქი სამ ბორცვზე იყო გაშენებული (ფართობი მიახლოებით 200 ჰა უნდა ყოფილიყო)⁸⁶ და მთლიანად შემოსაზღვრული სამაროვნით (ფართობი - 3,3 ჰა), რომელიც კლასიკურ ხანაშიც განაგრძობს არსებობას.

სელინუსის სამაროვანზე 150 აკლდამა გაითხარა. უძველესი ინვენტარი ძვ.წ. 530-520 წწ-ით თარიღდება.

გარე სამყაროსთან კონტაქტებს როგორც წერილობითი წყაროები, ასევე იმპორტული ამფორების აღმოჩენები ადასტურებს.

ბერძნული, არქაული ხანის იმპორტის უდიდესი ნაწილი კორინთულ პროდუქციას უჭირავს. ძვ.წ. VII-VI სს-ით დათარიღებული ამ ცენტრის ნაწარმი ნამოსახლარის, სამაროვნისა და საკურთხევლის გათხრებისას დადასტურდა.

იმპორტის თვალსაზრისით მეორე ადგილზე დგას აღმოსავლეთ საბერძნეთი, რომლის მასალა ძვ.წ. VII ს-ით თარიღდება და როგორც ნამოსახლარზე, ასევე სამაროვანსა და საკურთხეველზე ჩნდება. აღმოჩენებს შორისაა 1 ქიოსური ამფორა.

ბერძნული სატრანსპორტო ამფორები ასევე სელინუსის აგორაზეც დადასტურდა, სადაც ე.წ. „სავაჭრო სახლი“ გაითხარა.

ატკური იმპორტი „SOS“-ის ამფორების მაგალითზეა დადასტურებული და ძვ.წ. VII ს-ეს განეკუთვნება (De Angelis 2003: 140, 188-191).

საერთო ჯამში 22 ბერძნული ამფორიდან: 6 - კორინთული A ტიპისაა (1 - ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევარი - VI ს-ის პირველი ნახევარი; 4 - ძვ.წ. VI ს-ის შუა ხანები; 1 - ძვ.წ. V ს-ის დასაწყისი), 6 - კორინთული B (ძვ.წ. VI ს.), 2 - ატიკური a la brossé (ძვ.წ. VI ს-ის პირველი ნახევარი), 2 - მილეტი (ძვ.წ. VI ს.), 1 - ატიკური SOS (ძვ.წ. VII ს-ის ბოლო), 1 - ქიოსური (ძვ.წ. VI ს-ის პირველი ნახევარი), 1 - ლესბოსი (ძვ.წ. VI ს-ის პირველი მეოთხედი), 1 - სამოსი? (ძვ.წ. VI ს-ის შუა ხანები), 1 - ზეესტის სამოსური (ძვ.წ. VI ს-ის შუა ხანები), 1 - უცნობი ცენტრის.

ქიოსური ამფორა თეთრანგობიან ტიპს მიეკუთვნება (მონახოვის I-A ვარიანტი). აქვე დადასტურდა 4 - ფსევდო-ქიოსური ამფორაც (1 - ძვ.წ. V ს-ის ბოლო; 1 - ძვ.წ. IV

⁸⁶ ამ მაჩვენებლით და 40 000-იანი მოსახლეობით იგი საკმაოდ მოზრდილ სიცილიურ ქალაქს წარმოადგენდა.

ს-ის მეორე ნახევარი; 2 - თარიღი უცნობია) (Albanese Procelli 1996; Dehl-von Kaenel 2001: 101-110).

მომდევნო პუნქტი, სადაც ქიოსური ამფორები ასევე გამოვლინდა არის მესინა. მესინა, იგივე ძანკლე სიცილიის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, სამხრეთ იტალიისა და სიცილიის გამყოფ ზოლზე მდებარეობს (ტაბ. V, 1).

იგი დაარსებული იქნა ძვ.წ. VIII ს-ში⁸⁷ ქალკიდელი კოლონისტების მიერ. თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო მისი როლი ანტიკური ეპოქიდანვე ძლიერ მნიშვნელოვანი იყო ხმელთაშუაზღვისპირეთის ვაჭრობის პროცესში (De Angelis 2003: 12).

მესინას ისტორიულ-არქეოლოგიური კონტექსტიდან გამომდინარე სრულიადაც არ არის გასაკვირი, რომ აქ აღმოჩენილია სატრანსპორტო ტარა, რომელშიც ქიოსურიც გამოიგნობა.

ძეგლზე გათხრილი ფენების მიხედვით აქ ძვ.წ. V-III სს-ით დათარიღებული მასალაა წარმოდგენილი. სატრანსპორტო ტარაში გამოიგნობა **კორინთული, ქიოსური, აღმოსავლეთ და დასავლეთ ბერძნული** ნაწარმი და ადგილობრივი, ფსევდო-ქიოსური ამფორები.

ძეგლზე გამოვლენილი ამფორული მასალა საკმაოდ ფრაგმენტულია; საერთო ჯამში სულ მცირე 32 ამფორის ფრაგმენტები გამოვლინდა, რომელთაგან: 15 **კორინთული A** ტიპისაა (ძვ.წ. VI ს-ის მეორე ნახევარი), 3 - **ატიკური SOS** (ძვ.წ. VII ს-ის ბოლო მეოთხედი), 3 - **ლესბოსური** (ძვ.წ. VI-V სს.), 3 - **კორინთული B** (ძვ.წ. 525 წ.), 2 - **ლაკონია** (ძვ.წ. V ს.), 2 - **ქიოსი** (ძვ.წ. VI ს-ის მეორე ნახევარი), 1 - **კლაზომენე** (ძვ.წ. VI ს-ის მეორე ნახევარი), 1 - **სამოსი** (ძვ.წ. VI ს.), 1 - **მენდე** (ძვ.წ. V ს.) და 1 - **თასოსი** (ძვ.წ. V ს.) (Bacci, Tigano 1999: 149).

ქიოსური ამფორები თეთრანგობიან (მონახოვის I-B ვარიანტი) ტიპს მიეკუთვნება. აქვეა 10 - **ფსევდო-ქიოსური** ამფორაც (ძვ.წ. VI ს-ის მეორე ნახევარი).

⁸⁷მესინა სავარაუდოდ უნდა დაარსებულიყო კუმას (ძვ.წ. 740 წ) და მილას (მესინას სუბკოლონია (ძვ.წ. 730-20 წ) დაარსებას შორის მოქცეული პერიოდით, ანუ დაახლოებით ძვ.წ. 720 წელს.

რამკაჟა. ქიოსური ამფორების მომდევნო ქრონოლოგიური ჯგუფი რამაკაში დაფიქსირდა. იგი სიცილიის ცენტრალურ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს (ტაბ. V, 1).

ძეგლზე გამოვლენილი 32 ბერძნული სატრანსპორტო ამფორიდან: 21 - **კორინთული A** ტიპისაა (1 - ძვ.წ. VI ს-ის პირველი ნახევარი; 20 - ძვ.წ. VI ს. - V ს-ის პირველი ნახევარი), 3 - **ატიკური SOS** (1 - ძვ.წ. VII ს-ის დასაწყისი; 1 - ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევარი; 1 - ძვ.წ. VII ს-ის ბოლო - VI ს-ის დასაწყისი), 2 - **ქიოსური** (ძვ.წ. VI ს-ის ბოლო - V ს.), 1 - **ატიკური a la brossé** (ძვ.წ. VI ს.), 2 - **აღმოსავლეთი საბერძნეთი** (1 - ძვ.წ. VII ს-ის ბოლო; 1 - ძვ.წ. VII ს-ის ბოლო - VI ს-ის პირველი ნახევარი), 1 - **მილეტი** (ძვ.წ. VI ს-ის ბოლო - V ს-ის დასაწყისი) და 1 - **სამოსი** (ძვ.წ. VI-V სს.).

ქიოსური ამფორები მონახოვის II-B ვარიანტს მიეკუთვნება.

5 ამფორა კი **ფსევდო-ქიოსურია** და ძვ.წ. V ს-ით თარიღდება.

მომდევნოა ლეონტინი. იგი ნაქსოსის მიერ დაარსებულ სასოფლო-სამეურნეო პროფილის მქონე კოლონიას წარმოადგენდა. მისი დაარსების თარიღი დაახლოებით ძვ.წ. 729/8 წწ-ით განისაზღვრება⁸⁸. იგი სიცილიის აღმოსავლეთ სანაპიროდან 65 კმ-ის დაშორებით მდებარეობს (ტაბ. V, 1) (Tandy 1997: 77).

ძეგლზე გამოვლენილი ბერძნული იმპორტული ამფორებიდან: 3 - **ქიოსურია** (1 - ძვ.წ. VI-V სს; 2 - ძვ.წ. V ს.), 3 - **ატიკური a la brossé** (ძვ.წ. VI ს.), 1 - **კორინთული A** (ძვ.წ. VI ს-ის ბოლო - V ს-ის დასაწყისი) და 1 - **ატიკური SOS** (ძვ.წ. VII ს.).

აქ წარმოდგენილი ქიოსური ამფორების ტიპი უცნობია.

გარდა აღნიშნულისა აქვეა 9 **ფსევდო-ქიოსური** ამფორა, რომელთაგან 8 - ძვ.წ. V ს-ეს, ხოლო 1 - ძვ.წ. V ს-ის მესამე მეოთხედს განეკუთვნება.

ახლა განვიხილოთ ის ძეგლები, რომლებზეც ბერძნული სატრანსპორტო ამფორები გვხვდება, მაგრამ მათ შორის არ არის ქიოსური:

პირველია ჯეჯლა. იგი კამარინაიდან ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს (ტაბ. V, 1).

⁸⁸ თუკიდიდე გადმოგვცემს, რომ ლეონტინი დაარსდა სირაკუზის დაარსებიდან 5 წლის შემდეგ, რაც უნდა მიუთითებდეს ძვ.წ. 734/3 წწ-ზე (Thucydides, vi.4.1).

თუკიდიდეს მიხედვით ქალაქი დაახლოებით ძვ.წ. 688 წელს (სირაკუზის დაარსებიდან 45 წლის შემდეგ) იქნა დაარსებული როდოსელი და კრეტელი კოლონისტების მიერ.

ძეგლზე გამოვლენილი 28 ამფორიდან: 19 - კორინთული A ტიპისაა (12 - ძვ.წ. VII ს-ის ბოლო - VI ს.; 5 - ძვ.წ. VI ს-ის მეორე ნახევარი - V ს-ის დასაწყისი; 2 - ძვ.წ. V ს.), 4 - ატიკური SOS (1 - ძვ.წ. VII ს-ის პირველი ნახევარი; 2 - ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევარი; 1 - ძვ.წ. VII ს-ის ბოლო - VI ს.), 3 - ატიკური a la brossé (1 - ძვ.წ. VI ს.; 2 - ძვ.წ. VI ს-ის ბოლო - V ს.), 1 - კლაზომენე (ძვ.წ. VI ს-ის ბოლო - V ს-ის დასაწყისი) და 1 - ლესბოსი (ძვ.წ. VI ს-ის დასაწყისი).

ჯელას საკოლონიზაციო აქტივობას უკავშირდება აგრიგენტუმის დაარსება დაახლოებით ძვ.წ. 582-580 წწ-ში სიცილიის სამხრეთ სანაპიროზე (ტაბ. IV, 1). ჯელადან წამოსულმა კოლონისტებმა ქალაქს „Ακράγας“ უწოდეს.

კლასიკურ ხანაში ქალაქმა თავისი განვითარების მწვერვალს მიაღწია და მაგნა გრეციის ერთ-ერთი მოწინავე ქალაქი გახდა.

ამფორული იმპორტი აგრიგენტუმში ძვ.წ. VI ს-დან იწყება; ამ პერიოდში, ძირითადად კორინთული A და B ტიპის ამფორებს ვხვდებით.

ქიოსური ამფორები ძეგლზე არ დადასტურდა, თუმცა დაფიქსირდა ადგილობრივ წარმოებული ფსევდო-ქიოსური ამფორები.

აგრიგენტუმის ასკლეპიონის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში ამფორების 158 ფრაგმენტი აღმოჩნდა; მათგან: 4 - კორინთულ ამფორებს (ძვ.წ. V ს.) და დანარჩენი - კორინთული A ტიპის (ძვ.წ. VI ს-ის მეორე ნახევარი) ამფორებს ეკუთვნის.

17 ამფორა ფსევდო-ქიოსურია და ძვ.წ. V-IV სს-ით თარიღდება (De Miro 2003: 153-158).

მომდევნოა მაცია. იგი მდებარეობს სიცილიის დასავლეთ სანაპიროსთან ახლოს, კუნძულზე; ტრაპანისა და მარსალას შორის (ტაბ. V, 1). იგი ძვ.წ. VIII ს-ში იქნა დაარსებული ფინიკიელების მიერ.

ძეგლზე გამოვლენილი ბერძნული სატრანსპორტო ამფორებიდან: 6 - ატიკური SOS-ის პროდუქციას მიეკუთვნება (ძვ.წ. VII ს.) და 2 - კორინთული A ტიპისაა (ძვ.წ. VI ს-ის ბოლო მეოთხედი).

გარდა ბერძნული სატრანსპორტო ამფორებისა აქვეა 5 - ფსევდო-ქიოსური ამფორაც, რომლებიც ძვ.წ. VI-V სს-ით თარიღდება.

ამ უკანასკნელის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს მონტე სარაჩენო. ძეგლზე გამოვლინდა 13 - კორინთული A ტიპის ამფორა (ძვ.წ. VI-V სს.).

აქვეა 2 - ფსევდო-ქიოსური, ძვ.წ. VI ს-ის ბოლო - V ს-ის დასაწყისით დათარიღებული ამფორაც.

პალერმო მდებარეობს სიცილიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ამავე სახელწოდების ყურეში (ტაბ. V, 1). იგი ძვ.წ. 734 წელს ფინიკიელების მიერაა დაარსებული.

პალერმოდან მომდინარეობს 1 - კორინთული A ტიპის ამფორა (ძვ.წ. VII ს-ის ბოლო - VI ს-ის დასაწყისი); აქვეა 1 ფსევდო-ქიოსური ამფორაც (ძვ.წ. V-IV სს.).

კატანია. ნაქსოსის საკოლონიზაციო აქტივობებს უკავშირდება კატანიას დაარსება სიცილიის აღმოსავლეთ სანაპიროზე (ტაბ. V, 1). თუკიდიდეს მიხედვით იგი ლენტინის შემდეგ მალევე, დაახლოებით ძვ.წ. 730 წელს დაარსდა (Thuc. vi. 3.3.). იგი სასოფლო-სამეურნეო პროფილის მქონე ქალაქი იყო და დამატებით კარგი ნავსადგურიც ჰქონდა, რაც ზღვაზე მარტივად გასვლის საშუალებას იძლეოდა (Tandy 1997: 79; Albanese Procelli 1996).

ძეგლზე მცირემასშტაბიანი გათხრების შედეგად გამოვლინდა 1 - ატიკური SOS-ის (ძვ.წ. VII ს.) და 1 - სამოსური (ძვ.წ. VI ს-ის ბოლო - V ს-ის დასაწყისი) ამფორა.

აქვეა 1 - ფსევდო-ქიოსური (ძვ.წ. V ს.) ამფორაც.

სიცილიის უკანასკნელი პუნქტი, რომელსაც განვიხილავთ სირაკუზია (ტაბ. V, 1). როგორც აღვნიშნეთ იგი დაარსებული იქნა - ძვ.წ. 734/3 წწ-ში (ნაქსოსის დაარსებიდან ერთი წლის შემდეგ).

სირაკუზის სამაროვნის გათხრები აბორიგენი და მოსული მოსახლეობის მშვიდობიან თანაცხოვრებას ადასტურებს.

სირაკუზიდან მომდინარე უძველესი კერამიკა კორინთულია.

ძეგლზე გამოვლენილი 10 ბერძნული სატრანსპორტო ამფორიდან 7 - ატიკური SOS-ის (1 - ძვ.წ. VII ს-ის ბოლო - VI ს-ის დასაწყისი; 1 - ძვ.წ. 535-525 წწ; 5 - თარიღი

უცნობია) და 3 - კორინთული A (ძვ.წ. 2 - VII-VI სს; 1 - ძვ.წ. VI ს-ის მეორე ნახევარი) ტიპისაა (Tandy 1997: 78-83; Albanese Procelli 1996).

აქვეა კიდევ ორი ათეული ძეგლი, რომლებზეც თითო-ოროლა ბერძნული სატრანსპორტო ამფორა დადასტურდა, ესენია: ადრანო, ბუტერა, გრამმიკელე, ელორო, კასტელ დი ლუდიკა და ა.შ.

იტალიის ტერიტორიაზე ძვ.წ. VII-I სს-ში დადასტურებული ბერძნული ამფორების იმპორტი ასე გამოიყურება: **დანართი II, ცხრილი I.**

აქ განხილული ამფორების უმეტესი ნაწილი (თითქმის 58%) საცხოვრებელ არეალში, ხოლო 4% საკურთხევლებზე აღმოჩნდა; თითქმის მესამედი (31%) - სამაროვნებზე, 3%-ზე ნაკლები სასოფლო დასახლებებზე და 7% მომდინარეობს წყალქვეშა აღმოჩენებიდან (Albanese Procelli 1996: 91-126).

შესავალში უკვე აღვნიშნეთ, რომ ცალკეული რეგიონებიდან ადგილობრივი წარმოების ამფორებს არ ვუთითებთ, ამიტომ მოცემულ სტატისტიკაში ვერ მოხვდა ეტრუსკული და იტალიკური ამფორები.

ჩვენი მონაცემებით იტალიის ტერიტორიაზე განსახილველი ცენტრების სულ 1423 ამფორა აღმოჩნდა, მათგან 13,77% ქიოსურია.

საერთო მაჩვენებლის 40,47% აღმოსავლეთ საბერძნეთიდან და იონიის რეგიონიდან შემოტანილ ამფორებზე მოდის. აქედან: 196 - ქიოსურია, 104 - სამოსური, 15 - კლაზომენეს, 13 - მილეტური და 21 - ლესბოსური.

ამფორათა საერთო მაჩვენებლის 35,98% პელოპონესის რეგიონზე მოდის, აქედან: 413 - კორინთული A და A1 ტიპის ამფორებს ეკუთვნის, 31 - კორინთული B, 60 - ზოგადად კორინთული და 8 - ლაკონიურია.

32,18%-ით ატიკის რეგიონია წარმოდგენილი, საიდანაც 379 - ატიკური SOS-ის, ხოლო 79 - ატიკურ a la brossé პროდუქციისაა.


2,31% დასავლეთ საბერძნეთის არეალზე მოდის, საიდანაც - 33 ამფორა მომდინარეობს; სამხრეთი ეგეოსისპირეთი - 1 როდოსული ამფორის სახითაა წარმოდგენილი; აღმოსავლეთი მაკედონია და თრაკია - 1 თასოსური და 5 მენდეს ამფორით; თესალიის რეგიონიდან კი იმპორტი სოლოხა I და II ტიპის 2 ამფორის სახითაა წარმოდგენილი.

იმპორტულ ამფორებში პირველ ადგილზე ატიკური SOS ამფორები დგას; მათ მოსდევს კორინთული, რომლის ამფორების არსებობა ლოგიკურია და არ არის გასაკვირი, რადგან ეს უკანასკნელი აქტიურად იყო ჩართული საკოლონიზაციო მოძრაობაში და სწორედ მის სახელს უკავშირდება რამდენიმე კოლონიის (მათ შორის სირაკუზი) დაარსება სიცილიის ტერიტორიაზე. ამ ორი ცენტრის ამფორებს მოსდევს ქიოსური. დანარჩენი ცენტრების (თასოსი, ლესბოსი, კლაზომენე, მენდე, როდოსი) ამფორები კი ძლიერ მცირე ოდენობითაა წარმოდგენილი.

იტალიის ტერიტორიაზე ბერძნული იმპორტული ამფორები განსახილველი პერიოდის ყველა მონაკვეთში მოხვდა; ქიოსური იმპორტი ძვ.წ. VII-IV სს-ებს მოიცავს.

ძვ.წ. VII ს-ში ქიოსური ამფორების უმეტესი ნიმუშები ეტრურიიდან (ჩერვეტერი, ვულჩი) მომდინარეობს; სიცილიის (მილაცო, მეგარა ჰიბლაია) ძეგლებზეც გვხვდება მათი თითო-ოროლა ნიმუში. ძვ.წ. VI ს-ის დასაწყისიდან ქიოსური იმპორტი იმატებს და უკვე სამხრეთ იტალიის (კუმა, პითეკუზა) ტერიტორიასაც აღწევს; გავრცელებულია ეტრურიაში (ჩერვეტერი, ვულჩი) და სიცილიაზეც (მონტე ს. მაურო, მეგარა ჰიბლაია, ნაქსოსი, სელინუსი, მესინა, რამაკა, ლენტინი). ძვ.წ. V-IV სს-ში ქიოსურ იმპორტს დომინანტი პოზიცია უჭირავს და რაოდენობით პირვალ ადგილზეა ეტრურიის (მანტოვა, ტარქვინია, სპინა), სამხრეთ იტალიისა (ველია, ლიპარი) და სიცილიის (ჰიმერა, ლენტინი) ძეგლებზე აღმოჩენილ იმპორტულ ამფორებს შორის; ძვ.წ. IV ს-ში მხოლოდ სამხრეთ იტალიის (პითეკუზა, ტარანტო) ძეგლებზე გვხვდება და ამის შემდეგ აქაც წყდება ქიოსური ამფორების შემოტანა.

ეს ინფორმაცია გრაფიკის სახით ასე გამოიყურება:



გრაფიკი 1. იტალიაში დადასტურებული ქიოსური და სხვა ბერძნული იმპორტული ამფორების იმპორტის დინამიკა

IV. 1. 2. საბერძნეთი

მომდევნო რეგიონი, რომელსაც განვიხილავთ საბერძნეთია.

ქიოსს სავაჭროდ ძლიერ ხელსაყრელი მდებარეობა ჰქონდა როგორც საბერძნეთის კონტინენტურ, ასევე კუნძულოვან ნაწილთან, ამიტომ საბერძნეთის ცენტრებში ხშირია ქიოსური ამფორების აღმოჩენები. ქიოსური იმპორტი შედარებით ნაკლებადაა წარმოდგენილი ისეთ ცენტრებში, რომლებიც ამფორების და ამფორებით გადასატანი პროდუქტების მაწარმოებელი პუნქტები იყო. ეს ერთი მხრივ მაღალი კონკურენციით და მეორე მხრივ ქიოსური ღვინის სიძვირით აიხსნება.

სხვა რეგიონებისგან განსხვავებით საბერძნეთის შემთხვევა განსაკუთრებულია, რადგან განსახილველი ბერძნული სატრანსპორტო ამფორები საბერძნეთისთვის ადგილობრივი წარმოებაა, თუმცა საინტერესოა თუ როგორი სიტუაციაა ქიოსური იმპორტის თვალსაზრისით სამშობლოში, ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია საბერძნეთის ძეგლებზე დადასტურებული ქიოსური ამფორების რაოდენობის ჩვენება;

§1. კრეტა

კრეტა სიდიდით პირველია საბერძნეთის კუნძულებს შორის. იგი ეგეოსის ზღვის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს (ტაბ. I). ყველაზე არქაული ქიოსური ამფორები საბერძნეთში კრეტაზეა დადასტურებული; ისინი შემდეგ ძეგლებზე გამოვლინდა: კომოსი და აზორია.

კომოსი. კრეტის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს (ტაბ. I). ძეგლზე საერთო ჯამში სულ მცირე 48 ამფორის ფრაგმენტები გამოვლინდა, მათ შორის: 7 (14,58%) - მილეტურია (ძვ.წ. VII ს-ის ბოლო), 6 (12,5%) - ლესბოსური (ძვ.წ. VII-IV სს.), 6 (12,5%) - აღმოსავლეთი საბერძნეთი (ძვ.წ. VII ს.), 5 (10,41%) - ატიკური SOS (ძვ.წ. VII ს-ის ბოლო), 4 (8,33%) - სამოსი (ძვ.წ. VII ს-ის ბოლო), 3 (6,25%) - ქიოსი (1 - ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევარი; 1 - ძვ.წ. III ს-ის პირველი ნახევარი; 1 - ძვ.წ. I ს.), 2 (4,16%) - ლაკონია (ძვ.წ. VI ს.), 1 (2,08%) - როდოსი (ძვ.წ. III-II სს.), 1 (2,08%) - ჩრდილოეთი საბერძნეთი (ძვ.წ. IV ს.), 1 (2,08%) - კოსი (ძვ.წ. V ს.), 1 (2,08%) - კლაზომენე (ძვ.წ. I ს.) და 11 (22,91%) - უცნობი ცენტრის წარმოებას ეკუთვნის.

ქიოსური ამფორებიდან ერთი ყველაზე ადრეულ, თეთრანგობიან (მონახოვის I-A ვარიანტი), ხოლო ორი კონუსურ (მონახოვის V-C ვარიანტი) ტიპს მიეკუთვნება (Johnston 2005: 309-393).

აზორია. აზორია მდებარეობს კუნძული კრეტის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში (ტაბ. I).

ძვ.წ. VII-V სს-ით დათარიღებულ საზოგადო ნაგებობებიდან 1 ქიოსური, ყელგამობერილი ტიპის (მონახოვის III ტიპი) და 2 თასოსური, არქაული ხანის ამფორა გამოვლინდა (Haggis 2011: 1-70).

§2. ატიკა.

ქიოსური ამფორების ქრონოლოგიის მიხედვით საბერძნეთის მომდევნო რეგიონი, სადაც ქიოსური იმპორტი დადასტურდა არის ატიკა (ტაბ. I).

ატკის რეგიონიდან პირველ რიგში განვიხილავთ ათენს, რომელიც ანტიკურ ხანაში არა მხოლოდ ატკის, არამედ მთლიანად საბერძნეთის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრს წარმოადგენდა.

ათენში წარმოებული მრავალწლიანი არქეოლოგიური გათხრების შედეგად შესწავლილ იქნა ათენის აგორა, კერამეიკოსის უბანი, სამეფო სტოა, პნიქსის ბორცვი და მრავალრიცხოვანი კომპლექსები (ჭები, ცისტერნები და სხვ.), სადაც საკმაოდ დიდი რაოდენობის ამფორები და მათი ფრაგმენტები გამოვლინდა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ დღეისათვის აღმოჩენილი ბერძნული სატრანსპორტო ამფორების ძლიერ საგულისხმო ნაწილი ათენის აგორადან მომდინარეობს.

ათენში ყველაზე ადრეული ქიოსური ამფორები დაფიქსირებულია კერამეიკოსზე. იგი აკროპოლისის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს. ანტიკურ ეპოქაში ქალაქის სამეთუნეო უბანს წარმოადგენდა და აქვე მდებარეობდა ქალაქის მნიშვნელოვანი სამაროვანიც. სამარხები საფორთიფიკაციო კედლის აშენებამდეა გაჭრილი.

სამაროვანზე ამფორები გვხვდება სამარხეული ინვენტარის სახით, ასევე გამოყენებული იყო ახალშობილების ამფორასამარხებად. მათი უმეტესი ნაწილი ფრაგმენტულია, რაც სამარხეულ ორმოში მათი მჭიდროდ ჩაწყობით და ახალშობილის ჩასასვენებლად ამფორის მუცლის ამოტეხვის ტრადიციით აიხსნება.

საერთო ჯამში გაითხარა 96 ამფორასამარხი; აქედან განსახილველი პერიოდის ამფორები 94-ში დადასტურდა, მათგან: 32 (34,04%) - ქიოსურია (9 - ძვ.წ. VI ს-ის ბოლო - V ს-ის დასაწყისი; 21 - ძვ.წ. V ს-ის მეორე მეოთხედი; 2 - ძვ.წ. V ს-ის მესამე მეოთხედი), 7 (7,44%) - ატიკური SOS (ძვ.წ. 480 წ.), 6 (6,38%) - მენდე (თარიღი არ არის მითითებული), 6 (6,38%) - ლესბოსური (1 - ძვ.წ. VI ს; 5 - ძვ.წ. V ს-ის მეორე და მესამე მეოთხედები), 3 (3,19%) - სამოსური (თარიღი არ არის მითითებული) და 40 (42,55%) - უცნობი ცენტრის .

კერამეიკოსის სამარხებში დადასტურებულია ქიოსური ამფორების რამდენიმე ტიპი:

1. მონახოვის III-A ტიპი⁸⁹ - იგი ყელგამობერილი ამფორების ადრეული ვარიანტია და ძვ.წ. VI ს-ის ბოლო - V ს-ის დასაწყისით თარიღდება. კერამიკოსის აღმოჩენებში წარმოდგენილ ამ ტიპის ამფორებს⁹⁰ ფართო მხრები და არა ოვალური, არამედ მრგვალი შეერთების ადგილები აქვთ (#34). მოხატულობა უმეტეს შემთხვევებში ყავისფრადაა შესრულებული. მხარზე და შეერთების ადგილებთან დატანილია მოხატული ზოლი; ყელის შუა ნაწილში ხშირად მოცემულია მცირე ზომის წრე, ხოლო ყურის ზედაპირზე ჰორიზონტალური ხაზები გვხვდება. კეცი რბილი, ქარსის მინარევებით. ამ ტიპის ყველაზე ადრეული ვარიანტია #5, რომლის ინვენტარიც ძვ.წ. VI ს-ის ბოლოთი თარიღდება. #74 ძვ.წ. 480 წლით თარიღდება.

2. მონახოვის III-B ტიპი⁹¹ - იგი ძვ.წ. V ს-ის მეორე მეოთხედით თარიღდება. კერამიკოსის სამარხებში ქიოსური ამფორების ეს ტიპი გაცილებით მეტი - 21 ნიმუშის სახითაა წარმოდგენილი⁹². ამ ტიპის ამფორების ყელი უფრო მკვეთრადაა გამობერილი, შეერთების ადგილი ოვალური და სქელია. ძირი უფრო განიერი. კეცი ბევრად უფრო მაღალი ხარისხისაა და უფრო მტკიცეაა გამომწვარი. ზედაპირი აღარ არის მოხატული ყავისფერი საღებავით; გამონაკლისს წარმოადგენს #166 (სავარაუდოდ უფრო ადრეულია, ვიდრე მისი ინვენტარი)⁹³; #176 (ყელის შუა ნაწილზე, ორივე მხარეს და ყურის დასაწყისში აქვს მოხატული წრე); #302 (ყელზე აქვს ირიბი ზოლი); #186 და #178 (ყურებს შორის წითელი საღებავის ნაკვალევი ეტყობათ).

3. მონახოვის III-C-1 ტიპი⁹⁴ - ამ ტიპის ამფორების მხარი უფრო ბრტყელია, ყელი გრძელი და გამობერილი ნაწილი მის ზედა მესამედშია მოქცეული. შეერთების ადგილი უფრო ვიწროა და შეერთების კიდე გასქელებული. ძირი უფრო გადმოკეცილია. ეს ვარიანტი მხოლოდ ორი ამფორის სახითაა წარმოდგენილი: #290 და #304. მათგან პირველი III-B ვარიანტსა და #304 შორისაა მოქცეული, უფრო

⁸⁹ კნიგეს C/1 ტიპი.

⁹⁰ 9 ნიმუშის სახითაა წარმოდგენილი: კერამიკოსის კატ: #5, #17, #34, #48, #51, #74, #82, #95, #108.

⁹¹ კნიგეს C/2 ტიპი.

⁹² #94, 99, 132, 150, 154, 163, 164, 166, 168, 176, 186, 211, 214, 222, 226, 229, 254, 263, 282, 294, 302.

⁹³ თარიღდება ძვ.წ. 460 წლით.

⁹⁴ კნიგეს C/3 ტიპი.

ძველია ვიდრე #304. #290 ძვ.წ. V ს-ის შუა ხანებამდე არ უნდა იყოს დამზადებული. #304 აქვს წითლად მოხატული E ნიშანი ყელის ორივე მხარეს. გრეისის მიხედვით იგი ძვ.წ. V ს-ის მესამე მეოთხედს ეკუთვნის (Knigge 1976: 20-25).

გარდა აღნიშნულისა, Z შენობიდან და მისი მახლობელი ტერიტორიიდან საერთო ჯამში 34 ამფორის ფრაგმენტები გამოვლინდა, მათგან: 10 - **კნიდურია** (2 - ძვ.წ. 188-167 წწ; 3 - ძვ.წ. 167-146 წწ; 1 - ძვ.წ. 146-108 წწ; 1 - ძვ.წ. 107-98 წწ; 1 - ძვ.წ. 88 წ; 1 - ძვ.წ. 85-78 წწ; 1 - თარიღი უცნობია), 8 - **ქიოსური** (ძვ.წ. V ს-ის მესამე მეოთხედი), 3 - **ლესბოსური** (ძვ.წ. V ს-ის ბოლო), 1 - **კოსი** (თარიღი უცნობია), 12 - **უცნობი ცენტრის** (Knigge 2005: 104-166, 218-227; Knigge 1976: 240-241; Tancke 1976: 241-242).

ათენის აგორა. ათენის კლასიკური ხანის აგორა წარმოადგენს ძველ ბერძნული აგორას საუკეთესო ნიმუშს; იგი მდებარეობს აკროპოლისის ჩრდილო-დასავლეთით; სამხრეთიდან არეოპაგის, ხოლო დასავლეთიდან კოლონოს აგორაიოსის ბორცვები ესაზღვრება. იგი ანტიკურ ხანაში ქალაქის ცენტრალური მოედანი იყო, სადაც სავაჭრო ცხოვრება და სხვადასხვა საქონლის გაცვლა-გამოცვლა მიმდინარეობდა.

ათენის აგორაზე მრავალი სხვადასხვა ტიპისა თუ დანიშნულების ნაგებობა გაითხარა, რის შედეგადაც საკმაოდ დიდი რაოდენობით ამფორების როგორც უდამლო, ასევე დამლიანი ფრაგმენტები აღმოჩნდა; საერთო ჯამში გამოვლინდა დაახლოებით 40 000 დამლა, საიდანაც 26 000 (65%) - **კნიდურია** (12 003 - ძვ.წ. III ს; 383 - ძვ.წ. II ს-ის მეორე ათწლეული, 1 - ძვ.წ. I ს; დანარჩენის თარიღი ზოგადად ელინისტური ხანაა), 5322 (13,30%) - **როდოსული** (4436 - ძვ.წ. III ს; 886 - ძვ.წ. II ს-ის მეორე ათწლეული); 735 (1,83%) - **თასოსური** (674 - ძვ.წ. IV-III სს; 60 - ძვ.წ. II ს-ის მეორე ათწლეული, 1 - ძვ.წ. V ს-ის დასაწყისი), 53 (0,13%) - **კოსი** (ძვ.წ. II ს-ის მეორე ათწლეული); დანარჩენი კი შემდეგ ცენტრებზე ნაწილდება: 7 - **კორინთო** (ძვ.წ. II ს-ის მეორე ათწლეული); 6 - **ქიოსი** (ძვ.წ. V ს.) (კატ. #1-2, 26, 28, 33), 1 - **ნიკანდროსის ჯგუფი** (ძვ.წ. III ს-ის ბოლო), 1 - **პარმენისკოს ჯგუფი** (ძვ.წ. III ს-ის შუა ხანები), 1 - **ფაროსი** (ძვ.წ. III ს.). ზოგიერთი მათგანი უცნობი ცენტრის პროდუქციას ეკუთვნის.

გარდა დამლები ათენის აგორადან ასევე გამოვლინდა განსახილველი პერიოდის 108 ამფორა და მათი ფრაგმენტები, რომელთაგან: 40⁹⁵ (37,03%) – ქიოსურია (15 - ძვ.წ. V ს-ის მესამე მეოთხედი; 15 - ძვ.წ. V ს-ის ბოლო მეოთხედი; 4 - ძვ.წ. V ს-ის ბოლო - IV ს-ის დასაწყისი; 6 - თარიღი უცნობია (კატ. #3-25; 27; 29-32; 34; 47), 14 (12,96%) - მენდე (2 - ძვ.წ. V ს-ის შუა ხანები; 12 - ძვ.წ. V ს-ის მეორე ნახევარი), 11 (10,18%) - სოლოხა I (ძვ.წ. V ს-ის მეორე ნახევარი), 7 (6,48%) - ჩრდილოეთი საბერძნეთი (1 - ძვ.წ. V ს-ის პირველი ნახევარი, 6 - ძვ.წ. V ს-ის მეორე ნახევარი), 2 (1,85%) - სოლოხა II (ძვ.წ. V ს-ის მეორე ნახევარი), 2 (1,85%) - თასოსი (ძვ.წ. V ს-ის ბოლო) და 32 (29,62%) - უცნობი ცენტრის (Grace 1985: 5-30; Grace 1934: 197-310; Lawall 2009: 66-68; Boulter 1953: 59-110)⁹⁶.

ათენის შემოგარენი. კლასიკური ატიკის ეკონომიკური ცხოვრების შესწავლის მიზნით ათენის შემოგარენში ჩატარებული დაზვერვებისა და გათხრების შედეგად საერთო ჯამში 19 ამფორა გამოვლინდა, მათ შორის: 6 - ატიკურია (ძვ.წ. IV ს.), 2 - კოსის (ძვ.წ. II ს-ის ბოლო), 2 - კნიდის (1 - ძვ.წ. II ს-ის პირველი ნახევარი; 1 - ძვ.წ. II ს-ის მეორე ნახევარი), 2 - თასოსის (ძვ.წ. V-III სს.), 1 - სამოსის (ძვ.წ. VI ს), 1 - კორინთული (ძვ.წ. IV ს.), 1 - ქიოსური (ძვ.წ. V ს.) და 4 - უცნობი ცენტრის (Lohmann 1993: 41-42; 400-402).

ელინისტურ ხანაში ათენის ძეგლებზე იმპორტული ამფორების მაჩვენებელი შემდეგნაირია: კნიდის ამფორები პირველ ადგილზე დგას 67%-ით, როდოსი - 19%, თასოსი - 2%; ქიოსი და კოსი თითოეული 1%-ზე ნაკლებს შეადგენს; დარჩენილი რაოდენობა სხვადასხვა ცენტრების ამფორებზე ნაწილდება (Koehler, Wallace Matheson 2002: 163-164).

პნიქსი. პნიქსის ბორცვი მდებარეობს ათენის ცენტრში. არქეოლოგიური გათხრების შედეგად ძეგლზე გამოვლინდა 210 დამლა, რომლებიც სხვადასხვა ბერძნულ იმპორტულ ამფორებს ეკუთვნის; აქედან: 76 (36,19%) - კნიდური წარმომავლობისაა, 70 (33,33%) - ეკუთვნის თასოსს (ძვ.წ. 340 წლამდე პერიოდი), 43

⁹⁵ 6 მათგანი დამლიანია.

⁹⁶ აღნიშნული ინფორმაცია მომდინარეობს ათენის აგორას მიწისქვეშა კამერის, შუა სტოას და 1931-32 წლების გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალიდან.

(20,47%) - როდოსულია (ძვ.წ. III ს.), 3 (1,42%) - ქიოსური (ძვ.წ. III ს.) და 18 (8,57%) - უცნობი ცენტრის (Talcott... 1956: 117-176; Lawall 2005: 31-33).

კითხვა. კუნძული კითერა მდებარეობს იონიის ზღვაში (ტაბ. I). საბერძნეთის ადმინისტრაციული დაყოფით იგი ატიკის რეგიონში შედის.

კითერაზე ჩატარებული გათხრების შედეგად აღმოჩენილ იქნა 10 ქიოსური ამფორის ფრაგმენტები, რომლებიც ძვ.წ. V ს-ის მეორე ნახევრით თარიღდება (Coldstream, Huxley 1972: 164-165).

§3. აღმოსავლეთ მაკედონია და თრაკია

აღნიშნული რეგიონიდან მხოლოდ ერთ ძეგლს - *სამოთრაკეს* განვიხილავთ.

კუნძული სამოთრაკე ეგეოსის ზღვის ჩრდილო ნაწილში მდებარეობს (ტაბ. I).

კუნძულზე გათხრილი სამაროვნების შესწავლის შედეგად 15 ამფორის ფრაგმენტები გამოვლინდა; მათ შორის: 6 - სავარაუდოდ ატიკური წარმომავლობისაა (ძვ.წ. VI-V სს.), 1 - მენდეს პროდუქციას მიეკუთვნება (ძვ.წ. VI-V სს.), 1 - ქიოსურია (ძვ.წ. V ს-ის პირველი ნახევარი) და 7 - უცნობი ცენტრის პროდუქციას ეკუთვნის (Dusenbery 1998: 752-759).

§4. პელოპონესის ნახევარკუნძული

მომდევნო რეგიონი, სადაც ქიოსური ამფორები ასევე დასტურდება არის პელოპონესის ნახევარკუნძული. აქ ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლია *კორინთო*. იგი მდებარეობს პელოპონესის რეგიონში (ანტიკურ ეპოქაში კორინთია) (ტაბ. I).

კორინთოს აგორას სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში გამოვლინდა ე.წ. „პუნიკური ამფორების შენობა“, რომელიც ძვ.წ. 460-430 წწ-ით დათარიღდა. აქ გამოვლინდა ქიოსური ყელგამობერილი ამფორები, რომლებიც ძვ.წ. V ს-ეს მიეკუთვნება, მაგრამ მათი რიცხვი დაუდგენელია (Mattingly 1981: 78-86).

1971 წელს ჩატარებული სადრენაჟო მილის გათხრების შედეგად აღმოჩნდა სატრანსპორტო ამფორების როგორც დამდიანი, ასევე უდამლო ფრაგმენტები, რომელთა შორის უმეტესობას ბუნებრივია კორინთული შეადგენს.

საერთო ჯამში 77 ამფორიდან: 15 (19,48%) - **კორინთულია** (ძვ.წ. VI-V სს.), 14 (18,18%) - **კორინთული A** (ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევარი), 13 (16,88%) - **ქიოსური** (ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევარი), 11(14,28%) - **კორინთული B** (ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევარი), 7 (9,09%) - **თასოსური** (ძვ.წ. IV ს-ის ბოლო მესამედი), 4 (5,19%) - **კნიდი** (ძვ.წ. II ს-ის პირველი ნახევარი), 4 (5,19%) - **როდოსული** (ძვ.წ. II ს-ის პირველი მესამედი), 2 (2,59%) - **ლესბოსური** (ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევარი), 1 (1,29%) - **კოსის** (ძვ.წ. IV ს-ის ბოლო - III ს-ის დასაწყისი), 1 (1,29%) - **ფაროსული** (ძვ.წ. II ს-ის დასაწყისი), 1 (1,29%) - **სამოსური** (ძვ.წ. II ს-ის მეორე მეოთხედი)⁹⁷, 3 (3,89%) - **უცნობი ცენტრის** (Leiden 1979: 25-26; McPhee, Pemberton 2012: 47-54; Campbell 1938: 558-608; Pease 1937: 257-303).

§5. თესალია

თესალიაში ქიოსური ამფორები მხოლოდ ერთ ძეგლზე - *დემეტრიასში* გამოვლინდა. იგი დღევანდელი ქალაქ ვოლოსის მახლობლად მდებარეობს (ტაბ. I).

დემეტრიასის ხანგრძლივი არქეოლოგიური შესწავლის შედეგად ამფორების მრავალრიცხოვანი დამლები აღმოჩნდა, რომელთა უმეტესობა ელინისტური ხანით თარიღდება. საერთო ჯამში 111 დამლიდან: 64 (57,65%) - **თასოსურია** (ძვ.წ. III ს.), 19 (17,11%) - **პარმენისკოს ჯგუფი** (18 - ძვ.წ. III ს-ის ბოლო, 1 - ძვ.წ. II ს.), 11 (9,90%) - **როდოსული** (ძვ.წ. III ს-ის მეორე ნახევარი), 4 (3,60%) - **ქიოსური** (ძვ.წ. III ს.), 3 (2,70%) - **კნიდის** (2 - ძვ.წ. 188-167 წწ; 1 - ძვ.წ. I ს.), 2 (1,80%) - **კოსის** (1 - ძვ.წ. III ს; 1 - ძვ.წ. I ს.), 2 (1,80%) - **ფაროსული** (ძვ.წ. III ს.) და 6 (5,40%) - **უცნობი ცენტრის**.

⁹⁷ კორინთოს, როდოსის, კნიდის, თასოსის, კოსის, ფაროსისა და სამოსისა ყველა ამფორა დამდიანია.

ძვ.წ. II ს-ის კონტექსტებში თვალშისაცემად ცოტაა როდოსული ამფორების დამლევი, მაშინ, როდესაც როდოსული იმპორტი სწორედ ამ ხანაში განიცდის აღმავლობას.

ძვ.წ. II საუკუნისთვის ათენში კნიდის ამფორების ათასობით ნიმუშია წარმოდგენილი, ხოლო დემეტრიასში მსგავსი მრავალრიცხოვნებით არ გამოირჩევა ამ ცენტრის პროდუქცია; ეს იმით აიხსნება, რომ გვიან ელინისტური ხანის სამოსახლო არ არის ბოლომდე შესწავლილი და არა იმ მიზეზით, რომ ქალაქი ნაკლებად იყო ჩართული გვიან ელინისტურ აქტივობებში (Zimmer, Furtwangler 2003: 115-156).

§6. ცენტრალური საბერძნეთი

ცენტრალური საბერძნეთის რეგიონიდან ქიოსური ამფორები *გრეტრიაში* (ევბეა) დადასტურდა (ტაბ. I).

ძეგლზე გამოვლენილი 11 დამლიდან: 7 - კნიდურია (ძვ.წ. III-II სს.), 2 - ქიოსური (ძვ.წ. III ს-ის პირველი ნახევარი), 1 - როდოსული (ძვ.წ. III ს-ის პირველი ნახევარი) და 1 უცნობი ცენტრის (Metzger 1969: 27, 65-66).

§7. სამხრეთი ეგეოსისპირეთი

საბერძნეთის უკანასკნელი რეგიონი, სადაც ქიოსური ამფორები გამოვლინდა არის სამხრეთი ეგეოსისპირეთი.

დელოსი (ტაბ. I). კუნძულზე ჩატარებული გათხრების შედეგად საერთო ჯამში 5123 დამლა აღმოჩნდა, საიდანაც: 3695 (72,13%) კნიდურია, 1339 (26,14%) - როდოსული, 36 (0,7%) - თასოსური, 34 (0,66%) - კოსის, 11 (0,21%) - ფაროსული (ყველა მათგანი ძვ.წ. III-I სს-ით თარიღდება) და 1⁹⁸ - ქიოსური (ძვ.წ. II ს-ის მესამე მეოთხედი) (Grace 1952: 514-540; Zapheirou, Chatzidakis 1994: 29-41; Kent 1953: 127-134).

⁹⁸ ინვ. # B18180. დამლაზე მოცემულია სახელი: Καυτήριον.

როდოსი. კუნძული როდოსი მდებარეობს ეგეოსის ზღვის სამხრეთ ნაწილში, კრეტის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მცირე აზიის სანაპიროსთან ახლოს (ტაბ. I).

ვილანოვას საწყობის სახელით ცნობილ ადგილზე ჩატარებული გათხრების შედეგად 500 **როდოსული** და 1 **თასოსური** ამფორა აღმოჩნდა. ა. მაიურის⁹⁹ აზრით საწყობში ინახებოდა ღვინის პარტია ამფორებში, რომელიც გემით წასაღებად იყო გამზადებული, მაგრამ ნავსადგურში გაჩენილი ხანძრის გამო მათი ტრანსპორტირება ვერ მოხერხდა. მეორე მოსაზრების თანახმად ეს იყო გასაყიდად განკუთვნილი ცარიელი ტარა.

გარდა აღნიშნულისა აქვია სამი ამფორა, რომელთაგან ერთ-ერთი (#4562) ნამდვილად **ქიოსურია**. იგი 72 სმ სიმაღლისაა და იმ ტიპს მიეკუთვნება, რომლისთვისაც ყურის ზედა დაბალი მიძერწვის ადგილია დამახასიათებელი. ყური ფაქტიურად ყელის სიმაღლის ნახევარზეა მიძერწილი. ეს თვისება ქიოსურ ამფორებს ჯერ კიდევ ძვ.წ. IV ს-ის 30-იან წწ-ში უჩნდებათ და ძვ.წ. III ს-ის პირველ მეოთხედშიც აქვთ. დარჩენილი ორიდან 1 - **კოსის** და 1 - **უცნობი ცენტრის** პროდუქციას ეკუთვნის. საწყობი ზოგადად ძვ.წ. III ს-ის 30-იანი წწ-ით თარიღდება (Монахов 1999).


ქიოსური ამფორების იმპორტი საბერძნეთის სხვადასხვა ძეგლებზე შემდეგნაირად გამოიყურება: **დანართი II, ცხრილი II**.

საბერძნეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი ქიოსური იმპორტი ძვ.წ. VII-I სს-ებს მოიცავს. აქ მდებარე ძეგლებზე სულ 130 ქიოსური ამფორა გამოვლინდა.

თავდაპირველად (ძვ.წ. VII ს.) ქიოსური იმპორტი წარმოდგენილია კრეტაზე (კომოსი, აზორია), ძვ.წ. V ს-დან კი უკვე ათენს აღწევს, საიდანაც ყველაზე მეტი - 79 ამფორა მომდინარეობს. ძვ.წ. IV ს-დან იმპორტი ფიქსირდება პელოპონესის ნ/კ-ზეც (კორინთო), ამის შემდეგ იმპორტი ვრცელდება ერეტრიაზე, სამხრეთ ეგეოსისპირეთში (დელოსი, როდოსი) და თესალიაში (დემეტრასი).

საბერძნეთში დადასტურებული ქიოსური იმპორტი გრაფიკის სახით ასე გამოიყურება:

⁹⁹ A. Maiuri., Una Fabbrica di Anfore Rodie. *Annuario*. vol. IV-V. Bergamo. 1924.



გრაფიკი 2. საბერძნეთში დადასტურებული ქიოსური ამფორების დინამიკა

IV. 1. 3. კვიპროსი

ბერძნების მიერ კვიპროსის ათვისება კლასიკური ბერძნული კოლონიზაციის პროცესს არ მიეკუთვნება. იგი ისეთივე ქმედება იყო, როგორც პელოპონესელი ბერძნების იონიაში გადასახლება (იხ. ქვემოთ).

ბერძნული საზოგადოების კვიპროსზე დაარსება მიკენური სასახლეების განადგურების (ძვ.წ. XIII ს-ის ბოლო) შემდეგ დაიწყო.

მიკენელი ბერძნები კვიპროსზე ძვ.წ. XII ს-ში დასახლდნენ. კოლონისტების კუნძულზე დასახლება ორ ეტაპად განხორციელდა: პირველი ტალღის დროს მიკენელმა ბერძნებმა კვიპროსში დაახლოებით ძვ.წ. 1400 წელს იმოგზაურეს; ხოლო მეორე და ძირითადი ეტაპი მიჩნეულია, რომ დაიწყო მიკენური საბერძნეთის განადგურების შემდეგ ბრინჯაოს ხანაში (ძვ.წ. 1100-დან 1050 წლამდე პერიოდი).

ძვ.წ. VIII ს-დან მოყოლებული კი კვიპროსის სამხრეთ სანაპიროზე (დღევანდელი ლარნაკას და სალამისტან ახლოს) ფინიკიური კოლონიები ჩნდება.

კუნძულზე ფინიკიელების არსებობას ქანაანურ ჭურჭლებში დაკრძალული ბავშვების სამარხები ადასტურებს.

ახალმოსული ბერძნები კუნძულის გვიან კვიპროსულ საქალაქო ცენტრებში დასახლდნენ, სადაც ისინი, სავარაუდოდ მდიდრულმა ადგილობრივმა საზოგადოებამ შთანთქა.

კვიპროსის კოლონიზაციის უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ მოსულმა მოსახლეობამ იმის ნაცვლად, რომ ადგილობრივი ენა მიეღოთ, რომელსაც უკვე დამწერლობის სახე ჰქონდა (კვიპროსულ-მიკენური) ახალი ადგილობრივი დამწერლობა აირჩიეს თავისი საკუთარი ენის „დასაწერად“. ამით მათ თავიანთი ლინგვისტური იდენტობა შეინარჩუნეს.

ამ პერიოდში კვიპროსში ეგეოსიდან მიგრანტების შემოსვლას დაკრძალვის წესიც ადასტურებს (Iacovou 2006: 235-240).

ძვ.წ. VIII ს-ის ბოლოსთვის კვიპროსი ტერიტორიულ ერთეულებად ან ქალაქ-სამეფოებად იყო დაყოფილი. ეპიგრაფიკული ინფორმაციის და კონტექსტუალური მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ კვიპროსულ-კლასიკურ ხანაში (ძვ.წ. V-IV სს.) ბერძნული ენა ადგილობრივი მოსახლეობის და კვიპროსული სამეფოების უმეტესობაში ძირითადი სახელმწიფო ენა გახდა.

ამ მოვლენების გათვალისწინებით არ არის გასაკვირი კვიპროსის სხვადასხვა ნამოსახლარებზე ბერძნული სატრანსპორტო ამფორების აღმოჩენა; ჩანს, რომ თავისი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით მას ხშირად მოინახულებდნენ ბერძნები სავაჭრო ინტერესების გამო.

ცნობილია, რომ კვიპროსის ანტიკური ეპოქის სავაჭრო სისტემაში ჩართვა კუნძულზე არსებულმა სპილენძის საბადოებმა განაპირობა.

კვიპროსი მტკიცე ბერძნული გავლენის ქვეშ იყო, განსაკუთრებით კვიპროსულ-არქაულ პერიოდში (ძვ.წ. 725-475 წწ.). ეს იყო ბერძნების აღმოსავლეთისაკენ ექსპანსიის პერიოდი, როდესაც ისინი კოლონიებს აარსებდნენ სირიასა და კილიკიაში. მიჩნეულია, რომ ბერძენი კოლონისტების გარკვეულმა ნაწილმა აღმოსავლეთისკენ მოგზაურობის დროს კვიპროსზე გამოიარა და თან წაიყვანა კვიპროსელებიც (Karageorghis 1977: 61-63).

კვიპროსზე რამდენიმე რეგიონი გამოიყოფა, სადაც ბერძნული სატრანსპორტო ამფორები დადასტურდა; ესენია: ფამაგუსტა, ლიმასოლი, ლარნაკა, ნიქოზია და პაფოსი.

§1. ფამაგუსტა

სალამისი. მდებარეობს კვიპროსის აღმოსავლეთ სანაპიროზე, მდ. პედიეოსის შესართავთან. ფამაგუსტადან ჩრდილოეთით 6 კმ-ის დაშორებით (ტაბ. V, 2).

არქეოლოგიურად დადასტურებულია, რომ სალამისი ძვ.წ. XI ს-ში იქნა დაარსებული. ამ პერიოდში ქალაქი მცირე ფართობზე იყო გაშენებული ნავსადგურთან ახლოს, მაგრამ მალევე გაფართოვდა დასავლეთით.

სალამისის სამაროვანი დიდ არეალს ფარავს და ჩრდილოეთიდან სოფ. აია სერგიოსით, ხოლო სამხრეთიდან კი სოფ. ენკომის მისადგომებითაა შემოსაზღვრული.

სალამისის სამაროვანზე ძვ.წ. IX ს-დან ადრე ქრისტიანულ ეპოქამდე დათარიღებული აკლდამები გაითხარა. უადრესი სამარხები ანტიკური ქალაქის ტერიტორიაზე (დღეისათვის ტყის საფარითაა დაფარული) იმყოფება.

სალამისის ეგეოსის სამყაროსთან ახლო კონტაქტების დამადასტურებელი მასალა ერთ-ერთი აკლდამიდან გამოვლინდა, სადაც აღმოჩნდა ბერძნული, გეომეტრიული სტილის კერამიკა, რომელიც წარჩინებულ კვიპროსელს ეკუთვნოდა. გარდა ამ აკლდამისა ბერძნული კერამიკა რიგითი მოქალაქეების სამარხებშიც გვხვდება.

ამ პერიოდში ბერძნები სირიასა და მცირე აზიას ითვისებდნენ და სალამისი მათთვის შუალედური შესაჩერებელი პუნქტი უნდა ყოფილიყო.

მრავალრიცხოვანი ბერძნული სატრანსპორტო ამფორებისა და მათი დამღების არსებობა სალამისის ბერძნულ სამყაროსთან მჭიდრო კავშირით უნდა აიხსნას.

10 წლიანი (1964-1974 წწ.) გათხრების შედეგად ძეგლზე დაფიქსირებული დამღების რაოდენობა 84-ს აღწევს. მათგან წამყვანი პოზიცია **როდოსულ** დამღებს უჭირავთ, ისინი 74 ნიმუშის სახითაა წარმოდგენილი (14 – ძვ.წ. IV ს-ის ბოლო - III ს-

ის დასაწყისი; 12 - ძვ.წ. 280-220 წწ; 14 - ძვ.წ. 220-180 წწ; 7 - ძვ.წ. 180-146 წწ; 15 - ძვ.წ. II ს-ის მეორე ნახევარი; 12 - ძვ.წ. I ს-ის დასაწყისი), 6 - **თასოსურია** (ძვ.წ. IV ს-ის ბოლო), 6 - **სამოსური** (ძვ.წ. IV ს-ის ბოლო), 3 - **კნიდური** (ძვ.წ. II ს-ის დასაწყისი), 1 - **ქიოსური** (ძვ.წ. III ს.) (Calvet, Yon 1978: 17-20; Calvet 1972).

გარდა დამღებისა, აქვეა სატრანსპორტო ამფორებიც: 14 - **ქიოსური** (6 - ძვ.წ. VII ს-ის ბოლო; 8 - ძვ.წ. VI ს-ის პირველი ნახევარი), 7 - **ატიკური SOS** (ძვ.წ. VII ს-ის ბოლო - VI ს-ის დასაწყისი), 8 - **იონიური** (ძვ.წ. VI ს-ის შუა ხანები) (Calvet, Yon 1977: 9-11; Gjerstad 1977: 35-37; 183-187; Calvet, Yon 1978: 43-51).

§2. ლიმასოლი

მომდევნო ძეგლია *ამათუსი*. იგი ძვ.წ. XI ს-ში იქნა დაარსებული კვიპროსის სამხრეთ სანაპიროზე; იგი მდებარეობს ლარნაკას დასავლეთით დაახლოებით 38 კმ-ის და ლიმასოლიდან აღმოსავლეთით 10 კმ-ის დაშორებით (ტაბ. V, 2).

სალამისის მსგავსად ამათუსის დაარსება პირდაპირ კავშირში იყო ნავსადგურის კონტროლთან. ქალაქი ძვ.წ. 1100 წელს უკვე არსებობდა, რასაც არქეოლოგიური აღმოჩენები ადასტურებს.

ამათუსის გათხრებიდან გამოვლენილი საკმაოდ მცირერიცხოვანი - 4 ბერძნული სატრანსპორტო ამფორიდან 3 - **ქიოსურია** (ძვ.წ. VII ს-ის ბოლო) და 1 - **ატიკური a la brossé** (ძვ.წ. VII ს.) (Thalmann 1977: 65-67).

§3. ლარნაკა

მომდევნო ძეგლია *ქიტონი*. იგი კვიპროსის სამხრეთ სანაპიროზე, დღევანდელი ლარნაკას რეგიონში მდებარეობს (ტაბ. V, 2).

ქიტონი ძვ.წ. XII ს-ში კვიპროსის ერთ-ერთი უმთავრესი ადმინისტრაციული და ეკონომიკური ერთეული იყო და სავარაუდოდ მან ეს როლი ადრერკინის ხანაზე გადასვლის პერიოდშიც შეინარჩუნა.

იმპორტული ამფორები ქიტიონში 1962-75 წლებში ჩატარებული გათხრების შედეგად გამოვლინდა.

ამფორების აქ მოხვედრისას ქიტიონი ფინიკიელების მმართველობის ქვეშ იყო; ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ფინიკიელებისთვის სავაჭრო ურთიერთობები პოლიტიკაზე ზემოთ იდგა.

აქ გამოვლენილი იმპორტული ამფორების უმრავლესობა ასტარტეს ტაძართან დაკავშირებული ფენებიდან მომდინარეობს, რომელიც აგებულ იქნა ძვ.წ. IX ს-ის შუა ხანებში.

52 იმპორტული ამფორიდან: 21 (40,38%) - ქიოსურია (ძვ.წ. VI ს.), 10 (19,23%) - ატიკური *À la brosse* (თარიღი არ არის მითითებული), 5 (9,61%) - როდოსული (ძვ.წ. III ს.), 5 (9,61%) - ატიკური *SOS* (4 - ძვ.წ. VII-VI სს; 1 - ძვ.წ. VII ს.), 3 (5,76%) - სამოსური (ძვ.წ. V ს.), 2 (3,84%) - ატიკური (ძვ.წ. V ს.), 2 (3,84%) - კორინთული, 2 (3,84%) - კოსის (თარიღი უცნობია), 1 (1,92%) - თასოსური (ძვ.წ. V ს.), 1 (1,92%) - ლესბოსური (თარიღი უცნობია) და 3 (5,76%) - უცნობი ცენტრის (Karageorghis, Coldstream, Bikai... 1981: 37-44; Salles 1984: 273-282).

გარდა ამფორებისა აკროპოლისის გათხრებიდან 123 დამლა მომდინარეობს, მათგან: 102 (82,92%) - როდოსულია (4 - ძვ.წ. IV ს-ის ბოლო - III ს-ის დასაწყისი; 26 - ძვ.წ. 220-180 წწ; 8 - ძვ.წ. III ს-ის პირველი ნახევარი; 26 - ძვ.წ. III ს-ის მეორე ნახევარი; 3 - ძვ.წ. II ს-ის პირველი ნახევარი; 16 - ძვ.წ. II ს-ის მეორე ნახევარი; 15 - თარიღი უცნობია; 4 - ძვ.წ. 180-150 წწ.), 7 (5,69%) - თასოსური (3 - ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევარი; 4 - ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი), 3 (2,43%) - კოსის (1 - ძვ.წ. 350 წლის მახლობლად; 2 - თარიღი უცნობია), 1 (0,81%) - პარმენისკოს ჯგუფი (ძვ.წ. III ს-ის დასაწყისი), 1 (0,81%) - კორინთული (თარიღი უცნობია), 1 (0,81%) - აღმოსავლეთ საბერძნეთი (ძვ.წ. VI ს.) და 8 (6,50%) - უცნობი ცენტრის (Calvet 1982: 9-54; Karageorghis 1977: 61-63).

§4. ნიქოზია

მომდევნოა ძეგლია *ფანაია*. იგი მდებარეობს კვიპროსის ცენტრალურ ნაწილში (ტაბ. V, 2).

აქ გამოვლენილი ამფორების უმეტესობა #2, #4 და #8 ორმოებიდან მომდინარეობს და არქაული და კლასიკური ხანით თარიღდება.

ა. ა. ლემოსის მიხედვით ქიოსური ამფორებით ღვინისა და ზეთუნის ზეთის შემოტანა ფანაიაში ძვ.წ. VI ს-ში ამ ცენტრთან მჭიდრო ურთიერთობის არსებობაზე მიუთითებს.

ბერძნული სატრანსპორტო ამფორებიდან 266 ფრაგმენტი - კოსის ამფორებს ეკუთვნის (ელინისტური ხანა), მათგან ზოგიერთი დამლიანია, 37 - როდოსულია (ძვ.წ. II-I სს.) (ყურების ფრაგმენტები), 7 - ქიოსური (ძვ.წ. VI-V სს.), 3 - კნიდი (ელინისტური ხანა), 2 - მილეტი (ძვ.წ. VI ს-ის მეორე ნახევარი) და 1 - სამოსი (ძვ.წ. VI ს.) (Sørensen, Jacobsen 2006: 303-335).

§5. პაფოსი

უკანასკნელი ძეგლი, რომელსაც კუძული კვიპროსიდან განვიხილავთ *პაფოსია* (ნეა პაფოსი). იგი მდებარეობს კვიპროსის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე (ტაბ. V, 2).

პაფოსი წარმოადგენდა აფროდიტეს¹⁰⁰ საკულტო ცენტრს. ნეა პაფოსი ეგეოსისპირეთსა და ალექსანდრიას შორის მიმდინარე ვაჭრობაში შუამავალი პუნქტი იყო.

პოლონურმა ექსპედიციამ ნეა პაფოსში ძველი ქალაქის საკმაოდ დიდი ნაწილი - 20 000 კვადრატული მეტრი ფართობი შეისწავლა. ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ცხოვრების კვალი შეინიშნება ძვ.წ. IV ს-ის ბოლოდან ახ.წ. VI ს-მდე. აქვე გამოვლინდა ამფორების დამლები.

¹⁰⁰ მისი მითიური დაბადება ამ კუნძულზე მოხდა, სადაც მისი სახელობის ტაძარი ააგეს მიკენელებმა ძვ.წ. XII ს-ში.

ქალაქის სამაროვანი გალავნის ჩრდილოეთით 2 კმ-ზე მდებარეობს. სამარხებად ძირითადად გამოყენებულია როდოსული ამფორები.

ძეგლზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა ბერძნული იმპორტული ამფორების დამღები, რომელთაგან როდოსული პირველ ადგილზეა. დამღები ძირითადად არასტრატეფიცირებული კომპლექსებიდან (თესევსის ვილას განადგურებული ფენები) მომდინარეობს და უმეტესი მათგანი ზედაპირულ აღმოჩენას წარმოადგენს; მართალია მხოლოდ ამფორების დამღებზე დაყრდნობით რთულია ეკონომიკური კონტაქტების სრული რეკონსტრუქცია, თუმცა ძველი პაფოსის ანტიკურ სამყაროსთან სავაჭრო ურთიერთობის შესწავლის კუთხით მათი მნიშვნელობა მაინც ფასდაუდებელია.

ძეგლზე გამოვლენილი 330 დამღიდან: 292 (97,33%) როდოსულია (21 - ძვ.წ. 300-220 წწ; 116 - ძვ.წ. 220-180 წწ; 26 - ძვ.წ. 180-150 წწ; 50 - ძვ.წ. II ს-ის მეორე ნახევარი; 20 - ძვ.წ. II ს-ის ბოლო - I ს; 109 - (თარიღი უცნობია), 11 (3,33%) - კნიდური (ძვ.წ. II-I სს.), 6 (1,81%) - ქიოსური (3 - ძვ.წ. III ს-ის დასაწყისი; 3 - ძვ.წ. II ს.), 5 (1,51%) - კოსი (ძვ.წ. I ს-ის დასაწყისი), 2 (0,60%) - თასოსი (ძვ.წ. III ს-ის დასაწყისი), 1 (0,30%) - ნიკანდროსის ჯგუფი (თარიღი უცნობია), 1 (0,30%) - კორინთული? და 10 (3,03%) - უცნობი ცენტრის (Sztetyĥo 1976: 32-101; Sztetyĥo 1991; Barker 2002: 73-76; Hayes 1991).

კვიპროსის სხვადასხვა ძეგლებზე გამოვლენილი ბერძნული ამფორების იმპორტი ასე გამოიყურება: დანართი II, ცხრილი III.

ყველაზე მრავალრიცხოვანია იმპორტი სამხრეთი ეგეოსისპირეთიდან, საიდანაც კვიპროსის ძეგლებზე შემოტანილია როდოსული, კნიდისა (ზუსტი რაოდენობა უცნობია) და კოსის 10 ამფორა.

მომდევნო ადგილზეა იონია; იგი შემდეგი ცენტრების სახითაა წარმოდგენილი: ქიოსი (52), სამოსი (10), მილეტი (2), ნინაკდროსის ჯგუფი (1) და ლესბოსი (1).

მას მოსდევს ატიკა, საიდანაც 2 ამფორა- ატიკურია, 12 - ატიკური SOS და 1 - ატიკური a la brossé;


პელოპონესის რეგიონიდან კვიპროსის ძეგლებზე გვხვდება 4 - კორინთული ამფორა. აღმოსავლეთი მაკედონიისა და თრაკიის რეგიონი კი 1 - პარმენისკოს ჯგუფის ამფორითაა წარმოდგენილი.

კვიპროსზე დადასტურებული ბერძნული ამფორების იმპორტი განსახილველი პერიოდის ყველა მონაკვეთს მოიცავს და უპირატესად ხმელთაშუა ზღის სანაპირო ზოლში ფიქსირდება. ქიოსური იმპორტი ძვ.წ. VII-V და III-II სს-ების ინტერვალშია წარმოდგენილი.

ქიოსური ამფორების ყველაზე ადრეული ნიმუშები (ძვ.წ. VII ს.) ფამაგუსტასა (სალამისი) და ლიმასოლში (ამათუსში) დასტურდება, ამის შემდეგ იმპორტი ვრცელდება ლარნაკასა (ქიტონი) და ნიქოზიაში (ფანაიაში) (ძვ.წ. VI-V სს.), ხოლო ძვ.წ. III-II სს-ში მხოლოდ პაფოსშია წარმოდგენილი.

კვიპროსის ძეგლებზე აღმოჩენილი ქიოსური ამფორები ბერძნულ იმპორტულ ამფორებს შორის არქაულ და კლასიკურ ხანაში წამყვან პოზიციას იკავებს, ხოლო ელინისტურ ხანაში მხოლოდ როდოსულს ჩამორჩება.

აღნიშნული ინფორმაცია გრაფიკზე ასე გამოიყურება:



გრაფიკი 3. კვიპროსზე დადასტურებული ქიოსური და სხვა ბერძნული იმპორტული ამფორების დინამიკა

IV. 2. შავიზღვისპირეთი

მომდევნო არეალი, რომელსაც განვიხილავთ არის შავიზღვისპირეთი.

ძვ.წ. VIII ს-ის დასასრულს იონიურმა პოლისებმა თავიანთი ტერიტორია გააფართოვეს კონტინენტის შიდა რეგიონებში. მერმნადის დინასტიის დაარსების შემდეგ (ძვ.წ. 675) დაიწყო ლიდიელებისა და ბერძნების დაპირისპირება. ლიდის მომდევნო დინასტიამ აღარ გააგრძელა მილეტისა და სხვა ქალაქ-სახელმწიფოების მიმართ სტუმართმოყვარე პოლიტიკა (Hdt. I. 14-15). ლიდის მიერ იონიელების ტერიტორიის ექსპანსიის შედეგად იონიელებმა დაიწყეს კოლონიების ძიება ზღვის გაღმა და ვაჭრობა მათი ერთ-ერთი უმთავრესი აქტივობა გახდა (XIV. 1. 6; Tsetskhladze 1994: 111-135).

მილეტის ხორას ნაწილის დაკარგვამ გამოიწვია დაპირისპირება თვითონ პოლისის შიგნით (hdt. V. 28-29). ერთ-ერთი ყველაზე რადიკალური გადაწყვეტილება იყო ემიგრაცია; ხოლო იმ დროს მხოლოდ ერთი რეგიონი იყო აუთვისებელი სხვა ბერძნული ერთეულების მიერ, ეს იყო შავიზღვისპირეთი.

მილეტური კოლონიები ძვ.წ. VII ს-ის შუა ხანების შემდეგ გაჩნდა, როცა ლიდიას უკვე დაწყებული ჰქონდა თავისი ექსპანსია. ეს არის ბერძნების მიერ შავი ზღვის ათვისების პირველი ეტაპი. იგი ძვ.წ. VII ს-ის მოერე ნახევარს მოიცავს. ის პროპონტისში ბერძენთა წარმატებული აქტივობის ლოგიკური შედეგია. ამ დროს მილეტმა მხოლოდ შვიდი ახალშენი დააარსა კუნძულებზე და ნ/კ-ზე (აპოლონია, ისტრია, ბორისტენე, ოლბია, პანტიკაპეონი, ამისოსი და სინოპი). მათი დანიშნულება იყო ინფორმაციის შეგროვება ახალი მიწების შესახებ და მომდევნო კოლონიზაციის შესაძლებლობის შეფასება. ახალმოსულებმა ურთიერთობა დაამყარეს ადგილობრივ მოსახლეობასთან - სკვითებთან, თრაკიელებთან და სხვ.

მილეტსა და ლიდიას შორის მიწისათვის ხანგრძლივი ბრძოლების დროს ყოველთვის მილეტი ზარალდებოდა. ეს იმით დასრულდა, რომ ძვ.წ. VI ს-ის დასაწყისში მილეტი იძულებული გახდა მიეღო ტრაქტატი, რომელიც ზღუდავდა მის მფლობელობას (Hdt. 1. 25). ამან შიდა კრიზისი გამოიწვია და კვლავ, სიტუაციის განმუხტვის ერთადერთი საშუალება ემიგრაცია იყო. პონტოს სანაპიროებზე ემიგრანტების ახალი ტალღები გაიგზავნა. ეს არის შავი ზღვის ბერძნული კოლონიზაციის მეორე ეტაპი. იგი ძვ.წ. VI ს-ის პირველი ნახევრით განისაზღვრება.

ეს ის დროა, როდესაც ბერძნები დაფუძნდნენ ოდესოსში, ბიდონეში, ნიმფეონში, კეპეში, ჰერმონასში, ფასისში. ამ ეპატზე კვლავ აქტიურობენ მილეტელი მოახალშენეები.

ამის შემდეგ კრიზისი მილეტში ცოტა ხნით შეწყდა და ლიდისა და საბერძნეთს შორის ურთიერთობა კვლავ მეგობრული გახდა. ლიდია ბერძნული კულტურის გავლენის ქვეშ მოექცა; მაგრამ მილეტის კეთილდღეობა დიდხანს არ გაგრძელებულა.

ძვ.წ. VI ს-ის შუა ხანებში სპარსეთის მეფემ მცირე აზიის ბერძნული ქალაქების დაპყრობა დაიწყო; იონიელები კიდევ ერთხელ იძულებულები გახდნენ ახალი კოლონიები გაეგზავნათ შავ ზღვაზე. ეს არის შავი ზღვის კოლონიზაციის მესამე ეტაპი (ძვ.წ. VI ს-ის შუა ხანები - მეორე ნახევარი). ეს ხანა კოლონისტების განსაკუთრებული აქტივობით ხასიათდება. კოლონიები არსდება პონტოსპირეთის ყველა რეგიონში მესემბრიიდან მოყოლებული ჰერაკლეამდე. საკოლონიზაციო მოძრაობაში ებმება მეგარა, კვლავ აქტიურია მილეტი. უკანასკნელი ეტაპის კოლონიებს მიეკუთვნება: მესემბრია, ტომევისი, ტირა, ნიკონიონი, კერკინიტიდა, ქერსონესი, ფეოდოსია, კიმერიონი, ტირიტაკე, მირმეკიონი, პორთმიონი, პატრაევსი, ტირამბა, ფანაგორია, სინდიკე, ტორიკოსი, დიოსკურია, გიენოსი და ჰერაკლეა (კაჭარავა 1998: 106-108).

შავ ზღვაზე უმეტესი (75 ან სხვა მოსაზრებით 90) კოლონია მილეტელების მიერ იქნა დაარსებული. სტრაბონის სიტყვებით: „ქალაქი [მილეტი] ბევრისთვისაა ცნობილი ძირითადად მისი მრავალრიცხოვანი კოლონიების წყალობით, რადგანაც მთელი პონტოს ეუქსინოსი, პროპონტისი და მრავალი სხვა ადგილი დასახლებული იყო მილეტელების მიერ“ (XIV. 1. 6; Tsetskhladze 1994: 111-135).

მილეტის გარდა მეორე მნიშვნელოვანი ძალა, რომელიც შავიზღვისპირეთის საკოლონიზაციო პროცესს წარმართავდა, მეგარა და ან მისი კოლონიები იყო.

უმეტესი მკვლევარების მოსაზრებით შავი ზღვის ათვისების უმთავრესი მიზეზი იყო ლითონების რესურსებით დაინტერესება, განსაკუთრებით მის სამხრეთ და აღმოსავლეთ ნაწილებში და ხორბლით დაინტერესება ჩრდილოეთში (Tsetskhladze 1994: 111-135).

შავ ზღვასა და ხმელთაშუაზღვისპირეთს შორის გაცვლა-გამოცვლის შესახებ ჯერ-ჯერობით ყველაზე ზუსტ ინფორმაციას გვაწვდის პოლიბიუსი: „შავი ზღვის რეგიონიდან მოიპოვება საუკეთესო ხარისხის საქონელი, როგორცაა: ტყავის ნედლეული. ისინი ჩვენ გვამარაგებენ თაფლით, ცვილითა და დიდი რაოდენობით დამარილებული თევზით; ხოლო ჩვენი რეგიონიდან იღებენ ზეთუნის ზეთს და ყველანაირი სახის ღვინოს“ (Polybius, 4. 38).

ცნობაში არ არის არავითარი მითითება რაიმე კონკრეტულ ქრონოლოგიაზე, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ პოლიბიუსი წერდა ძვ.წ. II ს-ის დასასრულს, ზოგადად, მთელი ანტიკური ეპოქის შესახებ. ბევრი საექსპორტო საქონელი უგულვებელყოფილია, მაგალითად ჩვენ ვიცით, რომ რეგიონიდან საექსპორტო საქონელს შორის იყო ხე-ტყე. იგი ასევე არაფერს გვეუბნება მარმარილოს იმპორტირებაზე (ძვ.წ. V ს-ის სოხუმის სტელა); თუმცა ავტორის მიზანი არ იყო გაცვლა-გამოცვლის დეტალური გამოკვლევა, მისი მიზანი იყო უფრო მეტად ბერძნული სამყაროსთვის ბიზანტიის მნიშვნელობის ჩვენება, რომლის გავლითაც უნდა გადაადგილებულიყო აღნიშნული საქონელი (Braund 2010: 119-126).

ბერძნების მიერ შავ ზღვაზე შემოტანილი საქონლიდან წამყვანი იყო: ღვინო, ზეთუნის ზეთი, ხის წებო და ლეღვი. ამას გარდა შემოდიოდა მარმარილო და მაღალი ხარისხის კერამიკა. სასოფლო-სამეურნეო საქონელი და მონები იყო პონტოს არეალიდან საბერძნეთში საექსპორტო პროდუქციაში წამყვანი (Bouzek 1990).

ჩრდილო შავიზღვისპირეთიდან ძირითადი პროდუქტები პოლიბიუსისა და სტრაბონის მიხედვით იყო მესაქონლეობის პროდუქტები (Strabo, XI, 2,3; Polybius IV, 38, 4-5). მონები, ტყავი და ბეწვი მოდიოდა ბერძნების ბარბაროსული სამეზობლოდან და მხოლოდ ბერძნული კოლონიების მასშტაბით იყიდებოდა (Bouzek 1990).

სატრანსპორტო ამფორებით პროდუქტების მიმოქცევა შავ ზღვაზე ძვ.წ. VII ს-ის ბოლოდან დაიწყო; პროდუქტები შემოდიოდა ქიოსიდან, ლესბოსიდან, სამოსიდან, თასოსიდან, კლაზომენედან და სხვა ცენტრებიდან, რომელთა შორის ბევრი ჯერ კიდევ არ არის იდენტიფიცირებული. ამფორებით სხვადასხვა სახის პროდუქტები შემოჰქონდათ, უმთავრესად ღვინო და ზეთუნის ზეთი.

საბერძნეთში ლითონის ძლიერ მწირი რესურსების გამო მას ყველა შესაძლო წყაროდან მოიპოვებდნენ. აღსანიშნავია, რომ რკინა და სპილენძი კოლხეთიდან მომდინარეობდა, სადაც კავკასიის საბადოებში წარმოებული ლითონის ნივთები წინარეკოლონიური პერიოდის სამარხებში საკმაო რაოდენობით იყო, მაგრამ აღარ გვხვდება ბერძენი ვაჭრების გამოჩენასთან ერთად (Bouzek 1990; Проблемы... 1979: 86-102).

IV. 2. 1. ბულგარეთი

სამხრეთ-დასავლეთ შავიზღვისპირეთში ბერძნული კოლონიზაციის შედეგად მრავალი ახალშენი იქნა დაარსებული. ბულგარეთის შავი ზღვის სანაპირო ზოლი ბერძნების მიერ კოლონიზაციის პერიოდში იქნა ათვისებული. ამ ახალშენებზე ჩატარებული გათხრების შედეგად ხშირია ბერძნული სატრანსპორტო ამფორების აღმოჩენები და მათ შორის ქიოსურიც ფიქსირდება.

ბულგარეთის ტერიტორიაზე ბერძნული სატრანსპორტო ამფორები შემდეგი რეგიონების ძეგლებზეა დადასტურებული: ბურგასი, ვარნა, პაზარძიკი და სტარა ზაგორა.

§1. ბურგასი

სოზოპოლი. სამხრეთ-დასავლეთი შავიზღვისპირეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერძნული კოლონია - აპოლონია მდებარეობს ბულგარეთის თანამედროვე ქალაქ სოზოპოლის ტერიტორიაზე (ტაბ. VI, 1).

ფართომასშტაბიანი გათხრები აპოლონიის შესასწავლად არ ჩატარებულა, რადგანაც ძველი ქალაქის ტერიტორია თანამედროვე სოზოპოლს უჭირავს. არქეოლოგიური მასალა ნაქალაქარიდან უპირატესად შემთხვევითი მონაპოვრითაა ცნობილი. გაცილებით უკეთაა შესწავლილი სამაროვანი. აპოლონიის უადრესი ინჰუმაციური სამარხები ძვ.წ. VII ს-ის დასასრულს და VI ს-ის დასაწყისს

განეკუთვნება. უადრესი კერამიკიდან აპოლონიაში გვხვდება **ქიოსური** მოხატული კერამიკა და ამფორები.

ძეგლზე გამოვლენილი ბერძნული სატრანსპორტო ამფორებიდან: 9 - **ქიოსურია** (1 - ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევარი - VI ს-ის პირველი ნახევარი, 2 - ძვ.წ. VI ს-ის მეორე ნახევარი - V ს-ის დასაწყისი (II-B ვარიანტი), 1 - ძვ.წ. VI ს-ის მეორე ნახევარი - V ს-ის დასაწყისი (III-A ვარიანტი), 2 - ძვ.წ. V ს-ის მეორე მეოთხედი-ნახევარი, 2 - ძვ.წ. V ს-ის მესამე მეოთხედი, 1 - ძვ.წ. V ს-ის მეორე ნახევარი - IV ს-ის დასაწყისი), 7 - **მენდე** (4 - ძვ.წ. 350-325 წწ., 3 - თარიღი უცნობია), 7 - **თასოსური** (2 - ძვ.წ. IV ს-ის მესამე მეოთხედი; 4 - ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი, 1 - თარიღი უცნობია), 4 - **როდოსული** (1 - ძვ.წ. IV ს-ის ბოლო - III ს-ის დასაწყისი; 2 - ძვ.წ. III ს-ის ბოლო - II ს-ის დასაწყისი; 1 - თარიღი უცნობია), 6 - **უცნობი ცენტრის** (მათგან 1 - სავარაუდოდ აღმოსავლეთ საბერძნეთი და 1 - კოსი); აქვეა უცნობი რაოდენობით **ატიკური a la brossé** ამფორები (ძვ.წ. VI ს-ის პირველი ნახევარი) (კაჭარავა 1998: 15, Брашинский 1980; De Boer 2010: 99-122).

მომდევნოა ბურგასი. მდებარეობს შავ ზღვის სანაპიროზე ბურგასის პროვინციაში (ტაბ. VI, 1).

ბურგასში ჩატარებული გათხრების შედეგად ამფორების მცირერიცხოვანი ფრაგმენტები გამოვლინდა. 10 ამფორიდან 8 - **ქიოსურია** (2 - ძვ.წ. VI ს-ის მეორე ნახევარი - V ს-ის დასაწყისი, 1 - ძვ.წ. V ს-ის მეორე მეოთხედი-ნახევარი, 3 - ძვ.წ. V ს-ის მეორე ნახევარი - IV ს-ის დასაწყისი, 2 - ძვ.წ. IV ს.), 2 - **მენდე** (თარიღი უცნობია) (Брашинский 1980).

ქიოსური ამფორები სლადკიტე კლადენცის (ბურგასი) ნამოსახლარზეც გამოვლინდა. 25 ამფორიდან 20 - **თასოსურია** (17 - ძვ.წ. V ს-ის ბოლო, 3 - ძვ.წ. IV ს-ის 90-იანი წწ-ის მეორე ნახევარი), 3 - **ქიოსური** (ძვ.წ. V ს-ის ბოლო) და 2 - **ლესბოსური** (ძვ.წ. V ს-ის ბოლო) (Монахов 1999).

ნესებრია. მომდევნო ქალაქი, სადაც ქიოსური ამფორები ასევე დადასტურდა ნესებრია. ბერძნული კოლონია მესემბრია დღევანდელი ნესებრის ტერიტორიაზე, ბურგასის ყურის ჩრდილოეთ ნაპირზე, ნახევარკუნძულზე მდებარეობს (ტაბ. VI, 1).

აქ ფართომასშტაბიანი არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარებას აძნელებს ის, რომ ერთი მხრივ, თანამედროვე და საშუალო საუკუნეების ნესებრი მთლიანად ფარავს სიძველის ნაშთებს, ხოლო მეორე მხრივ ზღვამ ჩამორეცხა ნახევარკუნძულის მესამედი.

ნარატიულ წყაროებში მესემბრიას დაარსების ორი თარიღია მითითებული, ორივე დაკავშირებულია სპარსეთის სამხედრო აქტივობასთან, ერთის მხრივ, სპარსეთის მიერ იონიის აჯანყებული ქალაქების დამსჯელ ოპერაციასთან (დაახლ. ძვ.წ. 493 წ.), მეორეს მხრივ, დარიოსის სკვითურ ლაშქრობასთან (დაახლ. ძვ.წ. 519-517 წწ.). ამ მოსაზრების თანახმად ქალაქი ორჯერ იქნა დაარსებული, პირველად ძვ.წ. 519 წელს მეგარასა და ქალკედონის მიერ, მეორედ კი - ძვ.წ. 493 წელს ქალკედონელებისა და ბიზანტიონელების მიერ.

არქეოლოგიური მასალა სამწუხაროდ სუსტად ასახავს ბერძნული დასახლების არსებობის საწყის ეტაპს. ნესებრში აღმოჩენილი უადრესი მასალა არ სცილდება ძვ.წ. VI-V სს-ის მიჯნას. ამ უადრეს მასალაში **ქიოსური** ამფორებია წარმოდგენილი.

ბერძნული სატრანსპორტო ამფორებიდან 6 - **ქიოსურია** (1 - ძვ.წ. V ს-ის მეორე მეოთხედი - შუა ხანები, 3 - ძვ.წ. V ს-ის მესამე მეოთხედი, 2 - ძვ.წ. V ს-ის მეორე ნახევარი - IV ს-ის დასაწყისი), 1 - **მენდე** (თარიღი უცნობია), 1 - **თასოსური** (თარიღი უცნობია).

გარდა ამფორებისა ძეგლზე დამღებიც გამოვლინდა. საერთო ჯამში 68 დამღიდან 38 (55,88%) - **როდოსულია** (ძვ.წ. 220-180 წწ.), 22 (32,35%) - **თასოსური** (ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი - III ს.), 5 (7,35%) - **კოსის** (ძვ.წ. IV ს-ის ბოლო - III ს-ის დასაწყისი) და 3 (4,41%) - **ფაროსის** (ძვ.წ. III-II სს.) (Lazarov 1980: 156-185).

§2. ვარნა

ვარნა მდებარეობს ბულგარეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, შავი ზღვის სანაპიროზე (ტაბ. VI, 1).

ანტიკური ხანის ბერძნული კოლონია - ოდესოსი დღეისათვის იდენტიფიცირებულია ქალაქ ვარნასთან.

ეს ქალაქი მთიანი თრაკიის სანაპიროზე ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე კოლონიაა. ფსეუდო-სკიმნოსის ცნობით ოდესოსი მილეტელებმა თრაკიელი კრობიძეების ტერიტორიაზე დაარსეს (Ps.-Scymn., 748-749). სტრაბონი და პლინიუსი ასევე აღნიშნავენ, რომ ოდესოსი მილეტელი კოლონისტების მიერ დაარსდა (Strabo, VII, 6, 1); (Plin, NH, IV, II, 45).

ძეგლიდან მომდინარე უადრეს არქეოლოგიურ მასალაში გამოიკვლია აღმოსავლურ-ბერძნული კერამიკა - ქიოსური მოხატული ვაზები და ამფორები.

ბერძნული სატრანსპორტო ამფორებიდან 12 - ქიოსურია (2 - ძვ.წ. V ს-ის მეორე მეოთხედი - შუა ნახები, 4 - ძვ.წ. V ს-ის მესამე მეოთხედი, 1 - ძვ.წ. V ს-ის მეორე ნახევარი - IV ს-ის დასაწყისი, 5 - ძვ.წ. IV ს.), 3 - თასოსური (თარიღი უცნობია) და უცნობი რაოდენობით ატიკური **a la brossé** (ძვ.წ. VI ს-ის პირველი ნახევარი) და სამოსური ამფორები (ძვ.წ. VI ს-ის მეორე ნახევარი) (Брашинский 1980, კაჭარავა 1998).

§3. პაზარძიკი

პისტროსი იყო ანტიკური ხანის ემპორიონი თრაკიის ტერიტორიაზე, მდებარეობს ქალაქ ვეტრენტან ახლოს (ტაბ. VI, 1).

ემპორიონის სისტემატური გათხრების შედეგად გამოვლინდა მრავალრიცხოვანი ბერძნული იმპორტული კერამიკა, რომლის 60% სატრანსპორტო ამფორებითაა წარმოდგენილი. მათი მხოლოდ მცირე ნაწილია დადამლული, მიუხედავად ამისა პისტროსიდან მომდინარე ამფორების დამღების ეს კოლექცია მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს ბერძნულ სამყაროსთან პისტროსის სავაჭრო ურთიერთობების შესახებ.

ძეგლზე გამოვლენილი დამღების უმრავლესობა 45 დამღა - თასოსურია (30 - ძვ.წ. 388-287 წწ., 2 - ძვ.წ. 387-377 წწ., 2 - ძვ.წ. 356-343 წწ., 2 - ძვ.წ. IV ს., 5 - ძვ.წ. 342-326 წწ., 3 - ძვ.წ. 310-295 წწ., 1 - ძვ.წ. 294-287 წწ.), 6 - სოლოხა I ან II (ძვ.წ. IV ს-ის დასაწყისი), 2 - მენდე (ძვ.წ. IV ს.), 1 - პარმენისკოს ჯგუფი (ძვ.წ. IV ს.), 1 - ზენონის ჯგუფი (ძვ.წ. IV ს.) და 1 - როდოსული (ძვ.წ. IV ს.).

გარდა დამღებისა ძეგლზე ამფორების ფრაგმენტებიც გამოვლინდა. ძირების მიხედვით ამფორების მაჩვენებელი შემდეგნაირია: 138 ამფორიდან 34 (24,63%) - **თასოსური** (10 - ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევარი, 1 - ძვ.წ. V ს-ის ბოლო - IV ს-ის დასაწყისი, 13 - ძვ.წ. 370-330 წწ; 1 - ძვ.წ. 320-310 წწ; 1 - ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევარი; 8 - თარიღი უცნობია), 32 (23,18%) - **სოლოხა I ან II** (ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი), 22 (15,94%) - **ლესბოსი** (10 - ძვ.წ. IV ს., 1 - ძვ.წ. V ს-ის დასაწყისი, 10 - ძვ.წ. 400 წ., 1 - ძვ.წ. V ს.), 18 (13,04%) - **ქიოსური** (13 - ძვ.წ. V ს-ის მესამე მეოთხედი, 2 - ძვ.წ. V ს-ის ბოლო, 3 - ძვ.წ. IV ს-ის პირველი-მესამე მეოთხედი), 13 (9,42%) - **კნიდური** (1 - ძვ.წ. IV ს-ის ბოლო მესამედი - III ს-ის დასაწყისი, 2 - ძვ.წ. IV ს-ის მესამე მეოთხედი, 2 - ძვ.წ. IV ს-ის 60-იანი - 30-იანი წწ., 8 - ძვ.წ. IV ს.), 11 (7,97%) - **თასოსის წრე** (8 - ძვ.წ. V ს-ის ბოლო, 3 - ძვ.წ. V ს-ის ბოლო - IV ს-ის დასაწყისი), 8 (5,79%) - **მენდე** (4 - ძვ.წ. 360-330 წწ; 2 - ძვ.წ. V ს-ის ბოლო - IV ს-ის დასაწყისი; 1 - ძვ.წ. IV ს-ის 30-იანი წწ; 1 - ძვ.წ. V ს-ის ბოლო) (Bouzek, Domuradzka, Archibald 2007: 123-162).

ქიოსური ამფორების 13 ნიმუში მონახვის IV-A ვარიანტს მიეკუთვნება. მათი ზედაპირი თეთრანგობიანია; კეცი მოწითალო, მოყვითალო ან მუქი წითელია. 2 მათგანი კი მონახვის V-A ვარიანტს მიეკუთვნება. დანარჩენი სამის ტიპი გაურკვეველია.

გამოვლენილი მასალა პისტროსსა და საბერძნეთს შორის არსებულ კონტაქტებზე საუბრის საშუალებას იძლევა. მათზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ვაჭრობა პისტროსში ძვ.წ. V ს-ის დასაწყისიდან მიმდინარეობდა და განსაკუთრებული აფეთქება საუკუნის მეორე ნახევარსა და შუა ხანებში შეინიშნება (Titz 2007: 233-234).

§4. სტარა ზაგორა

სეუტოპოლისი. იგი ოდრისიის სამეფოს დედაქალაქი იყო. მდებარეობს ბულგარეთის ცენტრალურ ნაწილში, სტარა ზაგორას პროვინციაში, დღევანდელ კაზანლაკთან ახლოს (ტაბ. VI, 1).

ქალაქის გათხრების შედეგად გამოვლინდა ბერძნული სატრანსპორტო ამფორები და მათი დამლევი.

დამლევის უმეტესობა - 50 ნიმუში - **თასოსურია** (1 - ძვ.წ. IV ს, 1 - ძვ.წ. IV-III სს., 1 - ძვ.წ. IV ს-ის შუა ხანები, 8 - ძვ.წ. IV ს-ის მესამე მესამედი, 3 - ძვ.წ. 300 წ; 1 - ძვ.წ. III ს-ის პირველი ნახევარი, 35 - ძვ.წ. IV ს-ის მესამე მეოთხედი), 1 - **როდოსული** (ძვ.წ. 240-212 წწ.), ხოლო 41 - **უცნობი ცენტრის**.

გარდა დამლევისა აქვეა დიდი რაოდენობით ამფორების ფრაგმენტები, თუმცა მათგან რთულია ფორმების რეკონსტრუქცია და ამიტომ მათი რაოდენობა ზუსტად ვერ დგინდება. ფრაგმენტებში **ქიოსურიც** გამოიხატება. რაოდენობრივი თვალსაზრისით პირველ ადგილზე დგას **თასოსური** ამფორები, რომელშიც ორი ტიპი გამოიყოფა: ბიკონუსური (ძვ.წ. IV ს-ის ბოლო - III ს-ის დასაწყისი) და კონუსისებრი (ძვ.წ. III ს.); მათ მოსდევს **პროტო-როდოსული** (ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი - III ს-ის პირველი ნახევარი), **სოლოხა I** და **სოლოხა II** ტიპის ამფორები (ძვ.წ. IV-III სს.).

გარდა აღნიშნული ცენტრებისა აქვეა ამფორები, რომელთა ცენტრებთან ატრიბუცია ვერ ხერხდება.

ამფორების ფრაგმენტები და დამლევი როგორც ნაქალაქარიდან, ასევე სამაროვნიდან (#1 და #2 ყორღანები) მომდინარეობს.

აღმოჩენილი ამფორული მასალიდან ნათლად ჩანს, რომ ანტიკური ხანის სეუტოპოლისს მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობები ჰქონდა მრავალ ბერძნულ ცენტრთან. ავტორი მიუთითებს, რომ ასეთი ვაჭრობა აუცილებლად შუამავალი ცენტრის მეშვეობით უნდა განხორციელებულიყო ასეთად კი მას ათენი მიაჩნია, რომელიც საბერძნეთსა და თრაკიაში თავის ეკონომიკურ სტატუსს წარმატებულად ინარჩუნებს მაკედონიის მმართველობის დამყარების შემდეგაც კი (Балканска 1984: 115-157).

ბულგარეთში დადასტურებული ბერძნული ამფორების იმპორტი ასე გამოიყურება: **დანართი II, ცხრილი IV**.

იმპორტის თვალსაზრისით პირველ ადგილზე აღმოსავლეთი მაკედონიისა და თრაკიის რეგიონის ცენტრები დგას, საიდანაც 182 ამფორა - **თასოსურია**, 11 - **თასოსის წრის**, 20 - **მენდეს**, და 1 - **პარმენისკოს ჯგუფის**.

მომდევნოა იონია, საიდანაც სამი ცენტრის: **ქიოსის** (56), **ლესბოსისა** (6) და **სამოსის** (რაოდენობა უცნობია) ამფორები დასტურდება.

მომდევნოა თესალია, საიდანაც **სოლოხა I** ან **II** ტიპის ამფორები 38 ნიმუშის სახითაა წარმოდგენილი; მას მოსდევს სამხრეთი ეგეოსისპირეთი, რომელიც **კოსის** (5), **ფაროსის** (3), **როდოსისა** და **კნიდის** პროდუქციითაა წარმოდგენილი.


დაბოლოს, ატიკის რეგიონი, საიდანაც **ატიკური a la brossé** ამფორები (რაოდენობა უცნობია) გვხვდება.

ბულგარეთის ტერიტორიაზე დადასტურებული ბერძნული ამფორების იმპორტი ძვ.წ. VI-II სს-ებს მოიცავს; იგი გავრცელებულია როგორც ზღვისპირა, ასევე შიდა რეგიონებში. ქიოსური იმპორტი ძვ.წ. VII-IV სს-ების მონაკვეთშია წარმოდგენილი.

ყველაზე ადრეული, ძვ.წ. VII-VI სს-ების მიჯნით დათარიღებული ნიმუში ბურგასიდან (სოზოპოლი) მომდინარეობს. ძვ.წ. VI ს-ში იგი კვლავ გავრცელებულია სოზოპოლში და ასევე გვხვდება ბურგასშიც. ძვ.წ. VI-V სს-ში ქიოსური იმპორტი ყველაზე დიდი ოდენობითაა წარმოდგენილი და გვხვდება ბურგასში (სოზოპოლი, ბურგასი, სლადკიტე კლადენცი, ნესებრი), ვარნაში (ვარნა) და პაზარძიკში (პისტროსი). ძვ.წ. V-IV სს-ში იმპორტი სტაბილურად ვრცელდება ბურგასსა და ვარნაში და ამის შემდეგ წყდება.

ბულგარეთის ტერიტორიაზე დადასტურებული ქიოსური იმპორტი მეორე ადგილზე დგას თასოსურის შემდეგ.

აღნიშნული ინფორმაცია გრაფიკის სახით ასე გამოიყურება:



გრაფიკი 4. ბულგარეთში დადასტურებული ქიოსური და სხვა ბერძნული იმპორტული ამფორების დინამიკა

V. 2. 2. რუმინეთი

ბერძნული კოლონიზაციის დროს ახალშენები რუმინეთის ტერიტორიაზე იქნა დაარსებული, რასაც ბერძნული პროდუქციის ახლად დასახლებულ კოლონიებში მოხვედრა მოჰყვა. რუმინეთის ტერიტორიაზე ბერძნული იმპორტული ამფორები ძირითადად შავი ზღვის სანაპირო ძეგლებზეა დადასტურებული. ისინი შემდეგი რეგიონებში გამოვლინდა: ტულჩეა და კონსტანცა

§1. ტულჩეა

ღრვამე. ორგამე (არგამუმი) მდებარეობს ტულჩეას რეგიონში, რუმინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში (ტაბ. VI, 2).

ძეგლზე გამოვლენილი არქაული ხანის სატრანსპორტო ამფორებიდან 30 - ქიოსურია (1 - ძვ.წ. VII ს-ის მესამე მეოთხედი; 2 - ძვ.წ. VII ს-ის ბოლო მეოთხედი; 3 -

ძვ.წ. VII ს-ის ბოლო; 7 - ძვ.წ. VI ს-ის პირველი ნახევარი; 5 - ძვ.წ. VI ს-ის მეორე ნახევარი; 4 - ძვ.წ. VI ს; 5 - ძვ.წ. VI ს-ის ბოლო - V ს-ის დასაწყისი; 1 - ძვ.წ. V ს-ის დასაწყისი; 1 - ძვ.წ. V ს-ის პირველი ნახევარი; 1 - ძვ.წ. V ს.) (Mănușu-Adameșteanu 2008: 79-161).

§2. კონსტანცა

ისტროსი. ისტროსი (ისტრიე) მდებარეობს კონსტანცას პროვინციაში, რუმინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში (ტაბ. VI, 2). ბერძნული კოლონია ისტრიე საკმაოდ ხშირად იხსენიება ბერძენ-რომაელ ავტორთა თხზულებებში. ისტორიკოსები კოლონიტებად მილეტელებს მიიჩნევენ; რაც შეეხება თარიღს ევსების ცნობით ეს არის ძვ.წ. 657 წ. (Euseb., Chron. can) Strabo, VII, 6, 1, Plin., NH, IV, 44.

ქალაქის გათხრების შედეგად გამოვლენილია ორი სამაროვანი, რომელთაგან ერთი ნაქალაქარის სინქრონულად ფუნქციონირებდა, ხოლო მეორე - ელინისტურ და რომაულ ხანაში. უადრესი დოკუმენტირებული არქეოლოგიური მასალა ისტროსიდან ძვ.წ. 630 წლის მახლობელ ხანებს მიეკუთვნება.

ისტორის სხვადასხვა კომპლექსებიდან ბერძნული სატრანსპორტო ამფორების როგორც უდამლო, ასევე დამლიანი ფრაგმენტები გამოვლინდა.

საერთო ჯამში 80 ამფორიდან: 18 (22,5%) - **ლესბოსურია** (15 - ძვ.წ. VI ს-ის მესამე მეოთხედი (აქედან 5 ამფორა ფრაქციულია); 3 - ძვ.წ. VI ს-ის მეორე მეოთხედი), 16 (20%) - **კლაზომენე** (ძვ.წ. VI ს-ის მესამე მეოთხედი), 15 (18,75%) - **მილეტი** (ძვ.წ. VI ს-ის მესამე მეოთხედი), 12 (15%) - **ქიოსი** (5 - ძვ.წ. VI ს-ის მესამე მეოთხედი; 7 - ძვ.წ. VI ს-ის ბოლო - V ს-ის დასაწყისი); 9 (11,25%) - **სამოსი** (ძვ.წ. VI ს-ის მესამე მეოთხედი), 4 (5%) - **კორინთული** (ძვ.წ. VI ს-ის მესამე მეოთხედი); 2 (2,5%) - **ატიკური SOS** და **ატიკური a la brossé** (ძვ.წ. VI ს-ის მესამე მეოთხედი), 1 (1,25%) - **კლაზომენეს წრის** (ძვ.წ. VI ს-ის პირველი ნახევარი), 3 (3,75%) - **უცნობი ცენტრის** (Dupont 2005: 218-242).

გარდა ამფორებისა ჰისტრიაში დადასტურდა ამფორების დამლევიც. საერთო ჯამში გამოვლინდა 33 დამლა, რომელთაგან 12 - **თასოსურია** (1- ძვ.წ. 360-350 წწ; 2 -

ძვ.წ. 345-335 წწ., 4 - ძვ.წ. 325-317 წწ., 1 - ძვ.წ. 316-311 წწ., 2 - ძვ.წ. 310-295 წწ., 1 - ძვ.წ. 294-287 წწ., 1 - ძვ.წ. 254-240 წწ.), 20 - **როდოსული** (1 - ძვ.წ. 224-222 წწ., 2 - ძვ.წ. 209 წ., 1 - ძვ.წ. 240-205 წწ., 3 - ძვ.წ. 205-175 წწ., 2 - ძვ.წ. 178-176 წწ., 1 - ძვ.წ. 185 წ., 1 - ძვ.წ. 170-168 წწ., 4 - ძვ.წ. II ს-ის ბოლო., 1 - ძვ.წ. 95 წ., 1 - ძვ.წ. 107 წ., 3 - წაკითხვა არ ხერხდება (Avram, Conovici 2005: 256-270).

კონსტანცა. ბერძნული კოლონია ტომევისი მდებარეობს თანამედროვე კონსტანცის ადგილზე (ტაბ. VI, 2). კონსტანცა მთლიანად ფარავს ძველი ქალაქის ნაშთებს, რაც აქ ფართომასშტაბიანი არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარებას აძნელებს.

ლიტერატურულმა ტრადიციამ არ შემოინახა ცნობები ტომევისის დაარსების შესახებ; ერთადერთი ის ვიცით, რომ ქალაქი მილეტელების მიერ არის დაარსებული (Ps.-Scymn, 765-766). ტომევისის მოახალშენეების დამკვიდრების თარიღად ძვ.წ. VI ს-ეა მიჩნეული.

აქ გათხრილ ნახევრად-მიწურში აღმოჩნდა ძვ.წ. VI ს-ის მეორე ნახევრით დათარიღებული ქიოსური ამფორები.

ყორდანი „ტოპალა“ კონსტანცას მახლობლად იქნა გათხრილი. მასში დადასტურდა 6 თასოსური და 3 ქიოსური ამფორა. ქიოსური ამფორები ჩაჩისებურძირიან ტიპს, კერძოდ კი მის ყველაზე ადრეულ ვარიანტს მიეკუთვნება. იგი მაღალი, ცილინდრული ყელით, ტანის მკაცრად კონუსური ფორმით, სუსტად გამოხატული ქუსლითა და ყურის ზედა დაბალი მიძერწვის ადგილით (5-8 სმ-ზე ბაკოს ქვეშ) ხასიათდება. ეს კომპლექსი ძვ.წ. IV ს-ის 20-იანი წწ-ით თარიღდება.

კონსტანცასთან ახლოს, ტოპრასარაში გაითხარა კიდევ ერთი ბერძნული სატრანსპორტო ამფორების შემცველი ყორდანი, რომელშიც ჰერაკლეურ ამფორებთან ერთად ერთი თასოსურიც იყო. იგი ძვ.წ. IV ს-ის 60-იანი წწ-ით თარიღდება (Монахов 1999).

ალბესტი. ბერძნულ-ინდიგენური ნამოსახლარი ალბესტი მდებარეობს დორიული კოლონიის - კალატისის ტერიტორიაზე, კონსტანცას რეგიონში (ტაბ. VI, 2).

ძეგლებზე გამოვლენილი ბერძნული სატრანსპორტო ამფორებიდან 5 - **სოლოხა I** (ძვ.წ. IV ს-ის მესამე მეოთხედი), 3 - **ქიოსურია** (ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი), 1 - **კოსის** (ძვ.წ. IV-III სს.), 1 - **როდოსული** (ძვ.წ. 240-205 წწ.), 1 - **სოლოხა II** (ძვ.წ. IV ს-ის პირველი მეოთხედი) და 1 - **უცნობი ცენტრის** (Buzoianu, Bărbulescu 2006: 45-56).

რუმინეთში დადასტურებული ბერძნული ამფორების იმპორტი ასე გამოიყურება: **დანართი II, ცხრილი V**.

იმპორტული ამფორებით პირველ ადგილზე დგას იონიის რეგიონი, საიდანაც შემდეგი ცენტრების პროდუქციაა წარმოდგენილი: **ქიოსი** (48), **ლესბოსი** (18), **კლაზომენე** (16), **მილეტი** (15), **სამოსი** (9) და **კლაზომენეს წრე** (1).


სამხრეთი ეგეოსისპირეთიდან **კოსისა** (1) და **როდოსული** (ზუსტი რაოდენობა უცნობია) ამფორებია შემოტანილი.

აღმოსავლეთი მაკედონიისა და თრაკიის რეგიონი **თასოსური** (18) ამფორების სახითაა წარმოდგენილი; თესალიის რეგიონიდან გვხვდება **სოლოხა I** (5) და **სოლოხა II** (1) ტიპის ამფორები; პელოპონესის რეგიონიდან აღნიშნულ ძეგლებზე გვხვდება **კორინთული** ამფორები (4). დაბოლოს, იმპორტი ატიკის რეგიონიდან წარმოდგენილია **ატიკური SOS** და **a la brossé** ამფორებით (2).

რუმინეთის ტერიტორიაზე დადასტურებული ბერძნული ამფორების იმპორტი განსახილველი პერიოდის ყველა მონაკვეთს მოიცავს და მხოლოდ სანაპირო ზოლშია გავრცელებული. ქიოსური იმპორტი ძვ.წ. VII-IV სს-ებს მოიცავს.

ძვ.წ. VII ს-ში ქიოსური იმპორტი გვხვდება ტულჩეაში (ორგამე); ძვ.წ. VI ს-დან კი ვრცელდება კონსტანცის (ისტორი, კონსტანცა) ტერიტორიაზეც, სადაც იგი ძვ.წ. IV ს-მდე ფიქსირდება, შემდეგ კი წყდება. არქაულ ეპოქაში ქიოსური იმპორტი ყველაზე მრავალრიცხოვანია. რუმინეთში აღმოჩენილ ბერძნულ სატრანსპორტო ამფორებში ქიოსური რაოდენობით პირველ ადგილზე დგას.

გრაფიკულად ეს ინფორმაცია ასე გამოიყურება:



გრაფიკი 6. რუმინეთში დადასტურებული ქიოსური და სხვა ბერძნული იმპორტული ამფორების დინამიკა

IV. 2. 3. უკრაინა

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ მომდევნო ორი რეგიონის - უკრაინისა და რუსეთის, ანუ ჩრდილოშავიზღვისპირეთის შესახებ სხვადასხვა დროს აქ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი სატრანსპორტო ამფორების შესახებ უკვე არსებობს ს. მონახოვის დეტალური პუბლიკაცია - *Греческие Амфоры в Причерноморье; Комплексы Керамической Тары*. იგი ი. ზეესტისა და ი. ბრაშინსკის ნაშრომების და ავტორის მიერ პირადად დამუშავებული მასალის საფუძველზე მომზადდა.

ჩრდილოშავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი ბერძნული სატრანსპორტო ამფორები საკმაოდ კარგადაა შესწავლილი, ამიტომ ამ კუთხით ჩვენ არსებითაც ახალს ვერაფერს ვიტყვით, მითუმეტეს, რომ მათ შესახებ ინფორმაცია დახურული კომპლექსებიდან მომდინარეობს, რომლებიც საიმედოდაა დათარიღებული და ამფორათა ტიპებიც უმეტეს შემთხვევებში მთლიანად

იდენტიფიცირებულია. იშვიათად გვხვდება ამფორები, რომელთა წარმომავლობა დაუდგენელია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ ინფორმაციის წინამდებარე კვლევაში ჩართვა, იმისათვის, რომ დავადგინოთ ქიოსის სავაჭრო ქმედებების მასშტაბი ჩრდილოშავიზღვისპირეთში მდებარე ძეგლებზეც, ამიტომ ამ ინფორმაციას ცხრილის სახით მოვიტანთ.

რეგიონი	კომპლექსის სახელწოდება	თარიღი	ცენტრი	რაოდენობა
ხარკოვი	სოფ. კოლომაკი, #1 ყორდანი	ძვ.წ. VII ს-ის ბოლო - VI ს- ის დასაწყისი	ქიოსი	2
	ბერეზანი, #5 ჭა	ძვ.წ. VI ს-ის მესამე მეოთხედი	მილეტი- სამოსი	3
			კლაზომენე	4
			ლესბოსი?	12
			პროტო თასოსი	2
	ბერეზანი, #4 ჭა	ძვ.წ. V ს-ის პირველი ორი ათწლეული	სამოსი- მილეტი	2
			ლესბოსი	30
			ქიოსი	27
			კლაზომენე	17
			პროტო თასოსი	17
			დაუდგენე ლი ცენტრი	2
	ოლბიის საწყობი 1949	ძვ.წ. VI ს-ის	ლესბოსი	1

ნიკოლაევი	წ.	ბოლო მეოთხედი	თასოსი?	1
			კლაზომენე	?
			ქიოსი	?
	ოლბია, IV შენობა	ძვ.წ. V ს-ის პირველი ორი ათწლეული	ქიოსი	2
			ლესბოსი	1
	#421 ორმო, ოლბია	ძვ.წ. V ს-ის 80- იანი, 70-იანი წწ.	ქიოსი	15
			თასოსი	2
			ლესბოსი	?
			პროტო თასოსი	?
	#69 ორმო, ოლბია	ძვ.წ. V ს-ის 80- იანი, 70-იანი წწ.	სამოსი	1
			თასოსი	2
	#13 ორმო, ოლბია	ძვ.წ. V ს-ის 50- იანი, 40-იანი წწ.	ქიოსი	?
			სამოსი	1
	ოწ.ლბიის თხრილი, 1985 წ.	ძვ.წ. V ს-ის 50- იანი, 40-იანი წწ.	თასოსი	3
			ლესბოსი	1
		კორინთო	1	
ოლბიის თხრილი 1979 წ.	ძვ.წ. V ს-ის 40 -იანი, 30-იანი წწ.	ქიოსი	1	
		მენდე	2	
#2 საწყობი, ოლბია 1971 წ.	ძვ.წ. V ს-ის 30- იანი, 20-იანი წწ.	ლესბოსი	3	
		ქიოსი	1	
		თასოსის	1	

		წრე	
#1 საწყობი, ოლბია 1971 წ.	ძვ.წ. V ს-ის 20-იანი წწ.	ქიოსი	?
		თასოსის წრე	2
ოლბიის ორმო-ბოტროსი 1979 წ.	ძვ.წ. 415-400 წწ.	სამოსი	1
		ქიოსი	2
		თასოსი	4
		თასოსის წრე	1
		მენდე	1
#64 და 74 სამარხები ოლბიის სამაროვანი (1910 წ.).	ძვ.წ. IV ს-ის 90-იანი, 80-იანი წწ.	ქიოსი	3
#69 ორმო, ოლბია (1989 წ.).	ძვ.წ. IV ს-ის 90-იანი, 80-იანი წწ.	ქიოსი	1
ოლბიის საწყობი 1947 წ.	ძვ.წ. IV ს-ის 90-იანი წწ.	თასოსი	9
		ქიოსი	1
#51 სამარხი, ოლბიის სამაროვანი (1912 წ.).	ძვ.წ. IV ს-ის 90-იანი წწ.	თასოსი	1
#68 სამარხი ოლბიის სამაროვანი (1910 წ.).	ძვ.წ. IV ს-ის 90-იანი წწ.	ქიოსი	1
#9 ორმო, ოლბია (1961 წ.).	ძვ.წ. IV ს-ის პირველი ორი ათწლეული	თასოსი	1
		მენდე	?
		ქიოსი	?
ცისტერნა, ოლბია	ძვ.წ. IV ს-ის	კნიდი	1

(1989 წ.).	ბოლო - III ს-ის დასაწყისი		
#1 ყორღანი სოფ.	ძვ.წ. IV ს-ის 80-	მენდე	3
ადგიგოლი	იანი წწ.	ქიოსი	2
#3 ყორღანი სოფ. პეტუხოვკა	ძვ.წ. IV ს-ის 70-იანი წწ-ის შუა ხანები	თასოსი	1
#4 ყორღანი სოფ. პეტუხოვკა	ძვ.წ. IV ს-ის 70-იანი წწ-ის შუა ხანები	თასოსი	1
		მენდე	1
ყორღანი #4 სოფ. პეტუხოვკა	ძვ.წ. IV ს-ის 70-იანი წწ-ის მეორე ნახევარი	თასოსი	1
		ქიოსი	1
		ლესბოსი	1
ნამოსახლარი კოზირკა II, ადგილი B	ძვ.წ. III ს-ის დასაწყისი	როდოსი	1
ყორღანი #9 ნოვოვასილევკა	ძვ.წ. 480-470 წწ.	თასოსის წრე	2
საწყობი, ნიმფა (1978 წ.).	ძვ.წ. V ს-ის 30-იანი წწ.	ქიოსი	?
		თასოსი	2
		თასოსის წრე	1
		მენდე	2
		დაუდგენელი ცენტრი	1
ორმო, ნიმფა (1951 წ.).	ძვ.წ. IV ს-ის 70-იანი წწ.	თასოსის წრე	1

ყირიმი	#24 შენობა, კერკინიტიდა	ძვ.წ. V ს-ის 80- იანი, 70-იანი წწ.	ქიოსი	1
			თასოსი	1
	#27 შენობა, კერკინიტიდა	ძვ.წ. IV ს-ის 90 -იანი წწ.	თასოსი	1
			ქიოსი	1
	ჭა, ქერსონესი (1992 წ.).	ძვ.წ. IV ს-ის 90-იანი წწ.	მენდე	1
			ქიოსი	1
			ლესბოსი	1
			პროტოთას ოსი	1
	ორმო, ქერსონესი (1977 წ.).	ძვ.წ. IV ს-ის	თასოსი	4
		პირველი ორი ათწლეული	ლესბოსი	?
			კნიდი	?
			ქიოსი	?
			ლესბოსი	1
			თასოსი	2
#2 ორმო, ქერსონესი (1983 წ.).	ძვ.წ. IV ს-ის 90-იანი წწ.	მენდე	1	
თხრილი, ქერსონესი (1967 წ.).	ძვ.წ. III ს-ის 20-იანი, 10- იანი წწ.	როდოსი	1	
ყორღანი #69 სამაროვანი „ცარსკი“	ძვ.წ. IV ს-ის 70-იანი წწ-ის მეორე ნახევარი	თასოსი	1	
ორმო #8 პორთმია (1968 წ.).	ძვ.წ. IV ს-ის 60-იანი წწ-ის	თასოსი	4	

		შუა ხანები.		
	თალაევის ყორღანი	ძვ.წ. IV ს-ის 60-იანი წწ.	თასოსი	1
	ყორღანი, სოფ. ურაჯაინოე	ძვ.წ. IV ს-ის 50- იანი წწ-ის ბოლო - 40- იანი წწ-ის დასაწყისი	მენდე თასოსი ლესბოსი	1 1 1
	სათავსო #6, პანსკოე I	ძვ.წ. III ს-ის 70 -იანი წწ.	თასოსი როდოსი კორინთო სამოსი	1 1 ? 2
	კომპლექსი Y7 პანსკოე I	ძვ.წ. III ს-ის 70 -იანი წწ.	თასოსი მენდე როდოსი ქიოსი კოსი კორინთო	20 ? ? ? ? ?
	ბოლშოი კასტელი	ძვ.წ. II ს-ის მესამე მოეთხედის დასაწყისი	როდოსი კნიდი კოსი	12 ? 2
ოდესა	#1 სარდაფი, ნიკონია (1960 წ.).	ძვ.წ. IV ს-ის 60-იანი წწ-ის შუა ხანები	თასოსი	4
	#2 სარდაფი, ნიკონია (1960 წ.).	ძვ.წ. IV ს-ის 30-იანი, 40-	მენდე	4

	იანი წწ.	თასოსი	9
#271 ორმო, ნიკონია (1986 წ.).	ძვ.წ. IV ს-ის 60-იანი წწ-ის პირველი ნახევარი - შუა ხანები.	თასოსი	1
#4 ყორღანი, სამარხი #6, ნიკონიის სამაროვანი	ძვ.წ. IV ს-ის 60-იანი წწ-ის პირველი ნახევარი	ქიოსი	1
		მენდე	3
ყორღანი #4, სამარხი #3, ნიკონიის სამაროვანი	ძვ.წ. IV ს-ის 50 -იანი წწ.	თასოსი	1
		ქიოსი	?
		მენდე	3
#27 ყორღანი, პლავნის სამაროვანი	ძვ.წ. IV ს-ის 90-იანი წწ.	თასოსი	2
#28 ყორღანი, პლავნის სამაროვანი.	ძვ.წ. IV ს-ის 90-იანი წწ.	მენდე	4
#9 ორმო სოფ. ნიკოლაევკა (1962 წ.).	ძვ.წ. IV ს-ის 30 -იანი წწ.	თასოსი	1
		ქიოსი	1
თხრილი, ლუზანოვსკის ნამოსახლარი (1972 წ.).	ძვ.წ. IV ს-ის 30 -იანი წწ.	კნიდი	1
		დაუდგენე ლი ცენტრი	1
#41 ორმო, ნადლიმანსკოე III-ის ნამოსახლარი	ძვ.წ. V ს-ის 70- იანი, 80-იანი წწ.	ქიოსი	2
		პროტო თასოსი	1
		ლესბოსი	1

ზაპოროჟიე	#1 ყორღანი, სოფ. კამენკა დნეპროვსკაია	ძვ.წ. IV ს-ის 70- იანი წწ.	თასოსი	10
	ყორღანი სოლოხა	ძვ.წ. IV ს-ის 80- იანი წწ.	სოლოხა I	3
	#11 ყორღანი, სოლოხა	ძვ.წ. IV ს-ის 60- იანი წწ-ის ბოლო	სოლოხა II	9
			თასოსი	1
			მენდე	?
	ყორღანი ბერდა	ძვ.წ. IV ს-ის 60-იანი წწ-ის პირველი ნახევარი	ქიოსი	?
			თასოსი	20
	#29 ყორღანი, სოფ. ჩკალოვო	ძვ.წ. IV ს-ის 60-იანი წწ-ის ბოლო	თასოსი	1
	#1 ყორღანი, სოფ. ჩკალოვო	IV ს-ის 40- იანი წწ.	თასოსი	1
			ქიოსი	1
			სოლოხა I	1
	#14 ყორღანი, სოფ. გიუნოვკა	ძვ.წ. IV ს-ის 60-იანი წწ.	დაუდგენე ლი ცენტრი	3
			მენდე	1
ყორღანი გაიმანოვი	ძვ.წ. IV ს-ის 30-იანი წწ-ის შუა ხანები	თასოსი	1	
#4 ყორღანი, #8 სამარხი, პერვომაევკა	ძვ.წ. IV ს-ის 70-იანი წწ.	თასოსი	3	
		თასოსი	?	
#6 ყორღანი, სოფ. ლუბიმოვკა	ძვ.წ. IV ს-ის 60-იანი წწ-ის პირველი	მენდე	3	

		ნახევარი		
ხერსონი	#10 ყორღანი, #5 სამარხი სოფ. მაღაია ლეპეტიხა	ძვ.წ. IV ს-ის 60-იანი წწ-ის შუა ხანები	თასოსის წრე	1
	#9 ყორღანი, სოფ. მაღაია ლეპეტიხა	ძვ.წ. IV ს-ის 60-იანი წწ-ის ბოლო	თასოსი	?
			კნიდი	1
			მენდე	?
ყორღანი ოგუზი	ძვ.წ. IV ს-ის 30-20-იანი წწ.	მენდე	3	
დნეპროპეტროვსკი	ყორღანი ჩერტომლიკი	ძვ.წ. IV ს-ის 40-იანი წწ.	მენდე	45
			როდოსი	1
			სოლოხა I	1
			დაუდგენელი ცენტრი	5
	ყორღანი ჟოლტაკამენკა	ძვ.წ. IV ს-ის 30-იანი წწ.	მენდე	11
			თასოსი	2
	ყორღანი მელიტოპოლი	ძვ.წ. IV ს-ის 40-30-იანი წწ.	მენდე	?
კიევი	ორმო, ლესოვიჩი	ძვ.წ. IV ს-ის მესამე მეოთხედი	სამოსი	2
			დაუდგენელი ცენტრი	1
დონეცი	#14 ყორღანი, კრასნოგოროვკა	ძვ.წ. VII ს-ის ბოლო - VI ს-ის დასაწყისი	ქიოსი	1

ცხრილი 8. უკრაინაში დადასტურებული ბერძნული სატრანსპორტო ამფორები (Монахов, 1999).

უკრაინის ტერიტორიაზე დადასტურებული ბერძნული ამფორების იმპორტი ასე გამოიყურება: **დანართი II, ცხრილი VI.**

ყველაზე მრავალრიცხოვანი ამფორები აღმოსავლეთი მაკედონიისა და თრაკიის რეგიონიდან მომდინარეობს, საიდანაც 120 - **თასოსურია**, 91 - **მენდეს**, 21 - **პროტოთასოსის** და 9 - **თასოსის წრის**.

მომდევნოა იონიის რეგიონი, საიდანაც შემდეგი ცენტრების პროდუქცია დადასტურდა: **ქიოსი** (67), **ლესბოსი** (46), **კლაზომენე** (21), **მილეტი-სამოსი** (5) და **სამოსი** (7).


სამხრეთი ეგეოსისპირეთი - **როდოსის** (15), **კოსისა** (2) და **კნიდის** (2) ამფორებითაა წარმოდგენილი; პელოპონესის რეგიონიდან - 1 **კორინთული** ამფორა გვხვდება; თესალიიდან - 5 - **სოლოხა I** და 9 - **სოლოხა II** ტიპის ამფორები.

უკრაინის ტერიტორიაზე ბერძნული ამფორების იმპორტი ძვ.წ. VII-III სს-ებს მოიცავს. იგი გავრცელებულია როგორც ზღვისპირა, ასევე შიდა რეგიონებში. ქიოსური იმპორტი ძვ.წ. VII-IV სს-ში დასტურდება.

ყველაზე არქაული ქიოსური ამფორები (ძვ.წ. VII ს.) უკრაინაში ხარკოვის (კოლომაკი) რეგიონში დაფიქსირდა; ძვ.წ. VI ს-დან იმპორტი ვრცელდება ზღვისპირა ბერძნულ ახალშენებზე (ბერეზანი, ოლბია, ნიმფეა, კერკინიტიდა და სხვ.). ძვ.წ. VI-V სს-ში ქიოსური იმპორტი თავის პიკს აღწევს. ამის შემდეგ იწყება მისი დაქვეითება, ხოლო ძვ.წ. IV ს-ის შემდეგ საერთოდ აღარ გვხვდება.

უკრაინის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ქიოსური ამფორები რაოდენობით მესამეა თასოსისა და მენდეს ამფორების შემდეგ.

აღნიშნული ინფორმაცია გრაფიკულად ასე გამოიყურება:



გრაფიკი 7. უკრაინაში დადასტურებული ქიოსური და სხვა ბერძნული იმპორტული ამფორების დინამიკა

IV. 2. 4. რუსეთი

რეგიონი	კომპლექსის სახელწოდება	თარიღი	ცენტრი	რაოდენობა
	#2 საწყობი, პატრეა	ძვ.წ. V ს-ის 70-იანი წწ.	ქიოსი	9
			ლესბოსი	5
	#5 ორმო, პატრეა	ძვ.წ. V ს-ის 80-იანი, 70- -იანი წწ.	ქიოსი	5
			ლესბოსი	1
			თასოსი	2
			პროტოთასოსი	1
			თასოსის წრე	?
	#2 ორმო, პატრეა (1991 წ.)	ძვ.წ. V ს-ის 30-იანი წწ.	ქიოსი	?
			სამოსი	2

კრასნოდარი			თასოსი	?
			მენდე	?
			თასოსის წრე	4
	#8 წყალქვეშა კომპლექსი, პატრეა	ძვ.წ. III ს-ის 40-იანი, 30-იანი წწ.	როდოსი	4
			კნიდი	2
	#100 სამარხი, გორგიპია	ძვ.წ. V ს-ის პირველი ორი ათწლეული	ლესზოსი	1
	#32 შენობა, გორგიპია (1990 წ.)	ძვ.წ. IV ს-ის 30-იანი, 40-იანი წწ.	თასოსი	5
			მენდე	1
			ქიოსი	1
	#312 ორმო, გორგიპია	ძვ.წ. IV ს-ის 70-იანი წწ-ის შუა ხანები	თასოსი	1
#269 ჭა, გორგიპია (1983 წ.)	ძვ.წ. IV ს-ის 50-იანი წწ-ის მეორე ნახევარი	თასოსი	1	
		კორინთო	1	
#25 სამარხი გორგიპიას სამაროვანი	ძვ.წ. IV ს-ის ბოლო - III ს-ის დასაწყისი	კნიდი	2	
		კოსი	1	

	ჭა, გორგიპია (1972 წ.)	ძვ.წ. III ს-ის	კნინი	2
		პირველი	კოსი	1
		ნახევარი	თასოსი	1
	#100 სამარხი სოფ. რასვეტი	ძვ.წ. V ს-ის 70-იანი წწ.	თასოსი	1
	აკლდამა, მირმეკიონის სამაროვანი (1938 წ.)	ძვ.წ. V ს-ის 60-იანი წწ.	თასოსი	2
	აკლდამა, მირმეკიონის კოშკის ქვეშ (1938 წ.)	ძვ.წ. V ს-ის მეორე მეოთხედი	პროტოთასოსი	1
	საწყობი „I“, ფანაგორია	ძვ.წ. V ს-ის 40-იანი წწ.	ქიოსი	26
თასოსი			8	
ლესბოსი			1	
ყორლანი ზელენსკი	ძვ.წ. IV ს-ის ბოლო - III ს-ის დასაწყისი	თასოსი	6	
		როდოსი	1	
	#2 ყორლანი, #3 სამარხი აზოვი	ძვ.წ. IV ს-ის ბოლო - III ს-ის დასაწყისი	კნინი	1
	#237 და #178 სამარხები თანაისის სამაროვანი	ძვ.წ. II ს.	როდოსი	?
	თანაისის	ძვ.წ. II ს-ის	როდოსი	1

როსტოვი	სამაროვანი (სამარხი უცნობია)	მესამე მოეთხედის დასაწყისი		
	#64 ყორღანი, #4 სამარხი ელიზავეტოვსკის სამაროვანი	ძვ.წ. V ს-ის ბოლო.	ქიოსი	2
	ყორღანი #9 ელიზავეტოვსკის სამაროვანი (1909 წ.)	ძვ.წ. IV ს-ის პირველი ათწლეული	მენდე	1
	ყორღანი, ელიზავეტოვსკის სამაროვანი	ძვ.წ. IV ს-ის 90-იანი წწ.	თასოსი	1
	#2 ყორღანი, ელიზავეტოვსკის სამაროვანი(1909 წ.)	ძვ.წ. IV ს-ის 80-იანი, 70-იანი წწ.	მენდე	1
	#5 ყორღანი „ხუთი ძმის“ ჯგუფი, ელიზავეტოვსკის სამაროვანი	ძვ.წ. IV ს-ის 30-იანი, 40-იანი წწ.	სოლოხა I	1
	#130 ყორღანი, #1 სამარხი ელიზავეტოვსკის სამაროვანი(1983 წ.)	ძვ.წ. IV ს-ის 70-იანი წწ-ის შუა ხანები	მენდე	1
	#5 ყორღანი „ხუთი ძმის“ ჯგუფი, ელიზავეტოვსკის სამაროვანი	ძვ.წ. IV ს-ის 40-იანი წწ.	კნინდი?	?

	#15	ყორღანი, ელიზავეტოვსკის სამაროვანი (1909 წ.)	ძვ.წ. IV ს- ის 60-იანი წწ-ის ბოლო - 50- იანი წწ-ის პირველი ნახევარი	ქიოსი	1
	#26	ყორღანი, ელიზავეტოვსკის სამაროვანი (1911 წ.)	ძვ.წ. IV ს- ის 50-იანი წწ-ის დასაწყისი	ქიოსი	1
	#3	თბრილი, ელიზავეტოვსკის ნაქალაქარი (1969 წ.)	ძვ.წ. IV ს- ის ბოლო - III ს-ის დასაწყისი	თასოსი	1
	სარდაფი, ელიზავეტოვსკის ნაქალაქარი (1988 წ.)	ძვ.წ. III ს- ის 80-იანი წწ.	ქიოსი	1	
			დაუდგენელი ცენტრი	1	
	სარდაფი, ელიზავეტოვსკის ნაქალაქარი (1993 წ.)	ძვ.წ. III ს- ის 70-იანი წწ.	თასოსი	1	
			კნინი	?	
			დაუდგენელი ცენტრი	5	
	#52 შენობა, ელიზავეტოვსკის ნაქალაქარი	ძვ.წ. III ს- ის 70-იანი წწ.	როდოსი	1	
			კოსი	2	
			დაუდგენელი	2	

**ცხრილი 9. რუსეთის ტერიტორიაზე დადასტურებული ბერძნული
სატრანსპორტო ამფორები**

(Монахов, 1999)

რუსეთის ტერიტორიაზე დადასტურებული ბერძნული ამფორების იმპორტი ასე გამოიყურება: (დანართი II, ცხრილი VII).

ყველაზე მეტი ამფორის სახით იონიის რეგიონია წარმოდგენილი, საიდანაც 46 - ქიოსურია, 8 - ლესბოსური და 2 - სამოსური.


მას მოსდევს აღმოსავლეთი მაკედონია და თრაკია, რომელიც **თასოსური (28), პროტოთასოსური (2), თასოსის წრის (4) და მენდეს (4)** ამფორებითაა წარმოდგენილი.

შემდეგია სამხრეთი ეგეოსისპირეთი, საიდანაც 7 ამფორა **როდოსულია, 7 - კნიდის და 4 - კოსის.**

თესალია - 2 **სოლოხა I** ტიპის ამფორითაა წარმოდგენილი და პელოპონესი - 1 - **კორინთული** ამფორის სახით.

რუსეთის ტერიტორიაზე ბერძნული ამფორების იმპორტი ძვ.წ. V-II სს-ებს მოიცავს და გავრცელებულია მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. ქიოსური იმპორტი ძვ.წ. V-III სს-ში გვხვდება როსტოვისა (ელიზავეტოვსკი) და კრასნოდარის (ფანაგორია, პატრეა, გორგიპია) ოლქებში.

რუსეთის ტერიტორიაზე დადასტურებული ქიოსური იმპორტი ბერძნულ სატრანსპორტო ამფორებს შორის რაოდენობით პირველ ადგილზე დგას.



გრაფიკი 8. რუსეთში დადასტურებული ქიოსური და სხვა ბერძნული იმპორტული ამფორების დინამიკა

IV. 2. 5. საქართველო

აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში გამოვლენილი მდიდარი არქეოლოგიური მასალა ცხადყოფს, რომ ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში ეს რეგიონი ეკონომიკურად ძლიერი და ბუნებრივი რესურსებით მდიდარი „ქვეყანა“ იყო. აქ ნათლად დასტურდება ლითონის პროდუქციის ფართო წარმოება, რაც ადგილობრივ მოსახლეობას უთუოდ უმართავდა ხელს საგარეო ვაჭრობის განვითარებაში და განაპირობებდა მათ ჩართულობას საერთაშორისო სააღმზრდელო ურთიერთობებში იმდროინდელი სამყაროს მოწინავე ცენტრებთან (ინაძე 1999).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ შავი ზღვის ბერძნული კოლონიზაციის მესამე ეტაპზე (ძვ.წ. VI ს-ის შუა ხანები) მიღებული მემკვიდრეობა დაიწყო დასახლება მის აღმოსავლეთ სანაპიროზე - კოლხეთში. აქ დაარსებული ბერძნული ქალაქების სახელები წერილობითი წყაროებიდანაა ცნობილი: ფასისი, გიენოსი და დიოსკურია,

(ლორთქიფანიძე 1966; Демографическая... 1979; Braund 2010: 119-126; Проблемы... 1979; Tsetskhladze 1992: 223-258).

ბერძნული ქალაქების გარდა კოლხეთში ელინური სამოსახლოებიც არსებობდა: ფიჭვნარი და ციხისძირი. ფიჭვნარი ფასდაუდებელ ძეგლს წარმოადგენს ბერძნებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ურთიერთობების შესასწავლად, რადგანაც აქ სამაროვნების გარდა ნამოსახლარიც გაითხარა; ხოლო ციხისძირის შემთხვევაში მხოლოდ სამარხები იქნა შესწავლილი. ჩვენ ვიცით თუ როგორ მოარგეს ბერძნებმა თავიანთი დაკრძალვის წესები ადგილობრივ კლიმატურ და ბუნებრივ პირობებს. ადგილობრივი მოსახლეობის ელინიზაცია ძლიერი იყო. სამარხების შესწავლამ აჩვენა, რომ აქ არსებობდა როგორც განცალკევებული ბერძნული სამოსახლო (ფიჭვნარი), ასევე შერეული იონიურ-ანტიკურ-კოლხური სამოსახლო (ციხისძირი). აპოლონისა და დემეტრეს კულტები ორივეგან არსებობდა, ხოლო აპოლონ ჰეგემონის კულტი ოფიციალური იყო ფასისის კოლონიზატებისთვის (Tsetskhladze 1994: 111-135).

იმპორტული ამფორების აღმოჩენით ირკვევა, რომ ანტიკურ ხანაში კოლხეთის მოსახლეობა მაღალი ხარისხის ღვინით საბერძნეთის სხვადასხვა ცენტრებიდან მარაგდებოდა.

ღვინო კოლხეთშიც იწარმოებოდა; ყავისფერკეციანი ამფორების წარმოშობის ადგილად სწორედ კოლხეთია მიჩნეული და იგი გავრცელებული იყო რეგიონის გარეთაც. ყავისფერკეციანი ამფორების ყურები ორსტრიქონიანი ბერძნული წარწერით: ΔΙΟΣ[ΚΟΥ¹⁰¹ საკმაოდ ნათლად მიაჩნებოდა ღვინის გადატანაზე ანტიკური სოხუმიდან (დიოსკურია)¹⁰² სხვადასხვა მიმართულებით ყირიმსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე¹⁰³ (ახვლედიანი 2003: 72-74; Воронов 2014: 95-96; Braund 2010: 119-126). ქალაქში იყო დიდი ბაზარი, სადაც სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხი იყრიდა

¹⁰¹ გ. ლორთქიფანიძე ამ შემოკლებული წარწერის სრული აღდგენის ორ ვარიანტს იძლევა: ΔΙΟΣΚΟΥ[ΡΙΑΔΟΣ], ანუ დიოსკურიის-ქალაქის დასახელებას ან ΔΙΟΣΚΟΥ[ΡΙΩΝ] ე.ი. დიოსკურიელთა. იხ. Г. А. Лордкипанидзе., Колхида в VI-II вв. но н. э. Тб. 1978.

¹⁰² ახალი ათონის აღმოსავლეთით, გვანდრაში ზღვის სანაპიროზე არსებობდა ძვ.წ. IV ს-ის ბოლო - III ს-ის დასაწყისით დათაღირებული ამფორების დამამზადებელი სახელოსნო (Воронов 2014: 95-96).

¹⁰³ კოლხური ღვინო ჩრდილო შავიზღვისპირეთში ძვ.წ. VI ს-დან, ხოლო უფრო დიდი რაოდენობით ძვ.წ. IV ს-დან შევიდა, თუმცა მან მიაღწია მხოლოდ კიმერიულ ბოსფორს და უფრო დასავლეთით მდებარე კოლონიებში არ არის დადასტურებული.

თავს უმეტესად ჰინტერლანდიდან. მათი აქ მოსვლის უმთავრესი მიზეზი იყო მარილი და ასევე მონები (Braund 2010: 119-126).

ქიოსური ამფორები შავიზღვისპირეთში ბერძნული იმპორტული ამფორების უდიდეს ჯგუფს წარმოადგენს; მათი შემოტანა კოლხეთში ძვ.წ. VII-VI სს-ის მიჯნაზე იწყება და ძვ.წ. VI-IV სს-ში მაქსიმუმს აღწევს ¹⁰⁴ (ლორთქიფანიძე 1971: 68; ლორთქიფანიძე 1966: 68). ქიოსის შემდეგ მოდის ლესბოსური, თასოსური და სხვა ცენტრების ამფორები (Tsetskhladze 1994: 111-135; Kacharava 1995).

დღეისათვის ქიოსური იმპორტი კოლხეთში მრავალ ძეგლზეა დადასტურებული, ისინი შემდეგ რეგიონებში დაფიქსირდა: აჭარა, სამეგრელო-ზემო სვანეთი, აფხაზეთი, გურია და იმერეთი. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

§1. აჭარა

საქართველოს ტერიტორიაზე ყველაზე არქაული ქიოსური იმპორტი აჭარის რეგიონში დაფიქსირდა. აჭარაში ქიოსური ამფორები შემდეგ ძეგლებზე დადასტურდა: ბათუმის ციხე, ქობულეთ-ფიჭვნარი, ციხისძირი და ჯვრის მთა.

ბათუმის ციხე. ბათუმის ციხე მდებარეობს ქალაქ ბათუმის გარეუბანში, მდ. ყოროლისწყლის შესართავთან (ტაბ. IX).

ბათუმის ციხეზე დასახლება უკვე ძვ.წ. VIII ს-დან არსებობს და უწყვეტად გრძელდება გვიანანტიკური ხანის ჩათვლით. ბერძნული იმპორტი ძეგლზე ძვ.წ. VII-VI სს-ის მიჯნაზე ჩნდება. უადრეს მასალაში ქიოსური იმპორტია წარმოდგენილი.

ქიოსური ამფორები (10-მდე ნატეხის სახით) აღმოჩენილია ძეგლის უძველეს ფენაში, რომელიც ძვ.წ. VII-VI საუკუნეების მიჯნით თარიღდება (მონახოვის I-A ვარიანტი). მათი ზედაპირი დაფარულია სქლად წასმული თეთრი საღებავით და მოხატულია შავი ლაკის ფართო ზოლებით. ერთ-ერთი ამფორის ყურზე წრეში ჩასმული წერტილია გამოსახული. ისინი განეკუთვნებიან უძველეს ბერძნულ

¹⁰⁴ აღსანიშნავია, რომ ქიოსი ათენის საზღვაო კავშირის წევრი იყო, რაც მას პონტოს ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობაში გარკვეულ პრივილეგიებს ანიჭებდა. ათენმა ძვ.წ. V ს-ში ხელთ იდგო შავიზღვისპირეთთან ვაჭრობის მონოპოლია, შესაბამისად, სწორედ ამ პერიოდში მიიღო ინტენსიური ხასიათი ქიოსური ამფორებით ღვინის შემოტანამ კოლხეთის ტერიტორიაზე (ხალვაში, 2005: 27).

იმპორტს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საერთოდ, ამიერკავკასიაში (კახიძე 1964: 82; კახიძე 2007: 27-29).

მომდევნოა ქობულეთ-ფიჭვნარი. იგი მდებარეობს საკურორტო ქალაქ ქობულეთის ჩრდილოეთით მე-10 კმ-ზე, მდინარეების: ჩოლოქისა და ოჩხამურის შესართავთან (ტაბ. IX).

ქობულეთ-ფიჭვნარში ფართომასშტაბიანი არქეოლოგიური გათხრების შედეგად, რომელიც ორი ათეული წლის მანძილზე მიმდინარეობდა შესწავლილ იქნა: ფიჭვნარის კოლხური სამაროვანი, ძვ.წ. V და IV სს-ის ბერძნული ნეკროპოლები, ელინისტური ხანის სამაროვანი და თვითონ ფიჭვნარის ნაქალაქარის ტერიტორია, სადაც მრავალი სხვადასხვა ცენტრის ბერძნული სატრანსპორტო ამფორაა აღმოჩენილი და მათ შორის ქიოსის პროდუქციაც გვხვდება (კახიძე... 2004: 50-61).

ძვ.წ. V ს-ის ბერძნული ნეკროპოლი: ფიჭვნარის ძვ.წ. V-IV სს-ის ბერძნული ნეკროპოლი ძველი კოლხეთის, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის და საერთოდაც, ანტიკური სამყაროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს; ამიტომაც მეცნიერული ინტერესი მისდამი განსაკუთრებულია. ცალკეული სამარხებისა და სარიტუალო მოედნების დაცულობა შესანიშნავია, რაც შესაძლებლობას გვაძლევს ზუსტად განვსაზღვროთ დაკრძალვის წესები, სამარხთა ტიპები და ინვენტარის ჩაყოლების კანონზომიერებანი (კახიძე, ვიკერსი 2002: 42-64).

ფიჭვნარის ძვ.წ. V ს-ის ბერძნული ნეკროპოლისთვის დამახასიათებელია ინდივიდუალური, ინჰუმაციური ორმოსამარხები, რომელთაც კუთხეებმომრგვალებული წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმა აქვთ. სამარხეული ორმო თავის არეში ოდნავ ფართოა. რკინის ლურსმნების განლაგების მიხედვით ჩანს, რომ მიცვალებულთა ერთი ნაწილი ხის კუბოში ყოფილა დაკრძალული. არაა გამორიცხული, რომ შეძლებული ფენების წარმომადგენლებს ხის სარკოფაგებსაც უკეთებდნენ. სხვა ბერძნული ნეკროპოლების მსგავსად ამ პერიოდისთვის სხვადასხვა სოციალური ფენების წარმომადგენლები ერთ და იმავე სამაროვანზე იკრძალებოდნენ (კახიძე... 2004: 50-61). სამაროვანი დასაკრძალავად ძვ.წ. 480-330 წლებში გამოიყენებოდა (კახიძე 2007: 30-34).

ძვ.წ. V ს-ის II მეოთხედისათვის ამფორებს უშუალოდ სამარხებში ინვენტარის სახით არ ათავსებდნენ; მათი ნატეხები გვხვდება სააღაპო მოედნებზე, და ასევე გამოყენებული იყო ახალშობილის ურნასამარხად. ძვ.წ. V ს-ის შუა ხანებიდან ფიჭვნარელი ელინები მიცვალებულებს საკმაოდ მდიდრულ ინვენტარს აყოლებდნენ. ძვ.წ. V ს-ის მეორე მეოთხედისათვის ამფორებს იყენებენ ახალშობილთა დასაკრძალავ ურნად და სარიტუალო მოედნებზე ქტონიური ღმერთებისათვის სამსხვერპლო ღვინის მისატანად. ძვ.წ. V ს-ის შუა ხანებიდან დამახასიათებელია მიცვალებულისთვის ამფორის სამარხში ჩაყოლების წესი. ამფორები ძირითადად სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში (ხის კუბოს გარეთ), ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეშია ჩადგმული. იშვიათად გვხვდება სამარხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში და სამარხის სამხრეთ კედელთან, ფეხების არეში (კახიძე 2007: 30-34; კახიძე... 2004: 50-61; კახიძე, კახიძე 2014: 45-50; 53-61).

არქაული და ადრეკლასიკური ხანითვის ძირითადად წარმოდგენილია ეგეოსური სამყაროს ნაწარმი, რომელთაგან ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს ქიოსური ამფორები ქმნიან. ქიოსური ნაწარმის შემოტანა მეტ-ნაკლები ინტენსივობით მთელი ანტიკური ხანის მანძილზე გრძელდება. როგორც ა. კახიძე მიუთითებს სავარაუდოა, რომ ქიოსსა და კოლხეთს შორის უშუალო, პირდაპირი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები არსებობდა (კახიძე 2007: 30-34).

ძვ.წ. V ს-ის მეორე ნახევარში ქიოსსა და კოხეთს შორის ურთიერთობა შევიდა ყველაზე აქტიურ ფაზაში. ინტენსიურ კონტაქტებზე მიუთითებს სხვადასხვა ფორმისა და ტევადობის ქიოსური ამფორების არსებობა (Kakhidze, Khalvashi 2010: 74-75).

ფიჭვნარის *კოლხურ სამაროვანზე* ამფორების ჩაყოლება არც თუ ისე გავრცელებულია; ადრეული აღმოჩენების მიხედვით ვიცით, რომ იშვიათად, ფიჭვნარელი ელინების მსგავსად, ამფორებს ხის კუბოს გარეთ, სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში დგამდნენ (კახიძე... 2004: 34-38). სამაროვნიდან გამოვლინდა ძვ.წ. V ს-ით დათარიღებული ქიოსური, ლესბოსური, პროტო-თასოსური და თასოსური ამფორები (კახიძე... 2004: 34; Kakhidze... 2010: 135-137).

ძვ.წ. IV ს-ის ბერძნული ნეკროპოლი. იგი სამხრეთიდან ესაზღვრება ძვ.წ. V ს-ის ნეკროპოლს და მის ტერიტორიულ და ქრონოლოგიურ გაგრძელებას წარმოადგენს (კახიძე... 2002: 42-64).

ნეკროპოლზე სულ 136 სამარხი გაიწმინდა, ამფორები მათგან 30-ში დადასტურდა: 28 სამარხში თითო-თითო, ხოლო 2 სამარხში ორ-ორი, სულ 32 ამფორა. მათგან ჩვენთვის საინტერესო საწარმოო ცენტრებს 9 მათგანი მიეკუთვნება, რომელთა შორის: 4 - თასოსურია; 2 - მენდეს; 2 - ქიოსური; 1 (3,12%) - სოლოხა II; 11 - უცნობი ცენტრის.

ფიჭვნარში აღმოჩენილი ძვ.წ. IV ს-ის ქიოსური ამფორების რაოდენობრივი სიმცირე გვიჩვენებს, რომ ქიოსური ღვინის იმპორტი ამ პერიოდში საგრძნობლად შემცირებულია, ძვ.წ. III საუკუნისთვის კი საერთოდ წყდება (ხალვაში 2005: 36; კახიძე... 2014: 115).

ქიოსური ამფორები ასევე ფიჭვნარის ნაქალაქარის იმპორტულ ნაწარმშიც გამოიკვლია. სხვა ამფორათაგან აქ გვხვდება: არქაული თუ კლასიკური ხანის, ლესბოსური, თასოსური, მენდეს თუ სხვა განუსაზღვრელი ცენტრის ამფორები (კახიძე... 2004: 139).

ფიჭვნარის სხვადასხვა კომპლექსებიდან საერთო ჯამში 102 ქიოსური ამფორა გამოვლინდა: 4 - ფიჭვნარის ძვ.წ. V ს-ის კოლხური სამაროვნიდან (315 სამარხიდან); 35 - ძვ.წ. V ს-ის ბერძნული ნეკროპოლიდან (250 სამარხიდან); 2 - ძვ.წ. IV ს-ის ბერძნული ნეკროპოლიდან (136 სამარხიდან), 30 - დადასტურდა ძვ.წ. V ს-ის კოლხურ ნამოსახლარზე; ელინისტური ხანის სამაროვანსა და თვითონ ფიჭვნარის ნაქალაქარის ტერიტორიაზე კი ძვ.წ. V ს-ით დათარიღებული 25 ამფორა (10 - ყელგამობერილი, 15 - სწორყელიანი) გამოვლინდა; 6 მათგანი ძვ.წ. IV ს-ით თარიღდება (Kakhidze... 2010: 135, იხ. სქოლიო #1).

ისინი ორ ქრონოლოგიურ ჯგუფად იყოფა: პირველში ერთიანდება ძვ.წ. V ს-ის II მეოთხედის (მონახოვის III-A ტიპი); ხოლო მეორეში ამავე საუკუნის III და IV მეოთხედის ამფორები (მონახოვის III-B ტიპი). მესამე სახეობის (მონახოვის IV-B ტიპი) ქიოსური სწორყელიანი ამფორების ეს ჯგუფი ძვ.წ. V ს-ის მესამე და მეოთხე მეოთხედის სამარხებში გამოვლინდა.

როგორც ვხედავთ, ძვ.წ. V ს-ის მეორე მეოთხედისათვის ფიჭვნარში თანაარსებობს ქიოსური ამფორების სამი სახეობა, რომლებიც წარმოდგენილია როგორც დიდი ზომის (21 ლ. ტევადობის), ასევე მცირე ზომის (10 ლ. ტევადობის) ამფორების სახით (კახიძე 2007: 62; კახიძე... 2004: 34-38; 65-68).

დამდიანი გრაფიტოიანი თუ სხვადასხვა ნიშნიანი ქიოსური ამფორები ფიჭვნარში მხოლოდ ექვს შემთხვევაში დასტურდება: ძვ.წ. V საუკუნის ნეკროპოლის #1 სამარხში აღმოჩენილი სხვადასხვა ტევადობის ამფორების ყელზე ამოკაწრულია ერთიანი გრაფიტო, რომელიც პარალელების მიხედვით წაკითხული და გაშიფრულია, როგორც „ჰერაკლეს“ ან „ჰერაკლის“; ერთ-ერთი ამფორის ყურის ქვედა ბოლოზე დასმულია დამდა, ხოლო #39 სამარხის ამფორის მხარზე გამოსახულ ორი ასოსაგან შემდგარ ლიგატურაში მ. ნასიძემ მარჯვნიდან მარცხნივ ამოიკითხა სიტყვა: ἔλαιον (ზეითუნის ზეთი) ¹⁰⁵(ხალვაში 2005: 34-35; ნასიძე 2002).

ფიჭვნარის სხვადასხვა კომპლექსებიდან მომდინარეობს განსახილველი ბერძნული საწარმოო ცენტრების სულ მცირე 167 ამფორა, რომელთაგან 102 (61,07%) - ქიოსურია (თარიღის შესახებ ზემოთ), 29 (17,36%) - თასოსური (25 - ძვ.წ. V ს; 4 - ძვ.წ. IV ს;), 5 (2,99%) - იონია (ძვ.წ. V ს.), 3 (1,79%) - მენდე (1 - ძვ.წ. V ს; 2 - ძვ.წ. IV ს.), 1 (0,59%) - ლესბოსი (ძვ.წ. V ს.), 1 (0,59%) - სოლოხა II (ძვ.წ. IV ს.) და 26 (15,56%) - უცნობი ცენტრის.

ქობულეთ-ფიჭვნარში მაღალი ხარისხის ქიოსური ღვინის ძირითადი მომხმარებლები ბერძნები იყვნენ. ქიოსსა და კოლხეთის ბერძნულ ქალაქებს შორის სავაჭრო გზები არსებობდა და ქიოსურმა პროდუქტებმა ადგილობრივ მოსახლეობამდე ბერძნული ერთეულების გავლით მიაღწია (კახიძე... 2004: 65-68; კახიძე, ვიკერსი 2014: 99-100; კახიძე... 2014: 109-124; კახიძე 1975).

ცხისძირი. მდებარეობს საკურორტო ქალაქ ქობულეთიდან სამხრეთით 9 კმ-ის დაშორებით (ტაბ. IX). იგი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლია.

¹⁰⁵ მოცემული ლიგატურა, რომელიც სავარაუდოდ ოთხი ასოსგან შედგება (A, L, K, E) შეიძლება აღქმული იქნას, როგორც საკუთარი სახელის (მეთუნის, სახელოსნოს თუ ამფორის მფლობელის) Αλακέ[ος] აბრევიატურა; ასეთი სახელი დატანილია ძვ.წ. III ს-ის დოქზე ათენის აგორადას.

ციხისძირში სხვადასხვა ეპოქის 315 სამარხია გამოვლენილი. ყველა მათგანი ჰორიზონტალურადაა დაწვენილი. ზოგიერთს რიყის ქვები აქვს შემოწყობილი.

ციხისძირის გვიანარქაული და ელინისტური ხანის ამფორასამარხებში ანტიკური სამყაროს სხვა ძეგლების მსგავსად ახალშობილი ჩასვენებულია ამფორის მუცლის არეში ბასრი იარაღით გაკეთებული საგანგებო ხვრელიდან (ინაიშვილი 1993: 81; 93-97; ვაშაკიძე, ინაიშვილი 1999; კახიძე... 2004: 50-61).

უმველესი ამფორასამარხები გვიანარქაული ხანით (ძვ.წ. VI ს-ის ბოლო - V ს-ის დასაწყისი) თარიღდება (კახიძე... 2004: 50-61). ამფორები როგორც დასაკრძალავად, ასევე სამარხეული ინვენტარის სახითაა წარმოდგენილი. აქ აღმოჩენილი ქიოსური ამფორები ყელგამობერილი ტიპის განვითარებულ ვარიანტს მიეკუთვნება.

ადრეკლასიკური და ელინისტური ხანის 29 ამფორიდან: 15 - ქიოსურია (ძვ.წ. V ს-ის მეორე მეოთხედი)¹⁰⁶, 2 - მენდეს (ძვ.წ. V ს-ის პირველი ნახევარი), 5 - ჩრდილო ეგეოსური, საიდანაც 1 - სავარაუდოდ სამოსურია (ძვ.წ. V ს-ის მეორე მეოთხედი), 7 - პროტო-თასოსური და თასოსური (ძვ.წ. V ს.) (Inaishvili, Vashakidze 2010: 151-153; ინაიშვილი 1993: 81, 93-97; კახიძე... 2004: 50-61).

ქიოსური, ყელგამობერილი ამფორების თითქმის ყველა ნიმუში იდენტურია. მათ აქვთ მასიური, მრგვალგანიკვეთიანი, ელიფსური პირი; დაბალი, მხრებში ჩამჯდარი, გამობერილი ყელი, კვერცხისებური ტანი და ცილინდრული ფორმის ფოსოიანი ქუსლი. ციხისძირში აღმოჩენილი ამფორები მორფოლოგიურად ახლოს დგას ადრეულად მიჩნეულ ნიმუშებთან, მაგრამ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ თხუთმეტ ამფორათაგან არცერთზე არ დასტურდება საღებავის კვალი, რაც მათი უფრო ადრეული პერიოდით დათარიღებას გამორიცხავს. ამ თავისებურების გათვალისწინებით ციხისძირის სამაროვანზე მოპოვებული ყელგამობერილი ამფორები ძვ.წ. V ს-ის მეორე მეოთხედის ადრეული წლებით უნდა დათარიღდეს (ხალვაში 2005: 30-34).

ჯვრის მთა. ჯვრის მთა მდებარეობს აჭარაში; მდ. ყოროლისწყლის ხეობაში და უშაულოდ ეკვრის სოფელ ყოროლისთავს (ტაბ. IX). ჯვრის მთაზე მოპოვებული

¹⁰⁶ მონახოვის III-B ვარიანტი.

არქეოლოგიური მასალა უპირატესად სამეთუნეო ნაწარმითაა წარმოდგენილი; გვხვდება როგორც ადგილობრივი, ასევე იმპორტული ამფორები.

ძეგლზე ჩატარებული გათხრების შედეგად 1 ქიოსური ამფორა გამოვლინდა, რომელიც ძვ.წ. V საუკუნით თარიღდება (სურმანიძე 2013: 26-31).

§2. სამეგრელო-ზემო სვანეთი

მომდევნო რეგიონი, სადაც ქიოსური ამფორების ქრონოლოგიურად უფრო მოგვიანო ჯგუფები დადასტურდა სამეგრელო-ზემო სვანეთია, საიდანაც ქიოსური ამფორები რამდენიმე ძეგლზე გამოვლინდა, ესენია: საგვიჩიო, ყულევი და ერგეტა.

საგვიჩიო. საგვიჩიოს ნამოსახლარი ბორცვი მდებარეობს სენაკის რაიონში, რიონ-ფიჩორის ორმდინარეთის დაჭაობებულ, ხშირი ტყით დაფარულ ნაკრძალში (ტაბ. IX).

საგვიჩიოს ნამოსახლარი შედგება ხუთი სამოსახლო ბორცვისგან და მათ ირგვლივ არსებული არხებით შემოზღუდული, შემადლებული სამეურნეო ტერიტორიისგან, რომლის საერთო ფართობი ათეულ ჰექტარს შეადგენს.

ძეგლის ცენტრალურ ბორცვზე, რომელიც „ზურგანიშის“ სახელწოდებითაა ცნობილი, ზედაპირიდან 3 მ. სიღრმეზე აღმოჩნდა აღმოსავლეთ საბერძნეთის ცენტრების ე.წ. „იონიური ჯგუფის“ ამფორების ნატეხები, რომლებიც სავარაუდოდ ქიოსურია¹⁰⁷. გ. ლორთქიფანიძე ჰერმონასში აღმოჩენილი ანალოგების მიხედვით მათ ძვ.წ. VI ს-ის პირველი ნახევრით ათარიღებს (სავარაუდოდ მონახოვის I-B ვარიანტი).

„ზურგანიშიდან“ სამხრეთით, 500 მ-ის დაშორებით მდ. ფიჩორის მარჯვენა ნაპირზე გავლებული თხრილიდან მოპოვებულ მასალაში გვხვდება ძვ.წ. VI-V სს-ით დათარიღებული ლესბოსური ამფორის პირ-ყურის ნატეხი; თასოსური ამფორების ქუსლები, ქიოსური ამფორების ქუსლები და პირ-ყელის ნატეხები.

¹⁰⁷ მკვლევარი უთითებს, რომ მათი წარმომავლობა მილეტური უნდა იყოს; თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ მილეტური იმპორტული ტარა კოლხეთში არ არის დადასტურებული ხოლო ქიოსური კი მრავალრიცხოვანია და ასევე ამფორის აღწერილობის საფუძველზე უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი ქიოსურია.

ბერძნული პუნქტებიდან მომდინარე ტარის აღმოჩენა მიუთითებს, რომ ფიჭორისპირა ნამოსახლარის სახით საქმე უნდა გვქონდეს ანტიკური ხანის ეკონომიკურად ძალზე დაწინაურებულ პუნქტთან (გრიგოლია 2010: 75-79).

მომდევნო უბანია *ყულევდ*. იგი მდებარეობს ხობის მუნიციპალიტეტში, მდ. ხობის შესართავთან (ტაბ. IX).

1999-2005 წლებში წარმოებული საველე სამუშაოების დროს აღმოჩნდა იმპორტული ამფორები, რომლებიც ძვ.წ. VI ს-ის ბოლოდან ძვ.წ. III ს-მდე განსაზღვრული მონაკვეთით დათარიღდა. ყველაზე ფართომასშტაბიანი და სტრატეგიცირებული ძეგლი მდებარეობს მდ. ხობის მარჯვენა სანაპიროზე, მისი შესართავიდან აღმოსავლეთით 200 მეტრში. იგი მრავალფენიანი ხელოვნური ბორცვიამ, რომლის სიმაღლეა ზღვის დონიდან 1,6 მ; ხოლო არეალი 3 ჰა-ს აღწევს. ბორცვზე მრავალი კულტურული ფენა გამოვლინდა. ძეგლზე 1 ქიოსური ყელგამობერილი ამფორის დიდი ზომის ფრაგმენტი დადასტურდა (შემთხვევითი აღმოჩენა).

მეორე ძეგლი მდებარეობს მდ. ხობის სამხრეთი შენაკადის, მდ. ცივის მარცხენა სანაპიროზე. ძეგლი წარმოდგენილია ძელების ნარჩენებით და ალიზის სტრუქტურებით, რაც საერთო ჯამში ძვ.წ. VI ს-ის ბოლო - III ს-ის პირველი ნახევრით განსაზღვრული მონაკვეთით თარიღდება. ნამოსახლარზე დადასტურებულ სხვა არტეფაქტებს შორის 50-მდე ამფორაა დადასტურებული (რაოდენობა მითითებულია კარგად დათვლილი ძირებისა და პირების მიხედვით). თითქმის ყველა ამფორა ცეცხლში მოხვედრის კვალს ატარებს; მათი იდენტიფიკაცია ხშირად რთულია. წინასწარი ანალიზის თანახმად უადრესი ნიმუშები **ლესბოსიდან** მომდინარეობს და ძვ.წ. VI-V სს-ით თარიღდება; აქვეა **ქიოსური** (ყელგამობერილი ტიპის)¹⁰⁸, **თასოსური** და **თასოსის წრის** ამფორები; გარდა აღნიშნული ცენტრებისა აქვეა ამფორების ფრაგმენტები, რომელთა წარმომავლობის დადგენა ვერ მოხერხდა.

ორი ამფორის ფსკერზე დადასტურდა მცენარეული ფისი; პ. დიუპონისა და დ. კაჭარავას მოსაზრებით ეს ამფორები ღვინისთვის იყო განკუთვნილი (პაპუაშვილი 2002; Papuashvili 2010: 133-134).

¹⁰⁸ მონახოვის III ტიპი.

ერგეტა. სოფელი ერგეტა მდებარეობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, ქალაქ ზუგდიდიდან 27 კმ-ის დაშორებით, მდ. ჭურის მარჯვენა ნაპირზე (ტაბ. IX).

ერგეტას დიხაგუპუბაზე აღმოჩნდა ჩაჩისებურძირიანი (მონახოვის V ტიპი) ქიოსური ამფორის ფრაგმენტები, რომელიც ძვ.წ. IV ს-ით თარიღდება (Куртин 1950: 185).

§3. აფხაზეთი

მომდევნო რეგიონი, საიდანაც ქიოსური ამფორები აღმოჩნდა აფხაზეთია. ეს რეგიონი ძლიერ საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ბერძენთა საკოლონიზაციო აქტივობების შედეგად აქ დაარსებული იქნა ორი კოლონია - დიოსკურია და გიენოსი. ქიოსური ამფორები აფხაზეთის ტერიტორიაზე შემდეგი ძეგლებიდან მომდინარეობს: ოჩამჩირე, სოხუმი, ეშერა, სოჭი.

ოჩამჩირე. ოჩამჩირე მდებარეობს აფხაზეთში, ქალაქ სოხუმიდან სამხრეთით 55 კმ-ის დაშორებით. მდინარეებს აძიკვარასა და ღალიძგას შორის (ტაბ. IX).

ანტიკური ხანის ქალაქის, გიენოსის ნანგრევები ოჩამჩირის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს.

გიენოსის შესახებ არსებული მწირი წერილობითი და ეპიგრაფიკული წყაროების გამო ძალზედ დიდი მნიშვნელობა ენიჭება არქეოლოგიურ მასალას (კაჭარავა 1998: 79-89; Квирквелия 1979: 341-347; Воронов 1969).

ქალაქის დაარსების თარიღის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებებია გამოთქმული, თუმცა ოჩამჩირის ნაქალაქარზე გამოვლენილი არქაული ხანის მასალებზე დაყრდნობით მისი დაარსების თარიღი ძვ.წ. VI ს-ის შუა ხანები და უფრო კი მისი მეორე ნახევარი უნდა იყოს. კოლონისტების ვინაობის შესახებ არ არსებობს არავითარი წერილობითი წყარო, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ დიოსკურია და ფასისი მილეტელების მიერ იყო დაარსებული შესაძლებელია, რომ გიენოსის დაარსებაც მათ საკოლონიზაციო აქტივობებს უკავშირდებოდეს (კაჭარავა 1998: 82).

აქ ჩატარებული გათხრების შედეგად მოპოვებული მასალის საფუძველზე ამ დასახლების ფუნქციის შესახებ რამდენიმე მოსაზრებაა გამოთქმული. ერთ-ერთის

თანახმად გიენოსი უნდა ყოფილიყო ათენის კოლონია, სავაჭრო ფაქტორია, რომლის წარმოქმნის თარიღად არა უადრეს ძვ.წ. V ს-ის შუა ხანებს მიუთითებენ. ამ თვალსაზრისს ასაბუთებს აქ აღმოჩენილი იმპორტული კერამიკული ტარა, რომელშიც ქიოსურიც გამოიხატება. ამ ცენტრის ამფორები აქ ფრაგმენტების სახითაა წარმოდგენილი და ძვ.წ. V ს-ეს ეკუთვნის (Квирквелия 1979: 341-347).

ბერძენი კოლონისტების მიერ შემოტანილი კერამიკის გარდა აქტიურად გამოიყენებოდა ადგილობრივი ჭურჭელიც, რომელთაც იმდროინდელი ბერძნული სამყაროს მიზამვით ამზადებდნენ ადგილობრივი მეთუნეები.

ძვ.წ. VI ს-ში ბერძნული იმპორტი გიენოსის მეშვეობით მის შემოგარენში ხვდება.

ძვ.წ. V ს-ის მეორე ნახევარსა და IV ს-ის პირველ ნახევარში უძველესი დასახლების ადგილზე სამაროვანი ჩნდება, ხოლო დასახლება გადაინაცვლებს დასავლეთით (Воронов 2014: 98).

გიენოსის ნაქალაქარზე ჩატარებული სამუშაოების შედეგად გამოვლინდა მრავალრიცხოვანი იმპორტული ამფორები, რომელთა უმეტესობა ნაქალაქარის მესამე და მეოთხე კულტურული ფენებიდან მომდინარეობს: III ფენიდან გამოვლინდა 5 ამფორის ფრაგმენტები, რომელთაგან 1 ქიოსურია (ძვ.წ. V-IV სს.) და 4 - უცნობი ცენტრის; IV ფენიდან კი 13 ამფორის ფრაგმენტები, მათგან 7 ქიოსურია (ძვ.წ. VI ს-ის პირველი ნახევარი)¹⁰⁹, 2 - სამოსური (ძვ.წ. VI ს-ის მეორე ნახევარი - V ს.), 1 - თასოსის წრის (ძვ.წ. VI ს-ის ბოლო - V ს-ის პირველი მეოთხედი და 3 - უცნობი ცენტრის.

აქ წარმოდგენილი ყელგამობერილი ქიოსური ამფორების პირის კიდეები ყავისფერი საღებავითაა დაფარული. კეცი ღია მოყავისფრო-მონაცრისფრო, შეიცავს დიდი რაოდენობით ქვიშისა და ქარსის მინარევებს (Шамра, Шамра 1987: 16-30).

სოხუმი. სოხუმი მდებარეობს აფხაზეთის ცენტრალურ ნაწილში, ზღვის სანაპიროზე (ტაბ. IX).

ანტიკური ხანის ქალაქი დიოსკურია დაარსებული იქნა მილეტელების მიერ ძვ.წ. VI ს-ში მდ. ბესლეთის შესართავთან (დღევანდელი სოხუმის ყურის

¹⁰⁹ მონახოვის I-B ვარიანტი.

სანაპიროსთან). დღეისათვის ითვლება, რომ ქალაქის დიდი ნაწილი ყურეშია ჩაძირული, ნაწილიც თანამედროვე სოხუმის ტერიტორიაზე მდებარეობს (კაჭარავა 1998: 78-79; Воронов 2014).

დიოსკურიის შესახებ არსებული წერილობითი წყაროებიდან აღსანიშნავია ფსევდო-სკილაქსი, რომელიც ყოველგვარი ეპითეტის გარეშე მოიხსენიებს მას, მაშინ, როდესაც კოლხეთის მიწა-წყალზე მდებარე ორ სხვა ქალაქს - გიენოსსა და ფასისს „ელინურს“ უწოდებს (Ps.-Scyl., 81). პლინიუსი საერთოდაც კოლხურ ქალაქად თვლის დიოსკურიას (Plin., NH, VI, 11).

ამ ავტორებისგან განსხვავებით, არიანე და მასთან ერთად ახ.წ. V ს-ის ანონიმი ისტორიკოსი დიოსკურიის დაარსებას მილეტელებს მიაწერენ (Arr., PPE, 11; Anon. PPE, 7).

დიოსკურიის ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა უეჭველს ხდის აქ ბერძნული მოსახლეობის არსებობას. ეს კი საფუძველს გვაძლევს, რათა ხსენებულ ავტორთაგან არიანეს ცნობას მივანიჭოთ უპირატესობა (კაჭარავა 1998).

ძვ.წ. VI-V სს-ში ანტიკურ სამყაროსთან დიოსკურიის მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობებზე მოწმობს აქ აღმოჩენილი იმპორტული კერამიკული ტარა ¹¹⁰ (Воронов 2014: 95-96).

როდოსელი ტიმოსტენის მიხედვით, რომელიც ძვ.წ. III ს-ში ცხოვრობდა აქ (დიოსკურიაში) კომერციული საქმიანობისთვის მოდიოდნენ 300 ტომის წარმომადგენლები. სტრაბონი ძვ.წ. IV-III სს-ის მოვლენების აღწერისას გადმოგვცემს, რომ „დიოსკურია არის... საერთო სავაჭრო ცენტრი ახლოს და ზევით მცხოვრები ხალხებისთვის... ამ ქალაქში იკრიბებიან (წარმომადგენლები) 70 ხალხის (რომლებიც) მოდიან დიოსკურიაში... ძირითადად მარილის საყიდლად... (Воронов 2014: 95-96).

ქალაქ სოხუმში სხვადასხვა თხრილების გაჭრისას დადასტურდა ძვ.წ. V-III სს-ით დათარიღებული ამფორების ასეულობით ფრაგმენტი; აქვეა ამფორები, რომლებიც ძვ.წ. III-I სს-ით თარიღდება (Воронов 2014: 23-27; 188).

¹¹⁰ ი. ვორონოვის მიერ აღწერილია ამფორების აღმოჩენის ადგილები, თუმცა არ არის მინიშნება მათი რაოდენობის შესახებ; მიუხედავად ამისა, ეს ინფორმაცია მაინც საგულისხმოა და გვიქმნის წარმოდგენას ანტიკური ხანის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უკიდურესი ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილის ბერძნულ სამყაროსთან ურთიერთობის შესახებ.

სოხუმის ციხე. საინტერესო მასალები აღმოჩნდა სოხუმის ციხის გათხრებისას, განსაკუთრებით მის დასავლეთ ნაწილში. იმპორტულ ამფორებში გამოიკვლია **ქიოსური** (ძვ.წ. VI ს-ის ბოლო - V ს-ის დასაწყისი; ძვ.წ. IV-II სს.), **თასოსური** (ძვ.წ. IV-II სს.) და **კოსის** (ძვ.წ. II-I სს.) ამფორები (Воронов 2014: 200; 208; 229).

ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი - III ს. დიოსკურიის აღმავლობის ხანაა. ამ პერიოდით დათარიღებული **თასოსური, როდოსული** და **კოსის** ამფორების ფრაგმენტები აღმოჩენილია ახულ-აბაას, გუად-იხუს, ახალი ათონის, აგუმერას, მაჭარა-2-ის და სოხუმის მთის ნამოსახლარებზე (Воронов 2014: 212-213; 218-219; Воронов 1969).

ძვ.წ. III-II სს-ით დათარიღებული **როდოსული** ამფორები გამოვლინდა წითელ შუქურაზე, კაპიტანოვკაზე, ლეჩკოპსკის პლატოზე, გულრიფში, წიბილიუმსა და ფაცხირში (Воронов 2014: 206, 215, 220-222).

წარმოდგენილი ინფორმაციიდან ნათლად ჩანს, რომ ძვ.წ. IV ს-ში დიოსკურიას სავაჭრო კავშირები აქვს ქიოსთან და თასოსთან, რომელთაც კოლხეთში ღვინო შემოჰქონდათ. დიოსკურიის ხორას ტერიტორიაზე საკმაო რაოდენობით დასტურდება როდოსული და კოსის ამფორები. ყველა ამ სავაჭრო ოპერაციას ბერძნები მართავდნენ პირველ რიგში დიოსკურიის მაცხოვრებლების, როგორც მომხმარებლების ინტერესიდან გამომდინარე (Воронов 2014: 224).

ეშერა. მნიშვნელოვანი ინფორმაციის მომცემია დიოსკურიის სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიის - ხორას შესწავლა. მისი, როგორც სასასოფლო-სამეურნეო დასახლების ისტორია საშუალებას გვაძლევს იგი დავუკავშიროთ დიოსკურიის შემოგარენში პოლის-ხორას სისტემის ჩამოყალიბებას, რაც ასე დამახასიათებელია ანტიკური სამყაროსთვის.

ეშერას ნაქალაქარი მდებარეობს ვერეშაგინას ბორცვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, სოხუმიდან 10 კმ-ის დაშორებით (ტაბ. IX).

ნაქალაქარზე ძვ.წ. VI-I სს-ების კულტურული ფენები გამოვლინდა.

აღმოჩენილი მასალის მიხედვით ცხადია, რომ დასახლება აქ ძვ.წ. VI ს-ის შუა ხანებში გაჩნდა, ხოლო მეორე ნახევარში კი თავისი სიდიდით არ ჩამოუვარდებოდა თანადროულ, ჩრდილომავიზღვისპირა ქალაქებს.

ძვ.წ. V ს. - IV ს-ის პირველ ნახევარში დასახლება ეშერაზე საგრძნობლად გაიზარდა. აღმოჩენებს შორისაა ქიოსური ამფორების 11 ყური (ძვ.წ. V ს.) (Воронов 2014: 202; Шамра 1980: 22; Шамра... 1987: 31-34).

ეშერას ნაქალაქარიდან მომდინარე ძვ.წ. IV-II სს-ით დათარიღებულ მასალაში გამოიკვლია კოსის ამფორების ფრაგმენტები (Воронов 2014: 209).

ძვ.წ. III ს. - II ს-ის დასაწყისში ეშერას ტერიტორიაზე შეინიშნება ელინიზებული აბორიგენების ფართო შემოსვლა, თუმცადა სამოსახლო კვლავ ინარჩუნებს თავის ბერძნულ ელფერს. იმპორტულ ამფორებში კვლავ კოსის ამფორები გვხვდება (Воронов 2014: 230).

ეშერას ნაქალაქარის სამაროვანი, როგორც ჩანს ბორცვის ჩრდილოეთით მდებარეობდა. სამარხებში ამფორებიც დაფიქსირდა, მათ შორის ერთი კოსის, რომელიც ძვ.წ. III ს-ის ბოლო - II ს-ის შუა ხანებით თარიღდება (Воронов 2014: 21; Куфтин 1949: 5-13).

§4. გურია

ქიოსური ამფორები გამოვლინდა ასევე გურიის რეგიონშიც, კერძოდ სიმაგრის და რიონისპირა ნამოსახლარებზე.

სიმაგრე. სიმაგრის ნამოსახლარი მდებარეობს ფოთის აღმოსავლეთით 12-იოდე კმ-ზე, სოფელ საქორქიოს უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში (ტაბ. IX).

აქ არსებული დასახლება ხშირად განიხილება როგორც ცალკე სოფელი, მიუხედავად იმისა, რომ ის, ფაქტიურად საქორქიოს უბანს წარმოადგენს. ამ უბანს სიმაგრეს უწოდებენ.

ბორცვი სიმაგრე მოზვიანულია ყვითელი თიხნარით. მოზვიანვა, როგორც ჩანს ერთდროულად განხორციელდა, ამიტომ, საფიქრებელია, რომ ასეთი დიდი რაოდენობით მიწის მოზიდვა მხოლოდ ახლო მანძილიდან იქნებოდა შესაძლებელი; ანუ უძველესი ნასახლარის დანგრევის შემდეგ, რომელიც ახლო-მახლო მდებარეობდა (მიქელაძე 1978: 43-48).

ნამოსახლარზე აღმოჩენილია არქაული ხანის აღმოსავლურ-ბერძნული ამფორების ძირითადი სახეობანი, რომელთაგან მხოლოდ ზოგიერთის რაოდენობაა ცნობილი: 8 - ქიოსურია (ძვ.წ. VI ს-ის II ნახევარი) ¹¹¹ 1 - ლესბოსური (ნაცრისფერკეციანი), 1 - ლესბოსის წრის, 3 - სამოსური და აგრეთვე უცნობი რაოდენობით კლაზომენური, და პროტო თასოსური ტიპები. ყველა ამფორა ძვ.წ. VI ს-ის ბოლო - V ს-ის დასაწყისით თარიღდება (მიქელაძე 1978: 63-65; დიუპონი, კაჭარავა 1999: 9).

აღმოჩენილი არქაული ხანის ამფორების ჯგუფიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ზეესტის სამოსური ამფორების 22 ფრაგმენტი. მათ შიდა ზედაპირზე შემორჩენილია ფისის მოლესილობის ნაშთები, რაც, სავარაუდოდ ამ ჭურჭლის ღვინისათვის ხმარებასთანაა დაკავშირებული (ლორთქიფანიძე 1971: 202; დიუპონი... 1999: 9).

რიონისპირა ნამოსახლარები. რიონის მარცხენა ტერასაზე გაითხარა ერთფენიანი ნამოსახლარები, რომელთა გათხრის შედეგად ბერძნული, იმპორტული ამფორებიც აღმოჩნდა. ამფორების პირებისა და ძირების ფრაგმენტები ფორმისა და კეცის შედგენილობის მიხედვით თასოსურ და თასოსის წრის ამფორებს მოგვაგონებს და ძვ.წ. V ს-ით თარიღდება (მიქელაძე, 1978: 63, 65; 73-74).

§5. იმერეთი

მომდევნო რეგიონი, საიდანაც ქიოსური ამფორები გამოვლინდა იმერეთია. აქ მდებარეობს საქართველოს ანტიკური ხანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლი - ვანის ნაქალაქარი, სადაც მრავალრიცხოვანი ამფორული მასალა დადასტურდა. გარდა ვანისა ამფორები აღმოჩენილია მის ირგვლივ მდებარე სამოსახლოებზეც: მთისძირი, დაბლაგომი, დაფნარი, ციხესულორი, საყანჩია.

ვანი და მისი „ქვეყანა“. ქიოსური იმპორტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრად უთუოდ უნდა მივიჩნიოთ ვანი. იგი მდებარეობს იმერეთის დაბლობზე, მდ. სულორის ნაპირას (ტაბ. IX).

¹¹¹ მონახოვის III-A ვარიანტი?

ბერძნული იმპორტი ვანსა და მის მიდამოებში ანტიკური სამყაროს კოლხეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის შედეგია. იმპორტული საგნების გავრცელება ვანში ერთის მხრივ, წარმოდგენას გვიქმნის ბერძენთა სავაჭრო აქტივობის შესახებ ძველი კოლხეთის ერთ გარკვეულ რეგიონთან, ხოლო, მეორეს მხრივ, დიდი მნიშვნელობისაა თვითონ ვანის ქვეყნის ისტორიისთვის.

ვანსა და მის მიდამოებში ბერძნული იმპორტი წარმოდგენილია მრავალფეროვანი ნივთებით და მათ შორის სხვადასხვა ცენტრების ამფორებით.

საერთო ჯამში ვანის ნაქალაქარზე გამოვლინდა ამფორების ფრაგმენტები, რომელთაგან აღმოჩენილი თლიანი ამფორებისა და ძირების მიხედვით შესაძლებელია 130 ამფორის დათვლა, მათგან: 89 ეკუთვნის განსახილველი ბერძნული ცენტრების ამფორებს, რომელთა შორის: 29 (32,58%) - ქიოსურია¹¹² (1 - ძვ.წ. VI ს-ის ბოლო - V ს-ის დასაწყისი (მონახოვის B-II ვარიანტი); 1 - ძვ.წ. V ს-ის მესამე მეოთხედი (მონახოვის III-B ვარიანტი); 1- ძვ.წ. V ს-ის მეორე ნახევარი (მონახოვის IV-B ვარიანტი); 10 - ძვ.წ. IV ს. (მონახოვის V-B ვარიანტი); 1- ძვ.წ. III ს. (მონახოვის V-C ვარიანტი); 3 - ძვ.წ. III-II სს. (მონახოვის V-C ვარიანტი); 12 - ძვ.წ. II ს. (მონახოვის V-C ვარიანტი), 22 (24,71%) - როდოსული (ძვ.წ. III-II სს.); 9 (10,11%) - თასოსის წრე (ძვ.წ. V-IV სს.); 8 (8,98%) - კნიდი¹¹³(ძვ.წ. III-II სს.), 5 (5,61%) - თასოსი (4 - ძვ.წ. IV ს¹¹⁴; 1 - ძვ.წ. IV-III სს.), 4 (4,49%) - კოსი (ძვ.წ. III-II სს.), 3 (3,37%) - სოლოხა I (ძვ.წ. IV ს.), 3 (3,37%) - მენდე (ძვ.წ. V-IV სს.), 1 (1,12%) - ატიკა (ძვ.წ. IV ს.), 1 (1,12%) - ლესბოსი (ძვ.წ. VI ს-ის ბოლო) და 4 (4,49%) - უცნობი ცენტრის.

ვანის ნაქალაქარის არქეოლოგიური მასალა გვიჩვენებს ქიოსური კერამიკული ტარის სისტემატურ იმპორტს ძვ.წ. VI-II სს-ში (ვანი VII 1983: 5-10; 16-18; Kacharava, Kvirkvelia 2008: 252-253; 295-296; ახვლედიანი, ფუთურიძე 2002: 50-51).

მთისძირი. სოფელი მთისძირი მდებარეობს დაბა ვანიდან დასავლეთით 8 კმ-ზე, მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე. იგი მოიცავს რამდენიმე გორას და მათ შორის მდებარე დაბლობს.

¹¹² სამ მათგანზე დამდა იყო შემორჩენილი. დამღებზე მოცემულია სახელები: Ἰκεσίον, ἡγῆσιον.

¹¹³ ერთი მათგანი დამღიანია.

¹¹⁴ დამღიანია.

არქეოლოგიური თვალსაზრისით საინტერესოა დღევანდელი სოფელ მთისძირის სამხრეთი მხარე. აღნიშნულ ფარგლებში დადასტურებული კულტურული ფენები ქრონოლოგიურად დიდ მონაკვეთს მოიცავენ (ძვ.წ. VII-დან ახ.წ. VIII-მდე). იგი ქალაქ ვანისკენ მიმავალ გზაზე მდებარეობდა და ვანის „ქვეყნის“ სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიაში შედიოდა.

ძეგლზე გამოვლინდა 3 ქიოსური ამფორა (ფრაგმენტების სახითაა წარმოდგენილი) (1 - ძვ.წ. VI-V სს. (მონახოვის II-B ვარიანტი); 1 - ძვ.წ. V ს. (მონახოვის III ტიპი); 1 - ძვ.წ. V-IV სს. (მონახოვის IV ტიპი) და 2 - მენდეს (ძვ.წ. IV ს.) ამფორა (ვანი VII 1983: 127).

დაბლაგომი. დაბლაგომის ძველი ნამოსახლარი რიონისპირა ბორცვზეა განლაგებული; ვანიდან ჩრდილო-დასავლეთით 10-12 კმ-ის დაშორებით. იგი ფიზიკურ-გეოგრაფიულად და ისტორიულ-გეოგრაფიულადაც ვანის ქვეყნის შემადგენელი ნაწილია და მასთან ერთადაა ჩართული აქტიურ სავაჭრო ურთიერთობაში ანტიკურ სამყაროსთან.

იმპორტულ ნაწარმში წარმოდგენილია თითქმის ყველა საწარმოო ცენტრი, რომელთანაც შიდა კოლხეთს სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ეს ურთიერთობა ძვ.წ. VI-V სს-დან ივარაუდება.

ძეგლზე გამოვლენილი ამფორებიდან 2 - ქიოსურია (1 - ძვ.წ. V-IV სს. (მონახოვის IV ტიპი); 1 - ძვ.წ. IV ს. (მონახოვის V ტიპი), 2 - თასოსური (ძვ.წ. IV-III სს.), 1 - ლესბოსური (ძვ.წ. VI-V სს.) და 4 - უცნობი ცენტრის (ვანი VII 1983: 127-132).

დაფნარი. დაბლაგომის მსგავსად დაფნარიც რიონისპირა ბორცვზეა განლაგებული; იგი დაბლაგომიდან 3, ხოლო ვანიდან 15 კმ-ითაა დაშორებული. არქეოლოგიური ინფორმაციიდან ჩანს, რომ ანტიკურ ხანაში აქ საკმაოდ დიდი დასახლება არსებობდა. გამოვლენილი და შესწავლილია ნასოფლარის ნაშთები და სამაროვანი. როგორც მოსალოდნელი იყო ანტიკური ხანის დაფნარი, ისევე როგორც „ვანის ქვეყნის“ სხვა რეგიონები აქტიურად ყოფილა ჩაბმული სავაჭრო ურთიერთობაში ანტიკურ სამყაროსთან. ეს ურთიერთობა დაახლოებით ძვ.წ. V ს-დან ივარაუდება. ანტიკური იმპორტი ძირითადად კულტურული ფენებიდან მომდინარე

სხვადასხვა ცენტრების ძვ.წ. IV-II სს-ის კერამიკული ტარის ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი.

დაფნარის სამაროვანზე დასაკრძალავ ინვენტარში არაა დადასტურებული ამფორები, ისინი გამოვლინდა სასიმაგრო კედლებთან 1,5 მ-ის დიამეტრში.

ძეგლზე დადასტურებული ამფორებიდან 2 - ქიოსურია (1- ძვ.წ. V ს. (მონახოვის III ვარიანტი), 1 - ძვ.წ. III ს. (მონახოვის V-C ვარიანტი), 1 - თასოსური (ძვ.წ. IV ს.), 1 - თასოსის წრის (ძვ.წ. IV-III სს.) და 1 - როდოსული (ძვ.წ. III-II სს.) (Кигурадзе 1976: 49; ვანი VII 1983: 136-137).

ციხესულორი. მდებარეობს ვანის ნაქალაქარის დასავლეთით, უშუალოდ მის მეზობლად.

აქ აღმოჩენილი ბერძნული იმპორტული ამფორების ფრაგმენტები შემთხვევით აღმოჩენას წარმოადგენს. მოპოვებული ამფორებიდან: 1 - ქიოსურია (ძვ.წ. IV-III სს. (მონახოვის V ტიპი), 1 - თასოსური? (ძვ.წ. IV ს.), 1 - თასოსის წრის? (ძვ.წ. IV-III სს.) და 1 - უცნობი ცენტრის (ვანი VII 1983: 126).

საყანჩია. საყანჩიას ნამოსახლარი მდებარეობს დაბა ვანში, ახვლედიანების გორის ჩრდილო-აღმოსავლეთით და მისგან დაახლოებით 1-1,5 კმ-ითაა დაშორებული.

სამოსახლო დაარსებული იქნა ძვ.წ. III ს-ს მეორე ნახევარში. ფუნქციონალური თვალსაზრისით საყანჩიას ნამოსახლარი ვანის ქალაქის სავაჭრო-სახელოსნო ნაწილს წარმოადგენდა (ლიჩელი 1991: 52).

საყანჩიას ნამოსახლარზე განსახილველი ცენტრების სულ მცირე 55 იმპორტული ამფორაა დადასტურებული, მათ შორის: 37 (67,27%) - როდოსულია (ძვ.წ. III-II სს.), 10 (18,18%) - კოსის (ძვ.წ. III-II სს.), 2 (3,63%) - ნიკანდროსის ჯგუფი¹¹⁵ (ძვ.წ. II ს-ის მესამე მეოთხედის დასაწყისი), 2 (3,63%) - კნიდი (ძვ.წ. II ს-ის ბოლო), 2 (3,63%) - ქიოსი (ვ. გრეისის მიხედვით მსგავსი ფორმის ქუსლი ამ ამფორებს ძვ.წ. IV ს-შიც აქვთ მაგრამ იგი მოკლეა (გრეისი 1949); შემდეგ კი, ძვ.წ. III-I სს-ში პროპორციები გრძელდება და ღებულობს სწორედ იმ ფორმას, რომელიც საყანჩიურ ქუსლებს აქვთ

¹¹⁵ ნიკანდროსის ჯგუფის ამფორები საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ საყანჩიას ნამოსახლარზე გვხვდება.

(მონახოვის V-C ვარიანტი), 1 (1,81%) - სოლოხა I (ძვ.წ. IV-III სს.), 1 (1,81%) - კორინთო (ძვ.წ. III-II სს.); გარდა ამისა, აქვეა განუსაზღვრელი ცენტრის პირ-ყელისა და ქუსლის რამდენიმე ფრაგმენტიც (ვანი VII 1983: 113-116).

ცენტრი	პირი/ ზაკო	ყური	დამლიანი ყური	პირი/ ქუსლი	სულ ამფორების რაოდენობა
როდოსი	50	20	30	37	37
კოსი		3		10	10
ნიკანდროსის ჯგუფი				2	2
კნიდი				2	2
ქიოსი				2	2
კორინთო	1				1
სოლოხა I	1				1

ცხრილი 10. საყანჩიას ნამოსახლარზე დადასტურებული ბერძნული
სატრანსპორტო ამფორები

ამრიგად, ვანის ნაქალაქარსა და მის ირგვლივ მდებარე ტერიტორიაზე აღმოჩენილი ბერძნული იმპორტი საკმაოდ მრავალფეროვანია და გვაძლევს საინტერესო მასალას ბერძნული სამყაროს კოლხეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ისტორიისთვის. ამ ურთიერთობის პირველ ეტაპზე (ძვ.წ. VI ს-ის მეორე ნახევარი, უფრო კი მისი უკანასკნელი მეოთხედი და ძვ.წ. V ს-ის დასაწყისი) აშკარაა აღმოსავლეთ ბერძნული სავაჭრო სახელოსნოების აქტიური როლი, თუმც უკვე ძვ.წ. VI ს-ის უკანასკნელ მეოთხედში კოლხეთში გზას იკვლევს ატიკური იმპორტიც.

ბერძნული იმპორტის შესწავლა გვიჩვენებს, რომ უკვე ძვ.წ. VI-V სს-დან იგი ვრცელდება ვანის ძველი ქალაქის ირგვლივ მდებარე სასოფლო ტერიტორიაზე, რაც

იმას მოწმობს, რომ ვანი, რომელიც ამ დროს კოლხეთის სამეფოს ერთ-ერთი ადმინისტრაციული ოლქის პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენდა მსხვილი სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრისა და პროდუქციის გამანაწილებლის ფუნქციასაც ასრულებდა. ეს უკანასკნელი კი არაპირდაპირი მოწმობაა აქ ბაზრის არსებობისა, რაც საზოგადოების ურბანიზაციის ერთ-ერთ უმთავრეს ნიშნადაა აღიარებული (ვანი VII 1983: 139-140).

* * *

საქართველოს ტერიტორიაზე დადასტურებული ბერძნული ამფორების იმპორტი ასე გამოყურება: **(დანართი II, ცხრილი VIII).**

ჩვენი მონაცემებით საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე ძეგლებზე განსახილველი პერიოდის სულ მცირე 298 ამფორა დადასტურდა. ამ მაჩვენებლის 62,08% იონიის რეგიონზე მოდის, საიდანაც 166 ამფორა ქიოსურია, 6 - სამოსური, 5 - ლესბოსური, 5 - იონური, 2 - ნიკანდროსის ჯგუფის და 1 - ლესბოსის წრის.

მომდევნო ადგილზე დგას აღმოსავლეთი მაკედონია და თრაკია, საიდანაც ამფორების საერთო მაჩვენებლის 22,48% გამოვლინდა; აქედან: 38 - თასოსურია, 12 - თასოსის წრის, 10 - მენდეს და 7 - პროტოთასოსის.

სამხრეთ ეგეოსისპირეთის ცენტრების ნაწარმი საერთო მაჩვენებლის 13,08%-შეადგენს; აქედან: 23 - როდოსულია, 14 - კოსის და 2 - კნიდის.

1,67%-ით წარმოდგენილია თესალიის რეგიონი, საიდანაც განხილულ ძეგლებზე **სოლოხა I** (4) და **სოლოხა II** (1) ტიპის ამფორებია შემოტანილი. პელოპონესის რეგიონიდან 1 - კორინთული და ატიკიდან კი 1 - ატიკური ამფორა გვხვდება.


საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ქიოსური და სხვა ბერძნული იმპორტული ამფორები ძვ.წ. VII-II სს-ის მონაკვეთშია დადასტურებული. იმპორტი დაფიქსირებულია კოლხეთის როგორც ზღვისპირა, ასევე შიდა რეგიონებში.

ძვ.წ. VII-VI სს-ში ქიოსური იმპორტი გვხვდება აჭარაში (ბათუმის ციხე); აფხაზეთში (ოჩამჩირე), გურიაში (სიმაგრე) და სამეგრელო-ზემო სვანეთში

(საგვიჩიო); ძვ.წ. VI ს-ის ბოლო - V ს-ის დამდეგიდან იგი უკვე ვანსა და მის შემოგარენში და ყულევშიც ვრცელდება, ხოლო ძვ.წ. V ს-ში ყველაზე მრავალრიცხოვანია და რაოდენობით აჭარბებს ყველა ბერძნულ ცენტრს ერთად. ძვ.წ. V-IV სს-ში იმპორტი ვრცელდება აჭარის (ქობულეთ-ფიჭვნარი, ციხისძირი), იმერეთის (ვანი და მისი შემოგარენი), აფხაზეთისა (სოჭი, ოჩამჩირე, ეშერა) და სამეგრელო-ზემო სვანეთის (ერგეტა) ტერიტორიაზე. ძვ.წ. IV-III სს-ში ქიოსური ამფორები მხოლოდ ვანსა და მის შემოგარენში გვხვდება, ხოლო ამის შემდეგ საერთოდ ქრება.

საქართველოს ტერიტორიაზე დადასტურებული ქიოსური იმპორტი ბერძნულ სატრანსპორტო ამფორებს შორის რაოდენობით პირველ ადგილზე დგას.

აღნიშნული ინფორმაცია გრაფიკის სახით ასე გამოისახება:



გრაფიკი 10. საქართველოში დადასტურებული ქიოსური და სხვა ბერძნული იმპორტული ამფორების დინამიკა

IV. 2. 6. თურქეთი

ჩვენი მომდევნო განსახილველი რეგიონია თურქეთი. თურქეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი ბერძნული სატრანსპორტო ამფორები, როგორც ნამოსახლარებზე და სამაროვნებზე, ასევე ჩადირულ გემებზე გამოვლინდა. ქიოსური ამფორები თურქეთის მრავალ ძეგლზეა დადასტურებული.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ძველი საბერძნეთის იონიური ქალაქების უმეტესი ნაწილი (ქიოსის და სამოსის გარდა) დღევანდელი თურქეთის საზღვრებში იმყოფება (თურქეთის მცირე აზიის სანაპირო ზოლი), ამიტომ ამ ძეგლებს თურქეთის რეგიონში განვიხილავთ.

იონია (Ἰωνία, Ἰωνίη) ეწოდება ძველი ანატოლიის სანაპირო რეგიონს (ტაბ. II, 2). იგი მოიცავდა ვიწრო სანაპირო ზოლს ფოკეიდან მილეტამდე და, აგრეთვე კუნძულებს ქიოსსა და სამოსს ეგეოსის ზღვაში. იონიის ლიგაში შედიოდა 12 სახელმწიფო, რომელთა ჩამონათვალი ჰეროდოტესთანაა (Hdt. 1.142) მოცემული: ქიოსი, სამოსი, ეფესო, თეოსი, ლებედოსი, კოლოფონი, ფოკეა, კლაზომენე, პრიენე, მილეტი, მიუსი და სმირნა (მოგვიანებით შეუერთდა კავშირს) (Smith 1857: 60-61).

წყაროებში ეს მოძრაობა აღწერილია მასიურ მიგრაციად ეგეოსის ზღვის გასწვრივ. ემიგრანტების ძირითად ნაწილს წარმოადგენდნენ იონიელები, ხალხი, რომლებიც იძულებულნი გახდნენ გადასახლებულიყვნენ თავიანთი ადგილ-მამულიდან - ჩრდილო პელოპონესიდან.

იონიაში ექვს სხვადასხვა ადგილას, სანაპირო ძეგლებზე აღმოჩნდა ე.წ. პროტოგეომეტრიული ტიპის მოხატული კერამიკა, რომელიც ძვ.წ. X ს-ით თარიღდება; ეს ადასტურებს, რომ იონიაში ბერძნული სამოსახლო ამ პერიოდისთვის უკვე კარგად იყო განვითარებული (Cook 1962; Boardman 1956: 6; Higgins... 1996: 136).

დაახლოებით ძვ.წ. 800 წლისათვის ბერძნების მიერ იონიური სანაპიროს ათვისება დასრულდა. ამ პროცესში ზოგიერთი პატარა იონიური ქალაქი დიდმა

ერთეულებმა შთანთქა; შეიქმნა პანიონიონი¹¹⁶, მაგრამ იგი არ ზღუდავდა მასში გაერთიანებული ქალაქების დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას (Cook 1962; Roebuck 1953: 9-16).

ანტიკური იმპორტი თურქეთის ტერიტორიაზე არა მხოლოდ მცირე აზიის სანაპიროზე დასტურდება, იგი ასევე შიდა რაიონებში და სამხრეთ შავიზღვისპირეთის ბერძნულ კოლონიებშიც გვხვდება, თუმცა თურქეთის სანაპიროზე დაარსებული ბერძნული ახალშენების ლოკალიზაციის პრობლემებიდან გამომდინარე აქ გამოვლენილი ბერძნული სატრანსპორტო ამფორების შესახებ ზუსტი ინფორმაცია არ მოგვეპოვება, რაც ნაწილობრივ აქ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების სპორადული ხასიათით აიხსნება.

თურქეთის ტერიტორიაზე ბერძნული ამფორული იმპორტი მრავალრიცხოვანია. ამფორები შემდეგი რეგიონებიდან გამოვლინდა: ცენტრალური ანატოლია, ხმელთაშუაზღვის, ეგეოსის ზღვის და მარმარილოს ზღვის სანაპირო რეგიონები.

§1. ხმელთაშუაზღვის სანაპირო

ხმელთაშუაზღვის სანაპირო რეგიონში ბერძნული სატრანსპორტო ამფორები შემდეგ ძეგლებზე დადასტურდა: ქსანთოსი, კიანეა, ნაგიდოსი და ტარსუსი.

ქსანთოსი. მდებარეობს ლიკიის სანაპიროზე, მდ. ქსანთის პირას (ტაბ. X); ანტიკურ ეპოქაში ზღვის სანაპირო, როგორც ჩანს უფრო ახლოს იყოს ქალაქთან, მაგრამ მაინც გამოყოფილი იყო მისგან ჭაობით. ქალაქი გაშენებული იყო დაახლოებით 30 ჰა ფართობზე.

ჰეროდოტეს (I, 176) მიხედვით იგი სპარსეთის არმიის მიერ იქნა დაკავებული ძვ.წ. VI ს-ის შუა ხანებში. იმ პერიოდში ის ლიკიის უმნიშვნელოვანესი ქალაქი იყო.

¹¹⁶ ბერძ. Πανιώνιον - პოსეიდონ ჰელიკონიოსისადმი მიძღვნილი იონიური საკურთხეველი და იონიური ლიგის წევრების შეხვედრის ადგილი. იგი მდებარეობდა მიკალეს ნ/კ-ზე, სმირნადან (დღევანდელი იზმირი) დაახლოებით 100 კმ-ის დაშორებით.

ელინისტურ ხანაში (ძვ.წ. III ს-ის განმავლობაში) ქსანთოსს აკონტროლებდნენ ჯერ ანტიგონიდები და შემდეგ კი ლაგიდები. იგი მოგვიანებით გადავიდა სელევკიდების, ხოლო შემდეგ კი როდოსის კონტროლის ქვეშ რომაელების მიერ ლიკიის გათავისუფლებამდე (Des Courtils, Cavalier 2001: 149-151).

ქსანთოსიდან მომდინარეობს 1 ქიოსური ამფორა, რომელიც ძვ.წ. VII ს-ის დასასრულით თარიღდება (Metzger 1972: 69-70).

მომდევნოა ცენტრია ნაგიდოსი. იგი მდებარეობს დღევანდელ ადმინისტრაციულ პროვინცია მერსინში, ანამურის აღმოსავლეთით, 10 კმ-ის დაშორებით (ტაბ. X).

ნაგიდოსის დაარსებიდან (არქაულ ხანა), მის მიტოვებამდე (ძვ.წ. II ს-ის II მეოთხედი) იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ანტიკური ხანის სავაჭრო ურთიერთობებში, როგორც ამას მრავალრიცხოვანი აღმოჩენები მოწმობს.

ნაგიდოსის სამაროვნიდან მომდინარე მასალა ძვ.წ. VI ს-ის II ნახევრით თარიღდება (ამაზე ადრეული სამარხები არ დასტურდება); სამარხების ერთმა ნაწილმა ძვ.წ. V-IV სს-ის მასალა გამოავლინა.

ნაგიდოსს მჭირდო ურთიერთობა ჰქონდა ეგეოსის რეგიონის ცენტრებთან, რასაც აქ აღმოჩენილი ამფორები მოწმობს. სატრანსპორტო ამფორებს შორის 8 - **ქიოსურია**. ისინი ძვ.წ. VI-III სს-ით განსაზღვრული მონაკვეთით თარიღდება, რის საფუძველზეც ნაგიდოსის სამარხებსა თუ სხვადასხვა კომპლექსებში ქიოსური ამფორების უმთავრესი ჯგუფები დასტურდება (Durugonul 2007: 5-30).

გარდა ქიოსურისა აქვია **სამოსური**, **ლესბოსური** და **მენდეს** ამფორებიც.

მომდევნო ძეგლი, სადაც ქიოსური ამფორები დადასტურდა არის *კიანეა*. იგი მდებარეობს ლიკიაში (ტაბ. X).

ძეგლიდან მომდინარე ზედაპირული აღმოჩენები საერთო ჯამში ძვ.წ. VI ს-დან - ახ.წ. XIII ს-მდე განსაზღვრული პერიოდით თარიღდება.

ლიკიის კერამიკის სპორადული გამოქვეყნების გამო საკმაოდ რთულია აქ დადასტურებული ამფორების ტიპებზე საუბარი.

ბერძნული იმპორტული ამფორებიდან გამოიყვანება: 1 - **ქიოსური** (ძვ.წ. V ს-ის შუა ხანები), 1 - **როდოსული** (ძვ.წ. III ს-ის მეორე მესამედი), 1 - **კნიდის** (ძვ.წ. II ს.), 1 -

კორინთული B (ძვ.წ. IV-III სს.) და 1 - თასოსური (ძვ.წ. II ს?) ამფორები (კოლბი 1992, ჰაბელტი 1996: 87-88, 95-98; 110-111).

კიანტა მომდევნო ძეგლია. იგი მდებარეობს ლიკიაში (ტაბ. X).

ძეგლიდან მომდინარე ზედაპირული აღმოჩენები საერთო ჯამში ძვ.წ. VI ს-დან ახ.წ. XIII ს-მდე განსაზღვრული პერიოდით თარიღდება.

ლიკიის კერამიკის შესახებ სპორადული პუბლიკაციების გამო რთულია აქ დადასტურებული ამფორების ტიპებზე საუბარი.

ბერძნული იმპორტული ამფორებიდან გამოიყვანება: 1 - ქიოსური (კატ. #255) (ძვ.წ. V ს-ის შუა ხანები), 1 - როდოსული (ძვ.წ. III ს-ის მეორე მესამედი), 1 - კნიდის (ძვ.წ. II ს.), 1 - კორინთული B (ძვ.წ. IV-III სს.) და 1 - თასოსური (ძვ.წ. II ს?) ამფორები (Kolb 1996: 87-88, 95-98; 110-111).

ტარსუსი. ტარსუსი მდებარეობს თურქეთის ცენტრალურ ნაწილში (ტაბ. X).

გოზლუ კულეს არქეოლოგიური გათხრების შედეგად საერთო ჯამში ამფორების 101 დამლა გამოვლინდა, რომელთაგან 84 - სავარაუდოდ როდოსულია, 3 - კნიდის და 14 - უცნობი ცენტრის. ყველა მათგანი ელინისტური ხანით (ძვ.წ. III-I სს.) თარიღდება (Grace 1950: 135-149).

§2. ცენტალური ანატოლია

ამ რეგიონიდან ქიოსური და სხვა ბერძნული სატრანსპორტო ამფორები *გორდიონში* გვხვდება.

გორდიონი ძველი ფრიგიის დედაქალაქი იყო. იგი მდებარეობს ანკარას სამხრეთ-აღმოსავლეთით 70 კმ-ის დაშორებით (ტაბ. X).

ლივიუსი გორდიონს აღწერს, როგორც „ფართოდ ცნობილ და ხშირად მონახულებულ ბაზარს“ (Livy, 38.18). ეს უკანასკნელი გორდიონის ხელსაყრელი მდებარეობით უნდა აიხნას, რადგან იგი თითქმის თანაბრად დაშორებული ჰელესპონტიდან, ეუქსინოსიდან და კილიკიის სანაპიროდან.

გორდიონში აღმოჩენილია ამფორების მრავალრიცხოვანი ტიპები, რომლებიც მთლიანი ამფორების ნიმუშებით, პროფილირებული (პირები, ძირები) და დამდიანი ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი¹¹⁷.

1988 წელს დაწყებული ძეგლის გამოკვლევის შედეგად აღმოჩენილი მასალის საფუძველზე გორდიონში ამფორული იმპორტი ძვ.წ. VII ს-დან ძვ.წ. II ს-ის დასაწყისით განისაზღვრა. ძეგლის ცხოვრებაში რამდენიმე ფაზა განირჩევა:

შუა ფრიგიულიდან (ძვ.წ. 800 წელი) - ძვ.წ. 540 წლამდე. ამ ფაზისთვის ამფორების ორი ტიპია დამახასიათებელი: **ლესბოსური** და **კლაზომენური** (ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევარი). კლაზომენეს ამფორების შემოტანა გორდიონში ძვ.წ. VI ს-შიც გრძელდება. გარდა ამისა, აქ არის ერთი **ატიკური** ამფორის ფრაგმენტი, რომელიც შუა ან გვიან ფრიგიულ პერიოდს უნდა მიეკუთვნებოდეს. ამ პერიოდში ეგეოსისპირეთსა და გორდიონს შორის სავაჭრო გზა აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით გადიოდა.

ძვ.წ. 585 წელს გორდიონი ლიდიელების კონტროლის ქვეშ გადავიდა და ბერძნული იმპორტი რიცხოვრივი და ხარისხობრივი თვალსაზრისით საგრძნობლად გაიზარდა.

მომდევნოა *გვიანფრიგიული/აქემენიდური პერიოდი (ძვ.წ. 540-330 წწ.)*, რომლის დროსაც გორდიონი უკვე აღარ იყო რეგიონის დედაქალაქი. ამ პერიოდში ბერძნული იმპორტი როგორც მოხატული კერამიკის, ასევე ამფორების სახით საგრძნობლად მატულობს.

სატრანსპორტო ამფორებში გამოიყენება: **ლესბოსური** (ძვ.წ. VI ს-ის შუა ხანები), **ქიოსური** (ძვ.წ. VI ს-ის დასასრულიდან – ძვ.წ. 480 წლამდე განსაზღვრული პერიოდი), **მენდეს** (ძვ.წ. V ს-ის მესამე მეოთხედი; ძვ.წ. IV ს-ის შუა ხანები) და ერთი **თასოსური** (დამდიანი) ამფორა (ძვ.წ. 325 წ-მდე პერიოდი).

ადრეელინისტურ პერიოდს (ძვ.წ. 330 წ. - ძვ.წ. III ს-ის შუა ხანები) არ გამოუწვევია ცვლილება ამფორების იმპორტის თვალსაზრისით. ამფორებიდან ამ პერიოდში ვხვდებით: **როდოსულ** (ძვ.წ. IV ს-ის უკანასკნელი მეოთხედი; ძვ.წ. III ს-ის

¹¹⁷ მ. ლაუალი აღნიშნავს, რომ ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა რაოდენობით ამფორების ფრაგმენტები იქნა გადაყრილი ექსპედიციის დასრულების შემდეგ არ არსებობს.

პირველი ათწლეულები); **ქიოსურ** (დაახლ. ძვ.წ. 350-330 წწ.), **კორინთულ** (ერთი პირის ფრაგმენტი) (ძვ.წ. IV ს-ის ბოლო - III ს-ის დასაწყისი) ამფორებს და **თასოსური** ამფორების დამღებს (ძვ.წ. 320-270 წწ.).

მომდევნო პერიოდში (ძვ.წ. III ს-ის შუა ხანები - II ს-ის შუა ხანები) ბერძნული იმპორტი საკმაოდ იშვიათია, თუმცა ერთი **როდოსული** დამღა საიმედოდ თარიღდება ძვ.წ. 189 წლის შემდგომი პერიოდით, ხოლო როდოსული ამფორების ფრაგმენტები ძვ.წ. II ს-ის პირველი ათწლეულით. გარდა ამისა გვხვდება **თასოსური** ამფორების მცირერიცხოვანი ფრაგმენტებიც (ძვ.წ. 248-237 წწ.) (Lawall 2006: 159-165; Lawall 2010).

§3. ეგეოსის ზღვის სანაპირო

ტეკტამ ბურნუ. 1996 წელს თურქეთში ეგეოსის ზღვის სანაპიროსთან კუნძულ ქიოსის აღმოსავლეთით აღმოჩნდა ძვ.წ. V ს-ში ჩადირული გემის ნარჩენები (ტაბ. X).

1999 და 2001 წლებში გემზე მიმდინარე სამუშაოების შედეგად ამოღებულ იქნა 217 ბერძნული სატრანსპორტო ამფორა; მათგან: 200 (92,16%) - **ფსევდო-სამოსურია**. ერთ-ერთი მათგანის დამღა¹¹⁸ მიუთითებს, რომ ისინი უნდა დამზადებულიყო ერეტრიაზე, რადგან დამღაზე გამოსახულია ქალაქის სახელის პირველი სამი ასო.; დანარჩენი ამფორებიდან 10¹¹⁹ - **მენდეს** პროდუქციას მიეკუთვნება (ძვ.წ. 450-425 წწ.), 3 - **სამოსური**, 2 - **ქიოსური** (1 - ძვ.წ. 450-440 წწ.; 1 - ძვ.წ. 440-სა და 430-425 წწ-ს შორის მოქცეული პერიოდი) და 2 - **ჩრდილო ეგეოსური** (თარიღი უცნობია).

ქიოსური ამფორები ყელგამობერილი ტიპის ფინალურ ფაზას მიეკუთვნება.

გემი სავარაუდოდ ძვ.წ. 440-425 წწ-ის ინტერვალში ჩაიდირა და ვარაუდობენ, რომ მის გემბანზე 1500 ამფორა იყო.

აქაც ვხვდებით იმის შესაძლებლობას, რომ ქიოსური ამფორები ერეტრიაზეც იწარმოებოდა; დიუპონის მიერ ქიოსური კერამიკის გამოკვლევამ უჩვენა, რომ

¹¹⁸ ჩადირული გემიდან მომდინარე ფსევდო-სამოსური ამფორების 20% დადამღული იყო. ფსევდო-სამოსური ამფორები ძვ.წ. VI-V სს-ის სამოსური ამფორების მსგავსია, თუმცა აქვთ მასიური პირი და წვეტიანი ძირი.

¹¹⁹ 9 მათგანი ფისით იყო სავსე. თითო ამფორა 40 კგ-ს იწონიდა.

ერეტრია აწარმოებდა ადგილობრივი ბაზრისთვის განკუთვნილ იმიტაციურ ქიოსურ ჭურჭლებს. აქედან გამომდინარე ჩვენ გვაქვს საკმარისი საბუთი ვიფიქროთ, რომ ერეტრიელი მეთუნეები და ქიოსელი ღვინით მოვაჭრეები თანამშრომლობდნენ და შესაძლოა, რომ ქიოსური ღვინო ბაზარზე ფსევდო-სამოსური ამფორებით გაჰქონდათ.

ქიოსური კერამიკის დომინირება და ატიკური კერამიკის არარსებობა მიუთითებს, რომ ეს იყო ადგილობრივი გემი, რომელსაც ამფორული ტვირთი იონიის ზღვის სანაპიროების გასწვრივ გადაჰქონდა. იგი სავარაუდოდ მიემართებოდა სამხრეთისკენ (მილეტის ან სამოსისკენ), როცა ჩაიძირა ქიოსის ყურეში (Carlson 2003: 581-600).

ბოდრუმი. ანტიკური ხანის ქალაქი ჰალიკარნასი კარიის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე, ბოდრუმის ტერიტორიაზე მდებარეობს (ტაბ. X).

ჰალიკარნასი დორიული კოლონია იყო;

ქალაქის ყველაზე ღირსშესანიშნავი შენობა - მავზოლეუმი ძვ.წ. 351 წლით თარიღდება. მავზოლეუმის ტერასაზე აღმოჩენილი არქაულ-ელინისტური ხანის კერამიკა ჰალიკარნასის სხვადასხვა ცენტრებთან სავაჭრო ურთიერთობებზე მიგვითითებს.

ძეგლზე სიცოცხლე საკმაოდ ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში არსებობდა. მეფე მაუსოლოსმა ქალაქი დააარსა არა უგვიანეს ძვ.წ. 367-66 წწ-ისა; ტერასა და სამარხი ნაგებობები იმთავითვე ქალაქის გეგმის ნაწილი იყო. მავზოლეუმის¹²⁰ მშენებლობა საბოლოოდ არტემისიასის ხელმძღვანელობით დასრულდა, მის გარდაცვალებამდე (ძვ.წ. 351 წ.).

ნაგებობის ტერასაზე გამოვლინდა კერამიკული ტარა, მათ შორის ამფორებიც, რომლებიც სხვადასხვა კონპლექსებიდან მომდინარეობს; ესენია: ბოტროსი (სამსხვერპლო ორმო), საიდანაც 3 ქიოსური ამფორა გამოვლინდა; Q6 თხრილი, სადაც 1 ქიოსური ამფორა აღმოჩნდა; R12 თხრილი - 1 ქიოსური ამფორა მომდინარეობს და დასავლეთი კიბე, საიდანაც ასევე 1 ქიოსური ამფორა გამოვლინდა.

¹²⁰ იგი მეფე მაუსოლოსის დასაკრძალავ აკლდამას წარმოადგენდა, რომელიც მან თავის სიცოცხლეშივე ააგებინა.

დანის არქეოლოგიური ინსტიტუტის გათხების შედეგად ჰალიკარნასში 1966 წლიდან 1976 წლამდე 3 ჭა (A, B და C) იქნა შესწავლილი მავზოლეუმის აღმოსავლეთი ტერასული კედლის გაყოლებაზე. სამივე ჭა ტერასული კედლიდან 1-1,5 მ-ის დაშორებით მდებარეობს.

ჭა A ორჯერ იქნა ამოვსებული, პირველად დაახლოებით ძვ.წ. IV-ს-ის შუა ხანებში და მეორედ დაახლოებით ძვ.წ. 200 წელს (± 25 წელი). ამ მოგვიანო ფენაში შედიოდა **როდოსული** ამფორის დამდიანი ყურის ფრაგმენტი, რომელიც ძვ.წ. 231-218 წწ-ით თარიღდება.

პირველი ფაზის მასალა შეიცავს 9¹²¹ თითქმის მთლიან ქიოსურ (ძვ.წ. 360-320¹²²წწ.) ამფორას და 1 კოსის (ძვ.წ. 360-320 წწ.) ამფორას და ასევე სხვადასხვა ცენტრების ამფორების ფრაგმენტებსა თუ დამლებს.

ერთ-ერთ ქიოსურ ამფორაში ბალზამის ნარჩენები დადასტურდა; მას ხის შიდა ქერქიდან იღებდნენ და სამკურნალო დატვირთვა ჰქონდა. იგი იშვიათი და ძვირი იყო. მოცემულ შემთხვევაში იგი სავარაუდოდ ღვინოში იყო შერეული.

ჭა B-ს დათარიღება ნაკლებად ზუსტია, მაგრამ ჭის უკანასკნელი ამოვსება დაახლოებით ძვ.წ. II ს-ით თარიღდება. აქედან ერთი ქიოსური ამფორა მომდინარეობს.

ჭა C პირველად, როგორც ჩანს ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარში ამოივსო. ზედა ფენაში დაფიქსირებული კერამიკა ძვ.წ. III-II სს-ებით თარიღდება. აქედან 6 ქიოსური ამფორა მომდინარეობს.

მავზოლეუმის კონტექსტიდან მომდინარე აბსოლუტურად ყველა სატრანსპორტო ამფორა ღვინისთვის იყო განკუთვნილი. აქ გამოვლენილი ქიოსური ამფორების კეცი კარგად განლექილია; ფერები მერყეობს მოწითალოდან ყვითლამდე. კეცში მცირე ზომის, ღია ყავისფერი, ნაცრისფერი, სავარაუდოდ კირის და შავი ფერის ჩანართებია; ხშირად გვხვდება, აგრეთვე ვერცხლისა და ოქროსფერი ქარსის

¹²¹ ქიოსური ამფორები იმდენად ერთმანეთის მსგავსია, რომ ივარაუდეს, რომ ისინი ერთი სერიის ნაწილი იყო.

¹²² მონახოვი ამ ტიპის ქიოსურ ამფორებს ძვ.წ. 370-360 წწ-ით ათარიღებს, მაგრამ ჰალიკარნასიდან მომდინარე ნიმუშებს უფრო დაგრძელებული ძირი აქვთ, რომელიც საფიქრებელია მოგვიანო პერიოდში უნდა იყოს დამზადებული.

ჩანართებიც. ზედაპირი ღია ყავისფერი-მოყვითალოა. ზოგიერთი ფრაგმენტი წითელი საღებავითაა მოხატული.

ქიოსური ამფორების ყველა ფრაგმენტი სწორელებიან ტიპს მიეკუთვნება, რომელთაც დამახასიათებელი კონუსური ძირი, გრძელი, ცილინდრული ყელი, და გრძელი, მრგვალგანივკვეთიანი ყურები აქვთ, რომლებიც პირიდან 5 სმ-ის დაშორებითაა მიძერწილი. მხარი მკვეთრად დაქანებული, ტანი გრძელი, ძირზე შედრმავეთ (Jeppesen 2002; Adler 1900; Newton, Pullan 1862-1863; Nørskov 2002: 285-287).

ეფესო. ეფესო იყო ანტიკური ხანის ქალაქი მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროზე; დღეისათვის მდებარეობს ქალაქ სელჯუქის მახლობლად (ტაბ. X). იგი იონიური ლიგის ერთ-ერთი წევრი იყო¹²³, რომელიც ამავე დროს არ იყო ჩართული საკოლონიზაციო პროცესში (Krierer 1999:75-80).

ეფესოში თავყანს სცემდნენ არტემიდეს კულტს და იგი აქ ეფესიას სახელით იყო ცნობილი.

ანტიკური ხანის ქალაქი განსაკუთრებული არქიტექტურული მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა, რაც რომაული ხანის ქალაქების ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა.

ბაზილიკისა და პრიტანეიონის ტერიტორიაზე გამოვლინდა ამფორების დამღები; მათგან ყველაზე ადრეული ნიმუშები არაუადრეს ძვ.წ. 280 წლით თარიღდება, მასალის უდიდესი ნაწილი კი ძვ.წ. III ს-ის მესამე მეოთხედს განეკუთვნება.

ადრეელინისტურ ხანაში (ძვ.წ. IV ს.) ეფესოში წარმოდგენილია როგორც ჩრდილო, ასევე სახმრეთ ეგეოსისპირა ცენტრების ამფორების დამღები; მათ შორის დომინანტი პოზიცია უჭირავს **როდოსს**, შემდეგ მოდის **კნიდის** არეალი და **კოსი**.

ჩრდილო ეგეოსისპირეთიდან წარმოდგენილია **თასოსისა** და **პარმენისკოს ჯგუფის** ნაწარმი. აქ გამოვლენილი ამფორების უმეტესობაზე შემორჩენილია დამღები.

¹²³ ეფესო განთქმული იყო თავისი მრავალრიცხოვანი მაცხოვრებლებით. ცნობილია, რომ ძვ.წ. I ს-ში ქალაქში 250 000 ადამიანი ცხოვრობდა.

გვიანელინისტურ ხანაში (ძვ.წ. II ს-ის შუა ხანები - I ს.) ყველაზე მრავალრიცხოვანია **როდოსული** დამლები.

ძვ.წ. III ს-ის ბოლოდან - I ს-ის დასაწყისამდე კნიდის დამლიანი ამფორების აშკარა სიმცირე შეინიშნება (Lawall 2007: 28-30).

საერთო ჯამში გამოვლენილი 73 დამლიდან 56 (76,71%) - **როდოსულია** (38 - ძვ.წ. 304-235 წწ., 4 - ძვ.წ. 234-199 წწ., 6 - ძვ.წ. 198-161 წწ., 8 - ძვ.წ. 145-108 წწ.), 7 (9,58%) - **კოსის** (ძვ.წ. 270-260 წწ.), 4 (5,47%) - **პარმენისკოს ჯგუფი** (თარიღი უცნობია); 2 (2,73%) - **ქიოსი** (ძვ.წ. 250-225 წწ.), 2 (2,73%) - **თასოსი** (ძვ.წ. III ს-ის დასაწყისი) 1 (1,36%) - **კნიდი** (ძვ.წ. II ს-ის შუა ხანები) და 1 (1,36%) - **მილეტი** (ძვ.წ. III ს-ის ბოლო - II ს-ის შუა ხანები) (Lawall 2007: 30-57).

პერგამონი. პერგამონი იონიის ლიგის ერთ-ერთი წევრი იყო. ქალაქის ნანგრევები მდებარეობს მდ. ბაკირჩაის ჩრდილო სანაპიროზე, თანამედროვე ქალაქ ბერგამას ტერიტორიაზე (ტაბ. X).

პერგამონის კომპლექსიდან მრავალრიცხოვანი დამლები გამოვლინდა. დღეისათვის ძველ აღმოჩენებს ამფორების სხვა ცენტრებიც დაემატა. თუ მანამდე მხოლოდ როდოსული, სმირნას, კნიდისა და თასოსის დამლები იყო ცნობილი უკანასკნელი ინფორმაციით მათ დაემატა ქიოსის, კოსის და პარმენისკოს ჯგუფის დამლებიც, შესაბამისად, დაუდგენელი ამფორების დამლების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა.

პერგამონის კომპლექსიდან მომდინარე დამლებს შორის პირველ ადგილზე დგას როდოსი, მას მოსდევს თასოსი, კნიდი, ქიოსი და ა.შ. როდოსული დამლების უმეტესობა ძვ.წ. IV ს-ის ბოლო - III ს-ის შუა ხანებით თარიღდება. ყველა დამლა ყურზეა დასმული.

პერგამონის კომპლექსიდან გამოვლენილი 1327 დამლებიდან 960 (72,34%) - **როდოსულია** (ძვ.წ. IV-II სს.¹²⁴), 88 (6,63%) - **ქიოსური** (ძვ.წ. III-II სს.), 81 (6,10%) - **თასოსური** (ძვ.წ. IV ს-ის შუა ხანები), 26 (1,95%) - **კნიდის** (ძვ.წ. III-II სს.), 26 (1,95%) - **კოსის** (ძვ.წ. II ს-ის ბოლო - I ს.), 24 (1,80%) - **ნიკანდროსის ჯგუფი**, 1 (0,07%) -

¹²⁴ როდოსული დამლების უმეტესი ნაწილი ძვ.წ. III ს-ის ბოლო - II ს-ის დასაწყისით თარიღდება.

პარმენისკოს ჯგუფი (თარიღი უცნობია), 1 (0,07%) - ფაროსი (თარიღი უცნობია) და 119 (8,96%) - უცნობი ცენტრის (Börker 1998: 3-69; Burow 1998: 73).

ქიოსურ დამლებში რაოდენობრივად უდიდეს ჯგუფს $\mu\epsilon\nu$ დამლები ქმნის, იგი 13 ერთეულის სახითაა წარმოდგენილი: სამ მათგანზე (#575-577) იკითხება მარტო - $\mu\epsilon$; ოთხზე (#596-599, #567-568) - $\mu\epsilon\nu$; ერთზე (#602) - $M\epsilon\nu\sigma$, ხოლო ორზე (#603-604) - $M\epsilon\nu\alpha$;

$M\epsilon\nu$ -ის ჯგუფის დამლების ყველაზე სრულყოფილი ფორმა მოცემულია #605-ზე - $M\epsilon\nu\alpha\nu$.

$M\epsilon\nu$ -ის ჯგუფის ყველა დამლაზე მოცემულია სახელის შემოკლება, რომელიც ასე გავრცელებულია ქიოსზე. პერგამონის კომპლექსის გარდა $M\epsilon\nu$ -ის დამლები იშვიათია და ასეთი სიხშირით სხვაგან არ გვხვდება. ისინი პერგამონის ციხე-სიმაგრის სხვადასხვა ადგილებიდან მომდინარეობს და ყველაზე დიდი რაოდენობით ასკლეპიონის ტერიტორიაზეა გამოვლენილი.

დამლების მომდევნო ჯგუფზე (#566-568) ჰეგესიასის ($\text{H}\eta\gamma\sigma\iota\sigma$) სახელი იკითხება. ეს დამლები ძვ.წ. 200 წ-ით თარიღდება.

მომდევნოა ჰიკესიოსის ($\text{I}\kappa\epsilon\sigma\iota\sigma$) ჯგუფი, იგი ოთხი დამლის სახითაა წარმოდგენილი (#569-572). დამლის ჩარჩო ოთხკუთხაა. სახელის დასაწყისი არცერთ შემთხვევაში კარგად არ იკითხება. ჭრილში ორივე ყური მრგვალგანიკვეთიანია. ამავე ჯგუფს უნდა უკავშირდებოდეს #585, 593-594 დამლები, რომელთა ლეგენდა კარგად არ იკითხება.

მომდევნო ჯგუფი ეურიკრატეს დამლების ოთხი ნიმუშითაა (#561-564) წარმოდგენილი. დამლის ჩარჩო ოთხკუთხაა, ლეგენდა:

$\text{E}\acute{\upsilon}\rho\alpha\kappa\rho$

$\alpha\tau\upsilon\sigma$

სამ დამლაზე (#569, 600, 606) მოცემულია სახელი - $\mu\sigma\upsilon$; ასევე სამ დამლაზე (#565, 573-574) გვხვდება სახელი მახიოსი ($\text{M}\alpha\chi\iota\omicron\varsigma$); ორ დამლაზე (#563-564) მოცემულია სახელი აპელეუს:

$\text{A}\pi\epsilon\lambda-$

$\lambda\epsilon\upsilon\varsigma$

#557-ზე:

Δημη

Τρίου

ორ მათგანზე (#558-559) სახელი: Επιγιοῖσι[σ]. იგი ძვ.წ. II ს-ის მესამე მესამედი - I ს-ის შუა ხანებით თარიღდება.

#560 - Ερμα(

#607 - Παρ (

#608 - Ποσειδόν

#610-611 - Φιλόν.

#613 - Κρονίος

#618, 637 - Απολ

#619 - Διογε

#565, 620 - Διογυσι[σ]

#623-624 - Ηἔτους

#622 - Ερμιο

#625 - Θεο

#628 - Νικόν

#629 - Νουσος

#630 - Πλατόν

#632 - Ταλουρας

#639-640 - Γαρ

#644 - დამლაზე არის სვინქსის გამოსახულება; დანარჩენის ლეგენდა არ იკითხება.

#584-595, 614-616 დამლებს აქვთ მრგვალი ჭრილი.

პერგამონის კომპლექსიდან მომდინარე ქიოსურ ამფორებს აქვთ წვრილი, მაღალი ყელი, მრგვალგანივკვეთიანი ყურები, რომელიც პირს ქვემოთ საკმაო დაშორებაზეა მიძერწილი. კეცი კარგად განლექილია, მცირე ოდენობით მბრწყინავი და მცირე ზომის თეთრი ფერის ჩანართებით. კეცის ფერები მერყეობს ღია წითლიდან ან ვარდისფრიდან მუქ წითლამდე და ყავისფერშიც კი გადადის. ყურის შუაგული

იშვიათად რუხია, ზედაპირი კი ყავისფერი. მოყვითალო და მორუხო-მოთეთრო ფერის ანგობი ცუდადაა შემორჩენილი ჭურჭლების ზედაპირზე.

ქიოსური ამფორების დამლევი ზედაციხიდან, ტემენოსიდან, ტრაიანეუმიდან და ყველაზე დიდი რაოდენობით ასკლეპიონიდან გამოვლინდა. უმრავლესობის აღმოჩენის ადგილი არ არის მითითებული, მაგრამ ისინი, სავარაუდოდ საუკუნის დასაწყისის გათხრებიდანაა შემორჩენილი პერგამონში.

იასოსი. იასოსი იყო ძველბერძნული ქალაქი კარიაში, მდებარეობს თანამედროვე ქალაქ გულუკის მოპირდაპირე მხარეს, ყურესთან, მილასის ცენტრიდან 31 კმ-ის დაშორებით (ტაბ. X).

იასოსის გათხრების შედეგად ბერძნული სატრანსპორტო ამფორების დამლევი გამოვლინდა; საერთო ჯამში 72 დამლიდან - 40 (55,55%) - როდოსულია (ძვ.წ. III-II სს.), 20 (27,77%) - თასოსური (ძვ.წ. IV-III სს.), 8 (11,11%) - კნიდის (ძვ.წ. IV-III სს.) და 4 (5,55%) - კოსის (ძვ.წ. IV-III სს.) (Levi 1965-66: 547-567).

ლაბრანდა. ლაბრანდა მდებარეობს თურქეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, მულლას პროვინციაში, კარიის სანაპიროსთან ახლოს (ტაბ. X).

ძეგლზე I და II სათავსოების გათხრის შედეგად გამოვლინდა ბერძნული სატრანსპორტო ამფორების დამლევი, რომლებიც, ძვ.წ. III-I სს-ით განსაზღვრული პერიოდით თარიღდება.

თასოსის და **კოსის** ღვინო აქ ძვ.წ. IV ს-ში შემოაქვთ. ამ პერიოდში როდოსული იმპორტი არ არის დადასტურებული, ხოლო მომდევნო ხანაში (ძვ.წ. III ს.) უკვე როდოსია გაბატონებული და სატრანსპორტო ამფორებიდან დომინანტი პოზიცია მას უჭირავს; როდოსულ ამფორებთან ერთად გვხვდება, აგრეთვე კნიდის და კოსის ამფორებიც.

საერთო ჯამში 35 დამლიდან: 20 - როდოსულია (4 - ძვ.წ. 275-220 წწ; 8 - ძვ.წ. 220-180 წწ; 4 - ძვ.წ. 180-146 წწ; 4 - ძვ.წ. 146-108 წწ.), 11 - კოსის (1 - ძვ.წ. 331 წ-მდე პერიოდი; 1 - ძვ.წ. 180-146 წწ., 9 - ძვ.წ. 108-80 წწ.), 2 - თასოსური (1 - ძვ.წ. 331 წ-მდე პერიოდი, 1 - ძვ.წ. 331-275 წწ.), 2 - კნიდის (1 - ძვ.წ. 220-180 წწ; 1 - ძვ.წ. 180-146 წწ.) და 7 - უცნობი ცენტრის (Säflund 1980).

აქვე განვიხილავთ სერკე ლიმანისთან ჩაძირულ გემს. 1973 წელს ამერიკის წყალქვეშა არქეოლოგიის ინსტიტუტის მიერ თურქეთის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე სერკე ლიმანისთან აღმოჩნდა ჩაძირული გემი (ანტიკურ კნიდთან ახლოს) (ტაბ. X).

1978 და 1980 წწ-ში ექსპედიციის მიერ ძეგლზე მუშაობის შედეგად ასობით ამფორა გამოვლინდა. ამფორებში ვაზის წიპწების დადასტურების მიხედვით ირკვევა, რომ მათ უმეტესწილად ღვინო გადააჰქონდათ. აღმოჩენილი ამფორები და მათი დამღები მიუთითებს, რომ გემი დაახლოებით ძვ.წ. 280-275 წწ-ში ჩაიძირა.

მისი ტვირთი შედგებოდა სულ მცირე 600 ჭურჭლისგან, რომელთაგან 1984 წელს ამოღებულ იქნა 150 ამფორა. ამათგან მხოლოდ ერთი ამფორა მიეკუთვნება **თასოსს** (დამლიანია), 2 - **როდოსულია**, ხოლო დანარჩენი ზენონის A ჯგუფისაა (**კნიდური**) (Pulak, Townsend 1987: 31-57).

§4. მარმარილოს ზღვის სანაპირო

ილიონი (ტროადა). უმნიშვნელოვანესი ქალაქი ტროა დღეისათვის მდებარეობს ჰისარლიკის მაღლობზე, დარდანელის სრუტის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე.

ძეგლზე ჩატარებული ფართომასშტაბიანი არქეოლოგიური გათხრების შედეგად ამფორები და მათი დამღებიც გამოვლინდა.

ილიონში დადასტურებულია ხანგრძლივი ცხოვრების კვალი პროტოგეომეტრიული ხანიდან გვიანრომულ პერიოდამდე. აღმოჩენების უმეტესობა ადრეელინისტურ და ელინისტურ ხანას მიეკუთვნება, რის გამოც თასოსი და როდოსი წამყვან ცენტრებს წარმოადგენენ.

ილიონში აღმოჩენილი ამფორების ტიპების მიხედვით ცხადია, რომ იგი ასრულებდა შუამავლის როლს ეგეოსისა და ანატოლიის რეგიონებს შორის არსებულ ვაჭრობაში. ამფორების 74,1% ბერძნულ იმპორტულ ამფორებს უჭირავთ. 134 ამფორიდან: 34 (25,37%) - **მენდეს** პროდუქციისაა (ძვ.წ. IV ს-ის შუა ხანები), 17 (12,68%) - **ქიოსურია** (9 - ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევარი, 1 - ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი, 1 - ძვ.წ. 260-240 წწ., 1 - ძვ.წ. 225 წ., 1 - ძვ.წ. 225-175 წწ., 4 - ძვ.წ. VII-V სს.), 16

(11,94%) - თასოსი (11 - ძვ.წ. IV ს-ის შუა ხანები; 5 - ძვ.წ. 225-175 წწ.), 9 (6,71%) - ჩრდილოეთი საბერძნეთი (ძვ.წ. 350-175 წწ.), 8 (5,97%) - ლესბოსი (7 - ძვ.წ. VII-V სს., 1 - ძვ.წ. 350-300 წწ.), 7 (5,22%) - სამხრეთი ეგეოსი (3 - ძვ.წ. 260-240 წწ., 4 - ძვ.წ. 225-175 წწ.), 4 (2,98%) - კოსი (ძვ.წ. 225-175 წწ.), 3 (2,23%) ატიკური *a la brossé* (ძვ.წ. VI ს-ის დასასრული), 1 (0,74%) - როდოსი (ძვ.წ. 225-175 წწ.), 1 (0,74%) - ფაროსი (ძვ.წ. 225-175 წწ.) და 38 (28,35%) - უცნობი ცენტრის (Lawall 1999: 188-219; Lawall 2002b: 197-243).

ქვედა ქალაქიდან საერთო ჯამში გამოვლინდა 57 ბერძნული იმპორტული ამფორის დამლა, მათ შორის: 16 - როდოსულია (ძვ.წ. 220-100 წწ.), 15 - თასოსური (ძვ.წ. 340-250 წწ.), 14 - თრაკია და მაკედონია (ძვ.წ. 340-250 წწ.), 7 - კნიდი (ძვ.წ. II ს-ის შუა ხანები - I ს.), 2 - ფაროსი (ძვ.წ. III ს-ის შუა ხანები), 2 - ქიოსი (ძვ.წ. III ს-ის შუა ხანები), 1 - პარმენისკოს ჯგუფი (ძვ.წ. III ს.) და უცნობი რაოდენობით უცნობი ცენტრის დამლები (Panas, Pontes 1998: 223-245).

ასოსი. იგი მდებარეობს თურქეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ჩანაკალეს პროვინციაში (ტაბ. X).

1991 წლამდე და 1992-1995 წლებში წარმოებული გათხრების შედეგად სამაროვნის ტერიტორიიდან საერთო ჯამში ბერძნული სატრანსპორტო ამფორების 49 დამლა გამოვლინდა: მათგან: 14 - თასოსურია, 11 - კნიდის (ძვ.წ. 107-78 წწ.), 9 - როდოსული, 2 - ფაროსული, 2 - პარმენისკოს ჯგუფი, 1 - ქიოსი და 8 - უცნობი ცენტრის.

ასოსში აღმოჩენილი ამფორები იმდენად ფრაგმენტულია, რომ მათგან მთლიანი ამფორების რესკონსტრუქცია ვერ ხერხდება, ეს კი ართულებს მათ დათარიღებას. ამიტომ დათარიღების თვალსაზრისით დამოკიდებულები ვართ მხოლოდ დამლების მიერ მოწვდილ ინფორმაციაზე. ამისათვის საუკეთესოდ გამოდგება როდოსული და კნიდური დამლები, რომლებზეც მითითებულია ეპონიმები. სავარაუდო ქრონოლოგიური ცხრილი ასე გამოიყურება:

ცენტრი	350 წ.	300 წ.	250 წ.	200 წ.	150 წ.	100წ.	50 წ.
თასოსი	--	-----	-----	-----			
როდოსი		-----	-----	-----	-----	-----	
კნიდი					-----	-----	-----

ცხრილი 11. ასოსში დადასტურებული თასოსური, როდოსული და კნიდური ამფორების სავარაუდო თარიღები

თასოსური დამღების სიმცირე იმით აიხსნება, რომ მართალია თასოსზე საკმაოდ ადრე დაიწყეს დადამღვა, მაგრამ იგი ფართო პრაქტიკაში შედარებით გვიან ჩაინერგა.

თასოსური ღვინო თავისი მაღალი ხარისხით ძლიერ პოპულარული იყო. ასოსში ამფორების დამღების უმეტესობა თასოსის პროდუქციითაა წარმოდგენილი, რაც ამ ორი პუნქტის ერთმანეთთან სიახლოვეთ აიხსნება (საზღვაო მანძილი - 200 კმ, სახმელეთო - 300 კმ).

ამ პერიოდში ასოსის სიმდიდრეზე მიგვანიშნებს ქალაქის კედლის მონუმენტალობა. ვაჭრობისა და ეკონომიკის კუთხით არქეოლოგიური აღმოჩენები ამ ორ ერთეულს შორის მჭიდრო კავშირებზე მიუთითებს. ძვ.წ. III ს-ის მეორე ნახევრიდან როდოსული ამფორების დომინანტურობა ხმელთაშუაზღვისპირეთის აღმოსავლეთი ნაწილის ვაჭრობაზე ასოსზეც იგრძნობა მაგრამ პერგამონის აღმოჩენებთან შედარებით უფრო მცირერიცხოვანია¹²⁵.

პერგამონის სამეფოს აღმშენებლობის პერიოდიდან როდოსული ამფორების ფართო შემოტანა ასოსშიც იწყება, თუმცა როდოსულმა ღვინომ ვერ მოახერხა ბაზრიდან თასოსურის განდევნა. ძვ.წ. II ს-ის შუა ხანებიდან (ძვ.წ. 166 წ.) როდოსის გავლენა შემცირდა. რომაელებმა დელოსზე თავისუფალი პორტი ააშენეს, რამაც როდოსულ ვაჭრობას ბოლო მოუღო. ასოსში სწორედ ამ პერიოდიდან წყდება როდოსული იმპორტი, რომელიც კნიდის პროდუქციამ ჩაანაცვლა (Utili 1999: 33-36).

¹²⁵ ასოსი ძვ.წ. 241 წლიდან პერგამონის საკუთრებაში გადავიდა, სადაც როდოსული იმპორტი პირველ ადგილზეა.

თურქეთის ტერიტორიაზე დადასტურებული ბერძნული ამფორების იმპორტი ასე გამოიყურება: (დანართი II, ცხრილი IX).

ყველაზე მრავალრიცხოვანი იმპორტი სამხრეთ ეგეოსისპირეთის რეგიონიდან გამოვლინდა, საიდანაც როდოსული (ზუსტი რაოდენობა უცნობია), კოსის (53), კნიდის (4) და ფაროსის (6) ამფორაა წარმოდგენილი.

მეორე ადგილზეა აღმოსავლეთ მაკედონიისა და თრაკიის რეგიონი, საიდანაც: თასოსის (154), მენდესა (44) და პარმენისკოს ჯგუფის (8) ამფორები გვხვდება.

მომდევნო ადგილზე დგას იონიის რეგიონი; იგი შემდეგი ცენტრების სახითაა წარმოდგენილი: ქიოსი (144), ნიკანდროსის ჯგუფი (24), ლესბოსი (8) და სამოსი (3).

პელოპონესის რეგიონიდან - კორინთული (1) და კორინთული B (1) ტიპის ამფორები გამოვლინდა; ხოლო ატიკის რეგიონიდან 1 - ატიკური და 3 ატიკური a la **brossé** ამფორა დადასტურდა.

თურქეთის ტერიტორიაზე დადასტურებული ქიოსური და ბერძნული იმპორტული ამფორები ძვ.წ. VII-II სს-ის მონაკვეთშია დადასტურებული. იგი გავრცელებულია ძირითადად თურქეთის აღმოსავლეთ ნაწილში - მცირე აზიის სანაპიროზე, მის სამხრეთ და ცენტრალურ ნაწილში.

არქაულ ეპოქაში ქიოსური იმპორტი საკმაოდ მცირერიცხოვანია და რამდენიმე ნიმუშის სახით მხოლოდ სამ ძეგლზე: ქსანთოსში, გორდიონსა და ილიონში გვხვდება. ძვ.წ. V ს-დან ქიოსური იმპორტი იმატებს და გვხვდება ეგეოსის ზღვის სანაპიროზე (ბოდრუმი), ცენტრალურ ანატოლიაში (გორდიონი) და ხმელთაშუაზღვის სანაპირო რეგიონში (კიანეა);


თურქეთში დადასტურებული ქიოსური იმპორტი სხვა რეგიონებისგან განსხვავებით ყველაზე მრავალრიცხოვანი ელინისტურ ხანაშია და გვხვდება ეგეოსის ზღვის სანაპიროზე (პერგამონი, ბოდრუმი, ეფესო) და მარმარილოს ზღვის სანაპიროზე (ილიონი). ძვ.წ. II ს-ით ქიოსური ამფორის ერთი ნიმუშია დათარიღებული ეფესოდან, ამის შემდეგ კი იმპორტი წყდება.

გრაფიკზე არ არის მოცემული ელინისტური ხანის მონაცემები, რადგან ამ პერიოდში როდოსული იმპორტია წარმოდგენილი, რომლის დამღების საფუძველზე ამფორების ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა ვერ ხერხდება, ამიტომ შეცდომის

თავიდან აცილების მიზნით ძვ.წ. III-II სს-ში დადასტურებულ იმპორტს არ ვუთითებთ.

თურქეთის ტერიტორიაზე დადასტურებულ ბერძნულ იმპორტულ ამფორებში პორველ ადგილზე დგას როდოსი, მას მოსდევს თასოსი და მესამე ადგილზეა ქიოსი.

აღნიშნული ინფორმაცია გრაფიკის სახით ასე გამოისახება:



გრაფიკი 11. თურქეთში დადასტურებული ქიოსური და სხვა ბერძნული იმპორტული ამფორების დინამიკა

IV. 3. ლევანტი

ჩვენი უკანასკნელი განსახილველი არეალია ლევანტი, საიდანაც ქიოსური ამფორები ისრაელის და ჩრდილოეთი აფრიკის ტერიტორიაზე (ეგვიპტე, ლიბია) გამოვლინდა.

IV. 3. 1. ისრაელი

ელინისტურ ხანაში ღვინო საბერძნეთის ცენტრებიდან ისრაელის ტერიტორიაზეც შედიოდა. იგი განკუთვნილი იყო პირველ რიგში ადგილობრივი არისტოკრატისა და აქ მოცხოვრები ბერძენი მოქალაქეებისთვის, რომლებიც ამჯობინებდნენ ღვინოს თავიანთი სამშობლოდან.

ისრაელის ტერიტორიაზე ბერძნული იმპორტული ამფორები მრავალ ძეგლზეა დადასტურებული. ისინი შემდეგი რეგიონებიდან გამოვლინდა: ჰაიფა, ჩრდილოეთი რეგიონი და სამხრეთი რეგიონი.

§1. ჰაიფა

ჰაიფა. ჰაიფა არის ისრაელის უდიდესი ქალაქი მის ჩრდილო ნაწილში, ჰაიფას რეგიონში (ტაბ. XI).

ჰაიფას წყალქვეშა არქეოლოგიის მუზეუმში დაცულია სატრანსპორტო ამფორები, რომლებმაც ანტიკურ ხანაში ისრაელის ტერიტორიას მიაღწიეს. მათი ზუსტი აღმოჩენის ადგილი უცნობია. 5 ამფორიდან: 2 - **როდოსულია** (1 - ძვ.წ. V ს; 1 - ძვ.წ. II ს-ის დასაწყისი), 2 - **ქიოსური** (1 - ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევარი; 1 - ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი - III ს.) და 1 - **კოსის** (ძვ.წ. II ს-ის ბოლო - I ს-ის დასაწყისი) (Zemer 1977: 4-11).

§2. ჩრდილოეთი რეგიონი

აკრე. აკრე (აკო) მდებარეობს ისრაელის ჩრდილოეთ ნაწილში, ჰაიფას ყურის ჩრდილოეთ კუთხეში (ტაბ. XI). ქალაქს მნიშვნელოვანი გეოგრაფიული მდებარეობა აქვს, რის გამოც ანტიკურ ხანაში ხმელთაშუაზღვისპირეთსა და ლევანტს შორის სავაჭრო აქტივობებში იყო ჩართული.

ძეგლზე დადასტურებული 36 დამლიდან 34 - **როდოსულია** (13 - ძვ.წ. III ს-ის ბოლო მესამედი - II ს-ის მესამე მეოთხედი; 3 - ძვ.წ. 209-205 წწ; 1 - ძვ.წ. II ს-ის შუა

ხანები; 1 - ძვ.წ. 189-181 წწ; 2 - ძვ.წ. 219-210 წწ; 2 - ძვ.წ. 233-220 წწ; 3 - ძვ.წ. 219-210 წწ; 2 - ძვ.წ. 234-210 წწ; 7 - თარიღი უცნობია), 1 - ქიოსური (ძვ.წ. III ს-ის მესამე მეოთხედი) და 1 - კნიდის (ძვ.წ. III ს-ის ბოლო მესამედი - II ს-ის მესამე მეოთხედი)¹²⁶ (Ariel 2005: 181-191; Ariel, Messika 2007: 11-20).

ტელ ანაფა. ტელ ანაფა მდებარეობს ისრაელის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში (ტაბ. XI). იგი ადრებრინჯაოს ხანიდან იყო დასახლებული და ნამოსახლარზე ცხოვრების კვალი რომაულ ხანაშიც ფიქსირდება, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩენები ელინისტურ ხანას განეკუთვნება.

ძველზე წარმოებული გათხრების შედეგად 135 ბერძნული სატრანსპორტო ამფორის დამლა გამოვლინდა, მათგან 130 - როდოსულია (7 - ძვ.წ. III ს; დანარჩენი - ძვ.წ. 131 წ.), 1 - კნიდის (ძვ.წ. I ს.), 2 - ქიოსის (ძვ.წ. II-I სს.) და 2 - უცნობი ცენტრის (Ariel, Finkielsztein 1994: 189-231).

§3. სამხრეთი რეგიონი

ტელ ბეერშევა. მდებარეობს ისრაელის ცენტრალურ ნაწილში, თანამედროვე ქალაქ ბეერშევას აღმოსავლეთით (ტაბ. XI).

ძველზე 1969-1976 წწ-ში წარმოებული გათხრების შედეგად საერთო ჯამში ბერძნული სატრანსპორტო ამფორების 34 დამლა გამოვლინდა. ყველა მათგანი ცუდად სტრატეგიცირებული კონტექსტიდან მომდინარეობს და მათ არ გააჩნიათ რაიმე მნიშვნელოვანი სტრატეგიული მნიშვნელობა, თუმცა ადასტურებენ გვიანელინისტური ბეერშევას ბერძნულ სამყაროსთან არსებულ ეკონომიკურ კონტაქტებს. 34 დამლიდან 31 - როდოსულია (26 - ძვ.წ. II ს; 5 - ძვ.წ. III ს.) და 3 - უცნობი ცენტრის (Coulson, Mook, Rehard 1997: 47-62).

ტელ მარეშა (მარისსა). მდებარეობს ისრაელის სამხრეთ ნაწილში (ტაბ. XI).

¹²⁶ ანუ როდოსული ამფორების დადამღვის ყველაზე აქტიურ ფაზას მიეკუთვნება.

ძეგლზე აღმოჩენილი ამფორების ფრაგმენტები და მათი დამღები გამოვლინდა აქ გათხრილ სათავსოებში და ასევე მათი დიდი ნაწილი მომდინარეობს ამოვსებებიდან.

ამფორებიდან 9 - როდოსულია (7 - ძვ.წ. II ს; 2 - ძვ.წ. III-II სს.), 1 - კოსის, 1 - ნიკანდროსის ჯგუფი (თარიღი უცნობია), 1 - კნიდი (თარიღი უცნობია) და 1 - უცნობი ცენტრის (Ariel... 2003: 137-151; Kloner 2003).

იერუსალიმი. იერუსალიმიდან გამოვლენილი დამღებიდან 27 - როდოსულია (ძვ.წ. III-I სს.), 3 - კოსის (ძვ.წ. III-I.), 1 - ნიკანდროსის ჯგუფის (ძვ.წ. I ს.) და 1 უცნობი ცენტრის (Ariel 2000: 267-283).

ზემოთქმულიდანაც კარგად ჩანს, რომ ისრაელის ტერიტორიაზე მდებარე ძეგლებზე დადასტურებულ ბერძნულ იმპორტულ ამფორებში თითქმის აბსოლუტურ უმრავლესობას როდოსული წარმოადგენს. მას მოსდევს კნიდი და კოსი. ქიოსი სულ რამდენიმე ამფორის სახითაა წარმოდგენილი. ისრაელის ტერიტორიაზე მდებარე ძეგლებზე დადასტურებულ ბერძნულ იმპორტულ ამფორებში თითქმის აბსოლუტურ უმრავლესობას როდოსული წარმოადგენს. მას მოსდევს კნიდი და კოსი. ქიოსი სულ რამდენიმე ამფორის სახითაა წარმოდგენილი და მისი იმპორტი ისრაელის ტერიტორიაზე ყველაზე მცირერიცხოვანია. საფიქრებელია, რომ აქ დადასტურებული ქიოსური ამფორების ერთეული ნიმუშები სხვა რომელიმე ბერძნული ცენტრის ამფორებთან ერთად მოხვდა და არ უნდა უკავშირდებოდეს კუნძულიდან უშუალო იმპორტს.

გარდა აღნიშნული ძეგლებისა ამფორები ისრაელის ტერიტორიაზე კიდევ ორ ათეულ ძეგლზე გამოვლინდა, სადაც იდენტური სირათი დასტურდება; როდოსული იმპორტი ყველგან აჭარბებს სხვა ცენტრების ნაწარმს. ქიოსური ამფორები სხვა ძეგლებიდან უცნობია.

ჩვენს მიერ განხილული სხვა რეგიონების ძეგლებზეც (მაგ. ათენის აგორა) ელინისტური ხანის აღმოჩენებში როდოსული და კნიდის ამფორები დომინანტ პოზიციას იკავებენ. ამ ორი ცენტრის შედარებით იაფი ღვინო ძლიერ პოპულარული იყო განსაკუთრებით ელინისტურ ხანაში.

IV. 3. 2. ეგვიპტე

პირველ წერილობით ინფორმაციას ბერძნების ეგვიპტეში მოგზაურობის შესახებ იძლევა ჰეროდოტე. იგი გადმოგვცემს ეგვიპტეში მიმავალი სამოსელი ვაჭრის კოლაიოსის შესახებ, რომელსაც გზა აერია დასავლეთისკენ. ჰეროდოტესგან ვიგებთ, რომ ეს გასაოცარი მოგზაურობა ძვ.წ. 638 წელს განხორციელდა. ამ ცნობის მიხედვით ჩვენ გვაქვს მითითება აღმოსავლელი ბერძნების შემთხვევით სავაჭრო ვიზიტზე ეგვიპტეში ძვ.წ. VII ს-ის შუა ხანებში (Boardman 1980: 117; Boardman 1994: 137-147).

ნავკრატისიდან მომდინარე ყველაზე ადრეული ბერძნული კერამიკა კორინთული ნაწარმითაა წარმოდგენილი და ძვ.წ. 630-620 წწ-ით თარიღდება. ამ დრომდე რაიმე ბერძნული სამოსახლოს არსებობა ნავკრატისში არ ივარაუდება, თუმცა ძვ.წ. VII ს-ის შუა ხანებში ბერძნები უკვე იცნობდნენ ეგვიპტურ პროდუქტებს.

ერთ-ერთი ძირითადი მარშრუტი ეგვიპტიდან საბერძნეთისკენ მიჰყვებოდა პალესტინის, ფინიკიის და მცირე აზიის სანაპიროებს. ეგვიპტური საქონელი, რომელიც საბერძნეთში შემოდიოდა ძირითადად აღმოსავლელ ვაჭრებს გადაჰქონდათ; ამ საქონლის ნაწილმა შესაძლოა საბერძნეთამდე ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების გავლით მიაღწია, მაგრამ ამკარაა, რომ საქონლის გარკვეული ნაწილი პირდაპირ ეგვიპტიდან მოდიოდა (Villing, Schlotzhauer 2006).

§1. ხაფრ-ელ შეიხი

ეგვიპტეში პირველი ბერძნული გაერთიანება დაარსებული იქნა ნავკრატისში. ქალაქი ნავკრატისი მდებარეობს მდ. ნილოსის კანოპიური განშტოების აღმოსავლეთ სანაპიროზე, ქალაქ ალექსანდრიიდან 80 კმ-ის დაშორებით (ტაბ. XII).

ჰეროდოტესთან ვხვდებით მნიშვნელოვან ცნობებს ბერძნების ნავკრატისში დასახლების შესახებ; იგი გადმოგვცემს: „ყველაზე მნიშვნელოვანი იმ პრივილეგიებიდან, რომლებიც მეფე ამასისმა ტახტზე ასვლის შემდეგ ბერძნებს მიანიჭა იყო ნავკრატისის მიცემა სავაჭრო პუნქტად, სადაც ნებისმიერ მსურველს შეეძლო დასახლება. მან, აგრეთვე მიწებით დაასაჩუქრა ის ბერძენი მოვაჭრეები,

რომელთაც არ სურდათ მუდმივად ნავკრატისში ცხოვრება” (Hdt, I, 30; II, 16, 169); მოვაჭრეებმა ააშენეს საკურთხევლები, რომელთაგან საუკეთესოდ მიიჩნეოდა და ყველაზე ხშირად გამოიყენებოდა ჰელენიონი. იგი აგებულ იქნა ერთობლივი ძალებით ქიოსელი, თეოსელი, ფოკეელი, კლაზომენელი იონიელების; როდოსელი, კნიდეელი, ჰალიკარნასელი და ფასელისის დორიელებისა და მიტილენელი ეოლიელების მიერ. ამ ერთეულებს ეკუთვნოდათ საკურთხეველი და უფლება ჰქონდათ დაენიშნათ ოფიცრები პორტის სამსახურში (ნავკრატისი იყო ეგვიპტის ერთადერთი პორტი) (Boardman 1980: 117; Boardman 1994: 137-147).

ბერძნების ვაჭრობით დაინტერესება ნავკრატისში პირველ რიგში გულისხმობდა მარცვლეულით ვაჭრობას, თუმცა გადასატანი საქონლის სიაში იყო, აგრეთვე, პაპირუსი და ტილოც.

მარცვლეულს, სავარაუდოდ სხვა პროდუქტებზე ცვლიდნენ, მაგალითად, ზეითუნის ზეთზე, რაც ათენური და სამოსური ამფორების აღმოჩენით დასტურდება, რომლითაც ზეითუნის ზეთი გადაჰქონდათ. გაცვლისათვის, უდავოდ, ერთ-ერთ მთავარ პროდუქტს წარმოადგენდა ღვინო, რომელიც ძვ.წ. VI ს-ის ქიოსური ამფორებით შემოჰქონდათ. გარდა აღნიშნული პროდუქტებისა, ბერძნებს შემოჰქონდათ ლითონი.

ნავკრატისში არსებული სიტუაცია არსებითად განსხვავდებოდა იმ რეალობისგან, რომელსაც ბერძნები შეეჯახნენ სხვაგან. იგი არ ჰგავდა ბერძნების მიერ სამხრეთ იტალიასა და სიცილიაში დაარსებულ ქალაქებს. იგი არ იყო კოლონია, არც უბრალოდ სავაჭრო პორტი, როგორც ალ მინა. იგი წარმოადგენდა ბერძნების დასახლებას, რომელიც ორგანიზებული იყო, როგორც ბერძნული ქალაქი თავისი საკუთარი ტაძრებით, ერთობლივი საკურთხევლით და მას მართავდა ბერძნული ცენტრალური ადმინისტრაცია, თუმცა ვაჭრობის იმ წესების მიხედვით, რომელიც ეგვიპტელი მეფის მიერ იყო დადგენილი. მშვიდობიანი და დაწინაურებული ქალაქი ინდიფერენტული სამშობლოში მიმდინარე შიდა სახელმწიფო მეტოქეობებისადმი ჩაბმული იყო უცხოელებთან აქტიურ ვაჭრობაში. ნავკრატისი იზიდავდა აღმოსავლეთ საბერძნეთის სწრაფი გამდიდრების მსურველ ვაჭრებს და მათ ეგინელ კოლეგებს, რომლებსაც სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდათ ცენტრალურ

საბერძნეთთან. იგი იზიდავდა პოეტებს, ისტორიკოსებს, ხელოსნებს და საფრთხის შემთხვევაში თავშესაფარს წარმოადგენდა აღმოსავლეთ საბერძნეთის ვაჭრებისათვის, რომელთაც შეეძლოთ თავიანთი საქმე აქ გაეგრძელებინათ.

ქალაქის გათხრების შედეგად მის სამხრეთ ნაწილში გამოვლინდა ციხე-სიმაგრის ნანგრევები, რომელიც ძვ.წ. VII ს-ის ბოლოს უნდა აშენებულიყო; და აფროდიტეს ბერძნული ტაძარი, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ სხვადასხვა ბერძნული ერთეულების ერთობლივი ძალებით იქნა აგებული. აფროდიტეს ტაძრისადმი მიძღვნილ ატიკურსა და კორინთულ კერამიკასთან ერთად ქიოსური მონათული ჭურჭელიც გვხვდება. ისინი ძვ.წ. VII-VI სს-ებით თარიღდება (Boardman 1980: 117; Boardman 1994: 137-147).

ნავკრატისის ამფორული მასალა წარმოდგენილია ფორმების დიდი მრავალფეროვნებით, რომელშიც ჭარბობს ქიოსური, როდოსული, კოსის და კნიდის ნიმუშები. ამათგან ყველაზე დიდი რაოდენობით წარმოდგენილია როდოსული პროდუქცია. როდოსის აქტივობა განსაკუთრებით შესამჩნევია ძვ.წ. III-I სს.-ში და ამ ცენტრის დამლევი ძეგლზე გამოვლენილი დამლევის საერთო რაოდენობის 50%-ს¹²⁷ შეადგენს. როდოსის დომინანტურობამ გაკვირვება არ უნდა გამოიწვიოს, გარდა იმისა, რომ ანტიკურ ეპოქაში როდოსული ღვინო შედარებით იაფი ღირდა და დიდი რაოდენობით იყიდებოდა ძვ.წ. III-I საუკუნეები პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით როდოსის მაქსიმალური ექსპანსიის ხანა იყო.

ძვ.წ. I ს-დან როდოსული დამლევი მცირდება, ამასთან, ამავე პერიოდში მიმდინარეობს სხვა ცენტრების რეგრესიც. ეს, როგორც ჩანს, უნდა ყოფილიყო ეგეოსის რეგიონში რომის ინტერვენციის შედეგი. ძვ.წ. V ს-ით დათარიღებული მენდესა და ატიკის ნაწარმი, სავარაუდოდ, დელტაში ათენის ადრეულ ინტერესზე მიუთითებს.

ამფორების ძირების მიხედვით საერთო ჯამში, სულ მცირე, 420 ბერძნული სატრანსპორტო ამფორის ფრაგმენტები გამოვლინდა, ამათგან: 323 (76,90%) -

¹²⁷ პეტრიმ 1884 წლის გათხრების დროს 1,200-მდე დამლა აღმოაჩინა. ამ სტატისტიკიდან როდოსულის გარდა ჩვენთვის უცნობია სხვა დამლევის წარმომავლობა.

როდოსულია (3 - ძვ.წ. IV-III სს; 5 - ძვ.წ. III ს; 311¹²⁸ - III-II სს; 2 - II ს; 2 - I ს.); 23 (5,47%) - ქიოსურია (2 - ძვ.წ. V ს; 1 - ძვ.წ. IV ს; ძვ.წ. 12 - III ს; 1¹²⁹ - ძვ.წ. III-II სს; 6 - ძვ.წ. II ს; 1 - ძვ.წ. I ს.); 14 (3,33%) - კოსის (1 - ძვ.წ. IV ს; 3 - III ს; 5 - II ს; 5 - I ს.); 14 (3,33%) - მენდეს (3 - V ს-ის დასაწყისი; 6 - V ს; 5 - V ს-ის ბოლო - IV ს-ის დასაწყისი); 10 (2,38%) - კნიდური (1 - IV ს; 3 - III ს; 1¹³⁰ - III-II სს; 2 - II ს; 3 - I ს.); 7 (1,66%) - ატიკური (V ს-ის ბოლო - IV ს-ის დასაწყისი); 6 (1,42%) - სამოსური (1 - VI ს-ის ბოლო - V ს-ის დასაწყისი, 3 - V ს; 2 - ძვ.წ. IV ს.); 3 (0,71%) - ნიკანდროსის ჯგუფი (2 - III ს; 1 - II ს.); 3 (0,71%) - თასოსი¹³¹ (ძვ.წ. 330-260 წწ.); 1 (0,23%) - კორინთული A (ძვ.წ. V ს-ის დასაწყისი); 1 (0,23%) - კორინთული B (IV ს-ის დასაწყისი); 4 დამლა მიეკუთვნება ძვ.წ. IV-III სს.-ებს; ხოლო 10 დამლის წარმომავლობა უცნობია (Coulson 1996: 45-64; Rehard 1996: 147-161).

ნავკრატისში საკმაოდ დიდი რაოდენობით აღმოჩენილი ამფორები მიუთითებს, რომ ქალაქი, როგორც სავაჭრო ცენტრი, აქტიური დარჩა ალექსანდრიის დაარსების (ძვ.წ. 331 წ.) შემდეგაც და წარმოადგენდა პტოლემეაიოსების დინასტიის ადმინისტრაციულ ცენტრს ნაყოფიერ დასავლეთ დელტაში.

ალექსანდრიას დაარსებას (ძვ.წ. 331 წ.), როგორც ჩანს, დიდად არ უმოქმედია ვაჭრობის ინტენსივობაზე ნავკრატისში. ქალაქი საერთაშორისო სავაჭრო ცენტრიდან დელტის დასავლეთი ნაწილის ადმინისტრაციულ ცენტრად გადაიქცა და მისი ელინური მოსახლეობა ახალ სასოფლო-სამეურნეო პროგრამაში ჩაერთო, რომელიც პტოლემეაიოსების ზეობის დროს დაიწყო. რადგანაც ნავკრატისი უკვე ელინების საყრდენი იყო, ბუნებრივია მან რედისტრიბუციის ფუნქცია შეიძინა შიდა ვაჭრობისათვის.

რეჰარდის აზრით სადაოა, რომ ნავკრატისში პროდუქტები ეგეოსური ამფორებით ადგილობრივი აბორიგენი მაცხოვრებლებისათვის შემოჰქონდათ; ისინი

¹²⁸ დამლიანია.

¹²⁹ დამლიანია. ინვ. #Ashmolean, 1888, 199c. მართკუთხა დამლა. მოცემულია სახელი: Ἰκ[ε]σίου. ძვ.წ. 250-225 წწ.

¹³⁰ დამლიანია.

¹³¹ სამივე დამლიანია.

უდავოდ განსაზღვრული იყო ბერძნულენოვანი საზოგადოების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად (Rehard 1996: 147-161).

§2. ალექსანდრია

ალექსანდრია. ალექსანდრიის დაარსებასთან ერთად ეგვიპტეში ახალი დიდი ბაზარი გაჩნდა სხვადასხვა საქონლის გაცვლა-გამოცვლისთვის. დაარსებიდანვე ქალაქი თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო ელინისტური ხანის ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი კომერციული პორტი და ხმელთაშუაზღვისპირეთის ცნობილი მომხმარებელი ცენტრი გახდა. ალექსანდრიას სტრაბონი ასე ახასიათებს: „ალექსანდრია იყო ელინისტური ხანის სამყაროს დასახლებული ნაწილის უდიდესი ემპორიონი“.

ფართო სავაჭრო მარშრუტების საშუალებით ამფორებით გადატანილმა მრავალი სახეობის პროდუქტმა ალექსანდრიას მიაღწია. ისინი ალექსანდრიაში მოდიოდა როგორც ადგილობრივი მოხმარებისთვის, ასევე ინდოეთში წასაღებად მარიუტის ტბის, ნილოსის, უდაბნოს და წითელი ზღვის გავლით. ეს მარშრუტები საქონლის როგორც ექსპორტის, ასევე იმპორტისთვის გამოიყენებოდა.

ქალაქის გათხრების შედეგად მრავალი ტიპის ამფორა და მათი დამღიანი ფრაგმენტები აღმოჩნდა¹³².

ქალაქის გათხრებიდან სულ მცირე 90 000 დამლა გამოვლინდა, რომელთა კლასიფიკაცია და დაჯგუფება პირველად ვ. გრეისმა განახორციელა. ამის შემდეგ მისი საქმე ღირსეულად და ენერგიულად განაგრძო ჟ-ი ამპერერმა. დამღებში არა მხოლოდ ბერძნული ელინისტური ხანის დომინანტი ცენტრები ფიგურირებს (როდოსი, კნიდი), არამედ გვხვდება ის ცენტრებიც, რომელთა რაოდენობა მოკრძალებულია: პამფილია, კვიპროსი, ქიოსი, კოსი და ა.შ. ნიმუშებს შორის დაუდგენელი ტიპებიც არის.

¹³² ცნობილია, რომ ალექსანდრიის ბერძნულ-რომაულ მუზეუმში ამფორების დამღების მსოფლიოში ყველაზე დიდი კოლექციაა დაცული. უმეტესი მათგანი ქალაქის გათხრებიდან მომდინარეობს, თუმცა მნიშვნელოვანი ნაწილი ლ. ბენაკის კერძო კოლექციიდანაა.

90 000 დამლიდან 80 000 (88,88%) - როდოსულია (ძვ.წ. 250-70 წწ. (უმეტესი მათგანი ძვ.წ. 150-100 წწ-ით თარიღდება); 860 (0,95%) - კნიდი (ელინისტური ხანა); 763 (0,84%) - პამფილია (გვიანელინისტური ხანა); 150 (0,16%) - ქიოსი (ელინისტური ხანა) და დანარჩენი ნაწილდება კოსზე, კვიპროსზე და სხვა ცენტრებზე, რომელთა შორის ბევრი ჯერ კიდევ გამოუცნობია (Roebuck 1986: 81-84; Garland 2009: 217).

§3. ქალიუბია

ტელ-ატრიბი. იგი მდებარეობს კაიროს ჩრდილოეთით და თანამედროვე ქალაქ ბაჰინას ჩრდილო-აღმოსავლეთით (ტაბ. XII).

11 საველე არქეოლოგიური სეზონის განმავლობაში ძეგლზე შეგროვილი დამლები 265 ერთეულს შეადგენს, რომელთა შორის 196 მათგანი ბერძნულ სატრანსპორტო ამფორებს ეკუთვნის. უმეტესი დამლები მომდინარეობენ მონეტებითა და კერამიკით კარგად დათარიღებული ფენებიდან.

198 დამლიდან: 129 (65,15%) როდოსულია (8 – IV-III; 30 – III ს-ის მეორე ნახევარი; 57 – III-II; 4 – II ს-ის პირველი ნახევარი; 14 – II ს-ის მეორე ნახევარი; 7 – I ს-ის პირველი ნახევარი; 9 დამლის თარიღი უცნობია); 41 (20,70%) - კნიდის (17 - III-II; 24 – II ს-ის მეორე ნახევარი); 5 (2,52%) - კოსის (II-I სს.); 1 (0,50%) - ქიოსის (II ს.); 20 (10,10%) დამლის წარმომავლობა უცნობია (Sztetyńo 2000: 53-61).

§4. ლუქსორი

კოპტოსი. მდებარეობს ლუქსორიდან ჩრდილოეთით 43 კმ-ის დაშორებით; მდ. ნილოსის მარჯვენა სანაპიროზე (ტაბ. XII).

კოპტოსიდან აღმოჩენილია ბერძნული სატრანსპორტო ამფორების 20 დამლა. მიუხედავად იმისა, რომ მათი უმეტესობა კარგად სტრატეგიფიცირებული კომპლექსებიდან არ მომდინარეობს, ეპონიმების მიხედვით მაინც შესაძლებელია მათი დათარიღება.

20 დამლიდან 17 - როდოსულია (II-I სს.); 1 - კოსური (II-I სს.); 1 - კნიდი (II ს-ის მეორე ნახევარი) (Ariel 2003: 193-200).

ეგვიპტის ტერიტორიაზე დადასტურებული ბერძნული ამფორების იმპორტი ასე გამოიყურება: **დანართი II, ცხრილი X**.

იქიდან გამომდინარე, რომ უმეტესი აღმოჩენები ელინისტურ ხანაზე მოდის ბუნებრივია **როდოსური** ამფორები წამყვან პოზიციას იკავებს. ამავე რეგიონიდან ფიქსირდება **კნიდის** (ზუსტი რაოდენობა უცნობია) და **კოსის** პროდუქციაც (20).

მეორე ადგილზე დგას იონიის რეგიონი, საიდანაც **ქიოსური** (184), **სამოსური** (6) და **ნიკანდროსის ჯგუფის** (3) ამფორები დასტურდება.

მათ მოსდევს ატიკის რეგიონი, საიდანაც 7 **ატიკური** ამფორა გამოვლინდა.

მომდევნოა აღმოსავლეთი მაკედონიისა და თრაკიის რეგიონი, საიდანაც: **თასოსური** (3) ამფორები გამოვლინდა; პელოპონესის რეგიონიდან **კორინთული A** (1) და **კორინთული B** (1) ჯგუფის ამფორები ფიქსირდება.

ეგვიპტეში დადასტურებული ბერძნული ამფორების იმპორტი ძვ.წ. VI-I სს-ებს მოიცავს. ქიოსური იმპორტი ძვ.წ. V-I სს-შია წარმოდგენილი. იგი საკმაოდ სტაბილურად გვხვდება ნავკრატისში, ალექსანდრიასა და ტელ ატრიბში და ჩვენი მონაცემებით რაოდენობით მხოლოდ როდოსულს ჩამორჩება.

IV. 3. 3. ლიბია

ეგვიპტის გარდა ჩრდილოეთი აფრიკის ტერიტორიაზე ქიოსური ამფორები ლიბიაშიც გამოვლინდა; ამიტომ ლიბიის ტერიტორიაზე მდებარე ძეგლებსაც განვიხილავთ.

ბერძნები ლიბიაში თითქმის იმავე დროს დასახლდნენ, როგორც ეგვიპტეში. მათ ლიბიის აღმოსავლეთ სანაპირო ზოლში კირენაიკის რეგიონი აითვისეს, რომელიც ასევე „პენტაპოლისის“ (ხუთი ქალაქი) სახელით იყო ცნობილი და აერთიანებდა: ბერენიკეს, ტეუკეირას, კირენეს, კირენეს პორტ - აპოლონიას და ბარკას. ნავკრატისისგან განსხვავებით, სადაც მათ ვაჭრების სტატუსი ჰქონდათ, ლიბიაში, კერძოდ კირენაიკის რეგიონში მოსახლე ბერძნები სოფლის მეურნეობას

მისდევდნენ. კირენაიკა მათთვის ინტერესის საგანს წარმოადგენდა, პირველ რიგში, მისი ნაყოფიერი მიწის, ხელსაყრელი კლიმატისა და გეოგრაფიული მდებარეობის გამო. მათთვის ეს ტერიტორია ეგეოსური ცივილიზაციის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენდა.

ბერძენი კოლონისტები კირენაიკაში მოვიდნენ თერადან. ძვ.წ. VII ს-ის შუა ხანების მერე მალევე მოხდა თერული საზოგადოების გადასახლება ჩრდილო აფრიკაში. როგორც ჰეროდოტე გადმოგვცემს, მათ წინ უძღვოდათ კრეტელი მეთევზე კორობოისი კუნძულ პლატეიამდე (Hdt. IV, 151-153.), რომელიც, როგორც ჩანს, უკვე ასრულებდა სავაჭრო პუნქტის მოვალეობას გარკვეული დროის განმავლობაში. ეს უნდა ყოფილიყო ყველაზე ყველაზე მოკლე და მარტივი ღია საზღვაო მარშრუტი ეგეოსის სამყაროდან ჩრდილო აფრიკამდე. სტრაბონი აღნიშნავს, რომ ვოიაჟს კირენედან კრეტის უკიდურეს დასავლეთ წერტილამდე ორი დღე და ღამე სჭირდება (Strabo, 10. 4. 5);

კუნძული კრეტა, დაახლოებით, იმავე მანძილითაა დაშორებული (300 კმ.) კირენედან, როგორც ათენიდან. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბერძნების აქ მოსვლამდე კირენაიკის ტერიტორია უკვე ფართოდ იყო ათვისებული ვაჭრების მიერ, რომელთაც ჩრდილო აფრიკასთან მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდათ (Boardman 1980; Elrashedy 2002: 121-125).

ორი წლის შემდეგ თერელები გადავიდნენ პლატეიას მოპირდაპირე მხარეს, კერძოდ, აზირისზე, რომელიც კირენაიკას სანაპიროზე პირველ ბერძნულ დასახლებად იქცა. ბერძნულმა საზოგადოებამ დიდ დაწინაურებას მიაღწია და ძვ.წ. VI ს-ში მათ შეემატათ ახალი კოლონისტები პელოპონესიდან და დორიული კუნძულებიდან (Boardman 1980).

§1. კირენაიკა

ლიბიაში ქიოსური ამფორები კირენაიკას რეგიონიდან გამოვლინდა.

კირენე. მდებარეობს ლიბიის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე (ტაბ. XIII) არქაულ ხანაში კირენეს მჭიდრო კავშირი ჰქონდა ნავკრატისთან, რაც დადასტურებულია გარეული თხის სტილის კერამიკის აღმოჩენებით ორივე ძეგლზე.

ამ პერიოდის კერამიკა ჩრდილო იონიური, ქიოსური და სამხრეთ იონიური წარმომავლობისაა. მეცნიერთა აზრით ქიოსელი ვაჭრები ჯერ ნავკრატისში ჩავიდნენ და შემდეგ გადავიდნენ კირენეში და ამ დროს ჩაიტანეს კერამიკა იქ (Elrashedy 2002: 121-125; Villing... 2006).

კირენეს აკროპოლისსა და აგორას შორის მდებარეობს ნაგებობა „Casa del Propileo“. იგი წარმოადგენს დიდ სამშენებლო კომპლექსს, რომელიც ზომით 25X50 მ-ია და ძვ.წ. I ს-ის შუა ხანებით თარიღდება. სტრატეგრაფიული ჭრილის მიხედვით აქ არქაული, კლასიკური და ელინისტური ხანის ფენები დადასტურდა. არქაული ხანის კერამიკა ძვ.წ. VII ს-ის ბოლო მეოთხედიდან - VI ს-ის დასასრულამდე განსაზღვრული პერიოდით დათარიღდა.

ბერძნული სატრანსპორტო ამფორები კერამიკის მთლიანი რაოდენობის 40%-ს შეადგენს და წარმოდგენილია ქიოსის, სამოსის, ატიკური SOS და ატიკური a la brossé-ს პროდუქციით (ზუსტი რაოდენობა უცნობია) (D'Angelo 2006).

ტლურა დაარსდა კირენეს დაარსებიდან (ძვ.წ. 620 წელი) მალევე. აქ გამოვლინდა დემეტრეს საკურთხეველი და მდიდრული კომპლექსები, რომლებიც ძვ.წ. VII ს-ის ბოლო - VI ს-ის დასაწყისით თარიღდება. იგი საკმაოდ დიდი ძეგლია, რომელიც მჭიდროდ იყო დასახლებული და კარგად გამაგრებული. ჩანს, რომ ატიკური იმპორტის აღმავლობას მოსდევს კორინთულის დაქვეითება, ლაკონიური ჩაანაცვლებს ქიოსურს (Riley 1979: 137-147; Gill 2006: 1-23; Boardman, Hayes 1966; Boardman, Hayes 1973).

I და II კომპლექსების ფენების გაწმენდისას სულ მცირე, 18 ამფორის ფრაგმენტები გამოვლინდა, მათ შორის: 9 (50%) ქიოსურია, 4 (22,22%) - კორინთული, 3 (16,66%) – სამოსური, 2 (11,11%) - ლესბოსური (ყველა მათგანი ძვ.წ. VII ს-ის ბოლო - VI ს-ის დასაწყისით თარიღდება) (ბორდმანი, ჰაიესი 1966: 137-139; ბორდმანი, ჰაიესი 1973: 61-64). დამატებით, 69 ქიოსური და 223 ლაკონიური ფრაგმენტი

მომდინარეობს საკუთხეველიდან, მაგრამ არ არის მითითებული, თუ რამდენ ამფორას ეკუთვნის ისინი (Boardman 1994: 137-147; Gill 2006: 1-23).

ანტიკურ ეპოქაში ქიოსურმა კერამიკულმა იმპორტმა ლიბიაში ასევე ეუესპერიდესს მიაღწია. იგი მდებარეობს დღევანდელ ქალაქ ბენგაზის ახლოს, კირენაიკას ბერძნულ ქალაქებს შორის ყველაზე დასავლეთით (ტაბ. XIII). ქალაქი ძვ.წ. VI ს-ის დასაწყისში დაარსდა და არსებობას ძვ.წ. III ს-ის შუ ხანებამდე განაგრძობდა. ამ დროს იგი მიტოვებული იქნა მახლობლად დაარსებული ახალ ქალაქ ბერენიკესკენ ხალხის გადასახლების გამო.

ეუესპერიდესის მჭიდრო ეკონომიკურ კონტაქტებს ბერძნულ სამყაროსთან ცხადყოფს მრავალრიცხოვანი სატრანსპორტო ამფორები, რომლებიც აქ 1999-2006 წლებში ჩატარებული გათხრების შედეგად აღმოჩნდა. ამფორების უმეტესობა დათარიღებულია დასახლების უკანასკნელი პერიოდით - ძვ.წ. 350-250 წწ-ით.

ამფორების 77% იმპორტულია, აქედან 72% ბერძნულ იმპორტულ ამფორებს ეკუთვნის; მათ შორის: 35% - **კორინთული B** ტიპისაა.

ჩრდილო ეგეოსური არეალი წარმოდგენილია **თასოსის** და **მენდეს** პროდუქციით. თასოსური ამფორების ფრაგმენტებს შორის დამდიანიც გვხვდება, რის მიხედვითაც ეს ჯგუფი ძვ.წ. IV საუკუნით თარიღდება. სამხრეთ ეგეოსური ცენტრები წარმოდგენილია **ქიოსის**, **სამოსის**, **კოსის**, **კნიდისა** და **სოლოხა I-ის** ამფორებით.

